

a o x 6 5

# №3 (11) የጀትወልደንግዻ, 2018 ቀን



უკავშირის უკავშირის, უკავშირის ჩვეულებრივი  
მოუკავშირის, მაგრამ მთა უკავშირის სწორე  
თავისნის საქმითა და დაცვებული უკავშირი  
ჯეპის და სრიფტების სახელით.

# გიზნა

საზოგადოებრივი ჟურნალი, № 3 (11), ოქტომბერი, 2018

დამფუძნებელი, პროექტის  
ავტორი და გამომცემელი:  
თავისუფალ შემოქმედთა გაერ-  
თიანება და შპს „გამომცემლობა  
„მიჯნა“, რეგისტრაციის  
№ B12127840

რედაქტორ-  
გამომცემელი  
მურმან ზაქარაია

რედაქტორი  
კემალ შონია

მისამართი:  
ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ.  
№25, ბ. 1, ტელ./ფაქსი  
2-38-03-11

ISSN  
მიჯნა 2449-237X



# სარჩევი

## კლასიკა

### ფრიდრიხ შილერი

პროლოგი ..... 3

### პირველი დემოკრატიული არჩევნები

#### პემატ შონია

გამსახურდიას ეპოქა და მედროვეთა  
დრო ..... 7

#### პოლიტიკა

##### მურმან ზაქარაია

დამოუკიდებლობის ორი აქტი - ორი  
მიდგომა ..... 13

##### გურამ მაძაცარია, შალვა მაძაცარია

2008 წლის აგვისტოს ომის ანალიზი და  
შედეგები ..... 48

#### პოეზია

##### ირინა ტაბაღუა

ლექსები ..... 50

#### პროზა

##### ლაშა გვასალია

მოთხოვობები ..... 54

##### კონსტანტინე არევაძე

მოგონება ..... 63

## კრიტიკა და რეცენზია

### პემატ შონია

უტუ მიქას დაბრუნება ..... 66

#### ლაშა გვასალია

წამგაფრენილი ჩემი საათი ..... 70

#### პემატ შონია

დანატოვარი კეთილი კაცისა ..... 73

### ამრიდონ ჩეგიანი – 80

### პემატ შონია

ზემაღლალი პოეზია ..... 77

### გრიშა ონიანი

სიმართლისა და თავდადების  
მაგალითი ..... 79

### შალვა მაძაცარია

თანამედროვე მეგრულში სიტყვა  
„სამშობლოს“ შესატყვისი ტერმინის  
აღდგენისათვის ..... 82

### ვალერიან ვეკუა

ლექსები ..... 83

### ხსოვნა

სამშობლოს ლოცვაში გალეული  
სიცოცხლე ..... 84

## ფრიდრიხ შილერი

ფრიდრიხ შილერმა თავისი ტრაგედიის „ვალენტინის ბანაკის“ წინამდებარე პროლოგი დაწერა გოეთეს რჩევით. მასში გადმოცემულია ამ ტრილოგიის დედააზრი.

ამ ტრაგედიის დადგმით გაიხსნა ხანძრის შემდეგ ხელახლა აგებული ვაიმირის თეატრი ამ 220 წლის წინ – 1798 წ. 12 ოქტომბერს.

შილერის ეს ერთ-ერთი საუკეთესო ტრაგედია ეძღვნება იმ ეპოქის გერმანიისთვის უაქტუალურეს პრობლემას: სამასზე მეტი სახელმწიფო-სამთავროებად დაყოფილი ქვეყნის განთავისუფლებისა და გაურთიანების იდეის წარმოჩენას და მისი განხორციელებისთვის ნაციის შემზადებას. სწორედ მაყურებლისა და მკითხველი საზოგადოებისთვის ამ იდეის ნათლად წარმოჩენის მიზნით უნდა ერჩია გოეთეს შილერისთვის ამ პროლოგის დაწერა.


ჩვენთვის ძალზე საყურადღებო უნდა იყოს ის გარემოება, რომ თუ რამდენად ძლიერ პატრიოტულ გზნებას წარმოაჩენენ ეს მსოფლიოს გამორჩეული ჰუმანისტები, როცა საკითხი ეხება დედასამშობლოს, ეროვნული ერთიანობის საკითხს.

ამ დიდ პატრიოტულ საკითხში – გამათავისუფლებელი და გამაერთიანებელი იდეის პროპაგანდირებაში, მიმოწერით თუ უშუალო კავშირში ჩართულნი არიან მაშინდელი გერმანული სამყაროს გენიალური წარმომადგენლები: ჰუმბოლდტები, პოეტის მეგობარი კერნერი, ბეტი-ჰერი, ფრანც შილერი და ა.შ.

შილერის მათთან მიმოწერიდან ნათლად იყვეთება, რომ ტრაგედიის სახელმდებელი გმირი ისტორიულად არაა იმ თვისებების მატარებელი, რომლის რეალური წარმოჩენით შეიძლებოდეს ასეთი უდიდესი მისის დაკისრება, როგორადაც მას აქცევს პოეტი.

შილერი კ.ბეტი-ჰერს სწერს: „ისტორიული ვალენტინი არ იყო დიდი და ამიტომ ... მე უნდა ჩამომეშორებინა მისთვის ეს თვისებები“ (ცუდი – მ.ზ.) და მან შექმნა ამ უდიდესი მიზნის განხორციელებისთვის აუცილებელი სახე: „მისი დროიდან, მისი ვითარებიდან და მოვლენათა მთელი ერთობლიობიდან გამომდინარე“.

ამაზე შენიშნავს ფრანც შილერი: „შილერი – დრამატურგმა გაცილებით უფრო დიდი რე-



ალისტური ალლო გამოიჩინა, ვიდრე შილერი – ისტორიკოსმა“ და წარმოადგინა დიდი პიროვნება, რომლის მთელი საქმიანობა მიმართულია სამშობლოს გაერთიანებისა და ომისგან აწიოკებულ ქვეყანაში მშვიდობის დამყარებისკენ, რაც ხალხის უშუალო ინტერესს შეესიტყვისებოდა“. ამიტომ შილერის ვალენტინის ნება მიმართულია მშვიდობისა და ნაციის კეთილი ნების განხორციელებისკენ.

მაშასადამე, ჩვენთვის, ბოროტი იმპერიის მიერ ქვეყნის ტერიტორიის 1/5 ოკუპირებულ ხალხისთვის, შეხსენება უნდა იყოს, თუ როგორია უდიდეს ჰუმანისტთა პატრიოტული მგრძნობელობა, მათი ვალდებულების გამოხატულება სამშობლოსა და მშობლიური ხალხის წინაშე და არა ისე, როგორც ფსევდოლიბერალებს, იმპერიასთან პერმანენტულ ომში ჩართული ხალხის პატრიოტული მისწრაფებანი დასაგმობად გაუხდიათ. მათ უნდა შევახსენოთ, რომ როცა გასაჭირში მყოფ სამშობლოს ისტორიულად ვერ გამოუჩნდება ამ დიადი საქმის განხორციელებისთვის სრულყოფილი ისტორიული პიროვნება, მას ერის გენიალური შემოქმედი თვითონ ქმნიან, რათა აამაღლონ ერის საბრძოლო განწყობილება და ნაციის მთელი ძალისხმევა წარმართონ განთავისუფ-

ლებისა და გამთლიანობის მიმართულებით. ამიტომ მიმართავდა პირველი პრეზიდენტი – ზვიად გამსახურდია სტუდენტ-ახალგაზრდობას, რომ „ყოველ დროში თვით უნივერსალუ-

რი, კოსმოპოლიტურად მოაზროვნე გენიოსები, ლიტერატურის, მეცნიერების, ხელოვნების თუ პოლიტიკის დარგში, თავისი ერის გულმხურ-ვალე პატრიოტები იყვნენ მუდამ...“

## პროლეტი

ნარმოთქმელი ვაიმარის თეატრის აღდგენისას  
1798 წლის ოქტომბერში

სერიოზული თუ მასხრული ნილბის თამაში,  
რომელსაც ხშირად თვალყურს თქვენსას აპყრობდით ხოლმე  
და თქვენს ნაზ გულებს ყოველთვის რომ იმორჩილებდა,  
დიდ დარბაზში ერთმანეთთან გვაერთებს ისევ,  
ხედავთ! იგი, ჭაბუკური იერით სავსე,  
უქცევია ხელოვნებას კვლავ ნათელ ტაძრად;  
ზეგარდმო სული ჰარმონიულ ბერებით ახლა  
გვესაუბრება ამ დიდებულ კოლონადიდან  
და ჩვენს სულში ჰქმნის საზეიმო განწყობილებას.

ბევრჯერ ყოფილა ვაიმრის ძველი თეატრი  
აკვანი მრავალ ახალგაზრდა შემოქედ ძალის  
და სამოქმედო ასპარეზი მოზარდი ნიჭის,  
ვინაც, ძველები, აღსაგსენი მხურვალე სწრაფვით,  
თქვენს წინაშე, დავვაუკაცდით ბეჯითი შრომით.  
სწორედ ამ ადგილს ხელოვანი კეთილშობილი  
გენიალური შემოქმედი ჯადოსნურ ძალით  
იწვევდა თქვენს წრფელ აღტაცებას, აღფრთოვანებას,  
გადაჰყავდით მას ხელოვნების ნათელ მხარეში,  
ჰოი, ნეტავი ამ ახალი სცენის ღირსება  
ჩვენს შორის უფრო ღირსეულებს მიიზიდავდეს  
და იმ იმედებს, რომელთ დიდხანს თავს ვევლებოდით,  
მალე ვნახავდეთ აქ ბრწყინვალედ აღსრულებულსა.  
დიდი ნიმუში შეჯიბრების სურვილს აღვიძებს  
და მაღალ კანონს აძლევს ის ჩვენს შემოქმედებას.

დე, ის ხელახლა აღმართული თეატრის სცენა  
კვლავ გახდეს მონმე ნიჭის სრულქმნის მომწიფებისა.  
სად შეიძლება სცადოს კაცმა თავისი ძალა,  
რომ აღადგინოს, განიახლოს დიდება ძველი,

თუ არ წინაშე მაყურებლის ამ რჩეულ წრისა,

ვინც ხელოვნების პირველსავე მონოდებაზე

ცვალებად გრძნობით იჭერს სულის წარმავალ სახეს?

სწრაფად, უკვალოდ მიჰქრის კაცთა აზრის წინაშე

გასაოცარი ხელოვნება მსახიობისა,

როს მოქანდაკის ქმნილება და სიმღერა მგოსნის

საუკუნეთა გრძელ მანძილზე ცოცხლობენ ისევ.

თვით მსახიობთან კვდება მისი მომზიბელელობა,

ვითარცა ბერა, ხმამიმწყდარი, უკანასკნელად

ამონასუნთქი წარმავალი ქმნილების მიერ,

და თვით შემდგომად უკვდავ სახელს არ სტოვებს ქვეყნად.

თუმც მსახიობის ხელოვნება მძიმეა დიდად,

მას დაფნის გვირგვინს როდი უწნავს შთამომავლობა.

სწორედ ამიტომ ის აწმუნზე უნდა გახარბდეს,  
გამოიყენოს თვითეული კუთვნილი წამი,  
თანამედრვოეთ ძალზე მტკიცედ დაუკავშირდეს  
და მათგან უფრო ღირსეულთა რჩეულთა გულში  
უნდა აიგოს სიკვდილამდე უჭქნობი ძეგლი,  
რითაც უკვდავს ჰყოფს მსახიობი თავის სახელსა,  
რადგან ის უძლებს მარადიულ დროთა დინებას,  
ვინაც სიკეთე თავის დროის რჩეულს მიაგო.

ახალი ერა თალიების ხელოვნებისა,  
დღეს რომ იწყება ამ სცენაზე, პოეტსაცა ხდის  
უფრო გამბედავს — მიატოვოს გაცვეთილი გზა  
და ვიწრო წრიდან მეშჩანური ყოფიერების  
გამოგიყვანოთ უფრო დიად, მღალ სცენაზე,  
რომელიც თქვენი დაუცხრომელ, მშფოთვარ ცხოვრების  
ეგრეთ ღირსეულ, დიად მომენტს შეჰვერის უფრო.  
მხოლოდ დიდ ამბავთ შეუძლიათ კაცობრიობის  
ღრმა საფუძველის შერყევა და ამღელვარება.  
ვიწრო წრე აზრსაც სულს უხუთავს, აპატარავებს,  
ადამიანს ზრდის და ამაღლებს მიზანი დიდი.

და ახლაც, ჩვენი საუკუნის მიჯნასთან მდგარმა, —  
როცა ცხოვრება პოეზიად გადაქცეულა,  
როდესაც ვხედავთ, ვით იბრძვიან უძლიერესნი  
კაცობრიობის დიდ კითხვათა გადასაწყვეტად,  
თავისუფლების, მბრძანებლობის მოსაპოვებლად, —  
ხელოვნებამაც უნდა შესძლოს ჩრდილთა თამაშში  
ფრთა გაისწოროს, უფრო მაღლა აფრენა სცადოს,  
რათა არ შერცხვეს, გაუსწოროს ცხოვრებას თვალი.  
ჩვენს თვალწინ უკვე ძირს ემხობა მოძველებული  
ის მტკიცე ფორმა, რომელიც ამ ასორმოცდაათ  
წლის წინ ევროპის სამეფოებს მშვიდობამ მისცა,  
როგორც ნაყოფი, სანატრელი, უძვირფასესი,  
ოცდაათწლიან მწუხარებით აღსავსე ომის.  
დაე, პოეტის ფანტაზიამ თქვენ ერთხელ კიდევ  
იმ შავპნელ, პირქუშ დროებაში გადაგიყვანოთ,  
უფრო ხალისით, უფრო ნათლად იხილოს აწმუო  
და საიმედო შორ მომავალს მიაპყროს თვალი.

მძინვარე ომის ქარიშხალში შეჰვავხართ პოეტს.  
თექვსმეტი წელი ძარცვისა და განადგურების,  
რბევის, შიმშილის, მწუხარების გასულა უკვე,  
მაგრამ ქვეყანა შმაგ ზღვასავით ბობოქრობს ისევ  
და არც შორს ბრწყინავს სამშვიდობო იმედის სხივი.  
მთელი ქვეყანა ბრძოლის ველად გადაქცეულა,  
აოხრებულან ქალაქები, სოფლები სულმთლად,  
მიმონგრეულა მაგდებურგი, ძირს დამხობილა,  
მთლად მოსპობილა მრეწველობა, ვაჭრობა ქვეყნის,  
აქ მოქალაქეს დაუკარგავს ყოველი ფასი,  
ხოლო მხედარი, ჯარისკაცი ყველაფერს ნიშნავს;  
გაუგონარი თავხედობა დასცინის ურცხვად  
ზრდილობას, წესს და არვინაა დამსჯელი მისი.  
ტლანქი ბრბოები, ველურებად ქცეულნი ომში,  
გავერანებულ ქვეყანაში დათარეშობენ.

ამ სისხლიანი ბრძოლის ველზე, ამ შავბნელ დროში  
წარმოგვიდგება გაბედული, მამაცი სახე, –  
დაუცხრომელი ხასიათის ადამიანი,  
თქვენ კარგად იცნობთ მას, შემოქმედს გულადი ჯარის,  
კერპს ბანაკისას, ქვეყნის თავზე აღმართულ მათრახს,  
ხელმწიფის მფარველს და მისსავე შიშა და საფრთხეს,  
ბედნიერების შვილს, საოცარს, უცნაურს დიდად,  
დროის წყალობით ზეატყორცნილს, განებივრებულს,  
რომელმაც სწრაფად მიაღწია დიდებას, პატივს,  
მაგრამ სულ ზევით ისწრაფოდა უძლები შვილი  
და ძირს დაეცა მსხვერპლად პატივმოყვარეობის.  
მტერ-მოყვარეთა სიყვარულმა და სიძულვილმა  
ისტორიაში დააბნელეს ამ გმირის სახე.  
მაგრამ თქვენს თვალწინ ხელოვნებამ უნდა ის ახლა  
წარმოადგინოს, მოიტანოს თქვენს გულთან ახლოს,  
რადგან პოულობს ის ყველაფრის საზღვარს და კავშირს  
და უკიდურესს კვლავ უბრუნებს ბუნებრივ სახეს.  
ის თვალს ადევნებს ადამიანს ამ წუთისოფლად  
და მის ცოდვათა, საქციელთა უდიდეს ნაწილს  
მანერს ხოლმე თვით მისსავე უბედურ ვარსკვლავს.

არ წარმოდგება დღეს სცენაზე იგი თქვენს თვალწინ,  
მაგრამ გაბედულ, მამაც ბრძოში, რომელიც მუდამ  
ემორჩილება მის ბრძანებას, მისივე სულით  
შთაგონებული, თქვენ შეხვდებით, ნახავთ მის აჩრდილს,  
ვიდრე თვითონ მას ფრთხილი მუზა წარმოგიდგენდეთ  
ცოცხალი სახით და, რადგან მას ძალაუფლება  
ეგრე ხიბლავს და აჯადოვებს, ბანაკი მისი  
გამოამჟღავნებს მის ქედმაღლურ საქციელს მხოლოდ.  
შეუნდეთ პოეტს, თუ ამჯერად პირდაპირი გზით  
თქვენ ვერ წაგიყვანთ სამოქმედო მიზნისკენ იგი  
და თქვენს თვალთა წინ ისტორიულ ამ დიდი ამბის  
მხოლოდ ცალკეულ სურათების გადაშლას ბედავს.  
დე, დღევანდელმა წარმოდგენამ მიაპყროს თქვენი  
თვალი და ყური უჩვეულო, უცნაურ ბგერებს;  
თანდათანობით გადაგიყვანთ თქვენ იმ ხანაში,  
იმ ბრძოლის ველზე, ლაშქრობათა ველურ სცენაზე,  
სადაც მოქმედებს ჩვენი გმირი. და თუ დღეს მუზამ,  
ლაღმა ქალღმერთმა სიმღერის და ცეკვა-თამაშის,  
თვისი უფლება, გერმანული კანონი ძველი –  
რითმის თამაში მოითხოვა – არაფერია!  
დიახ, მას უნდა ვუმადლოდეთ, ჭეშმარიტების  
მწუხარე სახე ხელოვნების ნათელ ტაძარში  
რომ გამოცვლიდა, შემოსილა შარავანდედით.  
მაგრამ სიცრუე თავისითავად გაჰქირება მაღე,  
მისი შუქი კი არ ლალატობს ჭეშმარიტებას,  
მკაცრი პირქუში, სასტიკია ცხოვრება ჩვენი,  
ხელოვნება კი – გამჭვირვალე, ნათელი მარად.



## ჯემალ შონია

# გამსახურდიას ეპოქა და მედიოზეთა დრო

**1990 წლის 28 ოქტომბრის პირველი თავისუფალი მრავალპარტიული  
არჩევნების 28 წლისთავისათვის**

ადამიანის მიერ ერისა და ქვეყნის წინაშე განეული ღვაწლი მისი მნიშვნელობითა და ხარისხით იზომება და არა იმით, თუ რამდენ ხანს იცოცხლა ამ ადამიანმა, რამდენს მოესწრო და რა იხილა ამქვეყნად მოსვლით... რამდენმა ვინმე წამში გალია წუთისოფელი, მაგრამ მსოფლიო ცივილიზაციის გზაზე ისე გაიელვა მეტეორივით, რომ მისი კაშკაში დღესაც გვიკვალავს გზას მომავლისაკენ. თანაც ასეთ უკვდავთა ცხოვრება მეტეორისას არ ჰგავს, რომელსაც საკუთარი კაშკაში თან მიაქვს საკუთარივე დასასრულისკენ. უკვდავნი კვდებიან, უკვდავები ჩვეულებრივი მოკვდავები არიან, მაგრამ მათ უკვდავნი სწორედ თავიანთი საქმითა და დატოვებული კვალით ჰქვიათ და არა ფიზიკური არსებობით.

დიახ, უკვდავები კვდებიან და უკვდავებს კლავენ კიდეც!

ნათელისა და ბნელის ჭიდილი, როგორც ჩანს, მარადიულია და ეს ომი მსხვერპლსა და თავგანწირვას მოითხოვს; მსხვერპლი და თავგანწირული კი, პირველ რიგში, ის პირვენებები არიან, რომლებსაც საზოგადოება ყველა დროსა და ყველა ქვეყანაში გზის გამკვალავად, წინა ხიდად მოიაზრებდა, რომელიც პირველი უნდა შესჩებოდნენ ბნელეთის ნებისმიერ ძალას. ეს თავგანწირვა ხშირად უმადურობად უბრუნდებოდა გმირს, მაგრამ ეს მისი პრობლემა არ არის: მან ხომ დიდებულად აღასრულა თავისი დანიშნულება, მან ხომ მადლი გაიღო სხვა ადამიანებისთვის ისე, რომ სამაგიერო საზღაური არ უთხოვია. ეს გმირების, დიდი ადამიანების თვისებაა, უმადურობა კი პატარა ადამიანების სენია, კაცუნების საქმეა, რომლებიც ყოველთვის ბევრად სჭარბობენ ნათელ და უშურველ პირვენებებს. მითებს



თავი რომ დავანებოთ, პრომეტეს, ამირანის ხვედრს, რომლებმაც ცეცხლი აჩუქეს ადამიანებს და თვითონ კი კლდეზე მიჯაჭვა მიიღეს სანაცვლოდ, დიახ, მათ რომ თავი დავანებოთ, თვით ქრისტე – ღვთის ძე, უფლის მიერ კაცობრიობის სახსნელად დედამიწაზე მოვლენილი, ავაზაკს არჩიეს და ჯვარზე აცვეს... თვით ქრისტეზეც რომ არაფერი ვთქვათ, რამდენი გმირი ახსოვს ჩვენს ისტორიას, თვით მისივე სისხლ-ხორცის მიერ განწირული, მოძმის მიერ გათელილი და განადგურებული, ზურგშექცეული და სასიკვდილოდ გამეტებული?

საუბედუროდ, ამგვარი მაგალითის მოსაყვანად ისტორიის ფურცლების ქექვა აღარ გვჩირდება, რადგან ასეთი რამ ჩვენ თვალინი მოხდა, ჩვენს სიცოცხლეში, ჩვენს დროსა და ჩვენს ქვეყანაში...

ზვიად გამსახურდია უფალმა საჭირო დროსა და ადგილას მოუვლინა ჩვენს ტანჯულ სამშობლოს. მისი პირვენული მრნამსი, მისი სულიერი სამყარო ყრმობიდანვე ითვისებდა და ისის-ხლხორცებდა ქართველის სუნთქვასა და ნატ-ვრას, დასაბამიდან განუყრელ თანამგზავრად რომ მოსდევს ჩვენს ერს. პოეტი თქმისა არ იყოს,

ეს იდეა ქართველად გაჩენისა და მოქმედებისა მამულიშვილთა გულიდან გულში გადმოდიოდა, ბოლოს გამოიარა ილია ჭავჭავაძის გული, მამა-მისის – კონსტანტინე გამსახურდიას გული და, მერაბ კოსტავასთან ერთად, ჩვენ მოგვევლინა საქართველოს სულიერი მისის უებრო რაინდი, დიდი ჰუმანისტი, ყოველმხრივ განათლებული, უშიშარი და სიკვდილითაც სიკვდილის დამ-თრგუნველი ზვიად გამსახურდია!

მომიტევოს მკითხველმა, რადგან ამ წერილში ახალ სათქმელს ვერაფერს ვერ შევპირდები, მაგრამ ათასჯერ თქმულის უთქმელობაც არ



ჩანიხლული კანონიერება და აღზევებული მკვლელები

ეგების, რადგან ჩვენს ყრუ და უგულო დღევან-დელობას, თვალის დახუჭვას, წელან თქმულ უმადურობასა და თავკერძობაში განაფულს, მართალი სიტყვა მათრახივით უნდა მოუქნიო, რათა ზურგი ასტყივდეს და გაყინული გულიდან სინათლის დატყვევებულმა წვეთმა გამოჟონოს.

27 წლია, რაც საქართველომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღადგინა. წელს საქართველოს პირველი რესპუბლიკის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების 100 წლის-თავიც ვიზუმეთ. ასი წლის წინანდელი 26 მაისი და ოცდაშვიდი წლის წინანდელი 9 აპრილი საქართველოს ახალი იტორიის ის ნიშანს ვეტებია, რომლებსაც ეყრდნობა ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა და თავისუფლება, იმ სახელწიფოს არსებობა და განვითარება, რომელიც კვლავ მტრებით, არაკეთილმოსურნებითაა გარემოცული და შიგნითაც საკმაოდ ჰყავს ციხის გამტები.

დღეს, როდესაც რუსეთის იმპერია არა მარტო ტანკებითა და თვითმფრინავებით, არამედ მძლავრი პროპაგანდისტული მანქანებითაც ომობს ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ, ქართული საზოგადოება ერთ მუშტად შეკრული, ერთიანად დარაზმული უნდა იდგეს ნებისმიერი განსაკდელის მოსაგერიებლად, მაგრამ ვერა, ვერ ხერხდება იმ ავადსახსენებელი პუტჩის შემდეგ ერის შეკვრა და გამოლიანება, ერთი იდეითა და მრწამსით შედუღაბება.

რატომ?

ზვიად გამსახურდიამ და ეროვნულ-განმა-თავისუფლებელმა მოძრაობამ ქვეყნის ხელისუფლებაში მშვი-დობიანი მრავალპარტიული არჩევნების გზით მოსვლით და საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებით, საქართველოს სახელმწიფოს მსოფლიო თანამეგობრობაში კუთვნილ ადგილზე დამკვიდრებით ეპოქა შექმნეს ჩვენი ქვეყნის უახლოეს ისტორიაში, იმ სისხლიანი გადატრიალებით კი ქვეყანა მედროვეებმა იგდეს ხელთ, გაძარცვეს, გააპარტახეს, ნაწილ-ნაწილ დააქუცმაცეს, გაყიდეს, ხალხს იდეა და მომავლის რჩმენა ხელიდან გამოაცალეს, გაუყალბეს დემოკრატიაც, სა-

მართლიანობაც, ჭეშმარიტი დემოკრატიისკენ აღებული კურსიდან გადახვევინეს, ზოგიერთებმა თავიანთი მოღალატური საქციელით და შეგნებულად, ზოგიერთებმა კიდევ თავიანთი უცოდინრობით, უნიათობით უფრო და უფრო გაუღრმავეს სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური პრობლემები... ეროვნული ხელისუფლების იარაღით დამხობის შემდეგ ჯერ არ გამოჩენილა საქართველოში ისეთი ხელისუფლება, რომელსაც რაიმე ახალი სერიოზული თავსატეხი არ გაეჩინა ქვეყნისთვის.

ასეთ დროს კვლავაც მძლავრობენ ბრმანი და ყრუნი, ბოროტნი და ქვეგამხედვარნი, შურიანი და გულზე გამსკდარნი იმის გამო, რომ ვერაფერი დააკლეს ზვიად გამსახურდიას დიდებასა და ღვანოს და გაზეთის ფურცლებზე, ტელევიზიონი, რადიოთი თუ სოციალურ ქსელებში ძველებურად ანთხევენ შხამს, თესავენ ღვარძლს და, რაც ყველაზე სავალალოა, ზვიად

გამსახურდიას, როგორც პიროვნებისა და პოლიტიკოსის, წინააღმდეგ კი არ იღაშექრებენ, არამედ უპირველესად ქართულ სახელმწიფოებრიობას უთხრიან ძირს, ქართულ სულიერებასა და იდეას განაქიქებენ, ლანდლავენ, ამაზინჯებენ, აყალბებენ და მტრის წისქვილზეც უხვად ასხა-მენ თავიანთ ბინძურ წყალს...

გახსოვთ ალბათ, რამდენჯერ გაუმეორებია ზვიად გამსახურდიას, მე რამდენიც გინდათ მლანძლეთ, ოლონდ საქართველოს თავი დაა-ნებეთო...

სულაც არა მაქვს სურვილი ამ წერილში კონკრეტულად ვინმეს სახელი და გვარი მოვიხსენიო, მაგრამ ფაქტია, რომ ჯერაც ბოგინებენ ე.ნ. „წითელი ინტელიგენციის“ წარმომადგენლები, შევარდნაძის ნასუფრალით აღზევებული ახლა უკვე არა ეგრეთ წოდებული, არამედ ნამდვილი მონები, საბჭოურ სტერეოტიპებში ტვინჩაკირული პოეტები თუ მეცნიერები, ან, უბრალოდ, ეროვნული მოძრაობიდან თავის დროზე ჩამოტეხილი, ნაყარნუყრებად ქცეული საცოდავი არსებები, რომლებსაც მოუშორებლად აქვთ ჩაკიბოებული, „წუხილი სხვათა სიკეთეთა ზედა“... მათვის პრეზიდენტი ზ.გამსახურდია, თუმცა განათლებული იყო, მაგრამ არ იყო პოლიტიკოსი, ხოლო 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეულმა უზენაესმა საბჭომ თავი თურმე მხოლოდ და მხოლოდ უაზრო მიტინგებით და რკინიგზის გადაკეტვით დაამახსოვრა ქართველ ხალხს...

როგორ უნდა წახდეს და დაეცეს ადამიანი, რომელსაც ასეთი აზრები მოუვა თავში!.. ესაა მკრეხელობა, უნამუსობა, უზნეობა, თუმცა ამის მთემელს სხვა გზა არცა აქვს: რაღაცით ხომ უნდა გაიმართლონ თავი ქვეყნის წინაშე ჩადენილი დანაშაულისთვის, პუტჩიში მონაწილეობისთვის თუ პუტჩისტთა წაქეზებისთვის, იმისთვის, რომ დღემდე ვიმკით სიძულვილის, ძალადობის, სიცრუისა და თვალთმაქცობის მოსავალს, სამშობლოს სხეულს რომ აძაბუნებს და ანგრევს...

და ეს ყველაფერი ხდება ზვიად გამსახურდიას ეპოქაში, დიახ, სწორედ რომ ეპოქაში! ხდება იმიტომ, რომ ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით ქართველი ხალხის მიერ მოპოვებული ეპოქალური გამარჯვების შემდეგ, როგორც ვთქვით, სწორედ მედროვენი ბოგინებენ, რომლებმაც თავიანთი ზეობისა და საცოდავი არსებობის დრო საკუთარ კეთილდღეობასა და ძალაუფლებით ტკბობას მოახმარეს და არა მოპოვებული დამოუკიდებლობის განმტკიცებას

და ქვეყნის განვითარებას ეროვნული იდეოლოგიისა და დასავლური დემოკრატიის გზით. ვიმეორებ, აქ დროის ხანგრძლივობა მნიშვნელობას კარგავს, რადგან „ცუდი პოლიტიკოსის“ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებაში ყოფნის წელიწადა და ორიოდე თვეს, ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვებით გაბრნებულს, ვერაფრით ვერ შეედრება „დიდი პოლიტიკოსის“ ე.შევარდნაძის მმართველობის 12 ავადსახსენებელი წელიწად!

ვინც ამას ვერ ხედავს, როგორც მუხრანი ამბობს, „ან მტერი არის, ან უგნური მოყვარე“. ჰოდა, მოკლედ ჩამოვთვლი ათასჯერ თქმულს და დღის სინათლესავით ხილულსა და აშკარას:

ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ აიძულა კომუნისტური მმართველობა და საქართველოს მოსახლეობას საშუალება მიეცა, გამოეხატა თავისი ნება არასაბჭოურ, საყოველთაო, დემოკრატიულ, მრავალპარტიულ არჩევნებზე. არჩევნებში მონაწილე პარტიებმა და ორგანიზაციებმა რეგისტრაცია გაიარეს არა საბჭოთა ხელისუფლების იუსტიციის სამინისტროში, არამედ პარტიებულ საწყისებზე დაკომპლექტებულ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში.

ხელისუფლებაში ზვიად გამსახურდიას ბლოკი „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“ მოვიდა ნათლად განსაზღვრული პროგრამით. ახალარჩეულმა უზენაესმა საბჭომ განახორციელა აუცილებელი ცვლილებები არსებულ კონსტიტუციაში, რომელიც მიჩნეულ იქნა დროებით ძირითად კანონად. გამოცხადდა გარდამავალი პერიოდი, რომლის დროსაც უმტკიცნეულოდ უნდა განხორციელებულიყო საბჭოური სტრუქტურების ჩანაცვლება ქართულ სახელმწიფოებრიობასა და ქართველი ხალხის ინტერესებზე ორიენტირებული სამსახურებით.

უზენაესმა საბჭომ მიიღო ისეთი მნიშვნელოვანი კანონები და დადგენილებები, როგორიცაა კანონები ადგილობრივი მმართველობის, სავალდებულო სამხედრო სამსახურის, პრივატიზაციის, პოლიციის, სამენარმეო საქმიანობის, ეკონომიკური სისტემის საფუძვლების, სასამართლო რეფორმის, პრეფექტურების, საკრებულოების, პრესის შესახებ და ა.შ.

შეიცვალა სახელმწიფო სიმბოლიკები, საქართველოს ტერიტორიაზე დისლოცირებულ სსრ კავშირის ჯარებს მიენიჭა საოკუპაციო ჯარების სტატუსი. მიღებულ იქნა კანონი ე.ნ.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ, რომლის შემდეგ, 1991 წლის 23 მარტს ყაზბეგში გაიმართა ზვიად გამსახურდიას შეხვედრა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტ ბ.ელცინთან. შეხვედრისას მიღებულ ოქმში რუსეთის პრეზიდენტის თანხმობით ჩაიწერა ტერმინი „ყოფილი სამხრეთ ოსეთი“, რითაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ფარგლებში დადასტურდა ავტონომიური ოლქის გაუქმების ფაქტი.

დამოუკიდებლობის გზაზე უმნიშვნელოვანესი ნაბიჯები იყო ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ჩატარება, საქართველოს პრეზიდენტის არჩევა პირდაპირი ფარული კენჭისყრით.

1991 წლის 31 მარტს საქართველოს მოსახლეობის უმეტესმა უმრავლესობამ საყოველთაო რეფერენდუმზე დადებითად უპასუხა ერთადერთ კითხვას: „ეთანხმებით თუ არა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე?“.

რეფერენდუმის შედეგებზე დაყრდნობით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ 1991 წლის 9 აპრილს მიიღო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი.

უნდა აღინიშნოს, რომ ერმა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღიდგინა არა საბჭოთა იმპერიის დაშლის, არამედ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის შედეგად.

პროფ. მანანა ტაბიძე საქართველოს უზენაესი საბჭოსადმი მიძღვნილ კრებულში გამოქვეყნებულ სტატიაში ასე გამოხატავს ყველა პატიოსანი ქართველის სათქმელს: „თუ სადმედა ოდესმე ჩვენი საშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობაზე იქნება საუბარი, რომც არ ასესონ, ზვიად გამსახურდია და საქართველოს უზენაესი საბჭო ყოველთვის იქნება მუდმივი თანამდევი ამ ორი უძვირფასესი სიტყვისა, იქნება ნაწილი თავისუფლებისათვის დიდი, უწყვეტი ბრძოლისა...“

და ყოველივე ამას ვერ ხედავენ გონებით ბრძები ან ისინი, რომლებიც განზრას იბრმავებენ თავს! სწორედ ასეთები გაიძახიან, რომ ზვიად გამსახურდია პოლიტიკოსი არ იყო, რომ უზენაესი საბჭო არაკომპეტენტური და უნიათო იყო და ა.შ. რა თქმა უნდა, გაიძახიან თავიანთი ბნელი საქმეების დასაფარავად, ნებსით თუ უნებლიერ ჩადენილი დალატის მისაჩქმალა-

ვად, მაგრამ, როგორც ვიცით, არ არის ისეთი დაფარული რამ, რომელიც არ გაცხადდეს... და აპა, გაცხადდა კიდევ მათი „პატრიოტობა“ და „მამულიშვილობა“ – ქვეყანა გაძარცვეს, სახელმწიფო ქონება მიითვისეს, შევარდნაძის ნასუფრალს დასუულები დღესაც არხეინად არიან და სამშობლოს ცნებაც სალაპარაკოდ და თვალში ნაცრის შესაყრელად უნდათ, თორემ მათთვის საქართველო მათი თბილი ბუნაგების შემოსასვლელთან მთავრდება.

1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეულ უზენაეს საბჭოში „მრგვალი მაგიდის“ ბლოკიდან არჩეული დეპუტატები წარმოადგენდნენ ეროვნულგანმათავისუფლებელ ბრძოლაში წარმოჩენილ ახალ ინტელიგენციას, რომლებიც, კომუნისტური მმართველობის დროს პრივილიგებული და გაყოყოჩებული „წითელი ინტელიგენციისაგან“ განსხვავებით, მზად იყვნენ, თავგამოდებით ებრძოლათ ქართველი ხალხის ინტერესებისათვის და არა საკუთარი კეთილდღეობისათვის. ამ ადამიანებმა კრიმინალური პუტჩის შემდეგ გამეფებული რეპრესიებისა და ტერორის ვითარებაშიც არ უღალატეს თავიანთ მრწამსს, მათი დიდი უმრავლესობა ბოლომდე დარჩა ეროვნული იდეისა და პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ერთგული.

მე მაინც უფრო იმ სისულელებზე მინდა გავამახვილო ყურადღება, რომლებსაც დღემდე იმეორებენ ე.შევარდნაძის ჯადოთი მოხიბლულ-დაბრმავებული პირწავარდნილი წითელი ინტელიგენტები, შევარდნაძის ნასუფრალის ნირვანაში დღემდე ჩარჩენილი ვითომ ავტორიტეტული და განათლებული გვამები: ზვიად გამსახურდია პოლიტიკოსი არ იყო, ხოლო შევარდნაძე დიდი პოლიტიკოსი გახლდათო.

„დიდ პოლიტიკოსს“ ეპითეტი „დიდი“ სხვა შემთხვევაში შეიძლება მივუსადაგოთ: ის იყო დიდი ავანტიურისტი, დიდი თვალმაქცი, დიდი გაიძვერა, დიდი კარიერისტი, დიდი დაუნდებელი, დიდი მხლართავი ინტრიგებისა, და თუ თავის კარიერას სჭირდებოდა, დიდი მონაც და დიდი ქამელეონიც. აი თქვენი დიდი ედუარდი, ბატონებო!

ყველამ იცის, რომ სწორედ ინტრიგების გზით შეუყენა წყალი ვ. მუავანაძის მმართველობას და ასე მოევლინა საქართველოს ცეკას პირველ მდივნად. შემდეგ, მთელი კარიერის მანძილზე, კრემლის გული რომ მოეგო, არაფერზე უკან არ იხევდა, უამრავი სიცოცხლეც შეინირა კრიმინალური საქმეების შეკერვით. დასაწყისშივე,

„მავნე წეს-ჩვეულებებთან“ ბრძოლის ნიღბით, ციხეში ამწყვდევდა არასასურველ მოხელეებს, ხვრეტდა იმათ, ვინც გზაზე ეღლობებოდა, მაგალითისთვის თბილისის ერთ-ერთი რაიონის აღმასკომის თავმჯდომარის ი.კობახიძის დახვრეტის ფაქტიც კმარა; სამეურნეო მუშაკები მისი შიშით თვითმკვლელობით ამთავრებდნენ სიცოცხლეს, გაიხსენეთ ლვინისა თუ წვენების საქმეები, რამდენი დახვრიტა, რამდენი გაუყენა ციხის გზას, ამ დროს თვითონ ახალისებდა მიწერებს, ფალსიფიკაციას და ასე მიიღო თავისი პატრიონებისგან სოციალისტური შრომის გმირის წოდება, რესპუბლიკა კი ზედიზედ დებულობდა ე.წ. საკავშირო გარდამავალ დროშებს... გაიხსენეთ თვითმფრინავის გატაცების საქმეზე ბრალდებულთა დახვრეტა, მათ შორის სრულიად უდანაშაულო მღვდლისა, მის მიერ დაქსელილი ინტრიგები რესპუბლიკის პარტიულ და სამეურნეო ხელმძღვანელობაში, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ზ.პატარიძის თვითმკვლელობა, სიღნალის რაიკომის პირველი მდივნის ბუჩქურის ხვედრი, პროკურორ ბარაბაძის მოულოდნელი სიკვდილი.

ამ ადამიანის სატანურმა უნარმა საბჭოურ ცოდვებს ასმაგად გადააჭარბა მას შემდეგ, რაც კრიმინალურ-კომუნისტური პუტჩის შემდეგ საქართველოს ახალ ჭირად მოევლინა. თვითმფრინავის ტრაპიდან ჩამოსული არ იყო, როდესაც ქვეყნის გამყიდველ ინტელიგენციას იარაღის ხელში აღებისთვის მადლობა გადაუხადა და ახალი დანაშაულობების ჩასადენად წაახალისა. მის სინდისზეა თბილისის, სამეგრელოს, აფხაზეთის ტრაგედიები, პატრიოტების დახვრეტა, ათასობით წამებული და რეპრესირებული ადამიანი, პრეზიდენტ ზ. გამსახურდიას მკვლელობა, ტერიტორიების გასხვისება, ქვეყნის ეკონომიკის სრული მოშლა, უსინათლობა, უპურობა, ქურდული სამყაროს აღზევება, მძარცველების, ადამიანის გამტაცებლების თარეში, ტოტალური სიღარიბე, სასამართლო ხელისუფლების გარყვნა, მექრთამების აყვავება, ეროვნული იდეოლოგიისა და შეგნების ფეხქვეშ გათელვა და სახელმწიფოს განვითარების მაგისტრალური გზიდან გადახვევა, ყალბი დემოკრატია... სწორედ ასეთ ანტიქართველზეა თქმული ზვიად გამსახურდიას სიტყვები: „თუ გსურს ერი ან ადამიანი გახრნა და გადააგვარო, მას არა მხოლოდ უნდა დაავიწყო წარსული, არამედ უნდა გაუყალბო კიდეც იგი, თავისი ჭეშმარიტი

გმირები ბოროტმოქმედებად და უნიათო კაცუნებად უნდა დაუსახო, მედროვენი და მოღალატენი კი — გმირებად“.

ასეთია ამ „დიდი პოლიტიკოსის“ მთელი საქმიანობა, თუ ამას პოლიტიკა ჰქვია. თუ მაინცდამა ინც ვინმეს უნდა, რომ მის მოღვანეობას პოლიტიკა ერქას, ეს იქნება პოლიტიკა ბინძური ხერხებით, კაცომოძულეობისა და ვერაგობის ამაზრზენი ნაზავი, რომლის შედეგებს ქართული სახელმწიფო და ქართველი ხალხი დღემდე იმკის. ეს არის პოლიტიკა მედროვე კარიერისტისა, რომელმაც გაწირა ყოველივე მორალური,



არ დაზოგა ადამიანების სიცოცხლე და ქვეყნის ინტერესები და თვით ქვეყანაც გაყიდა თავისი ზეობის გასახანგრძლივებლად.

ზვიად გამსახურდიამ კი თავისი ხანმოკლე მოღვანეობის განმავლობაში საქართველო, ქართველი ხალხი ეპოქალურ გარდაქმნებს აზიარა, ქვეყანა ბრჭყალებიდან გამოჰვლიჯა საზარელ იმპერიას და დამოუკიდებლობის გზაზე დააყენა.

სწორედ ზვიად გამსახურდიაა ის დიდი პოლიტიკოსი, რომელმაც თავისი ჰუმანურობით, კაცომოყვარეობითა და მიმტევებლობით, მოვ-

ლენათა სწორი ანალიზითა და გამჭრიახობით გაუკვალა ქვეყანას გზა თავისუფლებამდე და არა შევარდნაძის დრაკონული მეთოდებით: შანტაჟით, ინტრიგებით, ადამიანების განირვით...

ზვიად გამსახურდიას სახელის ხსენებისას, პირველ რიგში, თვალწინ გვიდგას ეროვნული ძალების ხელისუფლებაში მოსვლა 1990 წლის 28 ოქტომბერს, 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფო ბრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღება იმავე წლის 31 მარტის რეფერენციულის საფუძველზე, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენმა ეროვნულ-განმათვისუფლებელმა მოძრაობამ 28 ოქტომბრამდე ძალიან რთული და საშიში გზები გამოიარა და რომ არა ზვიად გამსახურდიას პოლიტიკური ალლო და გამბედაობა, პრინციპულობა და ურყევი რწმენა, შეიძლება მთელი ეროვნული მოძრაობა სწორ გეზს ამცდარიყო და კრახი განეცადა.

ზვიად გამსახურდიასა და მის თანამებრძოლებს კომუნისტური რეჟიმის უზარმაზარ მანქანასთან ერთად ბრძოლა უხდებოდათ თვით ეროვნული მოძრაობის შიგნით უხვად არსებული დესტრუქციული ძალების წინააღმდეგ. ამ ძალების წარმომადგენლები, ზოგი უცოდინარობით, ზოგი შურით თუ სხვა მიზეზით, მუდმივ საფრთხეს უქმნიდნენ ქვეყნის გამოხსნის კენ ნაბიჯ-ნაბიჯ მიმავალ ჭეშმარიტ ეროვნულ მოძრაობას, იმავე ზვიადისა და მერაბის მოძრაობას; მათგან ბევრმა შემდეგში იარაღი აიღო ხელთ და პუტჩისტების წინა რიგებში ჩადგა.

ზვიად გამსახურდია ყველაფერს აკეთებდა ყველა ეროვნული ძალის გაერთიანებისთვის, მაგრამ ამის საპირისპიროდ მოქმედებდნენ საბჭოთა უშიშროების სამსახური, მძღავრი საბჭოური სტრუქტურები, ეროვნულობის ნიღაბაფარებული კრემლის მოსყიდულები. ყველაფ-

რის მიუხედავად, ზვიად გამსახურდიამ სწორი გათვლებით აიძულა კომუნისტური ხელისუფლება, გაეუქმებინა 1990 წლის მარტში დანიშნული საბჭოური არჩევნები, მიაღებინა ახალი საარჩევნო კანონი, რომელიც ითვალისწინებდა მრავალპარტიული თავისუფალი დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას, რომელში მონაწილე პარტიებმაც, ვიმეორებთ, რეგისტრაცია გაიარეს არა კომუნისტურ ორგანოში – იუსტიციის სამინისტროში, არამედ პარიტეტულ საწყისებზე დაკომპლექტებულ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში.

შევარდნაძე ხელისუფლებაში სისხლით და ნგრევით მოვიდა, ზვიად გამსახურდიამ კი პოლიტიკური ბრძოლის ჰუმანური, პატიოსანი და საყოველთაოდ აღიარებული სამართლებრივი გზით მოუპოვა თავის ხალხს გამარჯვება. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგაც მისი გზა რუსთველური ჰუმანიზმით იყო გამსჭვალული და უპირველესად სწორედ ამას გაუსვა ხაზი უზენაესი საბჭოს პირველსავე სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას. იგი ცოცხლობდა და მოღვაწეობდა ქრისტეს მცნებათა ერთგულებით და ასე ებრძოდა სატანურ ძალებს, ებრძოდა და თუმცა სიცოცხლე შესწირა ამ ბრძოლას, მან უკვდავ მამულიშვილთა შორის დაიმკვიდრა ადგილი, ჩვენ კი, დღევანდელ ქართველებს, დაგვიმკვიდრა ახალი ეპოქა, თავისუფლების ეპოქა, რომელსაც ქართველი ხალხი არასოდეს არ დათმობს.

მედროვეებს დრო დაივიწყებს, ისინი ისტორიის ბნელ კუთხეში მიიყუსებიან, ზვიად გამსახურდია კი ილია ჭავჭავაძის, სხვა დიდი მამულიშვილების გვერდით მარად დაილოცება მომავალი თაობებისგან 26 მაისის თუ 9 აპრილის ასი, ორასი, სამასი წლის შემდეგაც და ასე შემდეგ, დაუსრულებლივ.



## გურმან ზაქარაია

### **დამოუკიდებლობის ორი აქტი – ორი მიღებობა (წერილი მეორე)**

პირველ წერილში ითქვა, რომ ჩვენი თანამედროვე სახელმწიფოებრიობა, მისი კონსტიტუციური მოწყობა ეფუძნება ორ უდიდეს ისტორიულ მოვლენას და განსაზღვრულია ორი ფუძემდებლური დოკუმენტით: „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტითა“ და „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის“ პოლიტიკური და სამართლებრივი დოქტრინით. იმისთვის, რომ სწორად შევაფასოთ (განვსაჯოთ) XX საუკუნეში მიღებული ამ ორი აქტის სახელმწიფოებრივი არსი, აუცილებელია, სწორად ავხსნათ მათი პოლიტიკური საზრისი მთელი ჩვენი მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრივი ისტორიის კონტექსტში, რაც გამოკვეთილადა მითითებული ამ ორივე დოკუმენტის შესავალ ნაწილში.

1918 წლის დამოუკიდებლობის აქტის პრეამბულაში ნათქვამია: „მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო“. მოცემულ შემთხვევაში ძალზე საყურადღებოა ცნებების „დამოუკიდებელი“ და „თავისუფალი“ პარალელურად ხმარება. სიტყვა „თავისუფალი“ აქ უდიდესი ფაქტობრივი და პოლიტიკური მნიშვნელობის მატარებელი ტერმინია და განსაზღვრავს ამ აქტის საზრისას.

1991 წლის 9 აპრილის აქტის შესავალ ნაწილში კი მითითებულია, რომ საქართველოს სახელმწიფოებრიობა საუკუნეთა სიღრმეში იღებს სათავეს, რომელიც ქართველმა ხალხმა და კარგა მე-19 საუკუნეში რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ანექსიის და სახემწიფოებრიობის გაუქმების შედეგად. ეს მოვლენა შეფასებულია როგორც ერისათვის თავისუფლების ნართმევა. ამიტომაც „ქართველი ხალხი არასდროს შეჰვეუბია თავისუფლების დაკარგვას“. მოცემულ კონტექსტშიც „თავისუფლება“ იმავე მნიშვნელობის მატარებელია, როგორისაც 1918 წლის დოკუმენტში, რაც ადასტურებს იმას, რომ 1918 წლის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის უმთავრეს საზრისს ნარმოადგენს იმპერიის უღლისგან განთავისუფლება, 117 წლის წინათ ნაკლებილო თავისუფლების დაბრუნება.



ამდენად, ის გარემოება, რომ 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღე აღინიშნება, სრულად ვერ ასახავს რუსეთის თვითმპურობელობის დამხობის ფონზე საქართველოში განვითარებული პროცესების ისტორიულ შედეგს, რომელიც დაგვირგვინდა 1918 წლის 26 მაისს საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ ასევე ისტორიული დოკუმენტის „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის“ მიღებით. როგორც ზემოთ ითქვა, ის უპირველესად ნარმოადგენს საქართველოს რუსული იმპერიის უღლისგან განთავისუფლების დოკუმენტს.

ამ უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენისადმი მიღებომა, ჩვენდა სავალალოდ, იმთავიდანვე არაერთგვაროვანი იყო და ასი წლის შემდეგაც გადაუწყვეტლად რჩება. ეს „პრობლემა“ მნიშვნელოვანია არა მარტი ისტორიული, არამედ თანამედროვე პოლიტიკურ-სამართლებრივი თვალსაზრისითაც, რომელიც მან შეიძინა 1991 წლის 9 აპრილს მიღებული საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის აქტის შედეგად; ის კი, თავის მხრივ, ეფუძნება საყოველთაო სახალხო რეფერენდუმით დაფიქსირებულ ხალხის ნებას.

ორივე ადგილას: სარეფერენდუმო ბიულე-

ტენშიც და სახელმწიფოებრიობის აღდგენის აქტშიც ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენა ეფუძნება 1918 წლის 26 მაისის დოკუმენტს, რითაც **მან ახალი სიცოცხლე და ახლებური მნიშვნელობა შეიძინა.** ამასთან ისიც უნდა ითქვას, რომ მისი ეს ახლად დაბადება არ ყოფილა ახალი პოლიტიკური სიტუაციით განპირობებული სპონტანური მოვლენა. ის იყო შედეგი დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენისთვის პერმანენტული ბრძოლისა, რომლის მძაფრი აღორძინება მოხდა ოთხმოციანი წლების მეორე ნახევარში და მიმდინარეობდა 26 მაისის დროშით.

უფრო გვიან ამ პროცესს ქართველი ხალხისადმი გაგზავნილ თავის მომართვაში ასე აფასებდა დევნილობაში მყოფი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია: კომუნისტური ტოტალიტარიზმი 70 წლის მანძილზე ცდილობდა 26 მაისის იდეების მოსპობას, თავისუფლების სულისკვეთების ჩაკვლას, მაგრამ იმპერიის მსახურმარენებაშე ვერ ჩაკლეს ეროვნული აზრი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, კვლავ აფრიალდა 26 მაისის დროშები (კრებ. ტ.II, გვ.84) მამასადამე, აშკარაა, რომ 26 მაისი არაა ოდენ დამოუკიდებლობის გამოცხადების თარიღი, ის იმპერიული ულლისგან განთავისუფლების, ზოგადად, ერის თავისუფლებისთვის მარადიული ბრძოლის იდეის სიმბოლოა. მან ეს მისია ერთხელ უკვე აღასრულა, როცა „26 მაისის დროშებით კვლავ აღზევდა თავისუფლების სული, ხოლო 1990 წლის 28 ოქტომბერს კვლავ აღსდგა დემოკრატიული რესპუბლიკა საქართველოში“ (იქვე).

ყოველივე ამის გათვალისწინებით, უნდა დასამარებულიყო ის სკეპტიკური დამოუკიდებულება, რომელიც არსებობდა პირველი რესპუბლიკის დღის მიმართ, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ეს არ მოხდა, რადგანაც ურთულეს საერთაშორისო პოლიტიკურ ვითარებაში, სუსტი მთავრობის პრაქტიკულ ღონისძიებათა შუქზე, სრულიად ფერმკრთალდებოდა მისი უმთავრესი განმათავისუფლებელი მისია, ხოლო რესულბოლშევიკური ოკუპაციისა და გასაბჭოების გზით ანექსიის მერე კიდევ სახელს უტეხდნენ არა ოდენ მენშევიკურ მთავრობას (ისედაც საკმაოდ შელანდულს), არამედ თვით დამოუკიდებელ სახელმწიფოებრიობას, როგორც ასეთს, მისი არსებობის მართლზომიერებას; ანადგუ-

რებდნენ ჩვენს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ცნობიერებას იმ დონეზე, რომ დღესაც გაიგონებთ უსაზიზლრეს, ყეყეჩურ გამონათქვამებს: „რა მოვგიტანა დამოუკიდებლობამ?“

ჩვენი ახალი სახელმწიფოებრივი ისტორიის ფორმირების ფუძემდებლური მოვლენებისადმი (აქტისადმი) ასეთმა მიდგომამ თითქმის **სრულად დაჩრდილა მისი განმათავისუფლებელი მისია** და ოდენ სახელშებლალური დამოუკიდებელი სახელმწიფოს (რესპუბლიკური მმართველობის) მეხსიერებალა შემოუტოვეს ხალხს. დღემდე გრძელდება მის ირგვლივ დავა-კამათი და არავის ახსოვს **ის მარადუკვდავი განმათავისუფლებელი მისია 1918 წლის 26 მაისისა,** რომელიც გახდა წინ წამდლვარებული დროშა თანამედროვე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და იქცა თავისუფლების იდეად, რომლის საფუძველზეც მოხდა, როგორც უზენაეს საბჭოს პირველ სხდომაზე – 14 ნოემბერს განაცხად გამსახურდიამ, **თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველოს** მკვდრეთით აღდგინება.

ამდენად, 26 მაისის აქტზე მსჯელობისას სწორედ ეს თანამიმდევრობა უნდა იქნეს დაცული. ის, პირველ რიგში, არის რუსეთის იმპერიის ულლისგან განთავისუფლების სახალხო დღე, რომლის საფუძველზეც მერე დაიწყო დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის მშენებლობა.

ჩვენ შევეცდებით სათანადო ისტორიული ფაქტების მოხმობით და მათზე მსჯელობით ეს დავადასტუროთ და ვაჩვენოთ, რომ ამ დოკუმენტით დაიწყო ჩვენი მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრივი ისტორიისთვის სრულიად უცნობი ახალი სისტემის ფორმირება.

მიუხედავად იმ უდიდესი ისტორიული ლირებულებისა, 26 მაისის ფუძემდებლურ აქტს რომ პქონდა, და იმ პოლიტიკურ-სამართლებრივი დატვირთვისა, რომელიც მან 1991 წლის 9 აპრილის დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენის აქტის საფუძველზე შეიძინა, მისადმი დამოუკიდებულება, ისევე, როგორც საუკუნის წინ, არაერთგვაროვანია და ამოვარდნილია სახელმწიფოებრივი აზროვნების კალაპოტიდან. ერთი მხრივ, ხდება მისი ადგილისა და როლის გაზიადება და გაუკულმართება მმართველი პოსტპუტრისტური სოციუმის მხრიდან; გაუკულმართება იმდენად, რამდენადაც ხდება მისი უმთავრესი, განმათავისუფლებელი მისიის სრული იგნორირება. მეორე მხრივ, ხდება მისთვის

არადამახასიათებელი ფუნქციის მიკუთვნება, თანამედროვე სახელმწიფოებრიობის ფორმირებაში მისი მონაწილეობის როლის ხელოვნურად გაზრდა, რათა დაკანინონ 9 აპრილის აქტის მნიშვნელობა.

თავის მხრივ, 26 მაისის აქტის როლის ხელოვნურად გაზრდა იწვევს საპირისპირო რეაქციას და, ნებსით თუ უნდღიერ, იკვეთება ამ აქტისადმი ნეგატიური დამოკიდებულება. აშკარად ჩნდება ინტერესთა კონფლიქტი. შესაბამისად, სამართლიანობის დადგენის თუ აღდგენის ცრულობუნგით ხდება ამ დოკუმენტის უმთავრესი საზრისის – იმპერიის მონობისგან განთავისუფლების მიჩქმალვა; ამ მისის სრული იგნორირება ხდება იმ დონეზე, რომ მას არა მარტო თანამედროვე პოლიტიკაში არ ექცებნება ადგილი, არამედ მისი ეს განმათავისუფლებელი მისია თვით ისტორიის სახელმძღვანელოებიდანც გამოძევებულია და იფარება ე.წ. უდღეური დამოუკიდებელი სახელმწიფოს აჩრდილით. ეს კი, ფაქტობრივად, ნარმოადგენს სსრკ-ში მის მიმართ შემუშავებული დოქტრინის თანამედროვე პირობებისათვის მისადაგებას.

ყოველივე ეს შედეგია ნომენკლატურულ-კრიმინალური გადატრიალებისა და პუტჩისტური ალიანსის შედეგად ფორმირებული სოციუმის საქმიანობისა. ისინი სხვადასხვა სახენაცვალი ფორმით დღემდე განაგებენ ქვეყანას. სწორედ ამიტომაა აუცილებელი ამ თითქოსდა ერთი შეხედვით სუბიექტური საკითხისადმი (ორი დოკუმენტის შეფასება) სილრმისეული მიდგომა და ურთულესი პრობლემატიკური საკითხების (ისტორიული თუ თანამედროვე პოლიტიკური) წინ წამოწევა.

\* \* \*

დამოუკიდებლობის გამოცხადების 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილ ღონისძიებათა ფარგლებში, ერთ-ერთ ინტერვიუში, საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიის წარმომადგენლის, ისტორიკოს დავით ხვადაგიანისთვის დასმული კითხვიდან ჩანს, რომ ეს ძველი საბჭოური დოქტრინა და სკეპტიციზმი ამ განმათავისუფლებელი მისის მატარებელი დოკუმენტისა და ფაქტისადმი კი არ შენელებულა, არამედ

„ამ ფაქტის მნიშვნელობის მიუხედავად ისტორიკოსები (არა მარტო ისინი. – მ.ზ.) დამოუკიდებლობის გამოცხადების სხვადასხვა მოტივსა და ვერსიაზე მიუთითებენ. ნაწილი თვლის, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადება... შემთხვევითობის წყალობით მოხდა, თუმცა მათ კატეგორიულად არ ეთანხმებიან სხვა მკვლევრები“ და ისმება „მარადიული“ კითხვა: „რამდენად იყო 1918 წელს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთვის მზად ქართული პოლიტიკური ელიტა და საზოგადოება? რამდენად „გვებოძა“ თავისუფლება ბრძოლისა და ძალისხმევის გარეშე?“

ჩვენ არ შევუდგებით ამ ინტერვიუში განხილული ისტორიული პროცესები ანალიზს. მოცემულ შემთხვევაში საინტერესოა რესპონდენტის მეტაფორული პასუხი, რომ „სამწუხაროდ, ჩვენ 1918 წლის დამოუკიდებლობის გამოცხადებას აღვიქვამთ, როგორც კონკრეტულად დაზეპირებულ თარიღს“. ამ რთულ მეტაფორას თვითონვე



Wikipedia Commons

ხსნის ავტორი, რომ „მოზეპირეებს“ მხედველობაში აქვთო ამ პროცესის (დამოუკიდებლობის გამოცხადების გზა) დასკვნითი ნაწილი და არა მთელი პროცესი, რომელიც უფრო ადრე დაიწყო.

სამწუხაროდ, მისი ეს სწორი მიდგომა საკითხისადმი და მთავარი არსის მატარებელი მოსაზრება, რომ „პროცესი გაცილებით ადრე დაიწყო“ და ჩვეულებრივ, უნდა გვეგულისხმა 1991 წლის აქტით გაცხადებული, რომ „ქართველი ხალხი არასდროს შეგუებია თავისუფლების დაკარგვას და განუწყვეტლივ ანარმონებდა ბრძოლას მისთვის“, რესპონდენტმა ამის უთქმებლობით ის პროკრუსტეს სარეცელში მოაქცია და დაიყვანა XIX საუკუნის მეორე ათწლეულის მოვლენებამდე, პარტიულ კინკლაობასა და შიდა

წინააღმდეგობებში დაწინაურებულ „კარგად ორგანიზებული ძლიერი ჯგუფის“ საქმიანობამდე, „ვინც 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი წაიკითხა“. შესაბამისად, ყველაფერი წარიმართა ისევ ძველი კალაპოტით – აქტის „წამკითხველთა“ განდიდებით თუ არა, მათი „შრომის დაფასების, მიმართულებით მაინც.

კვლევებისა თუ დისკუსიების ამ მიმართულებით წარმართვა მხოლოდ ისტორიული თვალსაზრისით შეიძლება იყოს დასაშვები, თუმცა არც იქ მოაქვს მას დიდი სარგებელი. პრაქტიკული პოლიტიკისთვის ის მხოლოდ ვნების მომტანია.

ამიტომ ჩვენი „ცუდი ჩვევებიდან“ გამომდინარე, ეს ავბედითი კითხვა: „ვინ მეტია და ვინ წაკლები?“ – განზე დავტოვოთ, ვინაიდან ჩვენი საკითხისთვის ახლა მნიშვნელოვანია არა „აქტის“ წამკითხველთა როლის განსაზღვრა, არამედ თვით წაკითხული დოკუმენტის მნიშვნელობა არა მარტო იმ ისტორიული მომენტისთვის, როცა, როგორც თვით დამოუკიდებლობის აქტშია მითითებული, რომ „საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადება საგარეო ურთიერთობის ძალადატანებით (ხაზი- მ.ზ.) წარმოიშვა და ჩვენ ახლა მოვალენი ვართ იგი დავიცვათ“, არამედ მთელი შემდგომი პერიოდისთვის. განსაკუთრებით ასახსნელია ის საპატიო მისია, რომელიც მას 1991 წლის 9 აპრილის სახელმწიფობრიობრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით დაეკისრა.

მაგრამ სანამ ამ საკითხზე გადავალთ, უნდა შევნიშნოთ, რომ ნურავის ნუ მოატყუებს ჩვენ მიერ ხაზგასმული – „ძალადატანებით“ და მას ნუ აღიქვამს ისე, რომ თითქოსდა 1918 წლის 26 მაისს საქართველოს მიერ რუსეთის უღლიდან განთავისუფლებისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის სურვილის გაცხადება ძალადატანებით, საზოგადოების დამოუკიდებელი ნების საწინააღმდეგოდ მოხდა. ჯობია ერთდასამუდამოდ მოვეშვათ ამ სოფისტიკას.

მოცემულ შემთხვევაში ლაპარაკი იმ „საგარეო ძალადატანებაზე“, რომელიც თან ახლდა

კაცობრიობისთვის მანამდე უცნობ მოვლენას – მსოფლიო ომს, რომლის წინაშე „დიდიც და პატარაც“ უძლეური იყო. ამიტომ ჩვენ მიერ მოხმობილ ამონარიდში მთავარია არა „ძალადატანება“, არამედ ვალდებულების აღება, მიიღოს ისტორიული მომენტით განპირობებული ეს გამოწვევა და გამოაცხადოს: „ამიტომ არა საქართველო დამოუკიდებელი რესპუბლიკაა“ და არა მარტო ეს, არამედ ისიც, რომ „ჩვენ გამოვაცხადეთ დამოუკიდებლობა, მაგრამ დამოუკიდებლობას დაცვა უნდა და ამ დაცვის საქმეს მოვანდომოთ მთელი ძალ-ღონე“.

საზოგადოების (ერის) ასეთი ბრძოლისთვის მზაობის გაცხადება მთავარი, რომელიც შემდგომმა პროცესებმა სრულიად დაადასტურეს, როცა დადგა უამი გამოცდისა და მსოფლიო ომში „გამარჯვებულმა ევროპამ“ და მისმა საერთაშორისო „მთხლე ორგანიზაციებმა“ ისტორიულ სამართლიანობასაც და მორალსაც ზურგი აქციეს და საბჭოთა იმპერიას მიეყიდნენ, ქართველ ხალხს არ შეუწყვეტია ბრძოლა სახელმწიფოს აღდგენისთვის.

ჯერ კიდევ ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალების ცხელ კვალზე, როცა საქართველომ ანტიბოლშევიკური პოზიცია დაიკავა და პოლიტიკურ არენაზე გამოჩნდნენ აშკარად პროდასავლეური ძალები, მათ 1917 წლის 9 დეკემბერს ეროვნული საბჭოს აღმასკომში, ანტანტის ქვეყნების ელჩებთან (აშშ, ინგლისი, საფრანგეთი, იტალია) შეხვედრაზე, დასავლეთისადმი ლოიალობის გამოცხადების პასუხად ერთხმად მიიღეს: „რომ ისინი ცნობდნენ ერთ, მთლიან და განუყოფელ რუსეთს და მის დროებით მთავრობას“.<sup>1</sup> ეს პოზიცია დასავლეთის ქვეყნებს თითქმის არ შეუცვლიათ საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის მანძილზე (თუ არ მივიღებთ მხედველობაში მათ მიერ 1920/21 წლებში გადმოგდებულ აღიარებას), მათ ახალგაზრდა, დემოკრატიულ რესპუბლიკას მიუკეტეს ერთა ლიგის კარი.

ამიტომ, როგორც ითქვა, დამოუკიდებლობის გამოცხადება ძალადატანებით აქტი კი არ იყო, არამედ ის იყო ლოგიკური დაგვირგვინება

<sup>1</sup> ვ. ფერაძე, ლ. მუმლაძე, „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის ნარკვევები, X-XXI საუკუნეები“. ამ შემთხვევაში ძალაუნებრად გახსენდება აშშ პრეზიდენტის ბუშის (მამა) განცხადება კიევში: „ზეიად გამსახურდია დინების საწინააღმდეგოდ მიცურავს“, რაც სინამდვილეში იყო დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს საწინააღმდეგო განცხადება, რასაც მოჰყვა ღირსეული პასუხი: „დინებას მკვდარი თევზები მიჰყვებიან!“ ეს იყო 1991 წ. 31 მარტის რეფერენდუმში მონაწილე ქართული საზოგადოების 98%-ის აზრის გამოხატვა.

რუსეთის ულლისგან საქართველოს განთავისუფლებისთვის 117-წლიანი ბრძოლისა, რომელიც, როგორც 1991 წლის 9 აპრილის უზენაესი საბჭოს საგანგებო სესიაზე გაცხადდა, „დაინტერესივების ულლი საუკუნის დამდეგს მოახდინა საქართველოს ანექსია და გააუქმა მისი სახელმწიფოებრიობა“ (საქ. სახელმწ. ხემძღვანელები, ზ. გამასახურდია, ტ. I, თბ., 2013 წელი, შემდეგში „კრებული“).

ამდენად, სწორედ 117-წლიანი პერმანენტული ბრძოლა „ხალხთა საპყრობილების უფლისგან განთავისუფლებისთვის აყალიბებს 1918 წლის 26 მაისის აქტის ბუნებას (საზრისს), რაც მთელი სისრულით აისახა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდის „მიმდართვაში ქართველი ერისადმი 26 მაისის გამო“, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ „აღდგომაში“ (N4, 1992წ. 24/V). „1918 წლის 26 მაისს ქართველმა ერმა რუსეთის იმპერიის ნაგრევებზე ააფრიალა დროშა ეროვნული დამოუკიდებლობისა. ას ჩვიდმეტი წლის მონობის შემდეგ კვლავ აღორძინდა ეროვნული სახელმწიფოებრიობა. ჩატარდა არჩევნები, შეიქმნა პარლამენტი, მაგრამ საბოლოოდ ვერ გაიმარჯვა ეროვნულმა და ქრისტიანულმა იდეამ, ქართველობამ ვერ დააღწია თავი მარქსიზმის დამდუპველ იდეოლოგიას, ვერ უერთგულა ქრისტეს გზას, დიდი ილიას გზას, რამაც ლვთის რისხვა მოგვივლინა და 26 მაისი 25 თებერვლით შეიცვალა“ (კრებული, ტ. III, გვ. 84). აი, ამაშია 26 მაისის აქტის პოლიტიკური და მსოფლმხედველობრივი არსი.

\* \* \*

სხვათა შორის, ეს პირველი სრულფასოვანი დოკუმენტია დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების შემდეგ, მიძღვნილი 26 მაისის დღესასწაულიადმი, რომელმიც აღნერილია ამ მოვლენისა და დოკუმენტის სასიცოცხლოდ აუცილებელი მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნის ეროვნულ-კულტურულად და პოლიტიკურად არსებობისათვის. პრეზიდენტი განმარტავს:

იმპერიის მსახურმა რენეგატებმა საბოლოოდ ვერ ჩაკლეს ეროვნული აზრი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, იგი კვლავ ფენიქ-სისებრ აღორძინდა, „როდესაც დადგა იმპერიის მწუხრი, კვლავ აფრიალდა 26 მაისის დროშები“ (იქვე), ეს განმათავისუფლებელი მისია აკისრია 26 მაისის აფრიალებულ დროშებს, ამიტომაც უპირველეს ყოვლისა, ამ თვალთახედვიდან

უნდა შევხედოთ მას და შემდეგ ვიმსჯელოთ და ვიკამათოთ მის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ დანიშნულებაზე როგორც ასი წლის წინ, ასევე თანამედროვე ქართული სახელმწიფოსათვის.

მაშასადამე, როგორც მიმართვის ტექსტიდან ჩანს, მაშინდელმა ქართულმა საზოგადოებამ საბოლოოდ ვერ მიიყვანა ამ განმათავისუფლებელი ბრძოლის პროცესი სრულ გამარჯვებამდე. „26 მაისი 25 თებერვლით შეიცვალა“.

მიუხედავად ამისა, ეს ისტორიული მოვლენა და მისი გამომხატველი აქტი უდიდესი პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მატარებელი ფაქტი და დოკუმენტია. დევნილობაში მყოფი არეზიდენტი ზვიად გამსახურდია აცხადებდა, რომ 25 თებერვალს და 6 იანვარს ერთი და იგივე ავტორი ჰყავს: კრემლის იმპერია, წითელი ჯარი და მათი მეგზურნი, ჩვენი ერის მოღალატენი! ჭეშმარიტმა მამულიშვილებმა უნდა აღაზევონ 26 მაისის დროშა (მიმართვა, იქვე). ეს არაა უბრალო მოწოდება, ეს არის 26 მაისის აქტის ფუძემდებლური მნიშვნელობის სამუდამოდ დადასტურება იმ დონეზე, რომ პრეზიდენტი ქართველი ერის დიდებას და 26 მაისის დიდებას განუყოფლად მიიჩნევს და აფიქსირებს: „დიდება ქართველ ერს, დიდება 26 მაისს!“

ამდენად, საქართველოს ჭეშმარიტი შვილებისათვის 26 მაისის დროშა სიმბოლოდაა დასახული იმპერიული ძალადობისა თუ შიდა გამცემთა წინააღმდეგ ბრძოლისა. ისტორიულ კონტექსტში ის არის ანაბეჭდი რუსეთის მიერ ვერაგულად თავს მოხვეული მონობისგან თავდახსნისთვის საუკუნოვანი პერმანენტული ბრძოლისა, სიმბოლო იმპერიული ულეტისგან განთავისუფლებისა.

ამიტომ, 26 მაისის მნიშვნელობა ღირებულებითი თვალსაზრისით „რევიზირებას“ არ ექვედებარება, რომელი და ვისი მხრიდანაც მოდიოდეს ის. მაგრამ, ამასთან მას, როგორც სიმბოლოს და ისტორიულ საფუძველს ჩვენი თანამედროვე სახელმწიფოებრიობისას, არ შეიძლება ავკიდოთ (დავაკისროთ) სხვა ვალდებულებანი, კერძოდ რეალური სახელმწიფოებრივი თუ საერთაშორისო ფუნქციონალური დატვირთვები, რომელთა მიმართ 26 მაისის აქტის ოდენ მისი ისტორიულ-ფუძემდებლური შინაარსი აკავშირებს ჩვენი პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი არსებობის დამოუკიდებლობის აღდგენის საფუძვლად აღიარებულ დოკუმენტს.

## მურმან ზაქარაია

ამიტომ სახელმწიფოებრივად (კონსტიტუციურად) მოქმედ და საყოველთაოდ აღიარებულ, საერთაშორისო ძალმოსილების მატარებელ დოკუმენტს მხოლოდ და მხოლოდ 1991 წლის 9 აპრილის „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი“ წარმოადგენს.

\* \* \*

XIX საუკუნის სამოციანი წლების რეფორმების შემდეგ, როგა ადგილობრივი ორგანოების – ერობების შექმნა დაუშვეს, როგორც დ.ხვადაგიანი განმარტავს, ამ პირობებშიც კი კატეგორიულად გამოირიცხა, რომ დაპყრობილ ერებს და განაპირა პროვინციებს მინიჭებოდათ თუნდაც წმინდა სამეურნეო და არაპოლიტიკური ფუნქციების მატარებელი ინსტიტუციის შემოღების უფლება. ასე მოისპო უძველესი ქართული სახელმწიფოს არსებობის ყოველგვარი ნიშანწყალი.

ამიტომ ყოველივე ამის გაუთვალისწინებლად წარმოუდგენელია 1918 წლის 26 მაისს მიღებული და გაცხადებული „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის“ შეფასება, მისი რეალური მნიშვნელობის დადგენა.

ამ ისტორიული პროცესების გათვალისწინებით, 1918 წლის 26 მაისის აქტის სახელმწიფოებრივი და ისტორიული მნიშვნელობის დადგენისთვის აუცილებელია სამი ფუნდამენტური ლირებულების მომცველი მომენტის გამოყოფა, რომელიც სრულად ასახავენ ამ დოკუმენტის ადგილსა და როლს თანამედროვე ქართულ პოლიტიკურ სივრცეში.

პირველი – მეფის რუსეთის შემადგენლობაში გუბერნიების სახით სრულად ინკორპორირებული ქვეყნის 117-წლიანი მონობიდან თავდასწანა – განთავისუფლება (მაშასადამე, ის პირველ რიგში არის განთავისუფლების აქტი).

მეორე – მსოფლიო ომის პროცესში შექმნილი საერთაშორისო პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე ქართველი ერის მიერ თავისი ნების გამოხატვა და მოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის ფორმირების თაობაზე, რათა თავი გადაირჩინოს გარეშე ძალების ახალი აგრესისაგან და დამოუკიდებელ განვითარებას მტკიცე საფუძველი ჩაუყაროს (როგორც ეს გაცხადებულია დამოუკიდებლობის აქტში).

მესამე – ამ ორი ფუნდამენტური ლირებულებიდან გამომდინარე, ჩვენი ნაციონალური ისტორიისთვის სრულიად ახლებური სახელმწი-

ფოებრივი მმართველობითი ფორმის – დემოკრატიული რესპუბლიკის დადგენა.

სამწუხაროდ, „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“-ს სახელდებაშიც და ტექსტშიც, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, სწორედ ეს პირველი და უმთავრესი მახასიათებელი – ქვეყნის იმპერიული უღლიდან განთავისუფლება – არის ჩრდილში მოქცეული და, როგორც პრეამბულაში, ასევე ძირითად მუხლებშიც ირიბად ფიქსირდება ან კონტექსტში იკითხება.

პრეამბულაში ნათქვამია: „1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ დაუტევა რა რუსეთის ჯარმა ა/კ და დარჩნენ რა თავის ძალლონის ამარა საქართველომ და ა/კ თვით იდვეს თავისი საქმეების გაძლოლა“. ამასთან, 1918 წლის 26 მაისისთვის შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობა კი, როგორც იქვეა ნათქვამი, აუცილებლად მოითხოვდა, რომ „საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შექმნას და დამოუკიდებელი განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს“.

აქტის შესავალში ნათქვამი: „დაუტევა რა რუსეთის ჯარმა ა/კ და დარჩნენ თავის ძალლონის ამარა“, ისევე, როგორც პირველი მუხლის პირველ ნაწილში გაცხადებული: „ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია“, რა თქმა უნდა, გულისხმობს რუსეთის იმპერიის მონობის უღლისგან განთავისუფლებას. ორივე შემთხვევაში მხოლოდ ამ უმთავრესი ფაქტის დაფიქსირების შემდეგ ხდება გაცხადება დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის სურვილზე და მის მმართველობით ფორმაზე.

მაშასადამე, აქტის შესავალშიც და ძირითად მუხლებშიც შინაარსობრივად თავ-თავის კუთვნილ ადგილას (პირველ რიგში) ლაპარაკია 117-წლიანი მონობისგან განთავისუფლებაზე ისე, რომ თვით ეს ტერმინი – „განთავისუფლება“ ნახსენები არაა. უდავოა, ამას თავისი რეალური პოლიტიკური მიზეზი უნდა ჰქონოდა, თუმცა არც სოციალ-დემოკრატიასუბიექტური მიდგომა (მარქსისტული იდეოლოგია) უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან. ამიტომ, აუცილებელია, რამდენიმე სიტყვით შევჩერდეთ ამ მიზეზების ახსნაზე.

\* \* \*

ქრისტიანულმა „ერთმორწმუნე“ რუსეთმა, როგორც ისტორიულ მიმოხილვაში ვნახეთ, საქართველოს სრულად წაართვა არა მარტო

უმაღლესი პოლიტიკური უფლება—სახელმწიფოებრიობა, არამედ საზოგადოებრივად ორგანიზების უფლებაც. კატეგორიულად გამოირიცხა „წმინდად სამეურნეო და არაპოლიტიკური ფუნქციის მატარებელი ინსტიტუციების შემოღების უფლებაც“ (დ.ხვადაგიანი). ამიტომ დამოუკიდებლობის აქტით რუსეთის მონობისაგან განთავისუფლებისა და პოლიტიკური სიცოცხლის განახლების სურვილის გაცხადება წარმოადგენს მის უპირველეს ღირებულებით ნიშანს. მათზეა მიბმული ყველა დანარჩენი სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობის აქტები.

მიუხედავად ამისა, ეს უმთავრესი ფაქტი — რუსეთის ულლისგან განთავისუფლება, შესაბამისად, ტერმინი „თავისუფლება“ — „განთავისუფლება“ ამ დოკუმენტში მხოლოდ უძველესი ისტორიის თვალსაზრისითაა ხმარებული. ტექსტი სწორედ ასე იწყება: „მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა როგორც თავისუფალი და დამოუკიდებელი სახელმწიფო“. უპრიანი იქნებოდა, ეს ფორმულირება — თავისუფალი და დამოუკიდებელი — ასევე პარალელურად ასახულიყო აქტის სახელდებაში, რაც დღეს მრავალ გაუგებრობას აგვაცილებდა თავიდან, რაც მთავარია, მაშინ მასში (სახელდებაში) ზუსტად იქნებოდა ასახული ამ ფუძემდებლური დოკუმენტის არსი. სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა, რაც ავტორთა მიუხვედრებლობის გამო კი არ მომხდარა, არამედ მას თავისი რეალური მიზეზი უნდა ჰქონოდა.

დამოუკიდებლობის აქტის ავტორები ცდილობენ მოფლიო ომის დასასრულისთვის შექმნილი ურთულესი პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებას და წონასწორობის დაცვას, ოქროს შუალედის მოქებნას დამარცხებულებს ან თითქმის უკვე დამარცხებულებსა და გამარჯვებულებს შორის, ისინი გრძნობენ, რომ მათთვის (საქართველოსთვის) ბოლომდე სანდო არც ერთია და არც მეორე (რაც მალე დადასტურდა კიდეც).

ავტორები გვერდს უვლიან რუსეთისგან განთავისუფლების ასწლოვან სწრაფვას, ე.ი. არ ახსენებენ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. მათ მიერ დამოუკიდებლობის საკითხის დაყენებას ომისა და რუსეთის რევოლუციების შედეგად დამდგარი პოლიტიკური პროცესების მიერ გამოწვეული აუცილებლობით ხსნიან. ამიტომაა, რომ აცხადებენ, დარჩენენ რა თავი-

სი ძალ-ღონის ამარა, იძულებული გახდნენ იზრუნონ საკუთარი ქვეყნის თავდაცვაზე დამოუკიდებლად, რომ მათი ეს გადაწყვეტილება იძულებითია და არა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შედეგი. ჩვენეული „წითელი ინტელიგენციის“ იდიოტური თქმისა არ იყოს, ერიდებიან თავისუფლების „დროშის ფრიალს“.

მოცემულ კონტექსტში იძულებითობა უმთავრესი დიპლომატიური დატვირთვის მატარებელი ცნებაა. იძულებული იმიტომ გახდნენ, რომ რუსეთმა თავისი ნაკისრი ვალდებულებანი ვერ შეასრულა (როდის ასრულებდა?), ჯარი დაეშალა, მმართველი ინსტიტუტები მოიშალა და ჯარს უკან მიჰყვა, დარჩა ქვეყანა თავისი ძალონის ამარა და ისიც ცდილობს, იპოვოს ახალი პოლიტიკური ვითარებიდან გამოსავალი — დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანიზაციის შექმნით. ის ცდილობს, იპოვოს ახალი დასაყრდენი ძალა დასავლური დემოკრატიის სახით.

მაშინდელი ისტორიული მომენტისთვის რუსეთის მონობისგან განთავისუფლების საკითხისადმი ასეთი მიდგომა სავსებით გამართლებულად შეიძლება ჩაითვალოს, თუ მას ჩამოვაშორებთ სოციალ-დემოკრატების წილში გაბატონებულ რუსულ-მარქსისტული იდეოლოგის გავლენას, რომელმაც თავისი შავი საქმე სულ მალე გააკეთა. როგორც ზ.გამსახურდია მიმართავდა ქართველ ხალხს, „საბოლოოდ ვერ გაიმარჯვა ეროვნულმა და ქრისტიანულმა იდეამ, ქართველობამ ვერ დაალწია თავი მარქსიზმის დამლუპველ იდეოლოგიას... და 26 მაისი 25 თებერვლით შეიცვალა“. შესაბამისად, გამოდის, რომ საერთაშორისო „ყრუ ძალების“ და რუსული მოვინიზმის არგალიზიანების რენეგატული „პოლიტიკა“, რომლის აღორძინებასაც დღეს ესწრაფვიან, არახალია და ჩანასახობრივ ფორმაში უკვე იმ პირველ დოკუმენტში გვაქვს დაფიქსირებული.

არგალიზიანების პოლიტიკამ თავის აპოგეას მიაღწია და დომინანტური მდგომარეობა დაიკავა, რა თქმა უნდა, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ეპოქაში, როცა „კომუნისტური ტოტალიტარიზმი 70 წლის მანძილზე ცდილობდა 26 მაისის იდეების მოსპობას, თავისუფლების სულის ჩაკვლას“ (ზ.გამსახურდია, მიმართვა).

მაშასადამე, პირველი პრეზიდენტის ზუსტი განმარტებით, 26 მაისის უმთავრესი იდეა არის თავისუფლებისკენ (განთავისუფლებისკენ) სწრაფვა. მასში ცოცხლობს მთელი ეროვნული

აზრი, ეროვნული იდეა. თავისუფლების ეს იდეა იყო უპირველესი სამიზნე არა მარტო იმპერიული ძალებისთვის, არამედ მათი ადგილობრივი დამქაშებისთვის, რენეგატებისთვის, „წითელი ინტელიგენციად“ ფორმირებულ სხვადასხვა ჯურის შტრეკებერთა და ფსევდოკულტურის ადეპტთათვის.

მაგრამ მათ ვერ ჩაკლეს ეროვნული თავისუფლებისთვის ბრძოლის იდეა. „... იმპერიის მსახურმა რენეგატებმა საბოლოოდ ვერ ჩაკლეს ეროვნული აზრი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, იგი კვლავ ფენიქსისებრ აღორძინდა, როცა დადგა იმპერიის მწუხრი, კვლავ აფრიალდა 26 მაისის დროშები“ (იქვე). რაშია „26 მაისის აქტის“ იდეური საზრისი? ის, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენს იმპერიის უღლიდან განთავისუფლების დოკუმენტს, რომელსაც თავისი ეს მნიშვნელობა ბოლომდე, ახალი ოკუპაციისა და საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირში ძალად გაწევრიანების შემდეგაც არ დაუკარგავს.

ამიტომ 70 წლის განმავლობაში დაუნდობლად ებრძოდნენ კომუნისტური იმპერია და მისი ადგილობრივი წარმომადგენლები განთავისუფლებისკენ სწრაფვის ყოველგვარ გამოვლინებას, მაგრამ ვერ ჩაკლეს თავისუფლების სული, „ისევ აფრიალდა 26 მაისის დროშები“.

ამდენად, „26 მაისის აქტის“ უმთავრესი საზრისი და პრაქტიკულად განხორციელებული ფაქტი რუსეთი იმპერიის მონობის უღლიდან განთავისუფლებაა, რაც დოკუმენტში სახელდებით არაა დადასტურებული, ის „ჩრდილ-ქვეშ“ ექცევა მიუხედავად იმისა, რომ ამ ფაქტის სახელდებით დაფიქსირების მნიშვნელობა კარგად უწყიან ავტორებმა. ეს კარგად ჩანს იქიდან, რომ, როგორც ძირითადი დოკუმენტის პირველივე სტრიქონში, ასევე დამატებაშიც, დიდი სიფრთხილით, მაგრამ მაინც ხმარობენ ამ ტერმინს, ჯერ ისტორიულ კონტექსტში, რომ საქართველო ისტორიულად თავისუფალი და დამოუკიდებელი ქვეყანა იყო, ხოლო დამატებაში პირდაპირაა მითითებული, რომ „დღიდან საქართველოს ანექსისა ქართველ პატრიოტთა ოცნებას თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველო შეადგენდა“.

მიუხედავად ასეთი „დიპლომატიური სვლისა“ – პოლიტიკური სიფრთხილისა, აქტი ისტორიულ კონტექსტში, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის პარალელურად ფიქსირებით

იწყება: „საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო“, რაც დოკუმენტის პირველ მუხლში, როგორც ზემოთაც ითქვა, შინაარსობრივად აისახა: „ამიერიდგან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია“, ე.ი. საქართველო პოლიტიკურად განთავისუფლებულია იმპერიული უღლიდან. იმავე მუხლის მეორე ნაწილში კი გაცხადებულია ამ პოლიტიკური თავისუფლების მიზანი და საბოლოო შედეგი – „საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა“. ე.ი. საქართველო, როგორც სუვერენულ უფლებათა მატარებელი – თავისუფალი ქვეყანა, დამოუკიდებელ სახელმწიფოებრიობას მიეღწის.

ჩვენი შეხედულებით, აქტის პირველ მუხლში დაფიქსირებული ეს ორი დამოუკიდებელი მოცემულობა დამატებით განმარტებას არც უნდა მოითხოვდეს, მაგრამ მაინც, რამდენადაც პირველი და უმთავრესი ისტორიული ფაქტი – იმპერიული უღლისგან განთავისუფლება (თავისუფალი ნების მოპოვება) მისგან მომდინარე მეორე ფაქტის – დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის სურვილის გაცხადების „ჩრდილქვეშ“ მოექცა და ვერ პოვა ასახვა ამ ფუძემდებლური დოკუმენტის სახელდებაში, იძულებული ვართ თუნდაც რამდენიმე წინადადებით უფრო სიღრმისეულად შევხეოთ მას და ჩავნვდეთ ამ ორი ცნების არს მოცემული დოკუმენტის კონტექსტში.

\* \* \*

„საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის“ 1-ელ და მე-2 მუხლებში გაცხადებული სამი უმთავრესი ლირებულებითი ნორმა: თავისუფლება (განთავისუფლება), დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა და მისი არსებობის პოლიტიკური ფორმის განსაზღვრა, წარმოადგენს იმ სამერთიან ფაქტორს, რომლის ძალითაც ის იქცა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენის აქტისთვის ფუძემდებლური დანიშნულების დოკუმენტად.

ზემოთ აღნიშნეთ და კიდევ განვმეორდებით: აქტში იმის დაფიქსირება, რომ საქართველო ისტორიულად იყო თავისუფალი და დამოუკიდებელი სახელმწიფო, იმის გაცხადებაცაა, რომ მან ეს სახელმწიფოებრიობა დაკარგა, რუსეთთან საერთაშორისო ნორმებზე დამყარებული ხელშეკრულებით გაფორმებული

ავტონომიური უფლებების 1801–1864 წლების განმავლობაში თანდათანობით და ძალადობრივად წაგლეჯით. ამასთან იმის შეხსენებაცაა, რომ საქართველოს ანექსის ხანიდან **ქართველ პატრიოტთა ოცნების და ბრძოლის საგანს** რუსული შოვინისტური იმპერიის უღლისგან განთავისუფლება წარმოადგენდა. შესაბამისად, ყოველივე ეს აშეარად მიუთითებს იმაზე, რომ ამ აქტის უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა რუსეთის იმპერიის ბარბაროსული ჩაგვრისგან თავდახსნის – განთავისუფლების გაცხადება.

მაშასადამე, ამ „აქტის“ ძირითადი არსი იმაშია, რომ ის საყოველთაოდ აცხადებს ეროვნული თავისუფლების დაბრუნებისა და პოლიტიკური უფლებების რეამინირების ისტორიულ ფაქტს.

\* \* \*

იმპერიული მონობის უღლისგან განთავისუფლების გაცხადება თავისთავად არ ნიშნავს სრულფასოვან დამოუკიდებლობას. ის პირველ რიგში წარმოადგენს დამოუკიდებლად არსებობის ატრიბუტს, რომლის გარეშე თვით ეს თავისუფლება დაიღუპება. ამიტომ ეს ახლად მოპოვებული თავისუფლება თავისი მუდმივი და პერნამენტული განვითარებისთვის მოითხოვს პოლიტიკურად ორგანიზებულობას – დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არსებობას, პირველ რიგში, ამისი სურვილის გაცხადებას და მისი აღსრულების დაუყოვნებლივ დაწყებას; ვინაიდან დასაშვებია, იმპერიის მონობისგან განთავისუფლებულმა ხალხმა არ მოინდომოს მოპოვებული თავისუფლების პოლიტიკურად სრულად რეალიზება და თავისი თავისუფლების წილი ძალით თუ ნებით გაიყოს სხვა ხალხთან, რისი მრავალი მაგალითი გვაქვს XIX საუკუნეში, ერი–სახელმწიფოთა ფორმირების პროცესში, თუ XX საუკუნეში, I და II მსოფლიო ომების შემდგომ სახელმწიფოებრივ–პოლიტიკური მოწყობისა აქტებში. ამიტომ საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადება უპირველესად არის მოპოვებული თავისუფლების პოლიტიკურად სრულად რეალიზების სურვილის გაცხადება. ის უარს აცხადებს ამ თავისუფლების სხვა ქვეყნებთან და ხალხებთან განაწილებაზე (ფედერალურ კავშირებზე).

თავისუფლების სახელმწიფოებრივად განხორციელების სოციალური და პოლიტიკური ფორმაა გაცხადებული მეორე მუხლში: „დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა

დემოკრატიული სახელმწიფოა“. ახლად ფორმირებული ქართული სახელმწიფოს ეს სრულიად ახლებური, მისთვის უცხო ფორმა მმართველობისა განსაზღვრავს ამ აქტით გაცხადებულ შიდასახელმწიფოებრივ და საერთაშორისო ურთიერთობათა როგორც პოლიტიკურ, ასევე სამართლებრივ ნორმებსა და ვალდებულებებს.

ამ აქტის უდიდესი ლირსება იმაშია, რომ ის იმპერიული უღლისგან განთავისუფლების შედეგად მოპოვებული ფუნდამენტური უფლებების პარალელურად იღებს იმ ვალდებულებებს, რომელიც ერთობლიობაში ქმნიან დემოკრატიული სახელმწიფო წყობილების სრულყოფილ სახეს.

აქტის მე-4, მე-5 და მე-6 მუხლებში გაცხადებულია, რომ საქართველოს სურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური ურთიერთობა დაამყაროს; თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველყოფს მოქალაქეთა სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს, განურჩევლად ეროვნებისა და სქესისა; შესაბამისად, განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს. სწორედ ამ ნორმების სრული დაცვით შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციაც, რომელიც ვერ ამოქმედდა ახალი ბოლშევიკური ოკუპაციისა და ანექსიის შედეგად.

კიდევ ერთი საყურადღებო მუხლი ამ აქტიდან, რომლის ირგვლივაც დავა-კამათი დღემდე გრძელდება და კანონიერი ხელისუფლების დამხობის შემდეგ ნეოკომუნისტთა და კრიმინალთა „პუტჩისტური ალიანსის“ მთავრობის სპეცულაციის საგნად იყო ქცეული. მე-3 მუხლში ნათებამია: „საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა“. ამჯერად ჩვენ არ შევუდგებით ამ მუხლში ჩადებული შინაარსის გახსნას, მხოლოდ იმ ცნებისკენ მივაპყრობთ მკითხველის ყურადღებას, რასაც დღეს ნაკლებად ექცევა ყურადღება, არადა, ამ მუხლის მთავარი საზრისმნარმოებელი სწორედ ეს ცნებაა: „საერთაშორისო ომიანობა“. მას დღევანდელი გაებით აღიქვამენ და სახელმწიფოთა შორის მიმდინარე ყოველგვარი ომის გაგებით ესმით, სინამდვილეში სულ სხვანაორადა საქმე. „მსოფლიო ომი“, როგორც ცნება, გვიან დამკვიდრდა, თვით მის მიმდინარეობის პროცესში და შემდეგაც მას ეძახდნენ „საერთაშორისო ომს“. აქედანაა გადმოტანილი და

## მურამ ზაქარაია

ნაწარმოები „აქტში“ ცნება „საერთაშორისო ომიანობა“. მასში (ცნებაში) პირველ რიგში იგულისხმება პირველი მსოფლიო ომი, მისადმი და-მოკიდებულება და არა ზოგადად პოლიტიკური ნეიტრალიტეტის კლასიკური ცნება.

ამდენად, დამოუკიდებლობის აქტში გაცხადებული ნეიტრალიტეტი კონკრეტულ ისტორიულ მოვლენას – პირველ მსოფლიო ომს მიემართება. მართალია, გვიან პოლიტიკური ნეიტრალიტეტის ასახვის მცდელობა 1921 წლის კონსტიტუციაში გვაქვს, მაგრამ მას საერთაშორისო დოკუმენტის ხარისხი არასდროს ჰქონია (ისედაც, „ნეიტრალიტეტი“ სპეციფიკური დატვირთვის მატარებელია).

მოკლედ, ეს ისტორიული აქტი იყო XIX ს. და XX ს. დამდეგის საქართველოს ეროვნული და სოციალური მოძრაობის კვალობზე, „საერთაშორისო ომიანობის“ პროცესში დამდგარი შედეგის გამომხატველი ისტორიული დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც ფორმულირებული ახალი ქართული სახელმწიფო და მისი მმართველობითი ფორმა – დემოკრატიული რესპუბლიკა საყოველთაო მონონებას იმსახურებდა. სწორედ დამოუკიდებლობის აქტით გაცხადებული იმ ხანისთვის წარმოუდგენლად შორს წასული დემოკრატიული ნორმების დეკლარირების გამო იყო, რომ ევროპულმა ლიბერალურ-დემოკრატიულმა საზოგადოებამ საქართველოს ახლად ფორმირებად დემოკრატიულ რესპუბლიკას უმაღლესი შეფასება მისცა და ომის შემდგომი ევროპული ქვეყნების სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მოწყობის ნიმუშადაც კი შერაცხეს.

დემოკრატიულობის ასეთმა მაღალმა შეფასებამ წამოსწინა წინა პლანზე დამოუკიდებელი რესპუბლიკის ხარისხი და სრულად დაიჩრდილა ამ დოკუმენტის უმთავრესი ისტორიული მისია – რუსეთის იმპერიის მონობის უღლიდან განთავისუფლებისა. არადა, სწორედ თავისუფლების იდეა იყო, რომ ასულდგმულებდა დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის იდეას და როცა „დადგა იმპერიის მწუხრი ... კვლავ აღზევდა თავისუფლების სული“. მაშასადამე, საქართველოს პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის არსი მხოლოდ წანილობრივ ასახავს იმ მოვლენათა საზრისმომცველობას, რაც ამ „აქტის“ საფუძველზე განხორციელდა და რამაც მას შესძინა თანამედროვე დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის უმთავრესი დოკუმენტის – „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლო-

ბის აღდგენის აქტის“ საფუძვლის მნიშვნელობა, ფუძემდებლური საზრისი.

ამდენად, 1918 წლის 26 მაისის „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის“ შეფასებისას გამოკვეთილი ეს სამი უმთავრესი კრიტერიუმი: რუსული იმპერიული მონობის უდლისგან განთავისუფლება; საქართველოს მოსახლეობის (ერის) ნების გაცხადება დამოუკიდებელი სახელმწიფოს აშენებაზე; რუსეთის თვითმკურობელობის მიერ გაუქმებული ათასწლეულებგამოვლილი სამეფო-დინასტიური მმართველობითი სისტემის ადგილზე (ნაცვლად) ჩვენ ისტორიისთვის სრულიად ახლებური მმართველობითი ფორმის – დემოკრატიული რესპუბლიკის დაწესება – წარმოადგენდნენ იმ გარდაუვალი ლირებულებების მატარებელ ნორმებს, რომლებმაც ახალი სიცოცხლე შეიძინეს 1991 წლის 9 აპრილის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღებით.

ამიტომ აუცილებელია 1918 წლის 26 მაისისადმი მიღვნილი სახალხო დღესასწაული ატარებდეს ამ სამივე ლირებულებითი კრიტერიუმების მომცველ სახელდებას. ეს უაღრესად სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხია. მისადმი ასეთი სამართლებრივი მიდგომა აღადგენს არა მარტო რეალურ სახეს ამ ისტორიული დოკუმენტისა და მის საფუძველზე განხორციელებული მოვლენებისა, არამედ წერტილს დაუსვამდა თანამედროვე ქართული სახელმწიფოს ფორმირების უმთავრესი დოკუმენტის – დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის ისტორიულ საფუძვლად მიღებული ამ დოკუმენტისადმი (საერთოდ, მოვლენისადმი) ნიჭილისტურ დამოკიდებულებას (თუნდაც იმას, რომ ეს დამოუკიდებლობა ძალად მოგვეცა, რომ ის უდღეული იყო და ა.შ. ყოველივე ეს ბოლშევიკურ-საბჭოური წარატივია, რომლისგანაც დღემდე ვერ განთავისუფლებულან მავანნი). ასეთი მიღებომა ამ საკითხისადმი, გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად, დღევანდელი მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, დანაშაულის ტოლფასია, ვინაიდან ის იმათ წისქვილზე ასხამს წყალს, ვისაც ჩვენი განთავისუფლება რუსეთის მონობის უღლისაგან და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გაცხადება ჩირადაც არ უღირდათ და არ უღირთ. ისინი მხოლოდ საკუთარ ინტერესთა თვალთახედვის პრიზმიდან შეავლებდნენ და შეავლებენ ხოლმე მას თვალს, არაფერი რომ არ ვთქვათ ჩვენს

დაუძინებელ მტერზე – რუსულ შოვინისტურ იმპერიაზე; ის კი არადა, უნდათ თუ არ უნდათ, ასეთი ცალტვინა მიდგომა რუსეთის მონობის-გან განთავისუფლების აქტისა და განხორციელებული ფაქტისადმი, რუსული თავაშვებული თარეშის დამნახველ ჩვენს შუასაუკუნებრივ ისტორიულ მტრებშიც ალვიძებს ინსტინქტს თავიანთი ძველი „უფლებების“, განახლებისა თუ არა, გახსენებისა მაინც. აი, სანამდე მიყვავართ თითქოსდა ძალზე ბუნებრივი საკითხებისადმი, როგორიცა სახალხო დღესასწაულების დადგენა, არასახელმწიფოებრივ, არასამართლებრივ და, რაც მთავარია, არაგონიურულ მიდგომას.

\* \* \*

სანამ შევეხებოდეთ 1991 წლის 9 აპრილის აქტს და ამ ორი აქტის ურთიერთმიმართების საკითხს, აუცილებელია მხედველობიდან არ გამოვრჩეს იმ უდიდესი ძალისხმევის აღნიშვნა, რაც პირველი რესპუბლიკის ხელისუფლებამ, მიუხედავად მთელი რიგი შეცდომებისა (პირველ რიგში, როგორც ზემოთაც შევეხეთ, მმართველი პარტიის მარქსისტული იდეოლოგიიდან რომ მომდინარეობდა), გასწია ემიგრაციაში წასვლით და ხელისუფლების სტატუსის დე იურე შენარჩუნებით.

„პირველი რესპუბლიკის“ ხელისუფლებამ თავისი არსებობის არასრულ სამ წელინადში, მაშინდელი უმძიმესი მსოფლიო ომისა და კრიზისის ფონზე, შეძლო ზოგიერთი ძალიან წარმატებული რეფორმების გატარება. ზეიდად გამსახურდია, როგორც ზემოთაც ვთქვით, თავის მიმართვაში 26 მაისის გამო აღნიშნავს: „ას ჩვიდმეტი წლის მონობის შედეგ კვლავ ალორძინდა ეროვნული სახელმწიფოებრიობა; ჩატარდა არჩევნები, შეიქმნა პარლამენტი“, ე.ი. გატარდა ფუძემდებლური სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ღონისძიებები. ამან კი შესაძლებელი გახადა მთელი რიგი სოციალური და სამეურნეო რეფორმების გატარების დაწყება. გატარდა მინის რეფორმა, რის შედეგადაც გლეხებს გაუჩნდათ მინაზე კერძო საკუთრების მოპოვების უფლება, დაინყო განათლების რეფორმა, რამაც სულზე მიუსწრო ქართულ ენას და კულტურას და გადაარჩინა ის სრულ დენაციონალიზაციას (ამის შემდეგ თვით კომუნისტ-ინტერნაციონალისტებმაც კი ვერ გაბედეს, რუსული-შოვინისტური საგანმანათლებლო-კულტურული-ტოტალური პოლიტიკის გაგრძელება თუ ალორძინება

და იძულებულნი იყვნენ, ტაქტიკა შეეცვალათ). იმ ხანისთვის საკმარისად დემოკრატიული სახე მიიღო რეფორმირების გზაზე შემდგარმა სა-სამართლო სისტემამ. იქმნება შეიარაღებული ძალები და ა.შ. მოკლედ, მიუხედავად საერთა-შორისო ორგანიზაციების მხრიდან იგნორირებისა და იზოლაციისა, რუსეთის ულლისგან განთავისუფლებული ქვეყანა ფორმირდება დამოუკიდებელ სახელმწიფოდ – დემოკრატიულ რესპუბლიკად. ის განავრძობს ფუნქციონირებას და ახდენს განთავისუფლების აქტით მის მიერვე დეკლარირებული უფლებებისა და ვალდებულებების ცხოვრებაში რეალიზებას.

**ამ წმინდად დემოკრატიულ ლირებულებებზე აგებული სახელმწიფოებრიობის აღდგენის დეკლარირება ხდება 1991 წლის 9 აპრილის აქტით.**

მაშინ კი, იმ მსოფლიო კრიზისის ეპოქაში, როცა ცივილიზებული სამყარო და განსაუთრებით დასავლეთი დემოკრატიის აღორძინებისა და განვითარების ნაცვლად ორსულდებოდა ფაშიზმზე და ეთამაშებოდა ახლად შობილ რუსულ-შოვინისტურ სოციალიზმსა და მსოფლიო რევოლუციის ავანგარდს „კომუნისტურ ინტერნაციონალიზმს“, ჩვენში „საბოლოოდ ვერ გაიმარჯვა ეროვნულმა და ქრისტიანულმა იდეამ“, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დაემხო ბოლშევიკური ოკუპაციის შედეგად. დაიწყო ახალი რუსული ანექსია. ზვიად გამსაურდიას მოსწრებული თქმით, „26 მაისი 25 თებერვლით შეიცვალა“. დადგა უამი „26 მაისის იდეების მოსპობისა, თავისუფლების სულისკვეთების ჩაკვლისა“. მაგრამ ვერც ამ მხეცური უინის ინსტინქტის განხორციელება შეძლო ბოლომდე შვიდთავიანმა და ათრექიანმა მხეცმა – კომუნისტურმა იმპერიამ და როცა დადგა უამი, კვლავ აფრიალდა 26 მაისის – თავისუფლებისათვის (განთავისუფლებისათვის) ბრძოლის დროშები.

ამ უამის მოახლოებისთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო ის გარემოება, რომ კომუნისტური ოკუპაციისა და ანექსიის შედეგად ემიგრაციაში აღმოჩენილ ხელისუფლებას დემოკრატიული წესებით მისთვის ბოძებულ ძალაუფლებაზე უარი არ უთქვამს, ბრძოლა არ შეუწყვეტია მისი დაბრუნებისთვის; სხვა პოლიტიკური ძალის-თვის ამ ძალაუფლების გადაცემის დამადასტურებელი არავითარი სამართლებრივი საბუთი არ დაუტოვებია. შესაბამისად, საქართველოში რუსული ბოლშევიკური წითელი გვარდიის შემოჭრა დაფიქსირდა, როგორც ოკუპაცია შემ-

დღომი ანექსიის მიზნით. ყოველივე ამან დიდად გააადვილა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადება იურიდიული და საერთაშორისო სამართლის ნორმების თვალსაზრისით. თვითონ 1918 წლის 26 მაისის აქტს მიეცა ფუძემდებლური – ისტორიული დოკუმენტის მნიშვნელობა.

ჩვენი ისტორიისთვის ამ მნიშვნელოვან ფაქტზე მსჯელობისას აუცილებლად უნდა გვახსოვდეს ის გარემოება, რომ მოცემულ შემთხვევაში საქმე ეხება არა სუბიექტურ მომენტს – მიგრანტული ხელისუფლების ნებელობის საკითხს, არამედ ის განპირობებული და ზურგგამაგრებული იყო როგორც რუსული კოლონიალური უღლისგან განთავისუფლებისთვის საუკუნოვანი ბრძოლის ისტორიული გამოცდილებით, ასევე იმ პოლიტიკური და დიპლომატიური ღონისძიებებით, რომელიც განხორციელდა პირველი რესპუბლიკის არსებობის პერიოდში.

ამ თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობის ფაქტი იყო რუსეთთან სამშვიდობო ხელშეკრულების გაფორმება იმ სიტუაციაში, როგორც ზემოთაც ითქვა, როცა ევროპის ქვეყნები საბჭოთა რუსეთს ეთამაშებოდნენ და რუსეთის მონობისგან თავდახსნილი ქვეყნების ბედი ფეხზე ეკიდათ. ამის დასტურად ისიც კმარა, რომ 1920 წლის შემოდგომაზე დამოუკიდებელ საქართველოს სტუმრად ეწვივნენ II სოციალისტური ინტერნაციონალის ლიდერები რამზეი მაკდოლანდი, კარლ კაუტცკი, ესთელ სნოუდენი და სხვები და განაცხადეს: საქართველოს დემოკრატიამ შეძლო მოპოვებული თავისუფლების შენარჩუნება და თავისუფლებისთვის ამ ბრძოლაში მას შეუძლია იქონიოს მსოფლიო პროლეტარიატის თანხმობისა და თანადგომის იმედი. დასავლეთისათვის ამას ერთი ნერვიც არ შეუტოკებია და არც კი უცდიათ, ოდნავ მაინც ხელი შეეშალათ ბოლშევიკური რუსეთის აგრესიისთვის ამიერკავკასიაში; ეს, მიუხედავად იმისა, რომ ბოლშევიკური რუსეთის ინტერესებსა და, შესაბამისად, უახლოეს მიზნებზე ამიერკავკასიაში, ეროვნებათა საქმეთა მთავარი წარმმართველი საბჭოთა რუსეთში – სტალინი ყოველგვარი დიპლომატის გარეშე, საჯაროდ აცხადებდა: „რევოლუციისთვის კავკასიას დიდი მნიშვნელობა განისაზღვრება არა მარტო იმით, რომ იგი ნედლეულის, სათბობისა და სურსათის წყაროა, არამედ მისი მდებარეობითაც ევროპისა

და აზიის შუა, კერძოდ, რუსეთსა და თურქეთს შუა, აგრეთვე უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური და სტრატეგიული გზების არსებობით... ბოლოს და ბოლოს, ვინ მოიკიდებს ფეხს კაცვასიაში, ვინ ისარგებლებს ნავთობითა და აზიის სიღრმეში უაღრესად მნიშვნელოვანი გზებით, რევოლუცია თუ ანტანტა, ეს არის მთელი საკითხი“.

ასეთ მძიმე ვითარებაში ჩავარდნილი საქართველოსთვის, სამოქალაქო ომში გამარჯვებულ ბოლშევიკურ რუსეთთან რაღაც დონეზე ურთიერთობის დალაგება შვების მომცემი უნდა ყოფილიყო თუნდაც დაყრუებული დასავლეთის მხრიდან ყურადღების მისაქცევად.

1920 წლის 7 მაისს დაიდო რუსეთ–საქართველოს ხელშეკრულება, რომელიც არეგულირებდა მათ შორის ურთიერთობას. **რუსეთმა საქართველოს სახელმწიფო აღიარა ისტორიულად არსებულ საზღვრებში, აფხაზეთით, შიდა და ქვემო ქართლით, აჭარით, საინგილოთი.**

დღეს ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, რომ არც რუსეთსა და არც საქართველოს ცნობდნენ საერთაშორისო სამართლის სუბიექტად დასავლური ქვეყნები, მაგრამ მთავარი მაინც იყო არა დე იურე ვითარება, არამედ თუ რა ხდებოდა დე ფაქტო.

**რუსეთ–საქართველოს შორის სამშვიდობო ხელშეკრულების გაფორმება ნიშნავდა მეტროპოლიტების მიერ თავისი კოლონიის სუვერენიტეტის აღიარებას საერთაშორისო მასშტაბით, რასაც ვერასდროს დაჩრდილავს რუსული დიპლომატიის ვერაგული წესი, არად ჩაგდოს მის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით ნაკისრი ვალდებულებანი, იქნება ის საერთაშორისო ნორმებით აღიარებული თუ ორმხრივი სახელმწიფოებრივი ურთიერთობით განსაზღვრული, რუსული წესი, რომელიც მხოლოდ ბოროტ და ტლანქ სამხედრო ძალმომრეობაზე აკეთებს გათვლას.**

100 წლის წინანდელ ისტორიას თავი რომ დავანებოთ, ამას დღევანდელობა უფრო ნათლად გვიდასტურებს.

ამიტომ ამ ხელშეკრულების კრიტიკოსებმა უნდა გაითვალისწინონ რუსული გენეტიკის, რუსული ხასიათის ეს თვისება. შესაბამისად, უდავოა, მაშინ რომც არ დაედოთ ეს ხელშეკრულება, ისინი საქართველოს ოკუპაციას დასავლეთის წაყრუების ფონზე მაინც მოახდენდნენ, როცა ამის უამი დადგებოდა. ჩვენ კი ამ დადებით შედეგს ვერ მივიღებდით, რაც ამ

ხელშეკრულებით მივიღეთ, პირველ რიგში, ის, რომ სამუდამოდ დადასტურდა რუსეთის კოლონიალური ულლისგან საქართველოს განთავისუფლება. ამას მოჰყვა ასევე მნიშვნელოვანი საერთაშორი ფაქტი – საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს, აღიარება მრავალი ქვეყნის მიერ.

**ამდენად, რუსეთმა 1920 წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულებით აღიარა საქართველოს სრული განთავისუფლება რუსეთის იმპერიის შემადგენლობიდან, რომ საქართველო წარმოადგენდა დამოუკიდებელ პოლიტიკურ სუბიექტს, რომელთანაც ის დებდა თანასწორუფლებიან ხელშეკრულებას. ამას კი მოჰყვა საერთაშორისო მასშტაბით მისი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ცნობა. ეს იყო უმნიშვნელოვანესი რეალ-პოლიტიკური ფაქტი, რომელსაც თავისი მნიშვნელობა მოვლენათა შემდგომი ტრაგიკული განვითარების ფონზეც არ დაუკარგავს. სწორედ მან მისცა საშუალება პირველი რესპუბლიკის მთავრობას, არანაირი პოლიტიკურ-სამართლებრივი ბერკეტი არ მიეცა ბოლშევიკური ოკუპაციის შედეგად დამყარებული რეჟიმისთვის და განეგრძო ბრძოლა დევნილობაში.**

ოკუპანტები ცდილობდნენ მენშევიკურ მთავრობასთან მოლაპარაკების გამართვას. მათ სურდათ, ისინი დარჩენილიყვნენ ქვეყნაში და „მშვიდობიანად“ მოეგვარებინათ ხელისუფლების საკითხი, ამას კი რაც მოჰყვებოდა, ნათელი იყო: 25 ოქტომბრის პეტროგრადის გადატრიალების მაგალითზე, ე.ი. შეიარაღებულ ძალების ზენოლით ძალაუფლების საბჭოებისთვის გადაცემა და დემოკრატიული მმართველობითი სისტემის სრული ლიკვიდაცია, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება და რეპრესიები. აქედან გამომდინარე, იმავე გზით მოხდებოდა საქართველოს რესპუბლიკის რუსეთის საბჭოთა იმპერიასთან „ნებაყოფლობით“ სამართლებრივი ნორმების დაცვითი მიერთება.

ამდენად, ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, თამამად შეიძლება ითქვას, მიუხედავად მთელი რიგი შეცდომებისა, ძალზე მნიშვნელოვანი, გადამწყვეტიც კი, იყო ის გარემოება, რომ პირველი რესპუბლიკის მთავრობას ხელი არ მოუწერია არანაირ იურიდიულ დოკუმენტზე, რომლითაც ის დააფიქსირებდა სახელმწიფო ძალაუფლების რაღაც ფორმით სხვა პოლიტიკურ ძალაზე გადაცემას. ასეთ შემთხვევაში ის

ლეგიტიმაციას მისცემდა რუსულ-ბოლშევიკურ ოკუპაციას და მის შედეგად დამდგარ შედეგს: საქართველოს ფაქტოპრივ ანექსიას.

მას არ უღიარებია არც საბჭოთა საქართველო და არც სსრ კავშირი. შესაბამისად, საქართველოც მიიჩნეოდა რუსეთის მიერ ოკუპირებულ და ანექსირებულ ქვეყნად, „რასაც უამრავი დოკუმენტი და ევროპული ქვეყნების მიერ მიღებული რეზოლუცია ადასტურებს“ (დ.ხვადაგავანი).

\* \* \*

მიუხედავად იმისა, რომ ქართული ემიგრაციული მთავრობის მდგომარეობა დროთა განმავლობაში სულ უფრო მძიმდებოდა, მას საქართველოს ოკუპანტურ-ბოლშევიკური რეჟიმის არალიარების სტრატეგიული გეზის-თვის არასდროს უღალატია. ამდენად, ბრძოლა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის უწყვეტად გრძელდებოდა იმ დღიდანვე, როცა რუსეთის იმპერიამ მოახდინა საქართველოს ხელახლი ანექსია. მაშასადამე, ქართული დამოუკიდებელი სახელმწიფო აგრძელებდა დე იურე ასრებობას, მიუხედავად იმისა, რომ 1922 წლის 30 დეკემბერს გაფორმდა ახალი სახელმწიფო – სსრკ, რომლის შემადგენლობაში ჯერ ა/კ ფედერაციის სახით შემდეგ კი დამოუკიდებლად შედიოდა საბჭოთა საქართველო. როგორც 1991 წლის 9 აპრილის საგანგებო სხდომაზე ზ.გამ-სახურდია აღნიშნავდა, ეს იყო „საქართველოს საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ძალდატანებითი შეყვანა“. ხოლო შემდგომმა პროცესებმა დაადასტურეს, რომ „საქართველოში საბჭოთა კონსტიტუციით თითქოსდა გარანტირებული სახელმწიფოებრიობა, ადამიანის უფლებები რეალურად არ არსებობდა“, რასაც ქართველი ხალხი შინაგანად არასდროს შეჰვებდია და იბრძოდა დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის. ამ ბრძოლას პრაქტიკულად და სიმბოლურადაც განახორციელებდა ემიგრაციული მთავრობა მაშინაც კი, როცა ემიგრაციულ მთავრობის მდგომარეობა ძალზე გართულდა და საფრანგეთის ხელისუფლებამ, გერმანული აგრესით შეშინებულმა, გეზი აიღო საბჭოთა კავშირთან დაახლოებისკენ, მან უყოყმანოდ განირა ემიგრანტული მთავრობის ინტერესები და „გააუქმა საქართველოს მთავრობის ოფიციალური დელეგაცია“. ამას მოჰყვა საფრანგეთში თავმოყრილი მეტ-ნაკლებად ორგანიზებული

ემიგრაციული ძალების მსოფლიოს სხვადახვა ქვეყანაში მიმოფარგლება. ერთმა ნაწილმა იქვე, საფრანგეთში, პარიზის მახლობლად სოფ. ლე-ვილში შეიძინა მამული. ის იქცა ემიგრაციის პოლიტიკურ ცენტრად. ახლა უკვე აქედან მიმდინარეობდა არაღიარების სტრატეგიის წარმართვა.

მაშასადამე, ქართული დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა დე იურე თითქმის უწყვეტად აგრძელებდა არსებობას. ამასთან, საქართველოს, როგორც ზემოთ, ზ.გამასახურდიას სიტყვაში აღინიშნა, კონსტიტუციით გარანტირებული ჰქონდა სახელმწიფოებრიობა, მაგრამ ის რეალურად არ არსებობდა. თუმცა სახელმწიფოებრიობა და ავტონომიურობა დე იურე აღიარებული იყო საერთაშორისო დონეზე. ასეთ დე იურე არსებობას სახელმწიფოებრიობისა თავისი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა და მან კიდევაც გამოიღო ნაყოფი, როცა დადგა „იმპერიის მწუხრი“.

\* \* \*

ეროვნული მოძრაობის ძალისხმევით, 1990 წლის 9 მარტს საბჭოთა საქართველოს უმაღლესმა საბჭომ მიიღო დადგენილება საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვის გარანტიის შესახებ. ის აცხადებდა: „გმობს საქართველოს ოკუპაციას და ფაქტობრივ ანექსიას საბჭოთა რუსეთის მიერ, როგორც საერთაშორისო დანაშაულს და ესწრაფვის საქართველოსთვის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების დარღვევის შედეგების გაუქმებას და საბჭოთა რუსეთის მიერ ამ ხელშეკრულებით აღიარებული უფლებების აღდგენას“ (კრებული, ტ.I). მანვე უკანონოდ და ბათილად ცნო ყველა სამოკავშირეო ხელშეკრულება როგორც საქსს-სა და რსფსრ-ს შორის, ასევე ა/კ ფედერაციისა (იქვე, გვ.324). ეს იმის დადასტურებაა, რომ კონსტიტუციურად არსებულმა არაფაქტიურმა სახელმწიფოებრიობამ იწყო ძალის მოკრება და ფაქტობრივი სახელმწიფოებრიობის აღდგენის განხორციელებისკენ სწრაფვა. რეფერენდუმის შემდეგ კი, სწორედ ამ 70-წლიანი ბრძოლის შედეგად შენარჩუნებული დე იურე სახელმწიფოებრიობის დამადასტურებელი „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის“ საფუძველზე მოხდა დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენა. ამიტომ ცდებიან ისინი, ვინც თანამედროვე საქართველოს სახელმწიფოებრიობის არსებობის 100 წლისთვის ეჭვევე აყენებენ.

ამდენად, მიუხედავად საბჭოთა დიქტატურის ტოტალური ბატონობისა, დასავლური დემოკრატიის გულცივობისა და სიმხდალისა, რის შედეგადაც მრავალგზის დაემუქრა პოლიტიკური და ფიზიკური განადგურება, ემიგრანტულმა მთავრობამ მაინც შეძლო ოკუპაციის შედეგად მოსული საბჭოთა ხელისუფლების არალიარების პოლიტიკის ბოლომდე გატანა და როცა დაპკრა უამმა, სწორედ 1918 წლის 26 მაისის „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“ გახდა ისტორიულ-სამართლებრივი საფუძველი დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისა.

შესაბამისად, 1991 წ. 31 მარტის საერთო-სახალხო რეფერენდუმის საფუძველზე 9 პრილის აქტით გამოცხადებული დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენა აგვირგვინებს ამ 70-წლიან ბრძოლას და 1918 წლის 26 მაისის აქტს ანიჭებს ისტორიულ-ფუძემდებლური დოკუმენტის მნიშვნელობას; აღავსებს მას ეროვნული ენერგიითა და თანამედროვე შინაარსით; ის იძენს პოლიტიკურ ძალმოსილებას საერთაშორისო არენაზე, იქ, სადაც მას, როგორც ზემოთ ითქვა, ყრუდ ჰქონდა კარი მიკეტილი.

ამიტომ საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთვის აღნიშვნა არა მარტო შიდაეროვნული, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხია, არამედ ის საერთაშორისო მნიშვნელობის აქტია, რომელსაც არა მარტო ჩვენ, რომლებმაც ბოლომდე შევძელით არ გველიარებინა საბჭოთა ოკუპაციის შედეგად დამდგარი რეალობა, აღვნიშნავთ, არამედ ყველა ისინი, ვინც სსრკ-ს დაშლის შედეგად თავი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარა.

მოცემული თვალსაზრისით, ჩვენ ყველაზე მეტი სიახლოვე გვაკავშირებს ბალტიისპირეთან, განსაკუთრებით ლიეტუვასთან, რომელმაც სწორედ 100 წლის წინ, 1918 წლის 16 თებერვალს გამოაცხადა დამოუკიდებლობა, სამიოდე თვის შემდეგ იგივე გამეორდა საქართველოში და ერთი კვირის თავზე საქართველოში ლიეტუვის ოფიციალური წარმომადგენლობა გაიხსნა. ეს ურთიერთობა ლიეტუვასთან და საერთოდ ბალტიისპირეთთან, მიუხედავად ორივესთვის დამტყდარი დიდი უბედურებისა, არ მოშლილა. კავშირი სრული ძალით ისევ აღორძინდა თანამედროვე ეპოქაში. ამ მაგალითზე იმისთვის გავამახვილეთ ყურადღება, რომ ნათელი გახდეს, – საქართველოს დამოუკიდებლობის 100

ნლისთავის საკითხისადმი ზერელე მიდგომა დაუშვებელია, რომ მის უკან დგას რუსეთის უღლისგან განთავისუფლებული საქართველოს ხალხის, სახელმწიფოს საერთაშორისო იმიჯი, არაფერი რომ არ ვთქვათ თვით იურიდიულ-სამართლებრივ საფუძველზე. ე.ი. ეს საკითხი საერთაშორისო დონეზეა გადაწყვეტილი.

\* \* \*

ჩვენ ზემოთ შევეხეთ იმას, თუ როგორ მოხდა XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს საბჭოურ ხელისუფლებაზე აღორძინებული ეროვნული მოძრაობის მხრიდან ზენოლა და აიძულეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო თავისი დადგენილებით ოფიციალურად ელიარებინა, რომ 1921 წელს დაირღვა 1918 წლის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება და მოხდა თვითმპყრობელობის უღლისგან განთავისუფლებული დამოუკიდებელი სახელმწიფოს ოკუპაცია. ეს იყო ზემოთ მიმოხილული ისტორიული პროცესების ლოგიური გაგრძელება.

საქართველოს უზენაესი საბჭოს 1990 წლის 14 ნოემბრის სხდომაზე ზვიად გამსახურდია აცხადებდა, 1921 წელს საბჭოთა რუსეთისგან საქართველოს ოკუპაციისა და ანექსიის შემდგომ, მსოფლიოში უმკაცრესი დიქტატურის პირობებშიც კი გრძელდებოდა ბრძოლა დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენისთვისო. ის იქვე აღნიშნავდა ამ ბრძოლაში პირველი რესპუბლიკის მთავრობის მიერ „არალიარების სტრატეგიის“ განხორციელების მნიშვნელობაზე: დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას, მიუხედავად საქართველოს ანექსიისა 1921 წელს, კაპიტულაციაზე ხელი არ მოუწერია. ამის გამო დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო და მისი კონსტიტუციის იურიდიული თვალსაზრისით დღესაც განაგრძობს არსებობას, მიუხედავად იმისა, რომ ამ კონსტიტუციის მოქმედება დროებით შეჩერდა ანექსიის შედეგად.

ამიტომ საქართველოს ტერიტორია იურიდიულად კვლავ ერთიანი და განუყოფელია, მასზე არ მოქმედებს არც ერთი უცხო სახელმწიფოს კონსტიტუცია, მათ შორის არც სსრკ-ს კონსტიტუციები 1936 და 1978 წლებისა. მართალია, სსრკ იმპერიამ საქართველოს ძალადობით თავს მოახვია თავისი კონსტიტუცია, მაგრამ მის მოქმედება მხოლოდ ფაქტობრივი იყო და არა იურიდიული. დღეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და არასაბჭოური არჩევ-

ნების შედეგად ამ ფაქტობრივ მოქმედებასაც თანდათანობით ეცლება საფუძველი (კრებული ტ. I, გვ. 24/25), რაც სულ მალე განხორციელდა კიდეც.

ამიტომ გავმეორდებით და ვიტყვით: ეჭვის შეტანა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობის 100 წლისთავის აღნიშვნის სამართლებრივ საკითხში ძალზე დიდი შეცდომაა, რომელიც, ვის ვის და, არ ეპატიებათ იმათ, ვინაც თავიანთი ხელმოწერით დაადასტურეს, რომ საქართველო თავისუფალი დამოუკიდებელი სახელმწიფოა 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე და აღადგენს ფაქტობრივად წაგლეჯილ დამოუკიდებლობას.

\* \* \*

მაშასადამე, ზემოთ მიმოხილული ისტორიული პროცესების ლოგიურ და სამართლებრივ დაგვირგვინებას წარმოადგენდა 1991 წლის 9 აპრილს თავისუფალი დემოკრატიულ, არასაბჭოური არჩევნებით ფორმირებული საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დეკლარირება. ეს იყო გარდაუვალი მნიშვნელობის მქონე პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტი, რომლის საფუძველზეც, მიუხედავად ყველაფრისა: მძერის თავებედური შემოტევისა, პროსაბჭოური ნომენკლატურულ-კრიმინალური პუტჩისა, მათ მიერვე ხელმოწერად გამოწვეული კონფლიქტებისა და ომისა, ღალატისა, მმართველი ელიტის დიდი ნაწილის კოლაბორაციონალური მისწრაფებებისა, ამ დოკუმენტისა და ამ ფაქტის საფუძველზე აღსდგა ქართული, დემოკრატიული წყობისკენ მიმსწრაფი სახელმწიფოებრიობა. მის საფუძველზე გახდა ქვეყანა მსოფლიო თანამე-გობრობის სრულუფლებიანი წევრი.

ამდენად, 9 აპრილის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი წარმოადგენს უმთავრეს სამართლებრივ დოკუმენტს, რომლის საფუძველზეც აიგო თანამედროვე ქართული სახელმწიფოებრიობა და მისი კონსტიტუციური წყობა. მიუხედავად ამისა, მისადმი დამოუკიდებულება 1991-1992 წლების მიჯნაზე მომხდარი სახელმწიფო გადატრიალების შედეგად მოსული უკანონო ხელისუფლების, მისი საყრდენის – „წითელი ინტელიგენციის“ და ნეოსოციალური კრიმინალური ალიანსის მხრიდან ცალსახად მტრული იყო.

დიახ, შევარდნაძისა და მისი ნეოკომუნისტური ჯგუფის ირგვლივ თავმოყრილი პუტჩის-

ტურ-კრიმინალური მასა ფორმირდება ნეოსო-ციალურ ფენად და ყოველი ღონით ცდილობს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის და განსაკუთრებით ახალი ქართული სახელმწიფოს შემოქმედი კანონიერი ხელისუფლების აღდგენისთვის მეპრძოლი სახალხო ძალების განადგურებას (სხვათა შორის, ამ ალიანსის თავისი არსებობა დღემდე არ შეუწყვეტია; მხოლოდ მისი ფორმით მეტამორფოზირება ხდება კორუმპირებული სახელმწიფო აპარატისა და კრიმინალურ საბანკო კაპიტალის შერწყმის გზით). ამ მიზნით ეს ანტიეროვნული ალიანსი ცდილობდა და ცდილობს 9 აპრილის აქტის როლისა და მნიშვნელობის დაკრინებას. ამ მიზნით ხელოვნურად ახდენენ 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის მნიშვნელობის ზედმეტად გაბუქებას და თანამედროვე ქართული სახელმწიფოებრიობის საფუძველთა-საფუძველის – დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენის აქტის როლის დამცრობას. ეს მაშინ, როცა **9 აპრილმა დაუბრუნა პოლიტიკურ-სამართლებრივი სიცოცხლე 26 მაისის ამ აქტს, მის გარეშე ის ოდენ ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტია.**

დღეს, ყოველგვარი მიეთმოეთის გარეშე ლაპარაკობენ იმაზე, რომ საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის აქტის სრული იგნორირება ხდება **სახელმწიფოებრივად**. საქმე იქამდე მისულა, რომ თუ შესაძლებლობა მიეცემათ, სიამოვნებით მოახდენენ ამ აქტის დენონსირებას.

უზენაესი საბჭოს დეპუტატი, პროფესორი თ. ყურაშვილი წერს, რომ (მმართველი წრე და მისი თანამგზავრი ელიტა.– მ.ზ.) „ამ აქტის არსებობით გამოწვეული შედეგებით... ძალიან სარგებლობდნენ და სარგებლობენ“. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყოფილი ხელისუფლება (ვარდების რევოლუციის შემდგომი. – მ.ზ.) ამ აქტის დენონსირებასაც არ მოერიდებოდა, რათა ხელისუფლებაში მათ მოსვლასთან ერთად დაწყებულიყო საქართველოს ისტორია.

საკითხის ასეთი კონტექსტში განხილვა ოდენ სუბიექტური – პიროვნული დამოუკიდებულების ასახვაა. ამ სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი საკითხისადმი სულ სხვანაირი მიდგომაა საჭირო.

სინამდვილეში საქმე გვაქვს, როგორც ზემოთ ვნახეთ, ღრმა სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენასთან. მას ფესვები გადგმული აქვს იმ კრიზისულ პროცესებში, რომლებმაც დაანგრია

საბჭოთა სისტემა და ჭეშმარიტი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თავგანწირული ბრძოლით შესაძლებელი გახადა დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა. ამიტომ ამ საკითხის სამართლიანი გადაწყვეტა ამ სუბიექტური მომენტების განსჯითა და მისი აღმოფხვრით შეუძლებელია. აქ ერთმანეთშია გადაჯაჭვული მრავალი პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და თუნდაც კულტურულ-ფსიქოლოგიური პრობლემა. პირველ რიგში აუცილებელია პრინციპული (ზოგადი) მიღების საკითხის დარეგულირება. **ეს გზა კი ოდენ ეროვნული თანხმობის იდეის საყოველთაოდ ალიარებაზე გადის.**

მაშასადამე, თუ სუბიექტურ მომენტებს დროებით გვერდით გავწევთ, ამ სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი საკითხისადმი ასეთი დამოუკიდებულების უმთავრესი მიზეზი მაინც, როგორც ნაწილობრივ ზემოთაც ითქვა, ყოფილი საბჭოურ-ნომენკლატურულ-კრიმინალური და „წითელი ინტელიგენციის“ ალიანსის ფორმანაცვალი სახით არსებობაა საკუთარი ფსევდოიდენტობით.

ჯერ კიდევ ედ.შევარდნაძის უკანონო ხელისუფლების დროიდან მომდინარე ამ ფსევდოლიბერალურ-დემოკრატიულ (სინამდვილეში ანტიდემოკრატიულ) ბაზაზე დგას და წვალობს ჩვენი დღევანდელი სახელმწიფოებრიობა. ამიტომაა, რომ პერმანენტულად გრძელდება სისტემური კრიზისი, უწყვეტად გვესმის გულის მოსახებელი ფსევდორევოლუციური ლოზუნგები.

სინამდვილეში შეძახილის ობიექტ-სუბიექტი და თვით შემძახებელი **ამ ფსევდოიდეას ეფუძნებიან**, ამიტომაც, სამწუხაროდ, ეს სისტემა თვით რევოლუციამაც ვერ დაანგრია ბოლომდე, ვინაიდან მან ვერ შეძლო და **არც უცდია** ამ ბაზისის ძირისძირამდე ამოძირევა; მან მხოლოდ მოანგრია დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის დამანგრეველი აისპერგის ხილული ნაწილის წვერი და შეეცადა მასზე ახალი პოლიტიკურ-სამართლებრივი სისტემის კონსტრუქციის დაშენებას. ეს კი წმინდა წყლის ილუზია იყო, ვინაიდან, ისედაც უსაფუძვლოდ მოდრეიფე უკანონობისა და ძალმომრეობის, სიცრუის აისპერგზე, მით უმეტეს, მის წატეხილ თავზე ვერავითარ სამართლებრივ სისტემას ვერ დააშენებ. სინამდვილეში მივიღეთ რაღაცა რუსულ-კრიმინალური და დასავლურ-

ფსევდოლიბერალური იდეოლოგიის ნაჯვარი, რომელმაც გზა გაუხსნა ყოველგვარი ჯურის დენაციონალიზებულ და დეკლასირებულ ანტიძალებს, რომელთათვისაც კატეგორიულად მიუღებელი იყო არა მარტო რეალური პროდასავლური რევოლუციური გარდაქმნები, არამედ თვით დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს პაზისური საფუძველი

– 1990 წლის 28 ოქტომბრის არასაბჭოური მრავალპარტიული, ნამდვილად თავისუფალი, დემოკრატიული არჩევნების (პრეცედენტი) სახით. ამ პრეცედენტის მიჩქმალვა პუტჩისტური ფსევდოდემოკრატიული სოციუმისთვის „სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი“ საკითხია შევარდნაძის ცრუარჩევნებიდან მოყოლებული დღემდე. შესაბამისად, მათი შეტევის ობიექტს წარმოადგენდა ასევე უმაღლეს დემოკრატიულ დონეზე ჩატარებული საერთო-სახალხო რეფერენდუმი და მის საფუძველზე დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის გამოცხადება, ძირითად შტრიხებში მისი სისტემურად, ყოველგვარი საერთაშორისო პოლიტიკურ-სამართლებრივი ნორმების დაცვით ფორმირება.

კანონიერი ხელისუფლებისა და მის მიერ განხორციელებული ღონისძიებების წინააღმდეგ ამ ანტიძალების კონსოლიდირებაზე ამ ბაზისური მომენტების გარდა ისეთი სუბიექტური მომენტებიც ახდენდა გავლენას, რომელთა არსებობა უფრო პარადოქსია, ვიდრე პოლიტიკური აუცილებლობით ნაკარნახევი ქმედება. თუმცა აშკარაა, ამ პირადული დამოკიდებულების უკან დიდი მატერიალური და ფინანსური დაინტერესებანი იკვეთებოდა.

მიუხედავად მაშინდელი პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით შექმნილი მართლაცდა პარადოქსული სიტუაციისა, როცა დასავლური დემოკრატია მკერდით გადაეფარა ასაფეთქებლად გამზადებული საბჭოთა ტოტალიტარიზმის ამბრაზურას და „სისხლის უკანასკნელ წვეთამდე“ მისი დაცვა განიზრახა, „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს“ ბლოკმა და მის ირგვლივ დარაზმულმა თავისუფლებისთვის მებრძოლმა საქართველოს მოსახლეობამ, ზვიად გამსახურდიას თითქმის უშეცდომო, გამჭრიახი ტაქტიკით ამ ჯერ გაუგონარ აღიანს დემოკრატიზმისა და ტოტალიტარიზმისა (სულ სხვა რანგის იყო მეორე მსოფლიო ომის პროცესში შექმნილი კოალიცია) ცხვირნინ ააცალეს დამოუკიდებლობა (ბალტისპირეთთან ერთად)

და აღადგინეს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა, რომელსაც მოჰყვა ჯაჭვური რეაქცია. ამიტომ იყო, თითის დაქნევით გვითხრეს: დინების საწინააღმდეგოდ მიცურავთო, რაზედაც მიიღეს იმ მომენტისთვის ერთადერთი სწორი და ღირსეული პასუხი: „დინებას მკვდარი თევზები მიჰყვებიანი“. ცხოვრებამ დაადასტურა, ვინ იყო მართალი და ვინ – მტყუანი.

„მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს“, „ამ უთანასწორო ბრძოლაში გამარჯვებასა, ეს ახალფორმირებადი ფსევდოდემოკრატიული სოციუმი თავიანთ დამარცხებად რომ მიჩნევდა. ის პუტჩის შემდეგ ყველა საშუალებით ცდილობდა 9 აპრილის აქტის მნიშვნელობის დამცირებას და დაკნინებას, მისი 26 მაისის ისტორიული დოკუმენტით ვირტუალურად ჩანაცვლებას, ემზადებოდა სრულფასოვანი რევანშისთვის.

\* \* \*

კრიმინალურ-ნომენკლატურული და „წითელი ინტელიგენციის“ ამ აღიანსმა შეაკონინა ფსევდოიდეოლოგიური პაზისი, აგებული რუსულ-საბჭოურ საწყისებზე და შეაჯერა „მამარდაშვილისტური“ – ვულგარული დემოკრატიზმითა და ლიბერალიზმით. ეს ფსევდოდემოკრატიული ალიანსი უკვე ოდენ თავისი არსებობით ამუხრუჭებდა და ამუხრუჭებს იმ პროცესებს, რომლებითაც უნდა წარმართულიყო და უნდა წარიმართოს 9 აპრილის დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენის აქტის საფუძველზე ფორმირებადი დემოკრატიული წყობა. ამ პუტჩისტურ-კონტრრევოლუციური სოციუმის სოციალურ-ეკონომიკური პაზისი აგებულია სოციალისტური წარსულიდან მომდინარე, სახელმწიფო დონეზე დანერგილი მექრთამული-კორუფციის წესის ახალ საბაზრო-ეკონომიკურ ვითარებასთან (თავის დროზე ველური კაპიტალიზმი რომ უწოდეს) მისადაგებით.

მისთვის დამახასიათებელია სახელმწიფო ხელისუფლების ბოროტად გამოყენება პირადი სარგებლის მიღების მიზნით. ეს ცნება კი გულისხმობების მექრთამეობას, ნეპოტიზმს (შემოსავლიან და სარგებლიან თანამდებობაზე ნათესავების ან „თავისი ხალხის“ დანიშვნას), პირადი სარგებლობის მიზნით საჯარო საშუალებების უკანონო მითვისებას და ა.შ. (კორუფცია, სახელმძღვანელო, გვ.7, თბ. 2009 წ.). ამ დეფინიციაში კორუფციის სუბიექტთა კატეგო-

რიას მიეკუთვნებიან არა მხოლოდ სახელმწიფო თანამდებობის პირები და ჩინოვნიკები, არამედ სხვადასხვა კერძო სექტორში მომუშავე პირებიც. ჩვენში ისინი საბჭოური გამოცდილებიდან გამომდინარე ქმნიან კორუფციულ-კრიმინალურ ფენებს და ჯგუფებს, რომლებმაც „ნითელ ინტელიგენციასთან“ კავშირში პოსტპუტჩისტური ეპოქა შექმნეს, როგორც ითქვა, ახალი ფსევდოსოციუმი თავისი ამ კრიმინალურ-კორუფციული ბაზისითა და ფსევდოდეოლოგით.

მაშასადამე, ბაზისური თვალსაზრისით, კანონიერი ხელისუფლების დამხობის შემდეგ დღემდე თითქმის არაფერი იცვლება, მაშინ როცა მთელ მსოფლიოში ანტიკორუფციული კანონმდებლობა ვითარდება არსებული სამართლებრივი არსენალის საფუძველზე და კორუფციის პრევენციის გზით, „საქართველოში ამ კუთხით... უძრაობაა“, როგორც ეს ზემოთ დასახელებულ სახელმძღვანელოშია მითითებული; კიდევ უფრო მეტიც: „კორუფციასთან ბრძოლის სამამულო კანონმდებლობა დღევანდელ დღემდე ფრაგმენტულ, მზაკვრულ ხასიათს ატარებს“. ძალზე საინტერესოა ის ფაქტი, რომ საერთაშორისო კონფერენციის მიერ შემუშავებულ ამ დოკუმენტში ეს ვითარება სრულებით მისადაგებულია რუსულ რეალობასთან და მის გაგრძელებად განიხილება. დოკუმენტში ნათქვამია: „იგივე შეიძლება ითქვას რუსულ სამართალზეც, სადაც ანტიკორუფციული ნორმები ასევე არასრულყოფილია...“ (დასახ. ნაშრ. გვ.53). მაშასადამე, იმედი გვრჩება, არავის მოერვენება გადამეტებულად ჩვენ მიერ ზემოთ თქმული ფსევდოდემოკრატიულ-პუტჩისტური ალიანსური ბაზისის არსებობის თაობაზე.

ამდენად, შევარდნაძისტულმა კორუფციულ-კრიმინალურმა სოციუმმა, გადაცმულმა ლიბერალიზმისა და დემოკრატიზმის ქართულ ძმნებში, ისე მაგრად გაიდგა ფესვები, რომ მას დიდი ვერაფერი დააკლო თვით სახალხო რევოლუციამაც კი. მან თავისი „დემოკრატიზმითა“ და უსაცავალებო ლიბერალიზმით სულ მალე შერყვნა მშვიდობიანი „ვარდების რევოლუცია“, შემდეგ კი ის ჩანაცვლა ასევე მშვიდობიანი, ალიანსურ-კოპაბიტაციური კონტრრევოლუციით.

მაშასადამე, სახელმწიფოს ბაზისურ საყრდენს ისევ ის პუტჩისტურ-კრიმინალური სოციუმი და მისი იდეოლოგია წარმოადგენს, რომელთაც დასანახავადაც კი არ უნდოდათ

ქართველი ხალხის ეროვნული იდენტობისთვის მრავალსაუკუნოვანი ბრძოლის გამოცდილებით ნასაზრდოები ეროვნული თავისუფლების იდეოლოგია, ზოგადად ქართული იდეა. მათვის განსაკუთრებით მიუღებელია დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს აღდგენის შემოქმედი ძალები, პირველ რიგში, საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამასახურდია.

პროფ. ყურაშვილი ზემოთ დამოწმებულ წერილში ხაზგასმით მიუთითებს, რომ 1992 წლის შემდგომ პერიოდში ისტორიული მნიშვნელობის პიროვნებებისა თუ ფაქტების მიჩქმალვა-მიჩურავა მთების პოლიტიკამ მიგვიყვანა იმ სავალალო მდგომარეობამდე, რომელშიც დღეს საქართველო იმყოფება. ძალზე სწორად ფორმულირებულ ამ დასკვნას თვითონვე აუფერულებს ავტორი, როცა ის იმედის თვალით შეჰქმნებს და შესთხოვს იმ ხელისუფლებას, რომელიც სავალალო მდგომარეობაში ამყოფებს საქართველოს, რომ „ვეცადოთ და ნუ გავიმეორებთ იმ შეცდომებს, რაც დაშვებულ იქნა ამ 22 წ. (? მ.ზ.) განმავლობაში“.

ის შეცდომები, რაზედაც ავტორი მიუთითებს, პუტჩისტურ-ალიანსური სოციუმისთვის, რომელიც სხვადასხვა კონფიგურაციით ამ ხნის განმავლობაში განაგებენ ქვეყანას თუ მონაწილეობენ მის რეალურ მართვაში, შეცდომა კი არა, მიზანმიმართული ქმედებაა – სტრატეგიული გამარჯვებაა, რომლის მეოხებით მათ არა მარტო ხელში ჩაიგდეს მმართველობის ბერკეტები, არამედ დღეს უკვე პოლიტიკური ძალაუფლების და ერთადერთი რეალურად მოქმედი ეკონომიკური ბერკეტის – საბანკო კაპიტალის შერწყმით სრულად დაეპატრონნენ მთელ ეროვნულ სიმდიდრეს. ამიტომ ამაოა ავტორის ღალადისი, რომ „1991 წლის 9 აპრილს მიღებული საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის ისტორიული (?) აქტი, ბოლოს და ბოლოს, დაიდებს ბინას საქართველოს პარლამენტის შენობაში“.

\* \* \*

იმედი მაქს, ავტორი პარლამენტის შენობაში ამ არა ისტორიული, არამედ მოქმედი – ჩვენი სახელმწიფოებრივისა და კონსტიტუციის ფუძემდებლური დოკუმენტისთვის კუთვნილი ადგილის მიჩენაში მის რეალურ ამოქმედებას გულისხმობს და არა ოდენ ფორმალურ მხარეს (დოკუმენტის გამოფენას). ასეთ შემთხვევაში

უნდა გვესმოდეს, რომ პუტჩისტური ალიანსის შედეგად ფორმირებული ნეოსაბჭოური – ფსევ-დოლიბერალური ფსევდოსოციურის ბატონობის ხანაში ეს არ მოხდება. ეს ფსევდოსოციალუ-რი ფენა ფორმირებულია არა სოციალური და ეკონომიკური კანონზომიერების კვალობაზე, არამედ საბჭოური ნომენკლატურულ-კრიმინა-ლური რევანშიზმის მიზანდასახულობის მოთხოვნილებათა შესაბამისად.

დევნილობაში მყოფი პირველი პრეზიდენტი წერდა: რაც საქართველოში გაიმარჯვა დემოკ-რატიამ და ჩატარდა თავისუფალი მრავალპარ-ტიული არჩევნები, მათ გულში ჩაიდეს რევანში და ყოველ ღონეს ხმარობდნენ ამ მონაპოვრის გასანადგურებლად. მათ კიდევაც მიაღწიეს ამას იმპერიული ძალების დახმარებით. ედ.შე-ვარდნაძე „იყენებდა დასავლეთთან კავშირს საკუთარი ქვეყნის გასანადგურებლად“. ჩვენ კი უნდა გვესმოდეს, რომ მაშინ მოსკოვში შექმნილი რევანშისტული შტაბი უწყვეტად მოქმედებს, მეტ-ნაკლები სიმძაფრით, ვითარებათა შესაბა-მისად დღემდე ხდება ამ კავშირების ქართული ინტერესების საზიანოდ გამოყენება.

სახელმწიფოებრივად ეს გეზი დაიწყო და უწყვეტად გრძელდება იმ ხანიდან, რაც 1992 წლის 9 აპრილი ოფიციალურად არც კი აღნიშნეს შევარდნაძემ და მისმა სამხედო ხუნტამ (შეად: დასახ. კრებული, ზ.გამსახურდია, ტ. I, გვ. 54, 55 და 63). მაშასადამე, ის სოციუმი, რომელიც თა-ვისი ნახევრადერიმინალური ხელისუფლებით მთელი ამ მეოთხედი საუკუნის განმავლობაში განაგებს ქვეყნას, სისხლხორცეულადაა დაინ-ტერესებული, მიწასთან გაასწორონ 1991 წლის 9 აპრილის მონაპოვარი.

\* \* \*

მაშასადამე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ 9 აპრილის აქტის არსებობას ეს გაბატონებული ფსევდოსოციური მხოლოდ იმდენად ითმენს, რამდენადაც ის მათ სჭირდებათ საკუთარი პოლიტიკური ძალაუფლებისა და კეთილდღე-ობის მოპოვებისა და შენარჩუნებისთვის, სა-ერთაშორისო არენაზე თავის ნარმოსაჩენად და სავაჭროდ.

თუ უამი დადგა, რასაც დაუფარავად აახლო-ებენ რუსული კოლაბორაციონალური ძალები, ისინი „ხალხის სახელით და ხალხისთვის“, სამ-შობლოს „ფიზიკური გადარჩენის მიზნით“ „კე-თილგორივრულ“ პოლიტიკას გაატარებენ და ამ

დამოუკიდებლობასაც ისევე იოლად შეეღევიან, როგორც ამ აქტის საფუძველზე მსოფლიო სა-ზოგადოების მიერ აღიარებულ საქართველოს ტერიტორიის 20 თუ 25%-ს.

ამდენად, არა ოდენ პოლიტიკური მმართვე-ლობის უმაღლესი ეშელონი, არამედ ეს „ალი-ანსური“ სოციუმი, 1991/1992 წლების მიჯნა-ზე მომხდარი სახელმწიფო გადაატრიალების შემდეგ დემოკრატიული ნიღბით რომ განაგებს ქვეყნას, სისხლხორცეულად არის დაინტერე-სებული არა მარტო მიჩქმალოს და მიაჩუმათოს „9 აპრილის მონაპოვარის“ მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნის აწყობისა და მომავლისთვის, არამედ თურმე მის დენონსირებაზეც კი წავლენ. ავტო-რის თქმით, ამას გააკეთებენ იმ სუბიექტური მიზეზით, რაზედაც ზემოთ ითქვა: დაადასტუ-რონ ის, რომ დამოუკიდებელი საქართველოს ისტორია მათგან იწყება. მაგრამ ისინი ამას გააკეთებენ ან უკვე მყარად ფეხმოკიდებული, პიროვნული კეთილდღეობისა და განდიდების მანით შეპყრობილი კოლაბორაციონალური, კორპორაციული ძალების ინტერესებიდან გა-მომდინარე.

მიუხედავად ე.წ. პოლიტიკური ორიენტაციის საკითხში მეტ-ნაკლები განსხვავებულობისა, ისინი პოსტპუტჩისტური ალიანსის პირმშოე-ბი არიან და ამ პრივილიგებული სოციუმის ორ ფრთას წარმოადგენენ. ისინი ერთი და იმავე ფსევდოდემოკრატიული იდეოლოგით საზ-რდოობენ.

ამ სოციუმის „გენეალოგიური“ დახასიათება და მასთან ურთიერთობის ერთადერთი სწორი გზა გვიჩვენა ზვიად გამსახურდიამ. ის წერდა: იმდანავრეს და იმრავლეს მოლალატეებმა, ერ-თგულებას ღალატმა სძლია, წითელი ინტელი-გენცია, კომუნისტური პარტოკრატია და მაფია გაერთიანდენ. იმპერია კვლავ სამარეს უთხრის საქართველოს საკუთარი შვილების ხელით.

აი, ასეთია მმართველი სოციუმის გენეტი-კა, ისაა საბჭოური პარტოკრატიის, წითელი ინტელიგენციის და კრიმინალ-მაფიოზთა ჰიბ-რიდი, შეფერადებული ცრუ დემოკრატიითა და ფსევდოლიბერალიზმით. ისინი კვლავ ძარცვა-ვენ ქვეყნას, კვლავ გრძელდება ქართველთა გენოციდი არა მარტო ოკუპანტთა მხრიდან, არამედ თვით ამ ჰიბრიდული სოციუმის მხრი-დან. მოსახლეობის 1/3 კიდევ სიღარიბის ჩვეული გაგების ზღვარს მიღმაა და ა.შ. ეროვნული მოძ-რაობა, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში

იდევნებოდა, ჩანაცვლებულია ფსევდოეროვნული – იმპერიისგან მართული, გადაგვარებული მოძალადეებით.

იძარცვება საქართველო, იდევნება ეროვნული მოძრაობა, გრძელდება ქართველთა გენციდი.

„დღეს საქართველო დილემის წინაშე დგას. ჭეშმარიტი საქართველო უნდა აღდგეს დამპყრობელთა და გადაგვარებულთა წინააღმდეგ. ქართველი და არაქართველი უნდა დაირაზმონ სიმართლისთვის ბრძოლაში. კვლავ ბრძოლით უნდა მოვიპოვოთ თავისუფლება“. შესაბამისად, როგორც ბრძანებდა ზ.გამსახურდია, ჭეშმარიტი საქართველო უნდა აღდგეს დამპყრობელთა და ამ გადაგვარებულთა სოციუმის წინააღმდეგ, ეს გზა კი ბრძოლის გზაა. ამ ბრძოლის გზის დახსასიათება მოგვცა ისევ და ისევ ზვიად გამსახურდიამ: „ჩემი ერთადერთი გზა არის პოლიტიკური მეთოდებით ბრძოლის გზა... ამას ვიმეორებ კატეგორიულად და მინდა ყველამ დაიმახსოვროს ეს“ (ტ. III გვ. 195). დიახ, დღევანდელი ვითარებისთვის ზედგამოჭრილია საქართველოს პირველი პრეზიდენტის ეს მითითება.

„მოიმედობისა“ და „მეოცნებეობის“ ილუზიებს წერტილი უნდა დაესვას. საქართველოს ჭეშმარიტმა შვილებმა უნდა სძლიონ მათ და ეროვნულ თანხმობის გზით აღაზევონ 26 მაისის და 9 აპრილის ერთიანი დროშა. უნდა გაჩაღდეს ჭეშმარიტად სახალხო ბრძოლა ჩვენი ერის მოღალატეთა წინააღმდეგ; კვლავ უნდა ავალორძინოთ 28 ოქტომბრის დემოკრატიული იდეები და საერთო-სახალხო სულიერება, რათა გადავარჩინოთ ეროვნული და სოციალური კატასტროფის წინაშე მდგარი ქვეყანა.

მიუხედავად პოსტკუტჩისტური ალიანსური სოციუმის და მისი ხელისუფლების მრავალგვარი მცდელობისა, ჩაეკლა ერთხელ უკვე აღორძინებული ღირსება, გვჯერა, რომ მათ ეს არ გამოუვათ. ჩვენი ხალხი არ შეურიგდება ოკუპანტს, რომელიც ცდილობს ტერიტორიების მიტაცებას, თავისუფლების შეზღუდვას, დამოუკიდებელი სახელმწიფო ბრიობის ლიკვიდირებას. იმპერია ამას ვერ შეძლებს ამ გაბატონებული სოციუმის გარეშე, რომელსაც მყარად აქვს ფესვები გადგმული კორუფციაში, ისინი ეროვნული ინტერესების ღალატის გზით იკეთებენ კარიერას და ერთვებიან მსოფლიო მაფიოზურ სისტემაში. ამიტომ, პირველ რიგში,

ბრძოლა უნდა გავუმართოთ **ამ პუტჩისტურ-ალიანსურ ფენას**, რომლის გარეშე, როგორც ზვიად გამსახურდია ამბობდა, „იმპერია ვერ გაძლებს... იგი ღალატს, კორუფციას, გადაგვარებულ პიროვნებებს ეყრდნობა“ (იქვე, გვ. 99).

ამდენად, თავს ნუ მოვიტყუებთ იმით, რომ ამ ფსევდოდემოკრატიული სოციუმის ბაზისზე აგებული მმართველობა და რომელიმე ხელი-სუფლება კუთვნილ ადგილს დაუდებს (მიუბოძებს) საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში 9 აპრილის აქტს. ფორმალურად ეს კიდევაც რომ გააკეთებინო მათ, ე.ი. დოკუმენტი რომ გამოფინო, ეს არაფერს ცვლის, ეს იქნებოდა კიდევ ერთი ფარისევლობა, რომლის მსგავსი მრავალი „ღონისძიების“ მომსწრენი ვართ. **მთავარია, დაბრუნდე 9 აპრილის აქტით „ალორ-ძინებული სული“ თანხმობისა; სული ხალხის ერთიანობისა, რომელიც იყო მსაჯული ქვეყნის თავისუფლებისა და სახელმწიფო ბრიობის აღდგენისთვის ბრძოლის სიწმინდისა. გავიხ-სენოთ პირველი პრეზიდენტის მითითება, რომ სინდისია მთავარი მსაჯული და კიდევ ხალხი, რომელსაც გამოაქვს ყველასთვის განაჩენი და ბოლოს ისტორია – ისიც მსაჯულია (კრებული ტ. III, გვ. 103).**

აი, ასეთ მოქმედ ფაქტად და ფუძემდებლურ აქტად გვჭირდება ჩვენ სახელმწიფო ბრიობის აღდგენის ეს დოკუმენტი. **თავისუფლებისათვის ბრძოლის მარადუშრეტი ენერგიით უნდა მოხდეს თანხმობის მილწევა კატასტროფამდე მიყვანილი ქვეყნის გადარჩენის საქმეში.**

ჩვენ უნდა შევძლოთ კრიმინალური მაფიოზური ანარქიისგან, საითკენაც მიექანება ქვეყანა, მისი დახსნა. ამისთვის აუცილებელია იმ ნეგატიური ფსევდოლიბერალური წარმოდგენების გაქარწყლება, რომლითაც დღემდე ებრძვის ეს პუტჩისტურ-ალიანსური სოციუმი ჭეშმარიტად ეროვნულ თავისუფლების იდეას, კანონიერ ხელისუფლებას და პირადად ზვიად გამსახურდიას. დღემდე გაჯერებულია დასავლური პოლიტიკური სივრცე, განსაკუთრებით მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ამ სიცრუით. არა მარტო დასავლეთი, არამედ ქვეყანაც ამ ფსევდოდემოკრატიული სოციუმის მიერ ათწლეულების განმავლობაში გამოგონილი ტყუილებით იმართება. საუბედურო ისაა, რომ ამ ტყუილებზე გამოგონილ და ამაზრზე უწმინდურებებზე იზრდება მომავალი თაობა.

მაგალითისთვის მოვიყვანთ ერთ ადგილს

ამდენად, თავს ნუ მოვიტყუებთ იმით, რომ ამ ფსევდოდემოკრატიული სოციუმის ბაზისზე აგებული მმართველობა და რომელიმე ხელი-სუფლება კუთვნილ ადგილს დაუდებს (მიუბოძებს) საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში 9 აპრილის აქტს. ფორმალურად ეს კიდევაც რომ გააკეთებინო მათ, ე.ი. დოკუმენტი რომ გამოფინო, ეს არაფერს ცვლის, ეს იქნებოდა კიდევ ერთი ფარისევლობა, რომლის მსგავსი მრავალი „ღონისძიების“ მომსწრენი ვართ. **მთავარია, დაბრუნდე 9 აპრილის აქტით „ალორ-ძინებული სული“ თანხმობისა; სული ხალხის ერთიანობისა, რომელიც იყო მსაჯული ქვეყნის თავისუფლებისა და სახელმწიფო ბრიობის აღდგენისთვის ბრძოლის სიწმინდისა. გავიხ-სენოთ პირველი პრეზიდენტის მითითება, რომ სინდისია მთავარი მსაჯული და კიდევ ხალხი, რომელსაც გამოაქვს ყველასთვის განაჩენი და ბოლოს ისტორია – ისიც მსაჯულია (კრებული ტ. III, გვ. 103).**

აი, ასეთ მოქმედ ფაქტად და ფუძემდებლურ აქტად გვჭირდება ჩვენ სახელმწიფო ბრიობის აღდგენის ეს დოკუმენტი. **თავისუფლებისათვის ბრძოლის მარადუშრეტი ენერგიით უნდა მოხდეს თანხმობის მილწევა კატასტროფამდე მიყვანილი ქვეყნის გადარჩენის საქმეში.**

ჩვენ უნდა შევძლოთ კრიმინალური მაფიოზური ანარქიისგან, საითკენაც მიექანება ქვეყანა, მისი დახსნა. ამისთვის აუცილებელია იმ ნეგატიური ფსევდოლიბერალური წარმოდგენების გაქარწყლება, რომლითაც დღემდე ებრძვის ეს პუტჩისტურ-ალიანსური სოციუმი ჭეშმარიტად ეროვნულ თავისუფლების იდეას, კანონიერ ხელისუფლებას და პირადად ზვიად გამსახურდიას. დღემდე გაჯერებულია დასავლური პოლიტიკური სივრცე, განსაკუთრებით მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ამ სიცრუით. არა მარტო დასავლეთი, არამედ ქვეყანაც ამ ფსევდოდემოკრატიული სოციუმის მიერ ათწლეულების განმავლობაში გამოგონილი ტყუილებით იმართება. საუბედურო ისაა, რომ ამ ტყუილებზე გამოგონილ და ამაზრზე უწმინდურებებზე იზრდება მომავალი თაობა.

მაგალითისთვის მოვიყვანთ ერთ ადგილს

ზ.გამსახურდიას „ამერიკის ხმის“ კორესპონდენტისადმი მიცემული ინტერვიუდან: კორესპონდენტის შეკითხვაზე, რომ თითქოსდა აფხაზეთში ჩრდილო კავკასიელი კონფედერატების მოხალისეთა უკან ზვიად გამსახურდია დგას, პრეზიდენტი პასუხობს: ეს ვერსია კრიმინალური ხუნტის მორიგი სიცრუეა. იგი ყოველგვარ დეზინფორმაციასა და მონაჭორს ავრცელებს. იმასაც ამბობენ, რომ მე მოვუწოდებდი აფხაზეთში ლაშქრობისკენ და ვამბობდი, რომ საქართველო არის მცირე იმპერია, რომელიც უნდა დაიშალოს. ამას არაფერი აქვს საერთო სინამდვილესთან. მე, პირიქით, მოვუწოდებდი აფხაზებს, ალადგინონ ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი, კანონიერი კონსტიტუცია, მე ყოველნაირად ვმოქმედებდი იმისთვის, რომ საქართველოს მთლიანობა იქნეს შენარჩუნებული. მე მაქვს შესაძლებლობები, ამნაირ ქმედებებს შევუშალო ხელი, მაგრამ ხუნტა ყოველნაირად ცდილობს, ქართველ ხალხს არასწორი ინფორმაცია მიაწოდოს (დასახ. კრებ. გვ. 194). ეს ამონარიდი დევნილი პრეზიდენტის ინტერვიუდან ნათელყოფს, თუ რა დეზინფორმაციაში ამყოფებდა ხალხს მაშინდელი ე.წ. პოლიტიკური ელიტა. ასე ფორმირდებოდა ეს პოსტკუტჩისტური სოციუმი. ის ანადგურებდა და ანადგურებს მომავალი თაობის თვითშეგნებას.

აი, ეს შეგნებულ ტყუილზე და გამიზნულ სიცრუეზე „გამოზრდილი“ ფსევდოლიბერალური სოციუმი, აშკარა მოღალატურ-კოლაბორაციონალურ „რუსეთუმეებთან“ ალიანსში, უპირისპირებს ერთმანეთში 26 მაისსა და 9 აპრილს, ამ ორ ფუძემდებლურ აქტს და მათ საფუძველზე განვითარებულ პროცესებს.

\* \* \*

მათი სამიზნე, რ ათება უნდა, პირველ რიგში იყო და არის 1990 წლის 28 ოქტომბრის მრავალპარტიული, დემოკრატიული გზით არჩეული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, რომლის არჩევასაც ისინი ეწინააღმდეგებოდნენ, და მის მიერ გატარებული სახელმწიფო-შემოქმედებითი ღონისძიებები, 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმი თუ მის საფუძველზე მიღებული 9 აპრილის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი. ისინი განსაკუთრებული ზიზლითა და ისტერიით შეხვდნენ ამავე წლის 26 მაისს საერთო-სახალხო არჩევნების გზით პრეზიდენტის არჩევას.

ისინი ამ ფუძემდებლური დოკუმენტისთვის თავისი კუთვნილი ადგილის მიკუთვნების წინააღმდეგი არიან თუნდაც იმიტომ, რომ მათ დაარღვეული აქტით გათვალისწინებული უმთავრესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დებულება, რომ „ყოველი მოქმედება, მიმართული საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების უზენაესობის შეზღუდვის ან ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისკენ, ჩაითვლება სუვერენული სახელმწიფოს საშინაო საქმეში ჩარევად და აგრესიად, საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეშ დარღვევად“. პუტჩისტურ-შევარდნაძისტულმა ალიანსმა კი რუსულ იმპერიასთან კოლაბორაციაში არა მარტო შეზღუდეს კანონიერი ხელისუფლება, არამედ კიდევაც დამხვეს ის. ვინმეს გაზიადებულად რომ არ მოეჩენოს რუსეთისა და ალიანსის ეს კავშირი, დავიმოწმებთ ადგილს ზ. გამსახურდიას ლიანერილიდან რუსეთის პრეზიდენტ ბორის ელცინისადმი. ის წერს: „აგერ უკვე მეორე თვეა, რაც საქართველოში შეიარაღებულმა ოპოზიციამ /კ სამხედრო ოლქის სამხედროთა მხარდაჭერით დაინყო სამხედრო მოქმედება... ილვრება სისხლი...“ შემდეგ ამავე იმპერიის ნებით არა მარტო დაარღვეული ტერიტორიული მთლიანობა, არამედ სეპარატისტებთან წამოიწყეს ომობანას თამაში იმპერიასთან და მას ლანგარზე მიართვეს საქართველოს ტერიტორიის 20-25%.

ამიტომ ეს ფენა 9 აპრილის აქტის მნიშვნელობისა და ღირებულების ეროვნულ-სახელმწიფოებრივ დონეზე წარმოჩენით არ არის დაინტერესებული, პირიქით, როგორც ითქვა, მათი მიჩქმალვითა და დაკნინებით ცდილობენ თავიანთი დანაშაულებების დაფარვას, მღვრიე წყლიდან სუფთად გამოსვლას. ამისთვის კი აუცილებელი იყო შესაფერისი იდეური ბაზისის ფორმირება და მის საფუძველზე ახალი თაობის აღზრდა, რა თქმა უნდა, შესაბამისი მითოლოგითა და ისტორიით, რაც დიდწილად კიდეც მოახერხეს.

\* \* \*

ამ პუტჩისტური სოციუმის იდეოლოგების ხელით იწერება დამოუკიდებელი საქართველოს ყალბი ისტორია, დემაგოგიური და ცინიკური საჯუთარი ვიწრო ეგოისტური ინტერესების გამართლების მიზნით, რითაც კიდევ უფრო ამძიმებენ ისედაც მძიმე მდგომარეობას ერისას, ქართული სახელმწიფოებრიობისას.

ნათქვამი რომ ზოგად სიტყვებად არ დაგვრჩეს, ამჯერადაც გადავუხვევთ კონკრეტულ საკითხს და წამიერად ჩავახედებთ მკითხველს ავტორთა კოლექტივის მიერ (დავით მუსხელიშვილი, მიხეილ სამსონიძე, ალექსანდრე დაუშვილი) შედგენილ საქართველოს ისტორიაში – უძველესი დროიდან 2009 წლამდე წიგნი გამოცემია 2012 წელს. ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ აქ გატარებული შეხედულებანი საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფო ბრიობის აღდგენაზე წარმოადგენს იმ სოციუმის შეხედულებას, რომელსაც ეს ავტორები განეკუთვნებიან და მათზე ზეწოლას ვერ მოახდენდა ვერც შევარდნაძისტული პუტჩისტურ-კრიმინალური მმართველობა და ვერც რევოლუციური რეჟიმი „გიუმიშასი“. ამიტომ ყოველგვარ ეჭვგარეშეა, რომ აქ გატარებული შეხედულებანი სახელმწიფო ებრივი იდეოლოგიის დონეზეა შემუშავებული. სანამ ეს ფსევდოიდეოლოგია მოქმედებაშია, ისინი არ დაუშვებენ დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის რეალური მნიშვნელობის აღიარებას. შესაბამისად, ვერც კუთვნილ ადგილს მიუჩენენ საქართველოს პარლამენტის შენობაში. ახლა კი ისტორიაში ჩავიხედოთ.

ამ ფსევდო „სოციუმისთვის“ შეტევის ობიექტი, რა თქმა უნდა, ზვიად გამსახურდია და მისი ლიდერობით გატარებული ყველა სახელმწიფო ებრივი მნიშვნელობის ღონისძიება, რომელზე-დაც დგას და მუდამ იდგება დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფო ებრივისად.

\* \* \*

იმისთვის, რომ მკითხველს სწორი წარმოდგენა შეექნას ამ ისტორიულ საკითხზე და გადამეტებით არ მიიჩნიოს ჩვენი კრიტიკული მიდგომა ამ ე.წ. „ისტორიისადმი“, ვთავაზობთ საკმაოდ ვრცელ ამონარიდს ამ წიგნიდან, რომლიდანაც კარგად ჩანს, თუ ვის მიერ და რატომ იბლოკება 1991 წლის 9 აპრილის აქტის სახელმწიფო ებრივი მნიშვნელობა და არ ხორციელდება ამ თარიღის საზეიმოდ აღნიშვნა.

ისინი წერენ: „ზ.გამსახურდიას ხელისუფლებამ ჩაატარა 31 მარტის რეფერენდუმი, რომელმაც გამოავლინა, რომ საქართველოს მოსახლეობის დიდ უმეტესობას (98%) სურს დამოუკიდებელი საქართველო. 9 აპრილს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე. ეს დეკლარირებული გამოცხადე-

ბა იყო, რადგან ეკონომიკურად საქართველო ჯერ კიდევ მთლიანად საბჭოთა კავშირზე იყო დამოკიდებული და ცენტრის მიერ შეწყვეტილმა ეკონომიკურმა სუბსიდიებმა სერიოზული პრობლემები შეუქმნა ქვეყანას. ასეთ ვითარებაში ზ.გამსახურდიას პოლიტიკურმა დაჯგუფებამ ჩაატარა საპრეზიდენტო არჩევნები, რომელშიც დიდი უპირატესობით გაიმარჯვა ზ.გამსახურდიამ. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე გახდა ტრადიციონალისტი ა.ასათიანი.

დაპირისპირების ესკალაციის პირობებში, როცა აშკარად ხდებოდა ზ.გამსახურდიას იდეალიზება, მისი მომხრების მხრიდან ძლიერდებოდა ჯერ ზეწოლა ოპოზიციურად განწყობილ პოლიტიკურ მოღვაწეებზე, შემდეგ მათი აშკარად დევნა“ (საქართველოს ისტორია, გვ.524).

თუ მკითხველი ზედმეტად ზერელედ არ მიუდგება ამ აშკარად პუტჩისტურ-ალიანსურ ოპუსს, ნათელი იქნება, რომ ასეთი თვითნებური მიდგომა სახელმწიფო ებრივი მნიშვნელობის ფუძემდებლური ფაქტებისადმი არის აშკარა მტრობა არა მარტო მათ შემოქმედთა მიმართ, არამედ ქვეყნისა და ხალხის წინააღმდეგ.

ესაა წინასწარ განზრახული ქმედება, პირდაპირ უნდა ითქვას, მეცნიერული უპასუხისმგებლობისა და ამორალურობის გამოხატულება. ამაზე შორს ვერ წავა. შესაბამისად, კიდევ უფრო უზნეო და თახსირანია ამ წრის პოლიტიკური საქმიანობა დამოუკიდებელი სახელმწიფო ებრივის აღდგენისთვის ბრძოლის მთელ პერიოდში. ეს ტენდენცია ცრუიდეურ სახეს იღებს და დღემდე ანადგურებს ჭეშმარიტ თვითიდენტობასა და სახელმწიფო ებრივად აზროვნების ყოველგვარ გამოხატულებას.

პუტჩისტური ალიანსისგან შობილი სოციუმის ეს იდეოლოგია ასულდგმულებს კანონიერი ხელისუფლების დამხობის შემდგომ მოსულ ყველა მმართველობას. ფაქტობრივად, ისინი განაგებენ ქვეყანას უშუალო მმართველობის გზით თუ მის გარეშე. ამ წრისთვის ამოსავალი დოქტრინაა, კანონიერ ხელისუფლებასთან დაკავშირებული ყოველგვარი ფაქტებისა და ფუძემდებლური დოკუმენტების ფალსიფიცირება, მათი რეალური საზრისების გაუკულმართება, ჭეშმარიტი დემოკრატიული არსისგან დაცლა და მათივე პირადი ინტერესებისა და მისწრაფებებისადმი მისადაგება.

ამ ერთ ხმაზე აწყობილი ქოროს უშუალო სამიზნეა, რა თქმა უნდა, საქართველოს პირ-

ველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, არა მარტო როგორც პიროვნება, არამედ მის მიერ საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფო-ებრიობის შენარჩუნების გარანტად შექმნილი **საერთო-სახალხო ინსტიტუტი – პრეზიდენტისა.** სინამდვილეში, ამ ინსტიტუტის არსებობა წარმოადგენს პერიოდულ დადასტურებას ხალხის ნებისას, რომ ის ხმას აძლევს დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობას და ამ მიზნით ახორციელებს საპრეზიდენტო უფლების დელეგირებას. ამ ინსტიტუტის ასეთი დამატებითი ფუნქციონალური მნიშვნელობის აუცილებლობაში ამ მოკლე პერიოდში ჩვენ არანაკლებ ორჯერ უკვე დავრწმუნდით – სამხედრო პუტჩისა და 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ. დღეს მგონი ამასაც მოულო ბოლო ამ პოსტცუტჩისტურმა სოციუმმა. თუმცა ეს ცალკე საკითხია და მასზე ლაპარაკი, როგორც ვთქვით, შემდგომ გვექნება.

\* \* \*

ჩვენი მსჯელობა ამ თანამედროვე „ისტორიულ ლაკუნებზე“, ზოგადად, პუტჩისტური ალი-ანსის ანტიეროვნულ და ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობაზე, მათ მიერ დახვავებულ სიცრუე-ებზე არასრულყოფილი იქნებოდა, თუ ორიოდე სიტყვით მაინც არ შევჩერდებით მათ პიროვნულ დამოკიდებულებაზე ზვიად გამსახურდიას, როგორც პიროვნების და დისიდენტის, მიმართ, მერაბ კოსტავასთან ერთად XX საუკუნის მეორე ნახევრის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ამლორძინებლისა და ლიდერისადმი მტრულად განწყობილ ამ კასტაზე.

სწორედ ამ ურთიერთობაშია, ცველაზე უფრო რელიეფურად რომ აისახება დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისთვის ბრძოლისადმი მიდგომის დისპარაციული ფორმა. ე.ი. თვალნათლივ წარმოჩინდება დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის, დემოკრატიულად მოწყობისა და თავისუფლების გზით – კონსტიტუციურად განვითარების მიმართ ორი ერთმანეთისგან ძალზე განსხვავებული მიდგომა, რომელთაც არაფერი საერთო აქტ ერთმანეთთან, გარდა საკუთრივ მიდგომის ობიექტისა – ქვეყნისა.

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით სინამდვილეში საქმე გვაქვს ჭეშმარიტებისა და სიცრუის დაპირისპირებასთან, როცა ყალბის-თქმელთა ეს კასტა ცდილობს, თუნდაც მცირედი საბუთი მაინც მოიპოვოს საკუთარი ქვეყნისა

და ხალხის წინაშე ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებების გასამართლებლად. ამიტომაა, მათ შეტევა მიაქვთ ზვიად გამსახურდიაზე, როგორც რუსულ-საბჭოური იმპერიის ულლისგან სამშობლოს დახსნისთვის თავგანწირულ მებრძოლზე და ლიდერზე.

მათ შეძლეს, გაერყვნათ არა მარტო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მერყევი ნაწილი, მიბმული „წითელ ინტელიგენციასთან“, არამედ დასავლურ-ემიგრანტული წრეც, რომელიც თავმოყრილი იყვნენ ურნალ „ივერიის“ ირგვლივ. ამ გზაზე სუკის კვალდაკვალ პირველობას არავის უთმობდა ედეპეს ჭანტურიასეული დაჯგუფება. ამ ურნალის წარმომადგენელი საქართველოს თავისუფლებისთვის ბრძოლას შენირულ პრეზიდენტზე ედუარდ შევარდნაძის თითქოსდა მკაცრი კრიტიკის ფონზე წერს: „ამასვე უნდა დავუმატოთ, რომ არც ის კაცი, ვინც შევარდნაძეზე ადრე იკისრა საქართველოს მეთაურობა, ჩვენდა საუბედუროდ, სრულებით არ იყო აღჭურვილი იმ თვისებებით, რომელიც მაშინდელ მეთაურს მოეთხოვებოდა“ (მ.ქავთარაძე, ცხოვრების 100 წელი, გვ.200, თბ.2007). ამას ამბობს და ამბობენ იმ ლიდერზე, რომელმაც არა მარტო იმპერიას, არამედ ილუზიებისა და თავიანთი კერძო ინტერესების ტყვეობაში მყოფ დასავლეთს თვალსა და ხელს შეუ გამოსტაცა თავისუფლება და სულ რაღაც ოთხიოდე თვეში არა მარტო ამ ავტორისთვის, არამედ მთელი საერთაშორისო საზოგადოებისთვის მოულოდნელად აღადგინა დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა. თუმცა ეს ცალკე განსახილველი საკითხია და მას – ამ ფენომენალურ პოლიტიკურ მოვლენას განსაკუთრებული აღგილი უნდა მიენიჭოს ქართული პოლიტიკის ისტორიაში. ამაზე უნდა ზრუნავდნენ დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიკოსები თუ პოლიტოლოგ-მეცნიერები.

ეს არანაკლებ მნიშვნელოვანი და ორიგინალური პოლიტიკური მოვლენა იმპერიული მონობისგან მშვიდობიანი გზით თავდასხინისთვის ბრძოლისა, ვიდრე „განდიზმი“ იყო.

ჩვენ ამ მაგალითს იმიტომ მოვუხმეთ, რომ გვერვენებინა, თუ რამდენად გამხრწელი იყო სუკურ-პუტჩისტური იდეოლოგია, რომელიც მიმართული იყო პრეზიდენტ გამსახურდიას წინააღმდეგ. ეს ავტორი, რომელიც ფეხდაფეს მოჰყვებოდა კანარისის გვერდიას თითქოსდა საქართველოს გასათავისუფლებლად და თავს

სწირავდა ქვეყანას, უფრო გვიან ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას დისიდენტური ბრძოლის გულშემტკივარი იყო, როცა თავისუფლებისთვის ბრძოლის ნამდვილი უამი დადგა, ზურგი შეაქცია ყოველივე ამას და „ახალი ედპს“ ჭაობმი ჩაიძირა.

ის გორბაჩივის მიერ სამართლებრივი სახელმწიფოს აშენების მოლოდინშია და გვეკითხება: „გონიერია თუ არა მეტი სიჩქარის მოთხოვნაო“ ან „იმპერიის დამშლელი რევოლუცია“ სასურველია თუ არა; რა ვიცით, რომ „რევოლუციას ჩვენი თავისუფლება მოჰყვება და არა უფრო მყაფრად დამონება შოვინისტური სამხედრო რეჟიმის მიერ“ – ასკვნის ის (იქვე, გვ.221).

მაგრამ ცხოვრებამ და ზვიად გამსახურდიას განმათავისუფლებელი ბრძოლის სწორმა პოლიტიკურმა ტაქტიკამ, რაც მაშინდელ სიტუაციაში არსებული მსოფლიო წესრიგის გამოწვევაც იყო, შესაძლებელი გახადა, იმპერიას მის მიერ 9 აპრილს დალვრილი სისხლი საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენის სახით ეზღვია.

ყოველივე ამის იგნორირება ხდებოდა და ხდება მიზანმიმართულად. ისინი, როგორც ჩვენი ავტორი, თითქოსდა დათმობაზე მიდიოდნენ, დიდბუნოვნად გადმოაგდებენ: „საჭიროა, ის სიკეთე მაინც არ დავუკარგოთ, რაც ჰქონდა: „ზვიადს საქართველო ნამდვილად უყვარდაო“ (იქვე).

ფრანგული ემიგრანტული ჯ.კაშიასეული წრის ეს სუკისტური, ცრუიდეური კომპლექსი, საკუთრივ საქართველოში ასჯერ და ათასჯერ გაუკულმართებული იყო. მათი პოტენციალი ვერც რევოლუციამ დააქვეითა, პირიქით, მშვიდობიანი კონტრრევოლუციის შედეგად ხელისუფლებაში სრულად მობრუნებული ეს ფენა, თავისი ცრუ იდეოლოგიით სულ უფრო მტკიცე კოლაბორაციაში შედის რუსულიმპერიულ რბილ ძალასთან და ანადგურებს ჭეშმარიტი დემორატიზმის ყოველგვარ გამოვლინებას, ახშობს ეროვნული იდენტურობის შენარჩუნებასა და განვითარების გზებს. საქმე იქამდე მივიდა, რომ ამ ემიგრანტულ, წმინდა სუკისტური წარმონაქმის წარმომადგენელი სახალხოდ არჩეულ პრეზიდენტობას ესწრაფვის, რაც დასრულდება აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ე.ნ. რესპუბლიკების საერთაშორისო აღიარებით. აი, რა უდიდეს საჭირობოროტო საკითხებთანაა დაკავშირებული ეს თითქოსდა სუბიექტური საკითხი.

სინამდვილეში, ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ ეს უზნეო ბრძოლა მიმართულია ქართული სახელმწიფოებრიობის და ქართველი ერის წინააღმდეგ.

\* \* \*

მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ ამ პუტჩისტური სოციუმის ისტორიკოსთა მხრიდან თავიანთი ანტიმეცნიერული ყალბისქმნადობის, თუნდაც მცირედით გამამართლებელ საბუთად წამდაუწუმ ე.წ. „მონანიების“ მოშველიებაზე. თავის მხრივ, ეს კონცეფცია „მონანიებისა“ შემუშავებულია სუკის კედლებში. დღეს ის გამოიყენება არა მარტო ზვიადის წინააღმდეგ, არამედ დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენის რეალური არსისა და სახის დამახინჯების საშუალებად. ამის არაღიანიშვნა, ამ გაყალბებული ისტორიის კრიტიკის კონტექსტში, ისე იქნებოდა გაგებული, თითქოსდა ჩვენ განგებულით გვერდს ამ ე. წ. საკითხს.

ამ „ცრუისტორიაში“ ისინი წერენ: „განსაკუთრებით გამოიკვეთა ზვიად გამსახურდიას პოლიტიკური ფიგურა, რაც ლოგიკურად არ გამოიყურება (?) მისი 1978 წლის მონანიების შემდეგ. ამან დააფრთხო ეროვნულ-განმათავისუფლებული მოძრაობა, განსაკუთრებით მისი რაციონალურად მოაზროვნე ნაილი. (ხაზი. – მ.ზ.) („ისტორია“, გვ.521). ამ ამონარიდის მეორე ნაილზე ჩვენ ზემოთ გვქონდა მსჯელობა, ამ-ჯერად შევჩერდეთ იმაზე, თუ რა გამოიყურება არალოგიკურად.

ამ ისტორიკოსთა ზღვარს გადასული ცინიზმი იმდენადა საშიში, რამდენადაც ისინი ამ ყურით მოთრეულ საკითხზე არა ისტორიულობის თვალსაზრისით – წარსულ დროში მომხდარის აღნიშვნის აზრით კი არ უდგებიან, არამედ მას აწყობს უკავშირებენ, აღიარებულ და მიღებულ ფაქტად ასაღებენ ამ, როგორც ითქვა, სუკის კედლებში დამუშავებულ და მათი ადგილობრივი დაქაშების მიერ ატაცებულ და ინტერპრეტირებულ „შეფასებას“.

მოცემულ შემთხვევაში ჩვენი კომენტარები ან მსჯელობა ამ სიბინძურეზე ზედმეტია, ვინაიდან ეს საკითხი ძირის ძირამდე გახსნილიცა და ახსნილიცა ამ პროცესის უმუალო მონაწილეთა – ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას მიერ. მასთან მიბრუნება იძულებით გვიხდება და აღბათ უამით-უამადე კიდევ იქნება აუცილებე-

ლი, რამდენადაც ყალბისმქმნელები და ცრუისტორიკოსები ამ სუკური ღონისძიების და მისი შემდგომი ცრუ ინტერპრეტაციის ისტორიაში დაკვიდებას ცდილობენ,<sup>1</sup> რისი მიზანიც არის ახალგაზრდა თაობის ჯერ შეცდომაში შეყვანა და შემდეგ მათი ცრულიბერალური ანტიეროვნული იდეოლოგიით გამოკვება. სამწუხაროდ, ამის შედეგსაც უხვად ვიმკით.

\* \* \*

ახლა კი, ამ აუცილებელი წიაღსვლების შემდეგ, მივუბრუნდეთ ამ ისტორიკოსთა ზემოთ მოყვანილ ცინიზმით აღსავს ეს მოსაზრებას ზვიად გამსახურდიას პოლიტიკური ფიგურის წარმოჩენის არალოგიკურობაზე.

საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზემოთ წახსენებ ლია ნერილში ედ. შევარდნაძისადმი საგანგებოდ ჩერდება ამ ე.წ. მონანიების საკითხზე და მის ირგვლივ შესაძლო ყველა კითხვას სცემს პასუხს, რომელსაც მთლიანად ვთავაზობთ მკითხველს. ის წერს: „სუკ—ში პატიმრობისას წელინადნახევრის მანძილზე მინევდნენ შანტაჟს, მემუქრებოდნენ ამერიკის დაზვერვის აგენტად გამოცხადებით, სამშობლოს ლალატის მუხლით გასამართლებით, ოჯახის წევრების ფიზიკური განადგურებით, მოსალოდნელი ახალგაზრდული დემონსტრაციების გაფლეტით, ხოლო მოსკოვში პატიმრობისას ავადსახსენებელი სუსლოვის ემისრები საქართველოდან აფხაზეთის ჩამოშორებითაც კი მემუქრებოდნენ, თუ არ მოვინანიებდი. ჩემი მეუღლე კი, ძუძუთა ბავშვის დედა, დეკრეტულ შეხებულებაში მყოფი სამსახურიდან მოახსნევინეთ, რაც არც ჰიტლერს და არც სტალინს არ ჩაუდენიათ. დღეს თქვენი აგენტები აყალიბებენ ჩემი ე.წ. „მონანიების“ არსს, იყენებენ ამას ჩემი დისკრედიტაციისათვის, თითქოს არ იცოდნენ საქმის რეალური ვითარება. ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია კიდევ ერთხელ განვმარტო ჩემი ტაქტიკური უკანდახევა სასამართლოზე 1978 წელს.

ჩვენი დაპატიმრების შემდეგ ეროვნულ მოძრაობას განადგურების საფრთხე დაემუქრა.

<sup>1</sup> სამწუხაროდ, მათ ეს რამდენადმე გამოუდით. ისინი სახელს უტეხენ ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით უკომპრომისო ბრძოლაში მოპოვებულ დიად გამარჯვებას ქართველი ხალხისას დამოუკიდებელი სახელმწიფო ბრძოლის აღდგენის გზაზე, სწორედ ამ მიზნით ხდება სახელმწიფო ბრძოლის აღდგენის ეროვნული დღესასწაულის მიჩქმალვაც.

აღარავინ რჩებოდა გარეთ დასავლეთის ქვეყნებთან ხიდის გამდები, თვითგამოცემებისა და იატაკევეშა მუშაობის ორგანიზატორი. ბოლოს მე და მერაბ კოსტავამ მოვილაპარაკეთ, რომ მე „მოვინანიებდი“ ჩემს ზოგიერთ ქმედებას, გამოვიდოდი ციხიდან და გარეთ გავაგრძელებდი საქმიანობას, შევინარჩუნებდი საინფორმაციო ხიდს დასავლეთთან, ხოლო მერაბ კოსტავამ თავად იტვირთა ციხეში დარჩენა, თანაც გააკეთა წერილობითი განცხადება, რომ ჩემი ე.წ. „მონანიება“ აუცილებლობით იყო გამოწვეული ჩვენი საერთო საქმის ინტერესებიდან გამომდინარე. მე გამოვიტანე ეს განცხადება ციხიდან, მაგრამ არ გამომიქვეყნებია, ვშიშობდი, რამე ზიანი არ მიმეყნებინა მეგობრისთვის. ბოლოს, განთავისუფლების შემდეგ მან თავად გამოაქვეყნა იგი 1987 წელს მოსკოვის უურნალ „გლასნოსტის“ მეხუთე ნომერში (რედაქტორი ს. გრიგორიანცი). ამგვარი შინარსის წერილი მისწერა მან ე.ბონერსაც სახაროვისათვის გადასაცემად ქსნის კოლონიდან იმავე წელს. მაგრამ ჰოს საოცრებავ, დღეს თქვენ და თქვენი დამქაშები ჩემს ამ ტაქტიკურ უკან დახევის „ლალატად“ ნათლავთ, თითქოს მერაბ კოსტავაზე დიდი მორალური ავტორიტეტები იყოთ და ეროვნული მოძრაობის თავკაცები.

მაგრამ თქვენ სულ სხვა მიზეზის გამო არ გასვენებთ ჩემი „მონანიება“. საქმე ის გახლავთ, ჩემი „მონანიება“ და ციხიდან გამოსვლა რომ არ მომხდარიყო, არ იქნებოდა არც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობა, არც 9 აპრილი და არც იმპერიის ბატონობის დასასრული 1990 წლის 28 ოქტომბრის თავისუფალი, დემოკრატიული არჩევნების სახით, ამიტომაც ვერ მოგინელებიათ ჩემი „მონანიება“ და კილებს აღრჩიალებთ მისი გახსენებისას.

ბოლოს გადამასახლეთ ნოდაეთის ნახევარუდაბნოში, სადაც ქართველმა მწყემსებმა გადამარჩინეს შიმშილითა და სიკივით სიკვდილს. საქართველოში დაბრუნების შემდეგ კი თქვენმა დამქაშებმა გამივრცელეს ჭორი, თითქოს მე თქვენი აგენტი გავხდი, რაც ერთხანს ირწმუნა საზოგადოების ნაწილმა და რასაც დიდ ხანს იმეორებდნენ ჭანტურია და სხვა მოღალატენი, ვიდრე თავად არ გამოვლინდნენ, როგორც თქვენი აგენტები. თანაც საზოგადოებამ დაინახა, რომ ისევ მე ვიყავი ერთადერთი კაცი, რომელიც მსოფლიო საზოგადოებას ვაწვდიდი

ინფორმაციას საქართველოს შესახებ, ვახერ-ხებდი თვითგამოცემას, ვაწყობდი საპროტესტო აქციებს ახალგაზრდა მეგობრებთან ერთად, ბოლოს ის ახალგაზრდებიც ჩამომაშორეთ და მტრებად მიქციეთ ისინი სუკ-ის ჯოჯოხეთური მანქანის მეშვეობით. გარდა ამისა, ყველა ხედავდა, რომ სუკის ყველაზე დიდი დევნისა და მეთვალყურეობის ობიექტი ისევ მე ვიყავი, ხელახალ დაპატიმრებას კი ვეღარ ბედავდით, რადგანაც უცხოეთში ძალზე გახმაურდა ჩემი სახელი („კრებული“, გვ.51–53).

მოცემულ შემთხვევაში ზედმეტია ყოველგვარი კომენტარი, მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ბატონი ზვიადის ნათქვამი ჭორების გავრცელებაზე, რომ ზვიადი აგენტი იყო (კრემლის, ცკ-ს, სუკ-ის??), ეს თითქმის ზედმინევნით მეორდება ამ ე.წ. ისტორიაში. ისინი 1990 წლის 28 ოქტომბრის დემოკრატიულ არჩევნებთან დაკავშირებით წერენ, – ოპოზიციის დარჩენილმა ნაწილმა ეს კომუნისტებთან გარიგებად მიიღესო და ამ ნაწილს რაციონალურად მოაზროვნებს უწოდებენ, სინამდვილეში ვინ იყვნენ ისინი და რას ემსახურებოდა მათი საქმიანობა, ეს ყოველივე ზუსტად გადმოგვცა პრეზიდენტმა ამ წერილში. ამიტომ აშკარაა, რომ ეს ისტორიკოსები თვითონ იხსნიან მეცნიერული მიუმხრობლობის ნიღაბს და ადასტურებენ იმას, რომ ისინი თვითონაც შედიან იმპერიის დამქაშებისა და ეროვნული საქმის მოლალატეთა სიაში, რაზე-დაც ლაპარაკია ამ ვრცელ ამონარიდში. მათ, ერთობლიობაში, თავიანთი შავი საქმე გააკეთეს, ახლა კი მომავალ თაობას წამლავენ.

\* \* \*

ასეთი ცრუისტორიების შექმნა იმდენადაა საშიში, რამდენადაც, პირველ რიგში, ისინი ამ გზით რყვნიან მომავალ თაობას. ეს თავის დროზე ზედმინევნით ზუსტად განმარტა პირველმა პრეზიდენტმა მიმართვაში სტუდენტი ახალგაზრდობისადმი. ის აღნიშნავდა: კრემლის ემისრები განაგრძობდნენ თავიანთ ბენელ საქმიანობას და ერთხანს მათ დიდ შედეგებს მიაღწიეს. ახალგაზრდობის დიდი ნაწილი ჩამოაშორეს ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას, უფრო მეტიც, ეროვნული ხელისუფლებისადმი მტრულად განაწვეს და ფსევდოპოზიციურ საქმიანობაში ჩაითრიეს (დასახ. კრ. ტ. III, გვ.255). შესაბამისად, ისინი მოწყვიტეს ეროვნულ-პატრიოტულ იდეოლოგიას და მათში ჩანერგეს, როგორც

ბატონი ზვიადი ბრძანებს, პოლიტიკური ინდი-ფერენტიზმი, ეროვნული ნიჰილიზმი, ყალბად გაგებული კოსმოპოლიტიზმი, ხოლო ახალ-გაზრდების მეორე ნაწილში – კრიმინალური იდეოლოგია. ამ ცრუმოძღვრებმა ეროვნული იდეალების ერთგულება პროვინციალიზმად მონათლეს, რნმენის ერთგულება – ფანატიზმად. ნერგავდნენ დასავლეთის ფსევდოკულ-ტურას, ფსევდომუნდიალიზმს და ა.შ. ისინი უმაღლავდნენ ახალგაზრდებს იმას, რომ თვით უნივერსალური კოსმოპოლიტურად მოაზროვნე გენიოსები გულმხურვალე პატრიოტები იყვნენ, რომ კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი ურ-თიერთგამომრიცხავი არ გახლავთ (იქვე, 254). ამ მოღალატურმა საქმიანობამ დამანგრეველი ეფექტი იქონია ჩვენი ახალგაზრდა თაობის ეგზისტენციაზე.

1989 წლის 9 აპრილის თავგანწირული მებრძოლნი, საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენის გულმხურვალე მედროშენი, ჩამოაშორეს სამშობლოს თავისუფლების და ერის ლირსებისათვის ბრძოლის წმინდა საქმეს. ისინი შეუყვნენ ავბედით გზას ინდიფერენტიზმისა, ნიჰილიზმისა და კრიმინალური იდეოლოგიისა; ისე გაუმრუდეს მათ ცხოვრება, რომ საბჭოურ-კომუნისტური იდეოლოგია ლამის სანატრელი გაგვიხადეს.

მათ არა მარტო ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ჩამოაშორეს ახალგაზრდობა, არამედ ჩამოაშორეს თავიანთ სამშობლო ქეყანას, ოჯახს, სისხლსა და ხორცს, ტოლ-სწორთ. უიდეობით ან ცრუ იდეით განპნეულნი მიმოფანტეს მთელ დუნიაში, სადაც ავსებენ კრიმინალურ სამყაროს და ნარკოტიკებით გაბრუებულები ისწრაფებრ სიცოცხლეს. იმ მცირედთ, ვინც შემორჩა ამქვეყნად, ეს კრემლის ემისრები და მათი პროტოტიპები გონებასა და სულს უნამღავენ ამ და სხვა მსგავსი „ისტორიებით“ თუ ცრუ იდეოლოგიით. მათი მიზანია აღისრულონ თავიანთი ბინძური ზრაცვები, საბოლოოდ დაეპატრონონ მთელ ეროვნულ სიმდიდრეს და ასე ბოლომდე გაკოტრებული, უკვე უიმედოდ და უოცნებოდ დარჩენილი ქვეყანა უკან შეაბრუნონ იმპერიაში, ან სრულაც ქვა უთოვია შემდეგ. ის ერთადერთი, რაც ხალხს შერჩა – თავისუფლად სუნთქვის საშუალება – ლამის ისიც მოუსპონ.

ძალზე მძიმე სურათია? – იქნებ ასეცაა, მაგრამ ეს ფაქტია. ამის დასადასტურებლად რამდენიმე მაგალითს მოვიყვანთ კრემლის ემისრებისა

და ცრუდემოკრატების იდეოლოგიით. მიზანმიმართულად უგზოუკვლოდ მიმობნეული, გადაგვარების გზაზე შეყენებული ახალგაზრდობის ცხოვრებიდან, მარიო მერონის წიგნიდან – „არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს!“ (თბ. 2005 წ.).

აი, როგორ აღნერს ავტორი პუტჩისტური ალიანსის მიერ შექმნილი ფსევდოსოციუმის სახეს: **ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტად არჩევის შემდეგ ხალხს იმედი ჩაესახა, იმედი ხვალინდელი დღისა** (გვ. 72). ამ იმედსაა, რომ შეუტიეს მტრებმა ადგილობრივ მოღალატეთა ხელით. კრემლიდან ორჯონიკიძის მისით მოავლინეს ედ. შევარდნაძე; რა მოჰყვა ამას, ამაზე წიგნის ავტორს მოვუსმინოთ: **შევარდნაძის მუხანათაური, შავბენელი ხელი მასაც** (ზ.გ.) მისწვდა და ომი გააჩადა (იქვე), და აგრძელებს: **სინამდვილეში ეს ანტიქრისტე ქვეყნის დასაღუპავად, მინასთან გასასწორებლად ჩამოვიდა.** გაუცრელი მჭადით გამოზრდილმა ფერშალმა ყველაფერი თავდაყირა დააყენა. ახალგაზრდები კალაშნიკოვის ავტომატებით შეაირაღეს და ერთმანეთს დაერივნენ, შეიქმნა საძმოები, დაჯგუფებები, რომელთა მიზანი ერთი იყო: ვინმეს დაჩაგვრა და დიდი ფულის შოვნა.

უსაქმურად დარჩენილი ქართველი ახალგაზრდობა, როგორც სამოვარზე გამოსული მშიერი მგელი – სოფელს, უცხო ქვეყნებს მიადგნენ (იქვე, გვ. 73). ეს იმიტომ მოხდა, რომ შევარდნაძის ბატონობის ავბედითმა ათმა წელმა საერთოდ მინასთან გაასწორა ქვეყანა, გონებაარეული, მერყევი ნებისყოფის ახალგაზრდა კაცი დარჩა ქუჩაში, შიშველი, მწყურვალი, უმუშევარი, უფულო (იქვე, გვ. 69), ოდენ პუტჩისტური ალიანსის ცრუიდეოლოგიის ამარა. ნაწილმა ეს მეტამორფოზირებული პოსტკომუნისტური სოციუმი შეავსო. უმრავლესობამ ვერც იქ მონახა თავისი ადგილი, აზრი დაკარგა სწავლამ, ფეხქვეშ გაითელა ღირსეული ტრადიციები, გამოიფიტა ქართული სული. გაუცხოება დაეტყო ქართველ კაცს (იქვე, 70). ამის შედეგა ის, რომ „მშობლები... ატყუებენ შვილებს, შვილები კი – მშობლებს“ [იქვე გვ. 72].

რამდენადმე ვერ გამართლდა ბატონი ზვიადის იმედები, რომ საიმდო ძვრები შეიმჩნეოდა ჩვენი ახალგაზრდობის აზროვნებაში, სტუდენტობა საბოლოოდ გაარჩევდა თეთრსა და შავს, დაუბრუნდებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას და იხსნიდა საქართველოს დაღუპვისგან. მათ ვერ გაუძლეს ცრუარჩევნე-

ბითა და დემაგოგიებით ხელისუფლებაში უკვე მყარად ფეხმოკიდებულ ნომენკლატურულ-კრიმინალური სოციუმის მმართველობის ახალ შემოტევას, **ბრძოლას გაქცევა არჩიეს.**

მ. მერონი წერს: ჩემი ყურით მაქვს მოსმენილი, რა ტანჯვა-წამებითა და რის ვაი-ვაგლახით ახერხებდნენ ქართველები ევროპაში (სხვა კონტინენტებშიც; მ.ზ.) ჩასვლას (იქვე, 73). ასეთი მასიური გაქცევა საკუთარი სამშობლოდან, ისეთი – საკუთარ მიწა-წყალს განსაკუთრებულად მიჯაჭვული გენოსისთვის, როგორიც ქართულია, არ შეიძლება ოდენ უკეთესი ცხოვრების სურვილით იყოს გამოწვეული, მაშინ დავლუპულვართ და ეს არის.

**ე გაქცევა პროტესტიცაა, მიმართული არ-სებული – იერ-სახე შეცვლილი, ნომენკლატურულ-კრიმინალური მაფიის ფსევდოდემოკრატიული მმართველობისადმი, მათდამი, ვინაც, ჩვენი ავტორის პერიფრაზით რომ ვთქვათ, ამ ხნის მანძილზე ისე გააღარიბა ხალხის სული, რომ ყველა ერთიმეორის მტრად გადაიქცა; საკითხავი გახდა: დარჩა თუ არა სპეტაკო, გაურყვნელი სული, სამშობლოს ხვალინდელ დღეზე დაფიქრებული.**

პროტესტი იმის მიმართ, რომ ტყუილი სახელმწიფოებრივი ცხოვრების წესად იქცა და რომ ამ ტყუილისა თვითონაც სჯერათ.

ავტორი ერთგან აღნერს კარლსრუეს შემკრებ და გამანანილებელ პუნქტში არსებულ ვითარებას და მას 21-ე საუკუნის საკონცენტრაციო ბანაკს უნიდებს გაზის კამერების გარეშე. აი, ამ ბანაკები არიან თავმოყრილი ეს ბრძოლას განრიდებული პროტესტანტები. სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, იქ თურმე საქართველოდან ოცდაათ წლამდე ასაკის ახალგაზრდებია ძირითადად წარმოდგენილი. ამ ახალგაზრდების თითქმის 90% ნარკოტიკებს იკეთებდა და სასმელი, პურმარილი, რათემა უნდა, ვის რაში აინტერესებდა (დასახ. წიგნი, გვ. 83). სხვათა შორის, აი, საიდან მოდის „გირჩული“ – ფსევდოლიბერალური შედარება ნარკოტიკული თრობისა ქართულ სუფრასთან, კახურ ღვინოსთან, ქეიფთან.

ესეც წინასწარ გამიზნული ქმედებაა, ქართული სტუმარ-მასპინძლური ტრადიციის წინააღმდეგ მიმართული, რომელმაც, გაარღვია რა რუსული სივრცე (სადაც დიდი პოზიტიური მუხტი დატოვა), აღფრთოვანებამდე მისული მოწონება დაიმსახურა უკიდურესი აღმოსავ-

ლეთიდან (იაპონია) უკიდურეს დასავლეთამდე (აშშ). ესეც შედეგია იმ დიდი ღალატისა, რომელიც მოხდა 1991/92 წწ. დეკემბერ-იანვარში.

ამდენად, ცრუ არჩევნებით ხელისუფლებაში მოკალათებული სახენაცვალი ნომენკლატურულ-კრიმინალური მაფიის, დოლარებზე გაყიდულ პოლიტიკოსთა და მათი მეგზური, შავი ფულის გარეცხვით გაბანკირებული ფინანსური ოლიგარქის მიერ კატასტროფის პირამდეა მიყვანილი ქვეყანა. ეს წრე შევსებული და „გალა-მაზებული“, გალიბერალებული „ნითელი ინტე-ლიგენციიაა“; სინამდვილეში ცრულიბერალთა კასტით რომ ქმნის იმ ფსევდოსოციუმს, რომლის მსგავსი რამ უცნობია დემოკრატიული სის-ტემების დღემდე ცნობილი ყველა ფორმისთვის. ასეთ უკიდურეს მდგომარებამდე მათ მიიყვანეს ჩვენი მომავლის იმედი – ახალგაზრდობა.

იმავე ატორის თქმით: მშობლიურ მიწიდან გაქცეულები ხმამაღლა კი არა, ერთმანეთსაც ძლიერ უმხელენ ეროვნებას. ქართველებს ქურდობით ისე აქვთ სახელი გატეხილი ევროპაში, რომ მათ შეგნებულად ანანილებენ ისეთ ადგილებში, სადაც მოსაპარავი თითქმის არაფერია. ავტორს იქვე მოჰყავს დასრულებული სქემა კრიმინალური ოპერაციისა: ქართველი-მაღა-ზია-მოპარვა-გაყიდვა-ზანგი-ნარკომანი.

აი ბედისწერა ჭეშმარიტებისა და ღირსების-თვის ბრძოლას გარიდებული ახალგაზრდებისა და ყოველივე ეს შედეგია იმ დიდი ღალატისა, რომელიც ჩადენილ იქნა 1991/92 წწ. მიჯნაზე და რომლის გამოვლინებაც დღემდე გრძელდება და ანადგურებს ქართულ იდეას. აი, ამ დიდი ღალატის გამართლებას ელტვიან როგორც ხელისუფალი, ასევე მთელი ეს სოციუმი და მათი ისტორიკოს-იდეოლოგები. ამიტომ ისინი ყოველგვარ ღონეს ხმარობენ, რაც შეიძლება უფრო ღრმად ჩაძირონ სიცრუის ჭაობში საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის იურიდიული ფაქტის მნიშვნელობა, მიჩქმალონ მისი სამართლებრივი და საკანონმდებლო საფუძვლის როლი საერთაშორისო არენაზე.

მაპასადამე, პუტჩისტური ალიანსის ეს მემკვიდრეები ებრძვიან ქართველი ხალხის უმაღლესი ნების გამოხატულებით ფორმირებულ ფუძემდებლურ დებულებას, რომ უზენაესმა საბჭომ რეფერენდუმზე გამოხატული ხალხის ნების გათვალისწინებით მსოფლიოს ცივილიზებულ ერთა ნინაშე გამოაცხადა საქართველოს

დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღ-დგენა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე, რათა საქართველომ დაი-კავოს ღირსებული ადგილი მსოფლიოს სუვერენულ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში. მათი სამიზნეა ამ დებულების პირველი არსებითი, ფუძემდებლურ-სამართლებრივი ნაწილი და მის მიჩქმალვას ცდილობენ დებულების მეორე – ისტორიული საფუძვლის პირველ პლანზე წამოწევით და აქცენტის 1918 წლის 26 მაისზე გაკეთებით. ისინი ისტორიის სახელმძღვანელოში ასე წარმოაჩენენ ამ დებულებას: „9 აპრილს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე“ (საქ.ისტ. გვ.524, თბ. 2006 წ.). ეს არაა ფაქტის უბრალო დამახინჯება, ესაა ღალატი, მიზანმიმართულად ჩადენილი არა მარტო მომავალი თაობების მოსატყუებ-ლად, არამედ სახელმწიფოებრივი არსებობის ფუძემდებლური აქტის არსის გასამრუდებ-ლად. ამიტომ აუცილებლად მიგვაჩნია კიდევ ერთხელ მივმართოთ ისტორიულ წიაღსვლას და სრულად წარმოვაჩინოთ სახე ხუნტისტური ალიანსიდან შობილი ფსევდოსოციუმისა, რომელიც ანადგურებს ქართულ დამოუკიდებელ სახელმწიფოებრიობას, ყოველივე იმას, რასაც წლების განმავლობაში თავდაუზოგავი ბრძოლით ესწრაფვოდა ქართველი ხალხი.

თუკი იმ შორეულ ოთხმოცდაათიანებში ლაპარაკი იყო საოკუპაციო ჯარის გაყვანაზე, დღეს ბევრად უფრო მძიმე დღეშია ჩვენი ქვეყანა: ოკუპირებულია ქვეყნის 20-25%; ის კი არა, სრულად ანექსირებულია აფხაზეთი და სამაჩაბლო; მინასთანაა გასწორებული ბრძოლით მოპოვებული თავისუფლება და დამოუკიდებლობა, იმპერია ყოველ წუთას გვემუქრება სრული ინკორპორაციით.

მრავალპარტიული, დემოკრატიული არჩევნების გზით მოპოვებული კონსტიტუციური მმართველობა, რომელიც გარეშე ძალების თანადგომით გაანადგურა უკანონო, ძალადობრივმა ხელისუფლებამ, თვით სახალხო რევოლუციამაც ვერ დააყენა ფეხზე“, დღეს ის სულ ღაფავს.

ქვეყნად ისევ იმძლავრა სახელმწიფო კრიმინალმა და კორუფციამ, პრორუსულმა კოლაბორაციონალურმა ძალებმა, რომლებიც სხვადასხვაგვარი ფსევდოეროვნული ლოზუნგებითა და ქმედებებით სინამდვილეში წარმოადგენენ

რუსულ მეხუთე კოლონას, შევსებულს სხვადასხვა დონის პარტიული თუ ე.ნ. საზოგადოებრივ ორგანიზაციათა შტრაიკრეხერებითა და წმინდა წყლის მოღალატეებით.

ამიტომ, საქართველოს მოსახლეობამ ახალი ძალით უნდა გაშალოს ბრძოლა არა მარტო ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეის ასაღორძინებლად, არამედ ამ იდეათა ცხოვრებაში განსახორციელებლად. მისი უმთავრესი მიზანი უნდა იყოს საოკუპაციო ჯარების გაყვანა ოკუპირებული ტერიტორიებიდან, საოკუპაციო რეჟიმის მოხსნა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში. ეს პროცესი უნდა დაიწყოს 2008 წლის აგვისტოს „სარკოზის ხელშეკრულების“ საფუძველზე და გაეროს, ევროსაბჭოსა თუ ევროკავშირის, სხვადასხვა საზოგადოებებისა და ორგანიზაციების დადგენილებათა აღსრულების მოთხოვნის სახით.

რაც შეეხება ყოველივე ამის პრაქტიკაში განხორციელებას, ამ შემთხვევაში არაა საჭირო ახალი ველოსიპედის გამოგონება. რუსული საოკუპაციო ჯარებისგან თავდასხის, ამ რეგიონებში კანონიერების აღდგენის, ქვეყნად ჭეშმარიტი დემოკრატიზმის დამყარების და თავისუფალი საზოგადოების შექმნის ეს გზა ზეიად გამსახურდიამ ჯერ კიდევ 1992 წლის 24 მარტის მიმართვაში დასახა. პრეზიდენტი წერდა: „ეს ყოველივე შესაძლოა განხორციელდეს წინააღმდეგობის ერთიანი ფრონტის შექმნით, სრული ეროვნული და სამოქალაქო დაუმორჩილებლობით...“ მოცემული მომენტისთვის თუ სახელმწიფო მოიშლის შტრაიკრეხერობას საკუთარი ხალხის მიმართ და უარს იტყვის კოლაბორაციაზე რუსულ იმპერიალიზმთან, მაშინ, რა თქმა უნდა, „დაუმორჩილებლობას“ ჩაანაცვლებს „თანხმობას“; ე.ი. ერთიანი ფრონტი ამ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და ეფუძნება სრულ ეროვნულ და სამოქალაქო თანხმობას (შეადარ. ტ. III, გვ. 30/31).

ასეთი თანხმობის იდეა დიდი ხანის ხალხის მოთხოვნადაა ქცეული, მაგრამ, სამწუხაროდ, ალიანსური სოციუმის მიერ მოყვანილი და დასმული ყველა ხელისუფლება სიტყვით განალიდებს ამ იდეას სამოქალაქო თანხმობისას, მაგრამ სინამდვილეში ებრძვის მის ყოველგვარ გამოვლინებას, არაფერი რომ არ ვთქვათ რევოლუციამდელი ხელისუფლების ორაპირობაზე და მოღალატურ ბუნებაზე.

რევოლუციურმა ხელისუფლებამ კი ზურ-

გი შეაქცია მისი არსებობისთვის აგრერივად აუცილებელ ამ საზოგადოებრივი თანხმობის იდეას. მიუხედავად ეკლესიაში, ლვთისა და ერის წინაშე მათ მიერ დადებული ფიცისა, რომ ივლიდნენ სამოქალაქო თანხმობის გზით, მასში მოკალათებულმა ფსევდოლიბერალებმა და კონტრრევოლუციურმა პრორუსულმა ელემენტებმა სწორედ ეროვნულ თანხმობას შეუტიეს და წირვა გამოიყვანეს მას.

ისე აღმოჩნდა, რომ ამით რევოლუციურმა იდეალებმა ჭირი მოგვჭამა. აღმოჩნდა, რომ თურმე ხელისუფლებამ საკუთარ თავს ხარაკირი მოუწყოდა ყველაფერი დასრულდა მშვიდობიანი კონტრრევოლუციით. გზა გაეხსნა რუსულ მრავალსახოვან ძალას.

\* \* \*

ჯერ კიდევ ამ ოცდახუთი წლის წინათ დიდი დალატის ანატომიაზე მიუთითებდა დევნილი პრეზიდენტი და გვთავაზობდა მისი დაძლევის ერთადერთ სწორ გზას.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქტორის ქალბატონი მარიკა აბაიშვილის ვრცელ, ფაქტობრივად მიმოხილვით კითხვაზე პასუხობს პრეზიდენტი:

„რედ. – მიმდინარე მოვლენებმა თავალნათლივ დაგვანახა, რომ სიკეთის წინააღმდეგ მიმართული ძალები (სუკი, კომპარტია, კომკავშირი, კრემლი და ა.შ.) ახერხებდნენ წლების მანძილზე მომხიბლავი ნიღბების მორგებას საკუთარი რეკრუტებისათვის. მაგალითების მოყვანა შორს წაგვიყვანდა. დღეისათვის გამუღანებული ბინძური ადამიანების „ერისკაცობა“ სავსებით რეალურად გამოიყურებოდა სულ მცირე ხნის წინათაც კი და ბევრიც მოვტყუდით.

საკამათო არ უნდა იყოს, რომ თავისუფლებისათვის მებრძოლის ქურქში გახვეული სუკის აგენტი გაცილებით უფრო საშიშია და გაცილებით მეტი ზიანის მომტანი, ვინემ გაცხადებული ჩეკისტი. ასეთივე სავალალო შედეგებამდე მივყავართ საქმისადმი უპასუხისმგებლობა, ანგარბიან დამოკიდებულებას, იმისდა მიუხედავად, ამას სუკის აგენტი ამჟღავნებს თუ, უბრალოდ, არამზადა. ასეთი მაგალითებიც ბევრი იყო ჩვენ შორის.

გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ასეთი ადამიანებისგან ჩვენ სრულად განვთავისუფლდით დღეს, მეტადრე კი, რომ სახვალიოდ კვლავაც არ შემოგვეჯარებიან ისინი.“

დღეს, ამ ინტერვიუდან 25 წლის შემდეგ, ამ მოღალატური სოციუმის მხრიდან „შემოჯარ-

ვის“ პროცესმა აპოგეას მიაღწია, ამიტომაც  
პრეზიდენტის პასუხი არა მარტო ცნობადაა  
მისაღები, არამედ **სახელმძღვანელოდ** უნდა  
გავიხადოთ ის“.

„დიდი ახსნა-განმარტებითი მუშაობაა საჭირო, რათა ფართო მასებს შევაგნებინოთ, თუ რაში მდგომარეობს დღეს სიკეთის წინააღმდეგ მიმართული ძალების ტაქტიკა. ეს არის უაღრესად დახვეწილი დემაგოგია. ახალი „დემოკრატიული და ქრისტიანული“ ნიბლების მორგება. ცხვრის ტყავში გახვეულ მგლებს, სამწუხაროდ, ყოველთვის ვერ ცნობდა ხალხი. იყვნენ აშკარა აგენტები, კრემლისა და სუკის ღია ემისრები, მაგრამ უფრო საშიშნი იყვნენ და არიან „წყალქვეშა ნავები“ და „ტროას ცხენები“, რომელთაც გადამწყვეტი როლი ითამაშეს ხალხისა და საზოგადოების დაბნევაში, მოტყუებაში. საბჭოთა პერიოდში მათ „დისიდენტების“, „სახელებიც კი ჰქონდათ, ან „ნეიტრალური“ ინტელიგენტების, „რეალისტების“ და ა.შ. ყოველ შემთხვევაში, არავინ იცოდა მათი ნამდვილი მისაია, როდესაც მე ვამხელდი ასეთ პიროვნებებს, თვით ჩვენს მომხრებშიც კი გაისმოდა უკმაყოფილო ხმები: „აჭარებს“, „აზვიადებს“, „ყველგან აგენტები ერვენება“. ახლა კი ვრწმუნდებით, რომ თურმე მეც არ მქონია სრული ინფორმაცია ყველას შესახებ, იმდენად ოსტატურად ინილბებოდნენ ისინი.

რედ. – ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგაჩნიათ თუ არა, რომ კანონიერების აღდგენისთანავე ხელისუფლება და მთავრობა უპირველესად საკუთარი თავის მიმართ უნდა გახდეს ზედმინებით მომთხოვნი და ფხიზელი, რათა მომავალში არავითარი ძალაუფლება არჩაუვარდეს ხელში მათ, ვისთვისაც საკუთარი პატივი უფრო ლირებულია, ვიდრო საქმე.

პრეზიდენტის მიერ გვიცილებული აქტების შემთხვევაში მართვის უფრო მომთხოვნი უნდა გავხდეთ, უფრო მკაცრნი, შეცდომებისაგან არც ჩვენ ვიყავით დაზღვეულნი, მაგრამ როგორც იტყვიან, „ზოგი ჭირი მარგებელია“.

დღეს უფრო მეტი ვიცით საკუთარი შეც-  
დომების შესახებ, უფრო დაზღვულნი ვართ  
შენილბულთა ხრიკებისა და ფანდებისაგან. ჩვენ  
არ უნდა ვემსგავსოთ ბურბონებს, რომელთაც  
საფრანგეთის რევოლუციამ არც არაფერი შემა-  
ტა და არც არაფერი ასწავლა“ (კრებული, ტ. III,  
გვ. 219–220, 1993 წლის 17 იანვარი).

ბატონი ზვიადის ეს დახასიათება მაშინდელი სიტუაციისა ზედმიწევნით, ის კი არა, მეტადაც მიესადაგება დღევანდელ ვითარებას. დღეს უფრო რთულია, სრულ გაუგებრობაში მოქცეულ მასებს შეაგნებინ „სიკეთის წინააღმდეგ მი-

მართული ძალების ტაქტიკა”, დავანახოთ მათ, „ახალი დემოკრატიული“ და „ქრისტიანული“ ნიღბების მიღმა არსებული ფაქტობრივი სახე მოღალატეთა, მათი „უაღრესად დახვეწილი დემაგოგია“, რომ ისინი წარმოადგენენ „ცხვრის ტყავში გახვეულ მგლებს“; შევახსენოთ პატიო-სან ხალხს, რომ ისინი, სამწუხაროდ, ყოველთვის ვერ ცნობდნენ ამ მგლებს, რომ განსაკუთრებით საშიშნი არიან „წყალქვეშა ნავები“ – იგანიშვი-ლები და ოლიგარქია და „ტროას ცხენები“ – ზურაბიშვილები და მათი დასი. ისინი მოსისხლე მტრები იყვნენ და არიან კანონიერი ხელისუფ-ლებისა და პირადად ზვიად გამსახურდიასი.

ბატონი ზვიადი ბრძანებს: ამ „ტროას ცხე-ნებმა“ თავის დროზე დისიდენტური იმიჯიც კი შეიქმნეს. სინამდვილეში კი არავინ უწყოდა შათი ნამდვილი მისია. ისინი დღეს კიდევ უფრო სრულყოფილად ინილბებიან ამ ფსევდოლემოკრატიზმითა და ფსევდოდასავლურობით და ანადგურებენ დამოუკიდებელ ქართულ სახელმწიფოებრიობას, ეროვნულ სულიერებასა და ქართულ იდეას.

ამ უდიდესი ლალატის საწანააღმდეგო წა-  
მლის გამოგონება არ დაგვჭირდება, თუკი  
გონების თვალს მივაპყრობთ ბატონი ზვიადის  
რჩევებსა და მოწოდებებს, რომ უფრო მომთხოვ-  
ნი, უფრო მკაცრი უნდა გავხდეთ ჩვენი თავის  
მიმართაც. მუდამ გვახსოვდეს, რომ შეცდომე-  
ბისაგან არც ჩვენ ვიყავით დაზღვეულნი. დღეს  
უფრო მეტი უნდა ვიცოდეთ ამ შეცდომების მი-  
ზეზთა შესახებ და მეტად არ უნდა გავიმეოროთ  
ის. კონკრეტულად: უნდა ვისწავლოთ ჩვენც და  
ხალხსაც უნდა განვუმარტოთ ამ „წყალქვეშა  
ნავებისა“ და „ტროას ცხენების“ არსებობის,  
მათი საქმიანობის უკიდურესი მავნებლობის  
შესახებ, დაზღვეულნი უნდა ვიქნეთ შენიღბულ-  
თა ხრიკებისა და ფანდებისაგან. მათ ფანდებში  
გახვეულნი წუ ვისვრით როყიო სიტყვებს, ვი-  
ღაცის მიმართ ჩვენი პირადი მტრული დამო-  
კიდებულების თუ პოლიტიკურ სიტუაციებში  
სრული გაურკვევლობის გამო წუ გავხდებით ამ  
ტრამალის მგლების კერძის.

მე არ დავიწყებ რაიმე ახალი პოსტულატის შემოთავაზებას, ეს მრავალჯერ გაუკეთებია უზადო ერისკაცია და თანამედროვე დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფო ბრიობის შემოქმედს (მიუხედავად 90-იანი წლების თითქმის მთელი პოლიტიკური სამყაროს წინააღმდეგობისა), პირველ პრეზიდენტს, ზემოთ მოყვანილ მსჯელობაში არც ის ამოდის მხოლოდ საკუთარი თავიდან, არამედ გვთავაზობს დემოკრატიული სამყაროს შემოქმედთა საწყისიერი გამოცდილებიდან მომდინარე სიტყვათქმის პერიოდრაზა:

„ჩვენ არ უნდა ვემსგავსოთ ბურბონებს, რომელთაც საფრანგეთის რევოლუციამ არც არაფერი შემატა და არც არაფერი ასწავლა“. ბურბონებისა რა გითხრათ და ფაქტი ისაა, რომ ჩვენს შემთხვევაში, ამ პუტჩისტური ალიანსიდან მომდინარე ფსევდოსოციუმს ვერც კანონიერი ხელისუფლების დამხობის შედეგებმა და ვერც „ვარდების რევოლუციის“ ქაცვებმა ასწავლეს ვერაფერი და დღეს მივიღეთ უკიდურესად გამნვაცებული სიტუაცია, როცა პროვინციულ-კრიმინალური ოლიგარქიზმი თავის აპოგეას აღწევს და „წყალეჭვეშა ნავებისა“ და „ტროას ცხენების“ ალლუმი ეწყობა.

მაშასადამე, თუ რეალურად შევხედავთ სიტუაციას, ბევრ რამეზე პასუხისმგებელი თითოეული ჩვენგანიცაა, ვინც ამ პოსტპუტ-ჩისტური სოციუმის ელიტურ მმართველობაში არ მონაწილეობს, ვინაიდან თითქმის დავივიწყეთ ბრძოლის ის მიმართულება, რომელზედაც მივითოთებდა პრეზიდენტი და, სამწუხაროდ, გამოვიმუშავეთ რაღაც მუდმივად მოქმედი თავგასამართლებელი იმუნიტეტი რუსეთის იმპერიის ვერაგობისა და მათი ადგილობრივი ემისრების მოღალატური ქმედების ნახევრად მკვეთრ ტონში მოხსენიებისა.

სამწუხაროდ, ეს დიდწილად დასჩემდათ ეროვნული ხელისუფლების მომხრე ინტელიგენციას, რამაც ისინი მიიყვანა უპრინციპობამდე და ყოველგვარი მკვეთრი მოძრაობების გარეშე მიჰყებიან სახელისუფლებო კომპასის მიერ ნაჩვენებ გეზს, ის კი თითქმის ყველა შემთხვევაში და ყველა საჭირო რეაგირების სიტუაციაში, კანონიერი ხელისუფლების დამხობის შემდეგ, არასწორ მარშრუტს სახავს და გვამყოფებს მუდმივ დაძაბულობაში. **დაბნეულობა და უგზო-უკვლობა ჩვენი არსებობის თანმდევ და განუყოფელ ნაწილად იქცა.**

ამიტომ მინდა შევახსენო დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენაში მონაწილე და მისი შენარჩუნებისთვის მებრძოლთ, ჭეშმარიტად პატრიოტულ-ანტიოკუპაციურ და ანტიოლიგარქიულ ძალებს, თავიანთი გულისყური მიმართონ ზვად გამსახურდიას მიერ დასახული ერთადერთი სწორი გზისკენ, რომ ყოველ უამს და ყოველ სიტუაციაში, როცა გვიხდება ბრძოლა შავბნელი ძალების წინააღმდეგ, „**საჭიროა ერთიანი შეტევა საყოველთაო მხილების გზით**“, ესაა გზა კანონიერებისა და სამართლიანობის გამარჯვებისა. ეს კი მოითხოვს „**ყველა ჭანსალი ეროვნული ძალის კონსოლიდაციას... რათა ვიხსნათ ერი დალუპვისგან**“ (იქვე, გვ.219). მაშინ ეს არ გააკეთეთ, ახლა კი თვალნათლივ ვხედავთ, ჩვენდა დასაღუპად, რამდენად შორს შევედით

ამ პერმანენტული ლალატის უღრან ტყეში.

\* \* \*

ალბათ დადგა დრო მოვეტვათ უაზრო ყბე-დობას და წამდაუწუმ წაჯექ-უკუჯექობას „ნაცებიდან-ქოცებამდე“ და უაზრო ბორიალს ამ ლალატიანთა წრეში. რა თქმა უნდა, ჩვენ მხედველობაში არ გვაქვს, სახელმწიფო სისტემების გავლით ამ პროცესში გინდა თუ არა ჩართული ფართო ფენები, არამედ ის სახელმწიფოს წარმმართველი პოლიტიკრე, რომლებიც გეგმაზომიერად ანადგურებენ ყოველივე ფუქემდებლურს, რომელზედაც დგას მკვდრეთიდან ალმდგარი ქართული დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა.

ამ პროცესს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის საფუძველთა საფუძვლის მოშლისა შევარდნაძის ჩამოსვლის დღიდან მიეცა ორგანიზებული ხასიათი. ის სათავეს იღებდა ე.ნ. ოპოზიციონერთა საქმიანობიდან, რომლებიც „ნითელ ინტელიგენციასთან“ ერთად ახალი პუტჩისტური ალიანსის მთავარ საფუძველს წარმოადგენდნენ. ისინი ედუარდის ინტერნაციონალურ-ორგანიზატორული „ნიჭით“ გაფორმდა ფსევდოსოციუმად. მათ პირველივე შეტევა სწორედ ამ საფუძველთა საფუძველზე – 9 აპრილის დამოუკიდებლობის აქტზე მიიტანეს. შევარდნაძის ჩამოსვლიდან ერთი თვის თავზე 9 აპრილი – ქართული სახელმწიფოებრიობის მკვდრეთიდან აღდგენის დღე კი არ აზეიმეს ხალხს, არამედ ის გლოვის დღედ გაუხადეს ერს. ამით ედ. შევარდნაძემ, 1989 წლის 9 აპრილის ხოცვა-ულეტის ორგანიზატორმა, სრულად აღისრულა თავისი სურვილი, როგორც ჩაფიქრებული ჰქონდა: აიღო სრული რევანში მაშინდელი მარცხისთვის. საყოველთაო დემოკრატიული არჩევნების გზით ლეგიტიმირებული ხელისუფლება – დამოუკიდებელი სახელმწიფო მმართველობა, სახალხო არჩევნებით არჩეული პრეზიდენტი დამხობილ იქნა, ხოლო უდიდესი ბრძოლითა და ძალისხმევით აღდგენილი სახელმწიფოებრიობის გამოცხადების დღე ზარისა და გლოვის დღედ აქციეს, რათა სამითაურიოდ ჩარჩენდა ხალხს გულში „მისი საყვარელი სამშობლოს“ (ზ.გ.) – რუსული იმპერიის წინაშე შიში და ძრწოლა, ჩაეკლა აბობოქრებული სული კოლხ-იბერული მოდგმისა. ის ამას ამკვიდრებდა ცეცხლითა და მახვილით, ცდილობდა, ხალხის გონებიდან ამოეშანთა ამ უდიდესი დღესასწაულის იმთავიდანვე დადგენილი არსი, რომ „სიმბოლურია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადება 9 აპრილს. ვინადან ამ დღეს გადაწყდა საქართველოს ბედი, 9 აპრილს

წამებულთა სულები დაგვცეკერიან ჩვენ, და ხარობენ ზეციერ ნათელში, რამეთუ აღსრულდა ნება მათი, აღსრულდა ნება ქართველი ერისა” (კრებ. ტ. I, გვ. 335). დიახ, როგორც ყოველთვის, ხალხის ამ წებას უპირისპირდებოდა ე.წ. დემოკრატიული რუსეთის მიერ დასმული ეს ე.წ. დემოკრატი, რათა ხალხს არ ჰქონოდა თავისი დიადი ნების აღსრულების შესაბამისი ეროვნული, სახელმწიფოებრივი, ნამდვილად სახალხო დღესასწაული.

**ამ დღეს ერთი არა მარტო ამქვეყნიურად აღივსებოდა თავისი მოდგმის მრავალსაუკუნოვანი ოცნების ახდენის სიხარულით, არამედ ის სულიერადაც დაუკავშირდებოდა 9 აპრილს წამებულთა სულებს, ყველა იმათ სულებს, რომელთაც საუკუნეთა მანძილზე თან ჩაიყოლიეს ეს აუხდენელი ოცნება თავისუფლებისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და იქნებოდა ერთი დიდი ზეიმი მიწიერი და ზეციერი საქართველოსი.**

აი, რა დიდებულება წაართვეს ხალხს პუტჩისტური ალიანსის ხელისუფლებამ და მის მიერ ფორმირებულმა ფსევდოსოციუმმა, უფრო ანტისოციუმმა – უცხო სხეულმა კოლხ-იბერიული მოდგმის ერთიან ეროვნულ სხეულში.

მას ვერაფერი დააკლო ამ მოლალატურ-ანარქიული რეჟიმის დამამხობელმა რევოლუციამაც, რომლის სათავეში მოქცეული ელიტის უდიდესი ნაწილი ვერ განთავისუფლდა პუტჩისტური ალიანსის იდეოლოგიისგან და თვითონაც ჩარეულ იქნა ამ მორევში.

ზემოთ ითქვა და გავიმეორებთ: **პოსტრევოლუციურმა მმართველობამ საკუთარ უბეში გამოზარდა კონტრევოლუცია, რომელიც ახალ ხარისხში და ახალი ფორმით სრულდა დაღადგენს პოსტპუტჩისტური იდეოლოგიას ფსევდოსახელმწიფოებრიობისას. ის მინასთან ასწორებს ყოველივე იმას, რაც დაკავშირებულია კანონიერი ხელისუფლების მიერ მიღებულ ფუძემდებლურ აქტებთან და მისგან მომდინარე პროცესებთან, თუ როგორ აკეთებენ ამას ეს პოსტპუტჩისტური ფსევდოსოციუმი და თანამედროვე კონტრევოლუციური პროვინციულ-ოლიგოგარქიული მმართველობა, ამაზე საკმარისად ითქვა ამ კონკრეტული საკითხისადმი მიძღვნილი წერილის ისტორიულ და პოლიტიკურ მიმოხილვითს ჩანართებში.**

ამიტომ ნათელი უნდა იყოს: ეს თითქოსდა წმინდად სუბიექტური (ზეიმის) საკითხი უდიდეს ისტორიულ-პოლიტიკურ პრობლემებთან არის დაკავშირებული და მისი გადაწყვეტა შესაძლებელია ოდენ საერთო-სახალხო ძალისხმევით, რომელზედაც გამუდმებით მიგვითოთებდა ზვიად გამსახურდია და რაზედაც ზემოთ ითქვა,

რომ აუცილებელია ყველა ჯანსაღი ეროვნული ძალის კონსოლიდაცია. **დღეს ასეთი კონსოლიდაციის გზა ეროვნულ თანხმობაზე გადის.** ამის აუცილებლობაზე თითქოსდა ყველანი (მხედველობაშია ზვიადის მიერ მითითებული ფენა) თანხმდებიან; ის კი არა, ყოფილ და ახლანდელ ხელისუფლებსაც სულ ენაზე აკერიათ, მაგრამ საქმით ყველანი მტრობენ ამ პროცესს. ის კი არა, ორგანიზაციულად არსებული ასეთი ორგანიზაციები (პროტოტიპების ჩათვლით) განადგურდნენ, ერთადერთი დღემდე იურიდიულად არსებული ეროვნული თანხმობის კავშირიც არა მარტო ეკონომიკურ სახსარგამოცლილ, არამედ ირგვლივ არსებული მუდმივი ლალატისა და უპრინციპობის პირობებში სულიერადაც შელახული გარიდებია არა მარტო ამ საშინელებას, არამედ საკუთარ თავსაც. ამიტომ, დღეს არ ჩანს ისეთი ძალა, რომელიც აღასრულებდა განადგურებული ეროვნულ-განმათავისუფლებული მოძრაობის მისიას და აიძულებდა ამ აშკარად ანტიხალხურ ხელისუფლებას, ამ უდიდესი ეროვნული დღესასწაულისთვის თავისი კუთვნილი ადგილი რომ მიეჩინა.

მიუხედავად ასეთი მძიმე ვითარებისა, ჩვენ არა გვაქს უფლება ყურების ჩამოყრისა, ვალდებული ვართ, ის მანც გავაკეთოთ, რომ ბოლო მოვულოთ ბნელეთიდან ხელოვნურად გამოხმბილ სინამდვილეში არარსებულ დაპირისპირებას 1918 წლის 26 მაისისა და 1991 წლის 9 აპრილის დღესასწაულებს შორის, რაც ასე ცხადად წარმოჩინდა ზემოთ მოხმობილ ისტორიულ თუ პოლიტიკურ მიმოხილვებში.

\* \* \*

ამ მიმოხილვებითა და წიაღსვლებით ჩვენ თითქოსდა ზედმეტად დავამძიმეთ ეს კონკრეტული, ერთი შეხედვით სუბიექტური პრობლემა და თემას გადავუხვიეთ, მაგრამ ფაქტი ისაა, რომ ამ ორი აქტის ურთიერთმიმართების საკითხის გადაწყვეტა და მათოვის კუთვნილი ადგილის მიჩნევა ჩვენი ეროვნული დღესასწაულებისა და განსაკუთრებული თარიღების რიგში – ეს კომპლექსური კვლევის საკითხია, ვინაიდან სწორედ რომ შიდაპოლიტიკური, პარტიული დაპირისპირებულობის (თუნდაც სოცდეპებისა და ეროვნულ-დემოკრატებისა, არაფერი რომ არ ვთქვათ პუტჩისტურ ალიანსზე) შედეგადაა ხელოვნურად შექმნილი.

ეს საკითხი წმინდა პოლიტიკურ ჭრილში, ეროვნული თანხმობის პრობლემის პრინციპითაა გადასაწყვეტი, ვინაიდან ზემოთ მიმოხილულ გაუკულმართებათა შედეგად ის ერთ-ერთ საჭირობოტო საკითხადა გადაქცეული. მის

გონივრულად გადაწყვეტაზე ბევრადაა დამოკიდებული ჩვენი სახელმწიფოებრიობის არსებობის არა მარტო ფორმალური მხარე, არამედ მისი არსობრივი კონტექსტი როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო არენაზე.

ასეთია ის ისტორიული და რეალურ-პოლიტიკური დანაშრევები, რომლებიც აყალიბებენ ჩვენი ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის ფუძემდებლური აქტების ეგზისტენციას, ე.ი. რაც განსაზღვრავს მათ ბედ-ილბალს, არსებობის საზრისსა და შესძენს მათ ახალ სიცოცხლეს. ამიტომ აუცილებელია ამ აქტებისადმი ორგვარ – დისპარაციულ მიღვომათა მაფორმირებელი მოტივების აღმოფხვრა.

ამდენად, დღეს ის მაინც უნდა შევძლოთ, რომ ისტორიულ-პოლიტიკური, თუნდაც მეცნიერული კეთილსინდისიერების ფარგლებში, თეორიულ დონეზე გადავწყვიტოთ ეს ხელოვნურად ერთმანეთს ძალიან დაშორებული მიღვომა ამ ეროვნულად და სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი საკითხისა. ასეთ შემთხვევაში მას შეუძლია საფუძველი დაუდოს ეროვნული თანხმობის ასევე ხელოვნურად მიგდებული პროცესის რეალურ განახლებას ამ კონკრეტული მაგალითით.

ამიტომ ჩვენ არ უნდა ვკავშიროვილდებოდეთ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდენის აქტისთვის მისი კუთვნილი ადგილის მიჩნით უსაქმურთა თავშესაფრად და საკამათოდ ქცეული პარლამენტის შენობაში, არამედ ძირფესვიანად უნდა შეიცვალოს მისადმი მიღვომა. თუ ფორმალურ მხარეზე მიდგა საქმე, მაშინ, უპირველეს ყოვლისა, ქართულ პარლამენტს უნდა ამშვენებდეს საამაყო ლოზუნგები: „1990 წლის 31 მარტის რეფერენდუმი – საქართველოს მოსახლეობის სოლიდარობის დღე“ და „1991 წლის 9 აპრილი – საქართველოს სახელმწიფოებრიობის მკვდრეობიდან აღდგენის დღე“. მათზე უნდა იზრდებოდეს მომავალი თაობა, მათში ჩადებული იდეით უნდა ფორმირდებოდეს ის ნაციონალური ლირებულებანი, რომლის მატარებელიც უნდა იყოს ქართული სახელმწიფოებრიობა.

ფაქტი ისაა, რომ ეს არ არის რაღაც ფორმალურ დონეზე გადასაწყვეტი საკითხი, არამედ ეს არის დიდი სახელმწიფოებრივი პრობლემა. მისი გადაწყვეტა ძალუძის იმ ხალხს, ვისი საყოველთაო ნების გამოხატვითაც მკვდრეობიდან აღსდგა ქართული სახელმწიფოებრიობა.

ამდენად, ამ საკითხის ფუნდამენტურად გადაწყვეტისთვის აუცილებელია ეროვნული მობილიზება ცრუსახელმწიფოებრივი იდეო-

ლოგიის წინააღმდეგ, რომლის მეშვეობითაც ცდილობენ, მიჩქმალონ მშვიდობიანი დემოკრატიული გზით მოპოვებული ეს უდიდესი გამარჯვება ბოროტების იმპერიაზე, მიჩქმალონ ის, რომ 28 ოქტომბრის არჩევნებში გამარჯვება – ეს იყო დემოკრატიზმის პრინციპის გამარჯვება საბჭოთა ტოტალიტარიზმის პირობებში. დემოკრატიულობის თვალსაზრისით, ამ წამდევილად სახალხო არჩევნებთან მიახლოებული არჩევნებიც კი დღემდე ვერ ელირსა ქართველ ხალხს, ამიტომ სამხედრო-კრიმინალური პუტჩი სწორედ ამ დემოკრატიული პრინციპების სანინააღმდეგოდ იყო მიმართული. ამ ანტიდემოკრატიულ პრინციპზე შექმნილი ეს პოსტურულის ფსევდოსოციური დღემდე ინარჩუნებს პოზიციებს როგორც სახელისუფლებო, ასევე საბანკო-საფინანსო სისტემებში და ფსევდოდემოკრატიზმით ანადგურებს სახელმწიფოებრიობის ყოველგვარ თავისუფალ-სახალხო გამოვლინებას.

დღეს გამოსავალი ჭეშმარიტად ეროვნული და დემოკრატიული იდეების ირგვლივ ხალხის კონსოლიდაციისა. მისი განხორციელების საშუალებას კი წარმოადგენს ეროვნული თანხმობა ხალხისთვის უმთავრეს სასიცოცხლოდ აუცილებელ საკითხებში და, უპირველეს ყოვლისა, საყოველთაოდ თავისუფალი, რეალურად დემოკრატიული, მრავალპარტიული არჩევნების ჩატარებაზე, რომელსაც ჩატარებს არა დღევანდელ ცსკო, არამედ თანხმობის შედეგად შექმნილი საარჩევნო კომისია.

ამ დიდი საქმის პრელუდიად შეიძლება იქცეს ჩვენ მიერ აქ განხილული საკითხის – თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის აღდგენის ორ აქტის მათდამი ორგვარ მიდგომის საკითხის გადაჭრა. ამიტომ გვინდა მკითხველს დასკვნის სახით შევთავაზოთ ამ ვრცელი ისტორიული და პოლიტიკური მსჯელობებიდან და მტკიცებულებებიდან გამომდინარე ჩვენებული ვერსია.

\* \* \*

ზემოთ მიმოხილული ისტორიული თუ პოლიტიკური მასალის საფუძველზე, პირველ რიგში უნდა ჩამოვყალიბდეთ 1918 წლის 26 მაისის „დამოუკიდებლობის აქტის“ არსის საკითხზე და მას თავისი კუთვნილი ადგილი მივუჩინოთ სრულიად საქართველოს (კოლხ-იბერული მოდგმის) ნაციონალურ დღესასწაულთა და ლირსშესანიშნავ ქრონოსთა (უძველესიდან მომდინარე ლირსშესანიშნავ თარიღთა) რიგში.

მთელი რიგი მტკიცებულებებითა და მსჯელობებით დავრწმუნდით იმაში, რომ ერთმორწმუნე – მათი ქრისტიანულობის გამო მოხ-

## მურავან ზაქარაია

მობილმა – რუსეთის იმპერიამ საქართველოს სამეფო-სამთავროებს, ზოგადად ქართველ ხალხს, მთლიანად წაართვა პოლიტიკურად არსებობის უფლება, არაფერი რომ არ ვთქვათ სახელმწიფოებრიობაზე, ხელი მიჰყო მის დენა-ციონალიზებასა და გარუსებას, კულტურის ძირ-ფესვიანად ამოძირვას, ეკლესია-მონასტრების გაძარცვით დაწყებული მათი რუსულ ყაიდაზე გადაკეთებითა და შეღებვა-გადათეთრებით დამთავრებული. მაშასადამე, ქართველ ხალხს სრულად წაჰვარეს თავისუფლება.

ამდენად, 26 მაისის აქტით უპირველესად აღსრულდა ქართველი ხალხის, საქართველოს მოსახლეობის ღვთითმონიჭებული უდიდესი მოვალეობა რუსულ-მოვინისტური დესპოტის უდლისგან განთავისუფლებისა. ამაშია მისი უმთავრესი მისია, შემდეგ სხვა დანარჩენი: დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აშენების სურვილის გაცხადება იქნება თუ ამ დამოუკიდებელი სახელმწიფოს დემოკრატიულ პრინციპების საფუძველზე – რესპუბლიკის სახით – ფორმირება და დამოუკიდებლობის სხვა ატრიბუტების საერთაშორისო ნორმების ფუნდამენტზე აგება და ა.შ.

26 მაისის აქტისთვის განვებით მონიჭებული ძალის შედეგად გახდა იძულებული ლენინის საბჭოთა რუსეთი 1920 წლის ზავით ელიარებინა საქართველოს განთავისუფლება და დამოუკიდებელი არსებობა. სწორედ ამ ღვთიური მისისი – განთავისუფლების აღსრულების გამოიყო, რომ ოკუპაციისა და საბჭოთა დიქტატურის პირობებშიც კი ერთი ხელის მოსმით ბოლო ვერ მოუღეს მას და მცირე ხნით, მაგრამ მაინც დღესასწაულობდნენ ამ დღეს და მაშინ ის სინამდვილეში იყო განთავისუფლების დღის ზეიმი.

შესაბამისად, სწორედ ამ აქტის განმათავისუფლებელი მისისი საფუძველზე, მართალია, ფორმალურად, უკიდურესი შეზღუდული სახით, მაგრამ მაინც მოხდა სსრკ-ს კონსტიტუციაში მისი დაფიქსირება თავისუფალი რესპუბლიკის სტატუსით. მიუხედავად იმპერიის 70-წლიანი მცდელობისა, მოესპო 26 მაისის იდები, ჩა-ეკლა თავისუფლების სულისკვეთება, მან ეს ვერ შეძლო და როცა დადგა იმპერიის მწუხრი, კვლავ აფრიალდა 26 მაისის დროშები, კვლავ აღზევდა თავისუფლების სული და 1990 წლის 28 ოქტომბერს კვლავ აღსდგა დემოკრატიული რესპუბლიკა (ზეიდ გამსახურდია).

26 მაისის აქტში მოცემულმა ამ განმათავისუფლებელმა არსმა გახდა ის 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის საფუძველი და მასში გამოხატული ხალხის ნების განხორციელების წყარო, რომელიც დეკლარირებულ იქნა 1991

წლის 9 აპრილის საქართველოს რესპუბლიკის უზინაესი საბჭოს მიერ.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ცხადია, 1918 წლის 26 მაისის აქტის უმთავრესი დანიშნულება მისი საშუალებით ხალხისთვის (ერისთვის) ღვთით მონიჭებული განმათავისუფლებელი მისის აღსრულებაშია (განხორციელებაშია).

ამიტომ 26 მაისი არის საქართველოს რუსული-შოვინისტური იმპერიის 117-წლიანი მონობის (?) უღლისგან განთავისუფლების გამოცხადების დღე.

შესაბამისად, საქართველოს (კოლხ-იბურული მოდგმის), რამდენიმე ათასწლოვან, ღირსშესანიშნავ ქრონისთა და ნაციონალურ დღე-სასწაულთა რიგში 26 მაისი კონსტიტუციურად უნდა დავამკვიდროთ, როგორც საქართველოს რუსეთის იმპერიის უღლისგან განთავისუფლების საერთო-სახალხო დღესასწაული – „განთავისუფლების დღე“. ასეთი ფორმა ეროვნული დღესასწაულებისა მრავლადაა თანამედროვე ცივილიზებული ერების კალენდრებში, ე.ი. ეს საყოველთაოდ მიღებული ფორმაა სახალხო-ეროვნული დღესასწაულისა.

\* \* \*

„განთავისუფლების დღის“ არსში ნათლად იკვეთება, როგორც ეს თავის ადგილას გავარკვიეთ, სამი უმნიშვნელოვანესი ფუძემდებლური ღირებულებანი: კოლონიური უღლისაგან განთავისუფლება; საქართველოს მოსახლეობის (ერის) ნების გამოხატვა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნისა და მისი ფორმის – დემოკრატიული რესპუბლიკა – განსაზღვრისა. სწორედ ამ გარდაუცალ ღირებულებათა არსის მომცველობის კვალობაზე იქცა ის კონსტიტუციური (შიდა-სახელმწიფოებრივი) და ყველა საერთაშორისო ნორმების დაცვით დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენის ისტორიული საფუძველი, ხოლო 1991 წლის 31 მარტის სარეფერენდუმო კითხვაში მისი დაფიქსირებით მან შეიძინა სრული ხალხურობა და ახალი სიცოცხლე, ახალი ლეგიტიმაცია. ამით ის იქცა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადების შემადგენელ ერთ-ერთ კონსტრუქციად, რითაც მან მთელი თავისი პოლიტიკური მისია სრულად გადასცა 1991 წლის 31 მარტის საყოველთაო რეფერენდუმით გამოხატული ხალხის ნების განსაზღვრულობას, რომელითაც გაცხადდა: „ეყრდნობა რა 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმით გამოხატულ საქართველოს მოსახლეობის ერთსულოვან ნებას, ადგენს და საქვეყნოდ აცხადებს საქართველოს

სახელმწიფო ობრივი დამოუკიდებლობის აღ-  
დგენას საქართველოს დამოუკიდებლობის 1918  
წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე“.

1991 წლის 9 აპრილის აქტში დაფიქსირებული ამ დებულებით განისაზღვრა საკუთრივ ამ აქტის, როგორც ფუძემდებლური დოკუმენტის, სახელმწიფოებრივ- კონსტიტუციური მნიშვნელობა, ასევე, 1918 წლის 26 მაისის დოკუმენტის ისტორიულ-განმათავისუფლებელი არსი.

ამდენად, 1991 წლის 9 აპრილის „საქართველოს სახელმწიფო ბრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი“ და მის საფუველზე შექმნილი სტატუსი წარმოადგენს თანამედროვე ქართული სახელმწიფოს არსებობის საფუძვლისა და არსის გამსაზღვრელს, მის სუბსტანციას. შესაბამისად, უნდა გაქარჩყლდეს ყოველგვარი სკეპსისი ამ სახელმწიფო ბრივად მნიშვნელოვანი დღისადმი.

მაშასადამე, ერთდასამუდამოდ უნდა შევ-  
თამხმდეთ იმაში, რომ თანამედროვე ქართული  
სახელმწიფოებრიობის „მკვდრეთიდან აღდგე-  
ნის“ გამოცხადების ეს დღე – **9 აპრილი** წარმო-  
ადგენს სრულიად საქართველოს საყოველთაო  
– ნაციონალურ დღესასწაულს.

სათანადოდ, საზეიმო დღეთა ქრონიკში, მისი  
თანამედროვე პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი  
მნიშვნელობიდან გამომდინარე, მას უნდა დაუმ-  
კვიდრდეს ქვეყნის (სახელმწიფოს) უპირველესი  
დღესასწაულის სტატუსი. ამ კონტექსტიდან  
გამომდინარე, კანონმდებლურ საფუძველზე  
უნდა განისაზღვროს 26 მაისისა და 9 აპრილის  
დღესასწაულთა შინაარსობრივი და ფორმითი  
სტატუს—კვო.

\* \* \*

ამ ორ საზეიმო თარიღლთა სტატუს-კვოდან გამომდინარე, უნდა განისაზღვროს მათი საზეიმოდ აღნიშვნის ფორმა და შინაარსი.

- 26 მაისი – „განთავისუფლების დღე“ უნდა წარმოადგენდეს ისტორიული მნიშვნელობის მატარებელ **სახალხო დღესასწაულს**, შესაბამისად, მისი აღნიშვნაც უნდა ხდებოდეს სახალხო (სამოქალაქო), დღესასწაულის ფორმით, რომელშიც ერთმანეთში შერწყმული იქნება საერო-კულტურული და სასულიერო-სარწმუნო-ეპრივი ღონისძიებები ყველა კონსტიტუციური და საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების სრული დაცვით, როგორც ეს შეეფერება დემოკრატიული წყობის სახელმწიფოს.

მაგრამ, ამასთან, ამ ზეიმში განსაკუთრებული ადგილი უნდა დაიკავოს საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ, რომელმაც საქართველოს რუსული იმპერიის უღლისგან განთავისუფლების გზაზე პირველი კვალი გა-

ავლო საქართველოს სამოციქულო ეკლესიის  
ავტოკეფალიურობის მოპოვებით.

ამდენად, 26 მაისის – „განთავისუფლების დღის“ ზეიმი უნდა იყოს საერო და სასულიერო ზეიმის ერთიანი პროექტი, ნამდვილი სახალხო დღესაწაული, ნაკლები სახელმწიფო ძრიც-პოლიტიკური დატვირთულობით და მეტი კულტურულ-პატრიოტული მიზანსწრაფულობით.

- 9 აპრილი, როგორც მსოფლიოს ცივილური ბულ ერთა წინაშე საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფო ბრობის აღდგენის გამოცხადების დღესასწაული თავისი არსით წარმოადგენს პოლიტიკური მნიშვნელობის და საერთაშორისო ღირებულებების მატარებელ წმინდად ნაციონალურ სახელმწიფო დღესასწაულს. შესაბამისად უნდა წარიმართოს მისი აღნიშვნა, „ვინაიდან ამ დღეს გადაწყდა საქართველოს ბეჭი“ (ზ.გ.)

ეს დღესასწაული „აღცებული“ უნდა იყოს სახელმწიფო ბრივი აუცილებლობით ნაკარნა-სევი ღონისძიებებით და წარიმართოს სამხედრო და საერო (სამოქალაქო) აღლუმის თანხლე-ბით. ეს სასიცოცხლოდ აუცილებელი პირობაა ნახევრად ოკუპირებული და თავისუფლების დამკავიდრებისთვის მებრძოლი ქვეყნისთვის. ამას მოითხოვს არა მარტო პატრიოტული აღ-ზრდის მოთხოვნები, არამედ უნდა იყოს მუდმი-ვი შეხსენება იმისა, რომ ჩვენ პერმანენტულად ბრძოლაში ვიმყოფებით „ბოროტების იმპერიას-თან“ – მშვიდობის დაუძინებელ მტერთან – და მანამდე არ გვაქვს ჩამუხვლის უფლება, სანამ არ მოეღება ბოლო ოკუპაციას და არ აღსდგება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და სახელმწიფო ბრივის, სანამ თუნდაც მტრის ერთი ტანკი დგას ამ მინაზე ან თუნდაც ერთი ლტოლვილი მაინც მოკლებული იქნება უფლე-ბას, დაუბრუნდეს თავის მამულს, თავის სახლს.

ამდენად, 9 აპრილის დღესასწაული თავისი  
ამ ორი ასპექტით: სახელმწიფო ბრივ-პოლიტი-  
კური და სულიერ-სიმბოლურით წარმოადგენს  
საქართველოს უმთავრეს ნაციონალურ დღე-  
სასწაულს. ვინც ამის მიჩრებალვას ცდილობს,  
ის უდიდეს დანაშაულს და ღალატს სჩადის სა-  
ქართველოს ხალხისა და სახელმწიფოს წინაშე.



### 2008 წლის აგვისტოს ომის ანალიზი და შედეგები

საქართველოს სახელმწიფოებრივი და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის პრობლემები-დან გამომდინარე აუცილებელია და მოვალენი ვართ დავდოთ ის დოკუმენტები, რომლებიც დაიცავენ საქართველოს ინტერესებს გაეროს, ნატოს, ევროკავშირისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე.

ეს დოკუმენტი 2012 წლის 18-19 მაისს გაეგზავნა ნატოს ჩიკაგოს სამიტს მისამართზე: <http://www/chicagonato.org>, მაგრამ დარჩა უპასუხოდ. ეტყობა, მაშინდელმა ქართულმა დელეგაციამ არ ჩათვალა საჭიროდ ამ არგუმენტების გამოყენება, შემდეგში ეს დოკუმენტები ვიღნიუსისა და რიგის ნატოს სამიტების წინ გაეგზავნა საქართველოს მაშინდელ საგარეო საქმეთა მინისტრსა და პრეზიდენტ მარგველაშვილს, მაგრამ არც მათ გამოუყენებიათ საქმეში. მოგვყავს ამონარიდები ამ დოკუმენტიდან:

- ვინაიდან 2008 წლის აგვისტოს ომის მიმდინარებისას, საქართველოს დე ფაქტო ხელი-სუფლებას (სააკაშვილის მეთაურობით) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მისამართით არ განუხორციელება არც სიტყვიერი და არც სამხედრო მუქარის შემცველი ქმედებები. უფრო მეტიც ომის მიმდინარეობისას აფხაზეთის

### გურამ მაქაცარია

1991 წლის 9 აპრილის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე ხელისმომწერი და 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის ჩატარებაზე საპარლამენტო ხმის მიმცემი, საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრი.

### შალვა მაქაცარია

თბილისის ანდრია პირველწოდებულის სახელობის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობის ბაკალავრი.



სიახლოეს მდგარი ქართული ჯარის ნაწილები სენაკიდან, ზუგდიდიდან, ქუთაისიდან გადმოყვანილ იქნა აღმოსავლეთ საქართველოში;

- ვინაიდან აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ 2008 წლის ომის დროს თავის ტერიტორიაზე გამოატარა საქართველოსთვის აგრძელებული ქვეყნის რუსეთის ჯარები, რომლებიც მანამდე რამდენიმე თვის განმავლობაში იყვნენ მოვროვილი აფხაზეთში, და რომლებმაც მოახდინეს დასავლეთ საქართველოს ოკუპაცია, გაძარცვეს სამხედრო ნაწილები, ქალაქ ფოთში ჩაძირეს საქართველოს ჯარის კუთვნილი სამხედრო გემები, გაძარცვეს და დაატერორეს საქართველოს მოსახლეობა;

- ვინაიდან 2008 წლის ომის დროს რუსებთან ერთად საქართველოს ოკუპაციაში მონაწილეობას იღებდა ე.წ „აფხაზეთის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები“ საქართველოს კონსტიტუციის ძალით სრულიად უკანონოდ შექმნილი;

- ვინაიდან ე.წ აფხაზეთის რესპუბლიკის მაშინდელი პრეზიდენტის ს. ბალაფშის უშუალო ბრძანებით აფხაზეთის შეარაღებული ძალები მონაწილეობდნენ კოდორის ხეობის ოკუპაციაში და იქიდან ძირდველი მოსახლეობის გამოდევნაში;

– ვინაიდან გამომდინარე ისტორიული და დე ფაქტო რეალობიდან (აფხაზეთში ქართული მოსახლეობა შეადგენდა 50%-ზე მეტს, ხოლო აფხაზები – მხოლოდ 11 %-ს) საბჭოთა კავშირის შექმნისას 1937 წლის და მომდევნო წლების კონსტიტუციის ძალით მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორია არ შეიძლება შეიცვალოს მისი თანხმობის გარეშე, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას არ ჰქონდა მოკავშირე რესპუბლიკიდან -საქართველოდან გასვლისა და დამოუკიდებლობის გამოცხადების უფლება.

საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები-დან გამომდინარე აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების ქმედებანი უნდა ჩაეთვალით აგრესიად საქართველოს წინააღმდეგ და არა პირიქით, როგორც ამის წარმოჩენას ცდილობს საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე რუსე-თის ხელისუფლება.

– ვინაიდან, 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმზე, ერთადერთი მოთხოვნით: „თანახმა ხართ თუ არა აღდგეს საქართველოს სახელ-მწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე“ დადებითად ხმა მისცა სრულად საქართველოს მოსახლეობის რეფერენდუმში მონაწილეთა 98.9 %-მა, მათ შორის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქ სოხუმის 96.6-მა პროცენტმა და, მიუხედავად კომუნისტური საბჭოთა აფხაზეთის მაშინდელი მთავრობის წინააღმდეგობისა, სრულიად აფხაზეთის მო-სახლების 60%-მა –

გამომდინარე ზემოთ მოყვანილი დოკუმენტებიდან და საერთაშორისო ნორმებიდან რუსე-თის (პუტინის) დღევანდელ ხელისუფლებას არა აქვს არავითარი იურიდიული, სამართლებრივი, მორალური საფუძველი მის მიერვე 1992 წელს აღიარებული დამოუკიდებელი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის უარყოფისა და ე.წ აფხაზეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღიარებისა.

ვინაიდან 1954 წლის 31 დეკემბერს ამერიკის კონგრესმა დოკუმენტით „special report wi06, of the select committee oiv communist aggression“ ცნო რუსეთის ბოლშევიკური აგრესის შედეგად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაცია და ანექსია. რომელიც დაადასტურა 1990 წელს საქართველოს მაშინდელმა კომუნისტურმა ხელისუფლებამ.

– ვინაიდან 1921 წლის კომუნისტურ აგრესი-ამდე საქართველოში არ არსებობდა არანაირი ოსეთის ავტონომია და არც ცნება „სამხრეთ ოსეთი“, ქალაქ ცხინვალში არ არსებობდა ოსური დასახლება. ვინაიდან სამხრეთ ოსეთის

ავტონომიური ოლქი გაჩნდა ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემ-დეგ, ჯილდოდ ოსი ბოლშევიკი სეპარატის-ტებისათვის, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ ძირგამომოხრელი საქმიანობისათვის, და ქართული ცხინვალი გახ-და ოსური სტალინირა:

ვინაიდან თვით საბჭოთა კონსტიტუციაში არ წარმოადგენს სახელმწიფოებრივ წარმონაქმს, არ ჰყავს პარლამენტი და მთავრობა. იხილეთ 1937 წლის სსრკ კონსტიტუცია:

„მუხლი 94. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, მხარეებში, ოლქებში, ავტონომი-ურ-ოლქებში, ოკუპაციური, რაიონებში, ქალა-ქებში, სოფლებში, აულებში, ყიშლაყებში არიან მშრომელთა დეპუტატების საბჭოები“. გამომ-დინარე აქედან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოებს არ ჰქონდა სოფლის საბჭოებზე აღმატებითი სამართლებრივი უფლებები.

ვინაიდან სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი 1990 წელს გააუქმა სამხრეთ ოსეთის „უმაღლესმა სახელისუფლებო ორგანომ“ შრო-მელთა დეპუტატების საბჭომ, რისი მორალური უფლებაც მას ნამდვილად ჰქონდა და სეპა-რატისტულმა ხელისუფლებამ იქ მცხოვრები ძირძევლი უმრავლესობის – ქართველების, ქართველი მოსახლეობის ნების წინააღმდეგ სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოაცხადა, რისი კონსტიტუციური უფლება მას არ ჰქონდა;


ვინაიდან რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელ-ცინმა 1991 წლის 18 მარტს დაბა ყაზბეგში ხელი მოაწერა დოკუმენტს საქართველოში ე.წ სამ-ხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ და ეს საკითხი მიიჩნია მხოლოდ საქარ-თველოს მთავრობის კომპეტენციად, ვინაიდან 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმში დადგებით ხმა მისცა ე.წ სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის 55% -ზე მეტმა, მიუხედავად სეპარატისტული ძალების წინააღმდეგობისა.

გამომდინარე ზემოთ მოყვანილი დოკუმენტებიდან რუსეთის (პუტინის) ხელისუფლებას არ გააჩნია კონსტიტუციური, ისტორიული, იურიდიული საფუძველი, რამე სახელმწიფო-ებრივ წარმონაქმნად ჩათვალის ე.წ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა და ცნოს მისი დამოუკი-დებლობა.

ღრმა პატივისცემითა და საერთაშორისო სა-მართლის მიერ აღიარებული ნორმების დაცვის იმედით:

**გურამ მაქაცარია, შალვა მაქაცარია**

## ირინა ტაბაღუა



ირინა ტაბაღუა ახალგაზრდა ქალბატონია, ორი შვილის დედა; წერს ქალური მგრძნობელობით აღსავსე ლექსებს, სერიოზულად მუშაობს პროზაში. იგი ქალაქ ზესტაფონში დაიბადა და იქ მოლვანეობს, აქტიურად მონაწილეობს ქალაქის ლიტერატურულ-კულტურულ ცხოვრებაში.

ჩვენი ჟურნალის ამ ნომერში ქ-ნი ირინას დებიუტია; ვუსურვებთ მას შემოქმედებით გამარჯვებებს და ბედნიერებას!

## — ۱۱۱ —

\* \* \*

სადღაც მაქროლებს ქარი სველთმიანს  
და ქარში ვუსმენ განწირულ ზარებს,  
მითხარ, რა ვუყო გულს არითმიანს,  
ხან რომ ჩერდება და ხან ზანზარებს...

\* \* \*

როცა დამაცხრე და შემითავსე,  
როცა ჩემს ტანზე იდგა ალმური,  
მახსოვს თვალები სიცრუით სავსე,  
მაგრამ ხელები გენიალური.

\* \* \*

ამერია შემოდგომა  
ჯერ არმოსულ გაზაფხულში,  
რთველმოლეულ ხელებს ვიწმენდ  
კაბის გადანაკეცზე.  
თითქოს ახლა ავყვავილდი  
შენს ვენახში, როგორც ნუში,  
თითქოს დრონი გადავკეცე,  
თითქოს შენთან ვიყავ გუშინ.

\* \* \*

დახარეს თავი მორცხვად ქუჩებმა,  
შემოათოვა ფიფქების შარმმა;  
შენ გადაგრია ჩემმა ტუჩებმა,  
სულ რომ დახეთქა ზამთრის ცივქარმა.

\* \* \*

ყველაზე მეტად მესმის ამ ქარის,  
ქარის, რომელიც ვეღარ მაოკებს...  
მაგრამ მაკვირვებს ლამე ამგვარი –  
ასე გრძელი და ასე ხანმოკლე.

ბროწეულივით თვალსისხლიანებს,  
აწვიმთ ყვრიმალზე ნაოჭთა ჯარი,  
ნუხელ ბაქნიდან შევეხმიანე...  
მიცქერდა, მაგრამ თვალებში ჯავრი

ისევ ფეთქავდა ბავშვის გულივით,  
მისი ხელებიც, მხრებიც, ტუჩებიც...  
მაინც მისდევდა, მაინც მისდევდა  
დაუღალავად წლებს შურდულივით.

მე მაოცებდა შუახნის კაცი,  
აბერდებოდა თმას ცის კამარა,  
და ყმაწვილივით კოხტა და ანცი,  
უცქერდა ხეებს ფოთლის ამარას.

\* \* \*

ჩემო პოეტო, ფიქრობთ ამაზე? –  
რაც მუზებს გიფრევევთ, ჩემი თმებია,  
ჩემი სინაზე და სილამაზე  
ყოველ თქვენს სტრიქონს შერითმებია.

\* \* \*

რა მოხდა მერე, თუ აღარ მოვა,  
რად უნდა ამას ბევრი წუხილი...  
ნავიდა? ჰოდა, ახლა სხვა მოვა...  
არავის არ სწყენს ახალი ხილი...

### მოვარეული

აფრინდნენ ჭერზე ღამის ბოდვები,  
მთვარეული ვარ, თვალდახუჭული  
სადღაც ტალახში ვწებით ვგორდები,  
სულ ავიზილე მკერდზე აყალო,  
ჩამოვირცხე ძველი სირცხვილიც,  
ველარ შევძელი, დღეს ველარ გყვარობ,  
ვცდილობ, არ ჩავყო ჭაობში ცხვირი.  
ურჩი ღამურა კერტებს რომ მაცლის,  
სისხლის დინებით ღორღს ვეტმასნები,  
ვიცი, სასჯელი ტკივილით დამცლის,  
ფეხები მოდის ჩემივე ნებით,  
მაგრამ ამაოდ, მაგრამ ამაოდ  
სხვა არ დამაცდის...  
ზიგზაგებითა და ამ ბოდვებით,  
წვივების ტანჯვით ვითრევ ნაბიჯებს,  
ვაჲ, ამედევნა შენი ჩრდილები  
და სველ თეძოზე გადამაბიჯეს...  
სულ გაგიცოფდი გზად დამპალ ხილზე,  
ვაშლზე, თუთაზე და კიდევ თხილზე...  
ახლა ის დრო მაქვს, მატკინო მენჯი,  
თუნდაც ლავინი...  
გამომაფხიზლე...

\* \* \*

კართან მცივანა  
ქარი ირწევა,  
მთვარე უსიტყოდ  
ლამეებს მითევს,  
მე მიღალული  
გულდალმა ვწევარ  
და თითქოს ელის  
მხრები შენს თითებს.

\* \* \*

ვერ მომიფრინდი  
ამაღამ უფრთოდ,  
ფრთების გარეშეც  
არაა გვიან...  
მე მაშინებენ  
თვალები უფრო,  
თვალები, სხვასთან  
რომ გაგირბიან.

\* \* \*

შენს აშლილ მკერდზე  
მე როცა ვწვები,  
თითქოს მაშინებს  
ეს სითამამე,  
მორცხვობს სიწითლით  
ჩემი ღანვები,  
როგორც ყაყაჩო  
გაშლისთანავე.

\* \* \*

არ მანუგეშა  
დღეს პარასკევმა,  
შაბათს ადარდებს  
წუხილი კვირის,  
ცრემლი დალვარა  
პატარა სკვერმა  
და ჩემთან ერთად  
ბავშვივით ტირის.

\* \* \*

სულ გაგეყინე  
ქარის ცახცახში,  
ხედავ? – რა საწყლად  
კიდია მთვარეც,  
ამ კუკუნას და  
გოლიათ ცაში  
სამი ვარსკვლავიც  
ველარ დავთვალე.

\* \* \*

ჩამოვუქროლე  
ხობწყარს და ოდას,  
ყვირილას აღმა  
ვპოვე ალაგი;  
სამეგრელოში  
ჯიში ყიოდა  
და იმერეთში –  
ჩემი ჯილაგი.

\* \* \*

არც ფიცი უნდა,  
არც მტკიცი ამას,  
დრო ამ ტკიცილებს  
ვერასდროს წაშლის.  
შენი ცრემლები  
რომ სტკივა მამას,  
ისე არ სტკივა  
არც ქმარს და არც შვილს.

\* \* \*

გზას მივყვები ფიქრიანს,  
მგონი წვიმას აპირებს,  
წასვლა არც მიფიქრია,  
წასვლა რომ დავაპირე.

\* \* \*

მომენტურვილა  
სიგიჟით ღვინო,  
ახლა ჩავწურავ  
ყელში რქანითელს,  
მსურს მთვრალი მზერა  
ღანვზე მოგფინო,  
შენ რომ მორცხვობ და  
ასე განითლებს.

\* \* \*

უცქერდა ფოთლად  
დათოვლილ ქუჩებს,  
ო, მზერა ჰქონდა  
რაღაც კატური;  
უსვრიდა კაბას,  
მუხლებს და ტუჩებს  
წვეთები ლურჯი  
ალადასტურის.

### მე მივდიოდი

მე მივდიოდი ქარში, წვიმაში  
და ფეხზე მეცვა მამის ბოტები,  
არ მასსოვს, რა დროს იმსხვერპლა მაშინ  
იმ ქარიშხალმა ჭადრის ტოტები.

მეძახდა მგონი დედის ხმაც თითქოს,  
შვილები ვტოვე დის ანაბარა...  
ახლა კი ჩუმად უაზროდ ვფიქრობ,  
გზად სიმარტოვემ რა დამაბარა.

მახსოვს, შევაწყდი თვალებით ზაფხულს,  
თიბათვე თვლემდა ჩალის ღერებზე,  
ვერ ვამშვიდებდი წამნამის ფახულს  
გადაწუნული ბალის ღელეზე.

სულ ბნელდებოდა სულშიც, ზეცაშიც,  
როგორც სიკვდილი სიცოცხლეს ტოვებს;  
განა არ ვიცი? – მელოდნენ სახლში,  
მე კი არ მთმობდა ეს სიმარტოვე.

ხო, კიდევ მახოვს სველი ჭინჭარი,  
ჭინჭრის მაგივრად მსუსხავდა რაღაც,  
გაიღო ფრთხილად ძველი ხის კარი,  
როცა ვიგრძენი შიშიც და დაღლაც.

მეგონა, კართან ხეების გარდა  
მიცქერდა კაცი თვალებანცური,  
მაგრამ იმ კართან კაცი არა და  
მთვარე მიჭვრეტდა მამაკაცური.

### გალე...

მალე ზამთარი მთებს აანივლებს,  
ამოახვედრებს ოფლიან სიცხეს,  
როგორც მეძავი ქალი ყმანვილებს,  
გაუშიშვლდება ქარებს ცაცხვის ხე...

იმრუშებ, ძენნავ, თმააქოჩირილო,  
ჩემს დანახვაზე თაფლად დატკბები,  
ამიცრუვდები დღეს, ქმრის მორჩილო,  
ამ ალვირ მკერდზე შემომასკდები!

ვერ გაიგონებს ვერვინ ჩემ გარდა,  
როცა მხეცივით იბლავლებს ხმები;  
მაგ ბროლის კერტებს, ვით სარკმელს ფარდა,  
ჩამოეშლება ეგ შენი თმები.

მიცდი ყოველდამ უცხო ბაქანზე,  
გამიხელდები ტყის ძუ მგელივით,  
მაგ თაფლად დაღვრილ ვარდისფერ ტანზე  
გამოვიზამთრებ დათვის ბელივით!

### ფერისცვალება

მორჩინენ ნისლები მთების გალოშნას,  
ხეებმაც სიო ღრმად შეისრუტეს,  
ზეცის კიდეზე მთვარეც ამოშრა  
და ქარიც ისევ დარაბებს უტევს.

გაუხმა თუთას ჭალარა ფესვი,  
ო, ძალზე ვწუხვარ უსაშველობას...  
ახლა გამგუდავს ეს ბოლო ლექსიც,  
ვით ღრმა საფლავში – უჰაერობა.


ლამეა, ახრჩობს ვარსკვლავს ტალღები,  
მე თითქოს ვწევარ უნიჩბო ნავზე,  
დაგიმშვიდდები და ზედ დავლლვები,  
როგორც სანთელი საფლავის ქვაზე.

ძვირფასო, ცრემლი სად დაგელვარა,  
ასე იყო და ასე მეწერა,  
რადგან თვალები გადამეღალა,  
მეც ამედევნა ეს ბედისწერა.

აი, ეცვალა ფერი ყველაფერს,  
ანგრევს აგვისტოს ფერისცვალება  
და ვეღარ ხედავს ირგვლივ ვერაფერს  
ჩემი თვალების გარდაცვალება.



## ლაშა გვასალია



### კვენჭერია

(მოთხრობა)

ამბავი, რომლის მოყოლასაც ვაპირებ, ჩვენი უსაყვარლესი დედაქალაქის ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში მოხდა. ისეთი არაფერი, მაგრამ გასახსენებლად ნამდვილად ლირს.

ჩვენი ამხანაგი კაკული დიდი ქარაფშუტა ვინმე იყო, რომ იტყვიან, შავდაუკულმა დაჭვდილი. წიგნის გაშლას სიკვდილი ერჩია, არ ვარ ბატონო ამისთვის დაბადებული და ნუ გამინალეთ გული, ნუ მომაბეზრეთ თავიო, იტყოდა გულ-ალავლავებული, როცა კი სწავლაზე მიუთითებდნენ. ერთი რაც ეხერხებოდა, გიტარაზე დაკვრა და სიმღერა იყო. მშობლის გულს რა ვუთხარი, თორემ არ იყო კაკული საუმაღლესკაცო, მაგრამ გადაირია დედამისი, ანუ ნაზი ბიცოლა, რას ქვია ცხვირკაუჭა და თვალებბრეცელა გოგიას ბიჭი, ჭიჭუ, თავადაც რომ შაშუ- ბეშივით იყურება, სტუდენტი იყოს და ჩემი ალენ დელონივით და კალმახივით კაკულიკა სახლში იჯდესოო? გადაირია, გადაფიჩინდა მატრაკვეცა ნაზიკო და შეაყელთა ერთიდაიგივეს ჩიჩინით თავისი მოქეიფე და დარდიმანდი ქმარი – მახათია. დაუზურთა სოფლის რამე-რუმეებით ორი ვეებერთელა ჩანთა, და პროფესორ ნათესავთან გური მაკარიჩთან გაისტუმრა თბილისში. სუფრებსა და ქეიფებზე რომ ალავაშებდა ის ვაჟბატონი მეტრო-ნახევრიან ენას, ოღონდ კაკულიკა მოგვესწროს და მე ვიცი და ჩემმა კაცობამო? ა, ბატონო, დაამთავრა სკოლა ბიჭმა, რა ეგონა მაგას, არ დადგებოდა ეს დრო, თუ რავა იქნე-

ბოდა? – გათიმთიმებულ წელზე დოინჯშემოყრით ამოაგულიანა ნაზიკომ და ისიც დააბარა ქმარს, ვინიცობაა ფული გახდეს საჭირო, არაფერზე დაიხიო უკანო! აქ კი გადაირია მახათია, სად მაქვს ფული, ხომ არ გაგიუდი შენო. – ააა, ხომ ხედავ არაფრის თავი არ გაქვს, მამა კი არა, ნული ხარ ნულიო, ან შენი იმედი როდის მქონდა, ახლა რომ მქონოდაო? ამდენი ხანი ბუღალტრად იმისთვის კი არ ვიმუშავე იმ დასანვავ ატეკაში, შვილი უსწავლელი დამეტოვებინა? არა, ბიჭო ჭიჭუ ბრუციანმა იაროს არშინიანი დიპლომით და ჩემმა ანგელოზივით ბიჭმა კი სხვების დასაცინადო, არაფერიცო!

მოკლედ, ბევრი რომ არ ვიღაპარაკოთ, მახათია, რომელსაც ისიც არ ათქმევინა შვილის სიყვარულითა და შურით ერთნაირად გაზიმზიმებულმა ცოლმა, რომ გოგიას ჭიჭუ სიბეჯითისა და წიგნის კითხვის სიყვარულის გამო იმსახურებდა სწავლის გაგრძელებას, ხოლო მისი ბედოვლათი შვილი „თხა და გიგოს“ იქით არ იყო წასული და აქედან გამომდინარე სახლში უნდა გდებულიყო (მიუხვდაო თითქოს გულთმისანი ცოლი, თუ წელს ვერ ჩაირიცხა უმაღლესში, მომავალ წელს ჯარში გამოიძახებენ და შენ უფრო მოკვდები, ვიდრე ეგ ჯარში წავაო, ჰოდა, აბა შენ იცი და შენმა ამდენი წლის გამოუყენებულმა და გაზარმაცებულმა მარიფათმა), მატარებლით ნაჩიქჩიქდა დედაქალაქში.

მახათიას სავსე ჩანთები კი გაუხარდათ თბილისელ ნათესავებს, მარა მიზეზი ამ მოკითხვისა რომ შეიტყვეს, ცოტა არ იყოს, გაიდრუნჩის, ყელი მხრებს გვარიანად მოაცილეს და სხვანაირი ლაპარაკი დაიწყეს. ჩითის თხელ და ლრმა დეკოლტიან კაბაში გალაკლაკებულმა პროფესორის ახალგაზრდა მეუღლემ ქმარი რაღაცის მომიზეზებით და ბოდიშის მოხდით საძინებელში გაიხმო და კრუტუნით მოახსენა: ახლა არ დაიწყო შენებურად პატიოსნურის თამაში და თავის გამოდება წმინდანობაზე, ყოველთვის კი არ მოგცემს ღმერთი შანსს, ა, ბატონო, სულელი ბავშვის მოწყობა რომ უნდათ, ისე ხომ არაა, დააყაჭინე ფული, მანქანა ჩვენ არა გვაქვს და დაჩა, აგერ ჩვენი ზედა მეზობელი გაგნიძე საგურამოში ყიდის დაჩას, უჭირს და იაფად მოგვცემს. მერე, პალტო მე არა მაქვს და ჩემმები, არც საშემოდგომო მოსაცმელი. რა ვენა, საიდან მოვიტანოო რომ გაიძახი, ა, ბატონო და მიდი, გამოიჩინე ფხა...

– რას ამბობ, ქალო, მამიდაშვილს გამოვართვა ფული? მამაჩემის დისშვილს? – გაოცება და სიბრალული ერთად გამოსახვოდა სახეზე საწყალ პროფესორს, მაგრამ ის რომ ჩააგდეს, მტერი ისეთ დღეში.

რადგან მომზადებული არ ყოფილა ჩვენი კაკულიკა, ისე ვერაფერს გავაწყობ მამიდაშვილოვ და სამი თითის ანევით ანიშნა ამდენი ათასი დოლარი უნდა ამ საქმეს! რამდენიმდენი? – ტანში გააურულა მახათიას. რამდენი და ოცდაათი ათასიო! რა ვქნა, სხვანაირად არ გამოვა, არ იზამენ, კონკურსი მაღალია, მომზადებულ-ნამეცადინევი აბიტურიენტები მოდიან და გალორებული ლექტორები იაფად არ გააკეთებენო. ძველი დრო რომ იყოს, ერთ კაცს უადვილესად მოვაწყობდი, მაგრამ სხვა სიტუაციაა და ვერაფერს ვიზამ ფულის გარეშეო. – ისიც დაამატა, – ეს შენთანაა ასე იაფად, თორემ ორმოცდაათი ათასის გარეშე სიტყვას არც დაგაძვრევინებენო. – ცოლის ნასწავლ-დანარიგები დაზუთხულივით ჩამოარაკარაკა კათედრის გამგებ.

რას იზამდა გაოგნებული მახათია, თათარიახნად გაწყობილ სუფრაზე მუნჯივით იჯდა, თავისივე მოტანილი არაყი გადახუხა, მასპინძლებს მოუბოდიშა, გავივლ- გამოვივლი, პასუხს მერმის მოგახსენებთო და ფოსტას მიაშურა. იცოდა ნაზიკო სამსახურში იქნებოდა, შეკვეთა მისცა მომლიმარ, ნუკრისთვალება გოგოს და რიგს დაელოდა. რა არ ამოუტივტივდა გონებაში, პროფესორის, ანუ ნუკრის ბავშვობა, ყველა ზაფხულის თუ ზამთრის არდადეგები ერთად ჰქონდათ გატარებული. მამა ავარიით ადრე გარდაცვალა და მზეო ბიცოლას ორი ობოლი ბიჭის გაზრდაში უმეტესად მისი ოჯახი ეხმარებოდა. რამდენჯერ მას დაუკრეფია მაყვალი, ტყემალი, ბალი და კიდევ ვინ იცის რა არა, იმისათვის რომ მამიდაშვილები გაეხარებინა, ახლა კი... ეჺ, სიკვდილი ერჩივნა ცოლთან დალაპარაკებას, მაგრამ რა ექნა? როდის – როდის დაუძახეს და შევიდა სალაპარაკო კაბინაში. შეიცხადა ნაზიკომ, როცა შეიტყო თუ რაშიც იყო საქმე, ძირიან-საფუძვლიანად ამონ-ყევლა და ამობუგა, თავისი შვილის გამოკლებით, მახათიას სანათესაო და ბოლოს უთხრა: შვილის საცოდავად და სამარცხვინოდ გარეთ დარჩენას ყველაფერი ერჩია და გადაიხდიდა ფულს. ამან უფრო გააოგნა მახათია, საიდან ამდენიო, მაგრამ კრინტის დაძვრა ვერ გაბედა.

მისალებ გამოცდებზე ღურლულა მზის ქვეშ ერთად იდგნენ გოგია და მახათია, კაკული ოცოცდახუთ წუთში უკვე ნიშნის ფურცელში ლამაზად გამოყვანილი ოთხიანით გარეთ იყო გამოსული, ჭიჭუ კი, იგივე ნიშნით, როდის-როდის ძლივს გამოაღწევდა. ბოლოს ორივენი მოეწყვნენ.

სხვადასხვა ფაკულტეტზე სწავლობდნენ, მაგრამ ერთმანეთს ხშირად ხედავდნენ. ჭიჭუ სტუდეალაქში ცხოვრობდა, კაკული კიდევ ინსტიტუტის წინ ძვირად ნაქირავებ ოროთახიან ბინაში. ნაზიკომ ჩემმა შვილმა სტუდენტური ცხოვრებით უნდა გაიხაროსო და ჩიტის რძესაც არ აკლებდა.

ჭიჭუ სწავლაში ათენ-ალამებდა, მოწინავე სტუდენტი იყო, ფაკულტეტის თვალი და სახე. კაკული კი მამის კვალისა გამოდგა, უკრავდა გიტარაზე, მღეროდა, ქეიფობდა მასავით დროისკარგვია გოგო-ბიჭებთან. ნაზიკო ცას იყო გამოკიდებული ენით, თავისი გენიოსი და წიგნის ჭია შვილის ქებით და შესაფერისი სარძლოს ძებნით. ჭიჭუს დედა კი, მეუღლესთან ერთად, მიწაში იყო ჩასულ-ჩაბობლილი შრომითა და ჯაფით. მახათიას კი ნუ იკითხავთ, მთავარი საქმე გავაკეთე, შვილი გზაზე დავაყენეო და სუფრიდან სუფრაზე გადადიოდა, გიტარის დაკვრისგან თითები დალურჯებული ჰქონდა.

ოცდაათი ათასი მწვანე, ანუ დოლარი რომ იხილა პროფესორმა, კინალამ სუნთქვა შეეკრა, წარმოუდგენელმა სიხარულმა პირობა დაადებინა: ჩავრიცხავ და ბოლომდე შვილივით ვუპატრონებ, დიპლომს ჩემი ხელით ჩამოგიტანთ სოფელშიო. ნაჩქარევ პირობაზე ცოლმა კინალამ სული ამოხადა, ვინ მოგსდევდა, ნელ- ნელა გვესანსლა კალოშიანების ფულიო. ასე იყო თუ ისე, მახათიას ნასწავლმა მამიდაშვილმა სიტყვა შეასრულა და ჩააძალლებინა უმაღლესი კაკულის.

აი, ფრიადოსან ჭიჭუს კი, ერთმა საგანმა, მარქსიზმ- ლენინიზმის თეორიამ გაუჭირა საქმე. საგანი ჰქონდა „შეტენილი“ და ამის გამო დიპლომის დაცვაზე ვერ გადიოდა. ლექტორი ამ საგნისა კი ერთი ურჯუკელი ვინმე, თავის-ნათევამა ჯინიანი გახლდათ. რომ აითვალიუნებდა ვინმეს, არ მოეშვებოდა, სულს ამოხდიდა. თანაც, დაესმინა ვიღაც ენანასაკვეცს ლექტორთან: ჭიჭუმ თქვაო, რა დროს მუმი-ფიცირებული ლენინის იდეებით აზროვნებაო. ჰოდა, თუ არაა, მაგასაც გაჩვენებო და არ

ალირსა ნიშანი. იმ საწყალს კიდევ, ყველაფერის სწავლა და ათვისება რომ შეეძლო, დაწყევლილივით და მოჯადოებულივით, გადაშლიდა თუ არა სოც-ბელადების იდეებითა თუ თეორიებით ამზეკაბანებულ წიგნსა თუ კონსპექტს, გონიერა ემღვრეოდა, იბნეოდა და წაკითხულს აზრს ვერ უგებდა. მოკლედ, ცუდ დღეში იყო ჩავარდნილი. ერთ დილით გალალებულ და ყველაფერ მოგვარებულ თანასოფლელს გადააწყდა ინსტიტუტის ეზოში და თავისი გასაჭირი უამბო. მე რისთვის გყავარო მერე, ყელი მოილერა დარღმიანდმა კაკულიმ ვიცნობ მაგ ლექტორს, შეჭმუხნილ- გასასტიკებული სახით რო დაიარებაო, კვენჭერია დავარქვი მაგას, პატარა, სხარტი, მოუსვენარ- ცხვანტალა რომ არისო მიტომო, და სამი დღე სთხოვა, ფეხებით ჩამოვკიდებ ნიშანს არ დაგიწერს კი არაო, მასთან მყოფმა ამფსონებმაც კვერი დაუკრეს, – ამას ვუზამთ და იმას ვუზამთო, და რაღაცნაირად დაიმედებული ჭიჭუ სიხარულით ცას ეწია და იმ ღამით მშვიდად ეძინა.

ორი დღე საერთოდ არ გახსენებია ყოვლის-შემძლე დარღმიანდს არც შენი კვენჭერია და არც ატირებული მეზობელი. მესამე დღეს ისევ ინსტიტუტთან შეხვდა ჭიჭუს და შორიდანვე უთხრა, დღეს მოგიგვარებ მაგ საქმეს, გაიღომე, რას ჩამოგტირის ცხვირ-პირიო. ამის თქმა იყო და გიტარა თოფივით მხარზე მოგდებული კაკული კვენჭერიას მოსაძებნად გაეშურა.

მიასწავლეს სადაც იყო უშმური ლექტორი. გამოალო უშველებელი და მძიმე კარები, თვი შეჰქო უზარმაზარ აუდიტორიაში და ფანჯარასთან მოხერხებულად მდგარ და გაზეთს ჩაკირკიტებულ ჩია კაცს მიმართა: შეიძლება, პატივცემული?

- გისმენთ, ყმაწვილო!
- ერთ მეტად დელიკატურ საკითხზე მინდა გაგესაუბროთ, პატივცემულო, თუ ნებას დამრთავთ. – ცოტა არ იყოს, არ ესიამოვნა პროფესორს ზრდილობიანი ტონით საუბარი, გაზეთი ფანჯრის რაფაზე შემოსდო, მობრძანდითო მიუგო და ორი-სამი ნაბიჯით წინ, კათედრისკენ წამოვიდა.

- პატივცემულო, სათხოვნელად ვარ მოსული თქვენთან, მაგრამ მანამდე მინდა ერთი სიმღერა შეგისრულოთ და მერე კი... – სიტყვის დასრულება არ აცალა პროფესორმა ისე უთხრა, მამასხარავებთ, იცით მე ვინ ვარო? და მეტის გაგრძელება ვერც მოასწრო, მუხ-

ლებზე დაცემული კაკული პირჯვრის წერით იფიცებდა და არნმუნებდა მის წინ მდგარ ჩია ტანის მოხუცს, რომ მსგავსი რამ აზრადაც არ მოსვლია. მივარდა მოხუცი როგორ გეკადრება, შვილო, წამოაყენა კაკული ფეხზე, წინ დაისვა, ესაუბრა, დაუყვავა, მერე სახლში ისტუმრა, იქიფეს და შუა ღამემდე კვენჭერიას ბინიდან გიტარაზე შესრულებული ქალაქური სიმღერების საამო ბუბუნი გამოდიოდა.

რა თქმა უნდა, ფრიადი ჩაუწიკნიკეს საწითელდიპლომოდ გამზადებულ ჭიჭუს და ორი დიპლომიანი კადრი შეემატა სოფელსა და რაიონს.

ახლა არ იყითხავთ? კაკული ერთ-ერთი სამმართველოს უფროსია, სულ დიდ და პასუხ-საგებ თანამდებობებზე ნამუშევარს და მარიფათიანს არც ახალ დროში გასჭირვებია დამკვიდრება და თანაინსტიტუტელი, ყოველთვის ხელით სათრევი, უმუშევარი და უკიდურესად შეჭირვებული ჭიჭუ თავისთან მოაწყო სარფიან თანამდებობაზე, ამის აღსანიშნავ სუფრაზე კი განსხვავებული სასმურით დაილია კვენჭერიას მოსაგონარი, იმ კაცისა, რომელმაც ჭიჭუ-კაკულის განუმეორებლობასა და უნიჭიერესებაში, ხოლო კაკული კი – მარიფათის უნიკალურობასა და შეუცვლელობაში დაარწმუნა!

ისე, ის ჩია პროფესორი საბურთალოს სასაფლაოზე განისვენებს, ამასწინებზე ამიყვანა კაკულიმ... უმაგრესი კაცი იყო კვენჭერია!..

## ჭ

როგორც კი, კოპიტის სამასალე მორების-გან, ბირდაბირი ხერხით გამოფიცრული, ოდა ააგო და კრამიტით გადახურა, ჭის მთხრელების მოძიება დაიწყო მამაო აბომ. სოფელი ისედაც შურით შეჰქო ურებდა ტაძარში ახლად მოვლენილ ახალგაზრდა მოძღვარს, რომელსაც მიუხედავად თავისი ასაკისა, ბევრი რამის გაკეთება მოესწრო, სწავლა-განათლების მიღება ქუთასის სასულიერო სემინარიაში, მერე ბერად აღკვეცა, აგერ ახლა ეკლესიის წინამდღვრად მოუფლება, ეზოს აკაციის მესრებით შემორაგვა, გარშემო ტრიფოლიატის დათესვა, ვეებერთელა ოდის კონდარებზე შემოსკუპება, სამზადისა და საკვამურის წამოკონტება, გომურის გამართვა და აგერ ახლა კი-ჭაო!..

— ეს გამჩერებელი არაა, გენაცვალეთ, ისეთი მიზანებიცაა, მალე თავზე წამოგვასკუპ-დება და მერე ვნახოთ რაც მოგვივა! — წაუსი-სინა სოფლის ჭორდედოფალმა ზოზიმ ქალებს.

— შემძენი და მშოვნელია, ჩემო კარგო, თორემ კი იყო მის მოსვლამდე მამა გიორგი და ცხოვრებდა პატიოსნად და უპრეტენზიოდ ტაძრის კელიაში. — თემის გაღრმავება სცადა ასევე სოფლის ენაკვესია ქაჯუსამ.

— აბა, აბა, ქალო, ის მართლა უპატი-ოსნესი და ნამდვილი ღვთისმსახური იყო, არასდროს უფიქრია, ცხონებულს, ქონებასა და საშოვარზე. ლალიკო, — სხვისი ჩართვაც მოისურვა საუბარში ზოზიმ, — არ გახსოვს, ქალო, როგორი კეთილი და უბრალო ადამი-ანი იყო, ან სად ცხოვრობდა, ქალოოო, — აქ, თითებით, ფრჩხილების ჩაურევლად, ჩამოი-ქუსნა მარჯვენა ლოყა, — ისეთ სიღარიბეში ცხოვრობდა, წარმოდგენა და გახსენებაც რომ ტანში გზარავს.

— აპა. აპა, — არ დარჩა ვალში დაქალებს ფუფული, — ეგ იყო მოძღვარი თუ იყო, სულსა და გულს მოურიდებლად გადაუფენდი, ან რა ღიმილი ქონდა, ქალო?

— არა, ცოდვას ვერ ვიტყვი, მახარა და მაცდური ღიმილი ამასაც არ აკლია, ამაყია თორემ, ქალო, უკარებაა რაღაცნაირად. როგორ ზემოდან დაგვყურებს მისი ვალი რომ გვემართოს ისე.

— ოპო- ჰო, ნახავ მაგან რამდენს მიაღ-ნიოს?

— ხო იცი, მაგათ ცოლის შერთვის უფ-ლებაცა აქვთ...

— ეგენი რას იკლებენ, ჩვენ ვიკითხოთ თორემ...

— რა ვიცი, უირაფივით სულ მაღლა უჭი-რავს თავი, ჩვენ ზედაც არ გვიყურებს და..

საუბარში, წყლის წასაღებად ოცლიტრია-ნი ბიდონით მოსული, ღორონთიაც ჩაერთო, — აგერ ვბერდები კაცი და თქვენისთანა ენა-წაგდებული ქალები არც შემსვედრია და არც გამიგია, რომ დაინახავთ ხელებს უკოცნით იმ პატიოსან კაცს და აქ კი ლანძღავთ და აქი-ლიკებთ. თქვენი მოსაწონი ადამიანი ხომ არ დაბადებულა ცისქვეშეთში, წადით, ბიძიკოებო, წადით სახლებში და თქვენს საქმეებს მიხე-დეთ. იმ ღვთისმოსავ კაცს კი, ჯვარი სწერია თქვენგანაც და საერთოდ ყველა ბოროტი და უსაქმურისგან.

— ჩვენ ცუდად არაფერი გვითქვამს, უბ-რალოდ..., — სცადა შეპასუხება ქაჯუსამ, რო-მელიც ღორონთიას რძალი იყო, ძმის ცოლი, მაგრამ სიტყვა ენაზე მიაყინა ღორონთიამ.

— ძალიან კარგადაც ვიცი რასაც ჩირთი-ფირთობთ, ადრე იმ საწყალ მოხუც მღვდელს დასცინოდით, ღორი რომ არ იცხოვრებს ისეთ პირობებში ცხოვრობსო, ამან ჩვენ რა უნდა გვასწავლოს, ტურტლიანი ანაფორა ვერ გა-ურეცხნია თავისიონ და, ენას ძვალი არა აქვს და დაიმოკლეთ მაინცაა. — აავსო ჭურჭელი, შემოიდგა მოხერხებულად მხარზე, ერთხელაც მოავლო რისხვიანი მზერა წყაროსთან შეკრე-ბილ „ჭორიკანათა“ ანსამბლს და წავიდა.

— ეს შენი მაზლი ადამიანი ხო არაა, ქალო, ამას როგორ უძლებთ, ღმერთო, როგორ?

— მონად დაისვა ცოლი, საწყალი ნანო, გახსოვს რა გოგო იყო, შველივით მზერას გა-ჯიბრებული...

— ახლა ნახე, ახლა, ხმელ ხეს დაამგვანა, სუ საქმეში აქვს თავი ჩარგული.

— ვერა ხედავ წყალზეც არ უშვებს, ქალო, წყალზეც, თვითონ დაიარება ყველგან, გაუშვი ქალმა დაისვენოს, გული გადააყოლოს რასმე, არა, გაგიგონია?

— როგორი ენამდუღლარეცა ბრძანდება, საქციელიცა და მიდგომაც ეგეთი აქვს.

— რავიცი, სოფლის თავი კია და...

— ვის დაუთმობდა, ან მაგის შემპასუხე-ბელი ვინა გყავს?

— ჰო, აბა, აბა... ეს ჩვენი ქმრები კიდევ, ობოლი ცხვრებივით დაიარებიან, მიწიდან თავს არ ასწევენ და სხვასთან რა გინდა?!..

ნირვაზე თითო-ოროლა გამონაკლისის გარ-და, მთელი სოფელი დადიოდა. იმ გამონაკ-ლისთ კიდევ, თავიანთი გასაჭირი ჰქონდათ. დამუნჯებულ პაპუნას უბედობისა სჭირდა, ტყეში ტყაშმაფა გადაყროდა და დაედუმებინა. თუ ლოგინში არ ინვა, სახლისწინ ჯირკზე ჩა-მოჯდარი, გაყინულ-გასაწყლებული მზერით, ჭალას შავი ბერივით გადმომცეკირალ ირმის გორაკისკენ იმზირებოდა. სწორედ იქ შეფე-თებოდა, მისი ცოდვით დაბუგული, ტყის ქალი და იმედოვნებდა, რომ ერთხელაც მოვიდოდა გუნებაზე და დაუძახებდა: პა-პუ-ნააა, პა-პუ-ნაა, პა-პუ-ნაა-ო და აეხსნებოდა დამხართავი ჯადო!

ცირა-პატონებშეყრილ სვისვალ ელისოსთან

ბებიას მეჩონვურე მლოცავები დაჲყავდა და იმათი რჩევით გარეთ გასვლა ეკრძალებოდა. მღვდელი სახლში ეწვია ავადმყოფს, დავლო-ცავ, გავესაუბრებიო, მაგრამ ბებია ვარვალამ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, არ ვიზამ მაგას, ბოლომდე მიყვანილ მკურნალობას არ ჩავაშ-ლევინგ არავისო. – ეგა, ქალბატონო ვარვა-ლა, ნარმართული აზროვნების გადმონაშტი და ღმერთის უარყოფააო, – სცადა მობრუნება ურნმუნოსი მოძღვარმა, მაგრამ ჯორზე შემ-ჯდარ ქალს რალა მოაკეთილებდა?

ტლუ კოკია მეტყევემ, ტყე-ლრე ოჩოკოჩი-ვით რომ დაბურხულობდა, ჩემი ღმერთი და ბატონ-პატრონი მთვარეა, ეგაა ჩემი ღმერული გზისა და ყოფის გამნათებელიო. ეკლესიაში უსაქმურებთან რა მესაქმება, იმდენი მაგათი ასე და ისეო.

წინამძღვარი აბო – მაღალი, ხმელ-ხმელი, გრძელი, უშველებელი ხელებით, ყანჩასავით მაღალი ფეხებით, შავი წვერ-ულვაშით მოსი-ლი მოგრძო პირისახით, უკან გადავარცხნილი თმების გასწრივ ფართო შუბლითა და ცისფე-რი თვალებით ფრესკიდან გადმოსულ, გაცოც-ხლებულ წმინდანს მოგაგონებდათ, დღენიადაგ სუფთა ანაფორითა და ტყავის გალაპლაპებუ-ლი ჩემებით. ლიმილმიუკარებლობა სიმკაცრის ბეჭედს უსვამდა მის სიმპატიურ იერ-სახეს. თუმცა, ტკბილმოუბარი გახლდათ, ერთ რა-მედ ლირდა მისი ღრმაშინაარსიანი ქადაგების მოსმენა. ისეთი გულმისანდო და ენანათელი საუბარი იცოდა, არ შეიძლებოდა სმენელი არ მოენუსხა. საქმე-წესრიგიანიც გახლდათ მამაო. ჯერ იყო და ტაძარში მოაკრიალა ყველაფერი, კედლებსა და ჭერს, ხატებსა და თუ ფრესკებს, შანდლებსა თუ სასანთლებს ნათელი დააყე-ნა. ეკლესიის ეზო-გარემოსაც მოუსხივა შუქი, გასხეპა, გაწმინდა, ამოძირკვა და მოჭრა ხმელი თუ უსახური ხე-ბურდები, მათ ადგილას ხეხი-ლი ჩაყარა. ლობეს სარები გამოუცვალა. დღე და ღამე მუშაობდა, მრევლსაც იხმარიებდა და ბალნარად აქცია ეზოცა და თვალმოსავლები ალაგებიც. ქადაგებისას ხშირად უმეორებდა მრევლს: ხეხილი დარგეთ ყველგან, თუნდაც ტრიალ მინდორში, საძოვრების განაპირა ად-გილებში, საქონელმა რომ არ გადატკვეროს, ან ხეხვით არ მოარყიოს, ეკლებითა და ნემსი-ჩხვლეტია ტოტებით შემოღობეთო.

ჰოდა, ჭაო!.. ჭის გარეშე ოჯახი არაფერიაო. კი, ბატონო, მაგრამ ჩვენთან ქვაღორღი-

ანი ნიადაგია, გათხრილი კედელი პირს ვერ იჭერს, მალევე ირღვევა და იმლებაო. თანაც, თუ ძალიან ღრმად არ ჩახვედი წყალი პირს არ გამოაჩენს და ძირღმულიდან არ გამოვაო. – სცადეს გულის აცრუება მეზობლებმა, მაგრამ მოჩემარის ნებისყოფისა გამოდგა მოძღვარი, – აქ კი არა, ქვიშით დაფარულ უდაბნოში თხრიან ჭას და ამოჰყავთ წყალიო.

კაკოია დიაკვანს დაავალა ჭის მთხრელების მოძიება. მიდგა- მოდგა ნდობაგამოცხადებული კაკოია და სენაკის სოფელ ეკში გამოცდილ ჭისმთხრელ ძმებს ცხვიტავებს მიადგა. კი გა- მოდგნენ მეძვირები, მაგრამ თავისი საქმის ნამეტანი კარგად მცოდნე ისტატები ირწმუ- ნებოდნენ, რომ სადაც ბარს დაარტყამდნენ იქ წყალს უთუოდ ამოიყვანდნენ. მოურიგდა მამაო აბო სამ ძმას, ვერცხლისნებალივით მოუსვენ- რებს, ტანად პატარებს, მაგრამ დაუღლელებსა და ჯანიანებს. ადრე გაზაფხულზე დაინყეს ჭისთვის საჭირო და ვარგისი ადგილის მოძიება. თავდაღმა დაპირქვავებული შუშის ჭიქებითა და ქილებით ეძებდნენ. ერთი კვირის თავზე რომელმა ჭურჭელმაც მოიკიდა მეტი ორთქლი, ის ადგილი მონიშნეს და ივლისის ბოლოს, აგ- ვისტოს დასანყისში დაინყეს თხრა. მანამდე კი ჭის ქვით ამომწყობ-ამომკირავებიც მოუყვანეს მამაოს, რომლებმაც მდინარის ნაპირიდან, მრევლის დახმარებით, ურმებით ამოზიდეს საჭირო ფორმისა და რაოდენობის ქვები.

ფიქრობდნენ, რადგანაც მდინარე ახლოს ჩამოუდიოდა ეზოს, წყალს ადვილად ამოიყ- ვანდნენ, მაგრამ 22 მეტრის სიღრმემდე არ გამოჩნდა ქვიშა და სიხარულით ცას შეწვდე- ნილმა ცხვიტავებმა უკვე ნახევარი ბარის სიღრმეზე წყლის თვალი დაიჭირეს და ეჰე, ჰე... ამორაკრაკდა სამოთხის მზე... მუშაობა თანშეწყობილად მიდიოდა, ეკელები თხრიდ- ნენ, ხორშელები ქვებით აშენებდნენ კედელს, სიტყვებივით აწყობდნენ ერთმანეთზე რიყის ლაფართია, წყლით გამოკვერილ და გამოსლი- პინებულ ქვებს. არაფერი სჯობდა ამომძიებუ- ლი, დევის თვალებით მიწყობილად ამოლეგავე- ბული, ძირამოზევებული ჭის ხილვას. სამგზის ამოხაპეს წყალი, ძირსმოკიდებულმა ქვიშამაც თავისი ქნა და ზევიდან ჩამოსუნთქულ ჰაერ- თან ერთად, ცის გულიდან წამოდინებულივით დაწმინდა, გაარაკრაკა დალოცვილი. ქვაცივი ხომ იყო და ნამეტანი კარგი გემოც დაიყენა.

სამი თვის მუხლმოუყრელი შრომის შედეგი სახეზე იყო. ჭის თავი, ანუ ჩვენებურად- გვი-

მიც თვალდასარჩენად ამოაკირწყლეს. წეროს-ფეხება ონინარი კაკოია დურგალმა გაუმართა აკაციის გამომწვარი ბოძებითა და რკინის შიგ-მტარით. ბიკი მჭედლისგან ოცდახუთი მეტრი სიგრძის ჯაჭვი იყიდა მღველმა და ჩამოახრი-ალა ვედრომობმული ონინარზე, რომლის ბო-ლოს ასევე ლაკაციის მძიმე კუნძი ეძალებოდა. პირველი მოპირთავებული ვედრო ოსტატებმა ამოასკუპეს და პირველის თანხლებით გადა-ხუხეს კაკაბივით წყალი.

მერე იმ ჭაში მთვარე ჩასკუპდა და იქ დაიდო ბინა. კედელს თანდათან ხავსი და ფომფოლო მოედო, უფრო ჩამაგრდნენ და ჩამარადისდნენ ქვებიც. წყალი კი დაყენდა კაკაბანა და ცივგულა, საამოდ და მადლიანად დამარწყულებელი. რა დონეზეც ფეხი მოიკი-და, იმ დონეზე იდგა – ზამთარ-ზაფხულ მო-უკლებ-მოუმატებლად. საიდან არ მოდიოდნენ ჭის სანახავად და წყლის დასაგემოვნებლად. ოქროს ფულით გათხრილი ჭაა და იქნება, ბა-ტონო, კარგი აბა რაო, – ამბობდნენ სოფელში.

ყველაფერს ხომ აქვს დასასრული ამ ქვე-ყანაზე, და აბო მღვდლის უფლის ნებიერა ცხოვრებაც დასრულდა. თან მეტად სავალა-ლოდ და საწუხილოდ ის დრო მოდგა, როცა ცოდვაძლეულმა ბოლშევიკებმა ღმერთი ძირს ჩამოსწიეს და ბელადი გააღმერთეს, ცამდე აზიდეს ცრუ იდეური ონინარებით. სისხლად და ცრემლად მოვარდნენ, სიკვდილი და სასო-ნარკვეთა მოიყოლეს. მღვდელი დააბეზლა ვი-ლაცამ, ანტიბოლშევიკურ რამებს ქადაგებსო და ამბიონითან ჩამოიყანეს, ანაფორა შემოა-ხიეს, მრევლის თვალწინ გაკრიჭეს და წაიყვა-ნეს. ტაძარი დაარბიეს, ნაბილწეს და ტყავის მოკლე ქურთუქსა და ტყავისავე აზიურებში გამოწყებილმა, უნვერ-ულვაშო, მეთაურად მიჩნეულმა ახალგაზრდამ მედიდური იერ-სა-ხით განაცხადა: აქ კოლექტივის საწყობი და თავლა გაიხსნებაო! მერე მღვდლის, ანუ მათი ტერმინით მავნებლის ოჯახს მიუბრუნდნენ, დაარბიეს, რაც მოეწონათ წაიღეს და მტრედი-ვით მოღულუნე სახლში ვიღაც რუს-ქართველა თუ გაურკვეველი ეროვნების ცოლ-ქმარი ჩა-ასახლეს. რაც ამ უკანასკნელებმა პირველად გააკეთეს, გახლდათ ის, რომ მღვდლის უნი-კალური ბიბლიოთეკიდან წიგნები გამოზიდეს, შუა ეზოში დაახვავეს ცეცხლი წაუკიდეს. ამ ადგილზე დღესაც ხარობენ გაურკვეველი ჯიშისა და სახეობის ულამაზესი ყვავილები,

რომელთაც სოფლელები წიგნის ყვავილებს ეძახიან, ცეცხლმოკიდებული წიგნებიდან ჩა-მომდნარი სიტყვების ნიადაგზე ამომზევდნენ ეს ფერადი საოცრებანიო!

საალდგომოდ სოფელში ამბავი მოიტანეს-მღვდელი აბო სხვა ანაფორიანებთან ერთად, ზესტაფონთან, ვაგონში ჩაცხრილეს! ის აღდგომა შავად გაუთენდა სოფელს, ჩუმად ღებავდნენ კვერცხებს და ჩურჩულით ეუბ-ნებოდნენ ერთმანეთს: „ქრისტე აღსდგა“, – „ჭეშმარიტადო!“

მღვდლის ეზოს გარშემო შემოვლებულ ტრიფოლიატის დუყებს ჯოხით თავი რომ არავინ წააცალა, ავარდა, გაიფორჩხა და სამი კაცის სიმაღლით გადაებურა ირგვლივეთს. გაუსხეპავი ხეხილი გაიჩხვარკა უშნოდ და თვალშეუდგამად. ალვისა და აკაციის ხეები აქეთ-იქით გაიბურჩხნენ ქართამაშა ტოტებით. ჩალრუბლდა და ჩაიზნიქა მღვდლის ეზო-კა-რი. იმ ცოლ- ქმარს ბიჭი შეეძინათ, ისეთი – მკვდრებს რომ აკლდებათ და ცოცხლებს ემა-ტებათ, ხლაპია დაარქვეს. იმ უბედურ დღეზე გაჩენილს არც სოფლისა გაეგებოდა რამე და არც იმის იქით სამყოფლოსი. უშვილძირიდ ამოვარდა და ამოიძირკვა ფუძე-სამყოფლო-დან! მისი სიკვდილის მერე ვიღაც გამოჩნდა, იმ ხლაპიას მიერ მემკვიდრედ და ნათესავად ალიარებული. ახლა იმ ვიღაცამ მოიფუძვა უმადურად მღვდლის ნაწვალებ და ნალო-ლიავებ ეზო-კარში. მოვიდა თუ არა, უშვე-ლებელი, უზარმაზარი ხეების აჩეხას, შეშად გაყიდვა-გასაჩუქრებას მიჰყო ხელი. მერე ჭას მიადგა, ნაგვითა და ნარჩენ-ნაბურით ამოვსება დაუწყო, რაში მადგია, ონკანი შემოიყვანეს – მაინც არ ვხმარობ, თანაც რა ჯანდაბად მინ-და ამ სიღრმის ჭა, ვინმე რომ ჩავარდესო? – ასე წაბილწა და სასუნთქი ამოუქოლა მინაში ჩაგუბებულ მზის ანკარა ცრემლებს.

ჭის გაუქმების მერე, ყოველდამით ძილ-თაშორის მეზობლებს ეცხადებათ მალალი, ტანემელი, თეთრწვერა, ანაფორიანი მოხუცი და ცრემლმძლეულად, გასაწყლებული სახით ივედრება: ხალხი არა ხართ, ღმერთი არა გნამთ, ერთი ჭიქა ჩემი ჭის წყალი დამალევი-ნეთ, სხვა წყალი არ გადამდის ყელში, ამოვშრი, ამოვიწვეთე, წყურვილისგან ვიხრუკებიო!.. ერთმანეთს უყვებიან ერთნაირად მოღამებულ სიზმარს მეზობლები, არ იციან რა ქნან, რა მოიმოქმედონ?..

მთვარისას კიდევ ნუ იტყვით, ამ ჭის ამოვ-  
სების მერე თვალით არავის უხილავს ბადრი  
მთვარე. არ ვიცი, ჩემო კარგებო, მიწიდან ჯერ  
არავინ ამოცოცხლებულა და იმას რა ამოიყ-  
ვანს!.. ვერ მოასწრო ამოსკუპება და არისო  
ახლა იმ კაკაბანა წყალთან ერთად დასამარე-  
ბული!..

წუხს ყველა!..

პატარა ბიჭმა ღვთისომ, ამოვწმინდოთო  
ჭა...  
იქნებ, იქნებო!..

### მოგონებათა კვალდაკვალ...

ცნობილი მეცნიერის, უზენაესი საბჭოს  
დეპუტატისა და განათლების ყოფილი მინის-  
ტრის, გამორჩეულად სათნო ქალბატონის,  
აწგანსვენებულ – ლია ანდლულაძის ინიციატი-  
ვით, სულმნათი ვალტერ შურლაია – უზენაესი  
საბჭოს დეპუტატი, მხატვარი ბექა ქურხული  
და თქვენი მონა-მორჩილი ბექას „07“ მარკის  
უიგულით ვესტურეთ სოფელ წერაქვის სამუა-  
ლო სკოლას, რომელსაც დირექტორობდა სახე-  
ლოვანი მწერალი და ლირსეული მამულიშვილი  
ნოდარ წულეისკირი. უფრო სწორად, ქალბა-  
ტონი ლია ანდლულაძე მიიწვია 14 აპრილს  
ქართული ენისადმი მიძღვნილ ონისძიებაზე,  
ჩვენ კი ქალბატონმა ლიამ წაგვიყვანა – ჩემი  
ნაზირ- ვეზირებით გეახელით ნოდარ ბატო-  
ნონ, იხუმრა სასურველმა სტუმარმა და გაიხა-  
რა მასპინძელმა, ქალბატონ ლიას ოუნჯობას  
თავადაც მიაგება ნახევრად ხუმრობა: ამდენი  
ზვიადისტის სტუმრობას ბუნტის წამონებად  
ჩამითვლის შევარდნაძე და შავ დღეს მაყრისო.  
ცუდი დრო იყო, ეროვნული ხელისუფლების  
მომხრეთა წინააღმდეგ ნადირობა იყო გამოც-  
ხადებული და ქვეყნის პირველი პირის წინაშე  
თავმოსაწონებლად და ქულების დასაწერად  
ისეთ რამებს სჩადიოდნენ სამართალდამცავი  
და არამარტო, სტრუქტურის თანამშრომლები,  
გახსენებაც კი მზარავს. „მხედრიონზე“ და სხვა  
უკანონო შეიარაღებულ ძალებზე საუბარი ხომ  
ზედმეტიცაა, მათი სისასტიკისა და უღვთო  
საქციელისა გამო. მოკლედ, ჩვენი მისვლა იყო  
და დაბურულ მინებიანი მანქანები არ მოშო-  
რებია სკოლის შენობას.

ღონისძიების დაწყებისთანავე სიტყვა  
ქალბატონ ლიას მისცეს, რომელმაც ძალიან

საინტერესოდ და შთამბეჭდავად ისაუბრა,  
ხაზი გაუსვა ბატონი ნოდარის მნიშვნელოვან  
წვლილს ქართული ენის დაცვის მამულიშვი-  
ლურ საქმეში, გაიხსენა 1978 წელი, „საბჭოთა  
ტანკის“ წინ განილილი ნოდარ წულეისკირი  
და ის ადამიანები, რომელთა ერთად დგომამ  
და თავგანწირულმა ქმედებამ სახელმწიფობ-  
რივი ენის სტატუსი შეუნარჩუნა მშობლიურ  
ქართულს.

იმ პერიოდში შევარდნაძემ და მისმა მეუღ-  
ლებ თეთრი ცხენი აჩუქეს ნოდარ წულეისკირს,  
ნიშნად შერიგებისა და მეგობრობისა. ბატონი  
ნოდარი ტატეიანი ადამიანი გახლდათ და ამაზე  
ხმაური არ აუტეხავს, საჩუქარი უკან არ მიუბ-  
რუნებია, რამაც გარკვეული წყენა გამოიწვია  
„ზვიადელთა“ რიგებში. პრესის ფურცლები-  
დანაც გაპერეს კლანჭები მხცოვან მწერალს  
და ეროვნული ხელისუფლების დამამხობელთა  
მეთაურისგან მიღებული საჩუქარი, არც მეტი,  
არც ნაკლები- პრინციპების ღალატად ჩაუთვა-  
ლეს. რა თქმა უნდა, ყველა როდი ფიქრობდა  
ასე და მათ შორის ჩვენ, ვინც ვსტუმრობდით  
ამ ღვთისნიერ ადამიანს. მეტად მგზნებარე  
გამოსვლა ბატონმა ვალტერ შურლაიამ ფრან-  
ცისკო ასიზელის ციტატით – „თავისუფლების  
ღვთიური ძალის შესახებ..“, დაასრულა და იქვე  
მდგომ ბექას შეფუთული ნახატი გამოართვა,  
გახსნა და დიდებული ფერწერული ნამუშევარი  
– „მეგრული ლაფშა“ მიართვა ბატონ ნოდარს,  
შემდეგი სიტყვებით: ძვირფასო მეგობარო, ეს  
შენი ნანარმოებებიდან გადმოსული საყვარელი  
ულაყის- „ქარიშის“ სურათია, სამეგრელოდან  
გამომატანეს და იცით კიდევ რა მითხვეს,  
შევარდნაძემ ჩვენგან მოაპარინა ის ცხენი,  
თქვენთვის გვინდოდა საჩუქრად და მოყვანა  
დაგვასწრობი!.. – ამ ხუმრობას დამსწრე საზო-  
გადოების სიცილ-ხარხარი მოჰყვა, გამხიარე-  
ბულმა მასპინძელმა მისებურად ჩუმ- ღიმილით  
ჩაილაპარაკა: ვიცანი ის ცხენი და მიტომაც არ  
დავიტოვეო!

მახსენდება მისი გამოსვლა და ქართულ  
ენაზე ამაურულებლად საუბარი: ქართული  
ენა უფრო დიდია, ვიდრე რომელიმე გმირი  
თუ უგონიერესი ქართველი, რომლისთვისაც  
ძეგლი დაგვიდგამს, ან მომავალში დავუდ-  
გამთ, თავად ენაა შემომქმედი და მშობელი  
იმ გმირებისა, გასაოცარი ადამიანებისა. მან,  
როგორც ასეთმა თავად დაიდგა ძეგლი უკ-  
ვდავებისა და ნარსულს, ანმყოსა და მომავალს

საძირკვლად ემაგრება ვითარცა უფალი... ის ქრისტეზე ხნიერი და უტკივილესი რამეების გადამტანია, ჯვარზეც აცვეს და მარწუხ-გაზებითაც ამოგლიჯეს ხორცი თუ ძარღვი, მაგრამ დამარხვა და მოკვდინება ვერ შესძლეს... ის უკვდავია, როგორც ჭეშმარიტება და იქნება მანამ, ისტყვებს მანამ, სანამ ერთი ქართველი მაინც ისუნთქებს დედამიწის ზურგზე... – მერე მოგვმართა ყველას, მოდით, მეგობრებო დღეს და ხვალ რაღაც დავწეროთ ჩვენს დედაენაზე, მოვეფეროთ მას და საკუთარ თავს ვკითხოთ – გიყვარს დედა ქართული, ისე, როგორც უნდა გვიყვარდეს?..

საღამოს თბილისში დაბრუნებულმა ავანთე ჩემი ნარინჯისფერი მაგიდის სანათი და საკუთარი თავისადმი კითხვის დაუსმელად, რადგანაც ვიცოდი როგორც მიყვარდა მშობლიური ენა და მის მოსაფერებლად ამის დაწერა მოვახერხე, რომელიც მიყუძღვენი ნოდარ წულეისკირის ნათელ ხსოვნას, და ახლალა წავაწყდი ძველი ნაწერების ქექვისას!

\* \* \*

ვინ უწყის რამდენი საუკუნე დასჭირდა მშობლიურ ქართულს, აბსოლუტურად სრულყოფილ და ყოვლისშემძლე ენად ჩამოყალიბებულიყო და ქართველ კაცთან (ერთან) ერთად პატრონი გამხდარიყო ლვთისმშობლის წილებული ქვეყნისა. სვანური და მეგრული ენები მიესაფუძვლნენ, ქართველური მოდგმის გენიალიზმი დაიმყნეს ჩაჯიჯგულ საძირეზე და ამოყლორტდა ენა ქართული, ენა ლაზარესი და ენა სიყვარულისა. ცხრა მთა და ცხრა ზღვა გადაიარა, რა არ ნახა, როგორ არ ინუხილა, ვის არ უმასპინძლა, უგულკეთილა, მასთან უამრავი შემოდინებები თუ ქარიშხლური ქროლები მოიგერია და ტანჯვა- წამებით მოაქუამოვებულმა შეინარჩუნა სახე და სული თვისი, ხატოვნება და მშვენიერება, ჰარმონიულობა და მუსიკალურობა, ასერიგად რომ აცამალლებს მის უბრნებუნვალესობას.

ყანებიდან და ვენახებიდან, ბალჩებიდან და ველ-მინდვრებიდან, ჩქერალებიდან და ჩანჩქერებიდან, ნაკადულებიდან და მდინარეებიდან, ზღვის ტალღებიდან და ქარიშხლებიდან, ტყეებიდან და... უსასრულობიდან გადმოფრთონდა და და სიოს სალბუნით გადაუჩურჩულა ასევე უსასრულობის გნიასით მოსილ სამყაროს: ეს მე ვარ ქართული – ენა კოლხ-იბერთა, მიწიდან

მთვარის ამოხტომის შემსწრე და მნახველი, მზის ნათლული და ვარსკვლავების ნათლია, ღვთიური შუქ-ჩრდილებით გარემოსილი, ყველასგან განსხვავებული, თავისთავადი და თვითმყოფადი... და ეპეი, ავდივარ ზე-ვით, ჩავდივარ ქვე-ვით, მივალ ყველგან, ვეახლები ყველას და ნიშნად ღვთაებრივი სიყვარულისა – სამყაროს ვეანკარები...

კაცი ვარ, ქალი ვარ, ყმაწვილი და ძუძუთა ბავშვი...

ცოცხალი ვარ და მიცვალებულთა სულის მეოხი...

ტაძარიც ვარ და მოგვთა სამყოფლოც...

უსასრულობა ვარ ყველასა და ყველაფერ-ში...

შვლის ნუკრად მოველ, ლურჯ იად და წიქარა ხარად, სალამურად და ასფურცელად, კომბლედ და ჩიორა-ჩიტად, ზეცას გალობით რომ აბრუებს მაფშალიურად...

ამირანი ვარ – იღბლის კლდეზე სულით დაბმული და დღე და ღამე ღვიძლს მიკორტნის შავი ყორანი... ვიბრძვი და ვცოცხლობ, ვიცდი და ვსუნთქავ, ვშრომობ და ვიღვწი, ვქეიფობ, ვცეკვავ, ვმღერი და ვნათობ – ჩემი სისხლის და ტრადიციის აღფრთვანებად...

მე რუსთველი ვარ, ტარიელი და ავთანდილი, როსტევან მეფე, ფრიდონი და თამარ-ნესტანი, თინათინი ვარ ვარსკვლავების უქრობი ნიშა, საუკვდავებოდ გავლებული ხნულში მუხლური...

ცურტაველიც ვარ, ლვთაებრივი სულის დარჯი და შუშანიკის ნამებისას ნაკვნესი სიტყვა, ნამნამხატულა ქეთევანი – ნაგვემ-ნაშანთი...

დავით მეფე ვარ, ცოტნეც ვარ და დემეტრე დიდი, დიდგორის ციდან მოფრენილი ლეგა არწივი...

კრნანისის სისხლი ყაყაჩოსფრად აწვეთებული, მარტყოფის ცრემლიც – ტკივილების მწუხრის დედანი...

გურამიშვილის ტკივილიც ვარ, ლექსის მესიაც, ბარათაშვილის თეთრი მერნის თეთრი რაინდი...

ერის ბურჯი ვარ, ილია და სიკვდილს ვამარცხებ, ჩემი მამულის ხვალინდელი დღის სანათელოდ..

დიდი ვაჟა ვარ, დიდი გალა და ტიციანი, აკაკის სიზმრის მზეები და სიტყვის მტევნები...

მე გრანელი ვარ – უსაბამო სევდის გენია და გზას მივიკვლევ სიყვარულის შორ მწვერვა-

ლამდე, რომ მოვიხელთო სამიჯნურო წითელი ვარდი და ვუსახსოვრო მარტოსულთა დარდიან განცდებს...

ჰაკი აძბა ვარ, ერთგულების გული და ძალი, ვდარაჯობ სიკვდილს, რომ სიცოცხლეს დაედოს ფასი...

ეჱ, ბორიაყულ საჯანლეთში მუსიკას ვეძებ, მე ნიკუშა ვარ ხეთერელი- ქართლის ფიქრი და ლეკო მმეგზურობს თათაშელი – შიმველი ხმალი, ქართლის ხეობებს ნისლად ასდის სევ-დის ნაფიქრი...

გოგლა ვარ, ანა, მუხრანი და შოთა, მურ-მანი, ყველა პოეტი, მწერალი და სალბუნად სულის მომზევებია ჩემს გაზაფხულს ინანიშვილის – მიწის და ზეცის რაფსოდიები...

ცას წავალა ვარ, ვაგროვებ სევდას და ჩოხ-ში სულის ზანზალაკებს ვკიდებ ხატობებს...

მე ქარის მზე ვარ, მცხუნვარებით სულში ჩამწვდომი, მცნობი ულურჯეს ცის ლაციცის და ელვარების...

გაზაფხული ვარ,

ზაფხული ვარ,

შემოდგომა და

ზამთრის თოვლისფრად მოთენებანი...

მზეკაბანი ვარ – ოქროსფერად თავთავ მბზინავი და არეკლილი ალმურების ველზე ქროლება...

ოროველა ვარ, ჩაკრულო ვარ, ნანა და ლილე, კრიმანჭული ვარ, ოდოია – გალობა ღმერთის...

აი-ია ვარ, აი-თითი და აი-თოხი... ბგერების ცეკვა და თამაში ხმათა ტკბილობით!..

გამსახურდიას ფოლადი ვარ საკვერად აზრის და ქოსა გახუს მუქ მზერაში ვპოულობ საშველს...

უფრო დიდი ვარ, უფრო წრფელი, უფრო დიადი, ვიდრე ჩახჩახი მზის სხივების- მწველი, ნათელი...

\* \* \*

დედაენის დღეს გილოცავთ, ქართველებო!.. ამაზე დიდი საუნჯე ჩვენს ეროვნულობასთან ერთად არა გვაბადია რა. ის ყველა და ყველა-ფერზე მაღლა დგას, როგორც ჩვენი იდენტური სიანკარის ნიშანსვეტი...

ენის ცოცხალი რწმენა მის გამშობლიურებასთან ერთად, ლიტერატურულ- მეცნიერულ აქტივობაში მდგომარეობს, მას შემოქმედებითი ნაირფეროვნება აძლევს უკვდავებისად გაჭეშ-მარიტების საფუძველს.

ენა რომ არ იქცეს სიტყვების, ანუ ლექ-სიკური მარაგის მუზეუმად, აუცილებელია მისი მხატვრული მნიშვნელობის ამაღლება, რომელიც შესძლებს გამოაჩინოს მისი აღმა-ტებული ხარისხი სამყაროსული მოვლენებისა და ადამიანური თვისებების აღსაწერად... ენის განვითარება ბუნებრივი, ინტელექტუალური სიმაღლეებით უნდა განისაზღვროს და სიტ-ყვადებისადობა თუ კომპოზიტური ქარგა სის-ხლხორცეულად შეესაბამოს მის ფუძისეულ საწყის...

ჩვენი სულიერი და საერთოდ ეროვნული კულტურა, რომელსაც სწორება: მამულის, ენისა და სარწმუნოების ნიშანსვეტზე აქვს, ულირ-სეულეს ადგილს იკავევს მსოფლიო კულტურის გზასანიერში და ამაში განუსაზღვრელად დიდი როლი უკავია ენას, მისი მნიშვნელობის აღმა-ტებულებას...

ქართული – ბიბლიის, სახარების ენაა... ტკბილად სასაუბრო და უთბილესად მოსას-მენი!..

ის ანგელოზებისა და სერაფიმების ენაა...

\* \* \*

„... შენ კირო ჩვენთა  
ქვათა და კირთა,  
შენ ერთს, შენ ვერ გთმობ  
სამარის პირთან!..“

„...დედაო ენავ, დედაო ენავ...“



## კონსტანტინე არევაძე

ამ მოგონებისა და ლექსების ავტორი კონსტანტინე არევაძე 1944 წელს დაიბადა გულრიფშის რაიონის სოფელ აბლუხევარაში; მრავალი წლის მანძილზე მუშაობდა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში ხელმძღვანელ თანამდებობებზე, იყო თავისი დარგის თვალსაჩინო სპეციალისტი.

კონსტანტინე არევაძე თავის კალამს ცდიდა პოეზიაში. პუბლიკაციები, რომლებსაც აქვაქვეყნებთ, ეხება იმ პერიოდს, როცა, უამრავი სხვა ქართველის მსგავსად, იმყოფებოდა ემიგრაციაში.

კონსტანტინე არევაძე გარდაიცვალა 2014 წელს თბილისში.

მასალები მოგვაწოდა კ. არევაძის ძმამ, ბატონმა დავით არევაძემ.

## **ქორწილის თამადის ცრემლები (ნამდვილი ამბავი)**

ეს ამბავი ჩემი ახლო ნათესავის ქორწილში მოხდა. პირვენება, რომელსაც ქორწილის თამადობა ჰქონდა დავალებული, ვერ მოვიდა და ოჯახის უფროსმა თამადობა სთხოვა იქ მყოფ ჩვენს ერთ-ერთ ნათესავს, რომელსაც თამადობის ხელოვნება უფლისაგან ჰქონდა ნაჩუქარი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მას გაციების გამო ხმა ჰქონდა ნართმეული და ჩემთვის მოულოდნელად თამადობა მე მომინია.

მასპინძლებმა და პატარძლის მხარემ მშვენიერი ქორწილის ორგანიზება მოახერხეს. მეფე-პატარძალი და მეჯვარეებიც მომხიბვლები იყვნენ, მაგრამ თქვენი ყურადღება სუფრის გაძლოლის ერთ ეპიზოდზე მინდა შევაჩერო.

სუფრა უკვე დასასრულს უახლოვდებოდა, როდესაც ჩემთან ახალგაზრდა მასპინძელი მოვიდა და მთხოვა, – თუ შეიძლება, დედაჩემის მშობლის სადლეგრძელო შესვითო, ის ამჟამად ამერიკაში ჩვენი კეთილდღეობისათვის ფიზიკურად შრომობსო. მე, რა თქმა უნდა, მისი თხოვნა შევასრულე, შვილებისა და შვილიშვილებისათვის თავგადადებული დედისა და ბების სადლეგრძელო შევთავაზე სტუმრებს და სკამზე აცრემლებული დავჯექი.

ჩემი ცრემლი ბევრმა შენიშნა და სუფრაზე უხერხული სიჩქმე ჩამოვარდა. მე მაშინ ჩემი აცრემლების მიზეზზე სუფრასთან არ მისაუბრია, მაგრამ აქ მინდა არცთუ ისე შორეული ნარსულიდან ბელგიაში ერთი პატიოსანი და კეთილშობილი დედის იქ ვაი-არსებობის მომენტი მოვიგონო - ჩემი ცხოვრების ერთ ეპიზოდზე მოგითხოვთ.

ეს ამბავი ბელგიის სამეფოს ერთ-ერთ აზულანტების ბანაკში მოხდა. აზულანტებს

სამშობლოდან ემიგრირებულ რეპატრიანტ მოქალაქეებს უწოდებენ, რომელთა შორისაც ოთხმოცდაათიანი წლების ბოლოსა და ორიათასიანი წლების დასაწყისში მეც გახლდით. იმ პერიოდში მე ქალაქ ლოვენში ვცხოვრობდი და ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან ემიგრირებული ახალგაზრდა რეპატრიანტებისათვის განკუთვნილ ადგილობრივ „ნობელის სახელობის უმაღლესი სკოლის“ სახელით ცნობილ სასწავლებელში ვმუშაობდი.

იმავე ლოვენში ჩამოყალიბებული იყო მუსიკის მოყვარულთა სიმღერის ანსამბლი, რომელსაც ბარიტონები აკლდნენ და სასწავლებლის რექტორის თხოვნით მე მათ როგორც შემეძლო, ვეხმარებოდი – ვმღეროდი. ანსამბლში ინსტიტუტის თანამშრომლები და ქალაქის ინტელიგენციის წარმომადგენლები იყვნენ გაერთიანებულნი, ხოლო აკომპანირებას პროფესიონალი მუსიკოსები გვინევდნენ.

ერთ-ერთ გასვლით კონცერტზე არდენის მთების მიდამოებში განლაგებულ რეპატრიანტთა ბანაკში ჩავედით. ბელგიური და ნიდერლანდური სიმღერების გარდა შევასრულეთ სხვადასხვა ქვეყნის ფოლკლორული სიმღერები, რომელთაც რეპატრიანტები ოვაციებით ხვდებოდნენ, განსაკუთრებით, თუ ეს სიმღერები მათი ქვეყნისა იყო.

უკვე საღამო იყო, კონცერტი დასასრულს უახლოვდებოდა, რომ საბჭოთა აზულანტებმა ერთხმად მოითხოვეს: ნინო, ნინო, ნინო... ეტყობოდა, ეს ნინო ამ ბანაკში მცხოვრები რეპატრიანტი იყო და ჩანდა, რომ მისი სიმღერა მათში ძალიან დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ჩვენმა ლოტბარმაც, – ვინ არის

ნინო, მობრძანდესო, და დარბაზში წამოდგა ლამაზი, კოხტა, ასე 40 წლამდე ქალი, რომელიც სცენაზე ამოვიდა და პირდაპირ ჩემკენ გამოემართა კითხვით, – ბატონო, ამათთან საიდან გაჩნდითო. მე მას ვუპასუხე, ყველაფერს შემდეგ მოგიყვებით, ხოლო ახლა დარბაზი თქვენს სიმღერას ელოდება და ოქნება თხოვნა შეუსრულოთ-მეთქი. მან მითხრა, – ორ სიმღერას ვიმღერებ, მხოლოდ გიტარა არ მაქვს და იქნებ თქვენი ანსამბლის რომელიმე წევრმა მათხოვოსო. მე ერთ ორკესტრის წევრ ახალგაზრდა ქალს ვთხოვე, ძალიან კი უხერხულება, მაგრამ იქნებ გიტარა ათხოვოთ-მეთქი. მან იმწუთშივე ნინოს გიტარა გაუწოდა და თან ეჭვის თვალით დაუწყო ცქერა, – შეძლებს თუ არა ჩემს გიტარაზე დაკვრასო.

ნინომ გიტარის უღერადობა გასინჯა, მოენონა და მთხოვა, – პატრონს შეეკითხეთ, გიტარის გადაწყობა თუ შეიძლებაო. ნიელამ, ასე ერქვა ბელგიელს, მაშინვე მიპასუხა, – რა თქმა უნდაო. ნინომ გიტარა გადააწყო, თავისთვის ჩაილაპარაკა, – ამისთანა გიტარას აქ მე ვინ მალირსებსო, და ოთარ რამიშვილის სტილში იმერეთსა და თბილისში პოპულარული სიმღერა „ოცდახუთი ჭუკი მყავდა, ვაჭუკჭუკი, ჭუკი ჭუკი...“ დაიწყო.

საოცრად სუფთად უკრავდა და უცნაური ტემპერის ულამაზესი ხმა ჰქონდა. სიმღერა, ისევე როგორც ოთარ რამიშვილს სჩვეოდა, დოლის დაკვრის ტაქტით დაასრულა და ფეხზე წამოდგა. დარბაზი მსმენელების ოვაციამ კინალამ დაანგრია. ეტყობა, ნინო ბანაკში ძალზე პოპულარული იყო. ჩვენი ანსამბლის ხელმძღვანელი ნინოსთან მივიდა და ხელზე აკოცა, ნიელა გაფართოებული თვალებით მისჩერებოდა მას, დარბაზი კი ისევ თხოულობდა სიმღერას.

დარბაზის ნინა რიგში ასე 12-იოდე წლის ტანადი ლამაზი ბიჭი იჯდა და როგორც სხვები, ტაშს უკრავდა. ჩემი ბიჭიაო, მითხრა ნინომ. აფხაზეთიდან ვართ დევნილები. ამის უფროსი ძმა – სტუდენტი – თბილისში მყავს დატოვებული და ესენი რომ ვარჩინო და ვასწავლო, იმისთვისა ვარ აქა.

მეორე სიმღერა ნინომ ინოლა გურგულიას „ვაი და როგორ გიხდება...“ იმღერა. დარბაზში ბუზის გაფრენას გაიგონებდი. სხვადასხვა ქვეყნის, სხვადასხვა ეროვნების, სხვადასხვა რელიგიისა და მრნამსის მქონე ხალხი სულ-

განაბული უსმენდა ნინოს. სიმღერა რომ დაამთავრა, – ისევ ოვაციები, განსაკუთრებით ირანელები და ავღანელები გამოირჩეოდნენ, ალბათ რაღაც მათთვის ახლობელს, აღმოსავლურს გრძნობდნენ ამ სიმღერაში და თავიანთად აღიქვეს.

სიმღერას რომ მორჩა, ნინო წამოდგა, გიტარა მიაწოდა ნიელას და მადლობა უთხრა. ნიელამ გიტარა არ გამოართვა და „პრეზენტო“, უთხრა. ნინომ გიტარა ფრთხილად დადო სკამზე და მე მითხრა, – არ ეწყინოს ნიელას და უთხარით, რომ შეურაცხყოფად არ მიიღოს – მის გულწრფელობაში ეჭვი არ მეპარება, მაგრამ ემოციებით დამუხტული სიტუაციით ვერ ვისარგებლებო.

როგორც შევძელი, ვუთარგმნე ნინოს ნათქვამი ნიალას და გენახათ როგორი რეაქცია ჰქონდა...

ამ დროს დარბაზი ისევ არ ცხრებოდა. ახლა უკვე ერთხმად სკანდირებდნენ: – ნინო! ნინო!.. და კიდევ ერთ სიმღერას ითხოვდნენ. ნინომ ნიელას შეხედა, – კიდევ ერთხელ დავუკრავო. ნიელამ გიტარას ხელი დასტაცა და ორივე ხელით გაუწოდა.

ბატონო მკითხველო, მე ამ მოგონებაში არეფერს არ ვუმატებ და დამიჯერეთ, ყველაფერი, როგორც იყო, ისე გადმოგეცით. ნინომ მიკროფონში რუსულად გამოაცხადა, – ვუძღვნი ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან რეპატრიირებულ აზულანტებსო და თან ხუმრობით დააყოლა, – დარბაზის ფანჯრებთან ბელგიელები დადექით, არავინ გადახტესო.

“თეთრგვარდიელების სიმღერა” – გამოაცხადა მან და გულისცემის ტაქტში, მხოლოდ ბასის სიმის უღერადობით დაიწყო – ბეისტრო-ბეისტრი დონელავა, დნი ხეგი კა ხასიათი... სიმღერის სიტყვები რუსეთიდან ევროპის საზღვრის გადაკვეთაზე ჰქონდა გადაკეთებული. რუსულენოვან აზულანტებს გადავხედე. დარბაზში რაღაც კატასტროფის მომასწავებელი სიჩუმე იყო. ეგრეთ ნოდებული „სოცსტრანელები“ აღგზნებულნი, ცრემლიანი თვალებით უცქერდნენ და უსმენდნენ ნინოს. მან კი სიმღერა ისევ ბასის სიმის აკომპანიმენტით დაამთავრა:

„И границу в ночи я перечувствую вновь,  
За которой Россия, за которой любовь...“

და თვითონაც თვალცრემლიანმა გიტარა ფრთხილად სკამზე დადო.

დარბაზი სულგანაბული იყო. არარუსულენოვანი აზულანტები გაკვირებულები შესცქროდნენ რუსულენოვნებს, რომელნიც დარბაზში უმრავლესობას წარმოადგენდნენ. ხმას არავინ არ იღებდა და არც ტაშზე ფიქრობდა არავინ. უცებ ერთმა რუსმა ქალმა, რომელიც თურმე მოლდავეთიდან იყო, დაინივლა და სახე ფრჩხილებით ჩამოიფხოფნა. მას სხვა რუსი ქალებიც აპყვნენ – სახეს იკანკავდნენ და წიოდნენ. სკამიდან წამოხტა ერთი მთვრალი რუსის კაცი და მეორე სართულის ფანჯრიდან გადახტა. დარბაზი აირია და ჩვენი კონცერტი აღარ გაგრძელებულა, ჩაიშალა.

მე ნინო ვეღარ ვნახე, რადგან ჩვენ იმავე სალამოს დავბრუნდით ლოვენში. იმდენად მაინტერესებდა მასთან საუბარი, რომ ორიოდე კვირის შემდეგ ისევ ჩავედი არდენებში და ნი-

ნოს მივაკითხე. ვერ ვნახე. ბანაკის ხელმძღვანელობამ მითხრა, – მისთვის უთხოვნიათ, რომ სახალხოდ აღარ ემღერა. ამ მიზეზითა თუ სხვა რამის გამო მას შვილთან ერთად ბანაკი დაუტოვებია და წასულა. სად, – ან არ იცოდნენ, ან არ მითხრეს.

მკითხველო, ნინოს, რა თქმა უნდა, სხვა ქართული სახელი ჰქვია. მე არ მინდოდა, რომ ჩემი მონათხრობით ის უხერხულ მდგომარეობაში ჩამეყენებინა, მაგრამ თუ ის დღეს საქართველოშია, ჩემს ამ წერილს წაიკითხავს და მოიგონებს იმ უცნაურ სალამოს – მე ჩემს მოვალეობას მოხდილად ჩავთვლი, ხოლო თუ მას სურვილი გაუჩნდება, შემხვდეს, რათა ვისაუბროთ იმ უბედურ დღეებზე – ბედნიერად.

ძალიან მინდა მჯეროდეს, რომ მისმა თავ-განწირვამ უშედეგოდ არ ჩაიარა და მისი ვაჟკაცები დღეს საქმიანნი და წარმატებული არიან.

2005 წელი

\* \* \*

მზის ამოსვლა თუ არ გიყვარს,  
თუ არ გიყვარს ბადრი მთვარე,  
შენი მინა თუ არ გიყვარს,  
ნაკადული მომდინარე.

მეგობრები თუ არ გიყვარს,  
თუ არ მოგწონს კოხტა ქალი,

და, ძმა, ბავშვი თუ არ გიყვარს,  
ზეცა, მდელო, მთა და ბარი.

სულიწმიდა თუ არ გიყვარს,  
ძე ღმერთი და მამა ღმერთი,  
თვით სამშობლოც თუ არ გიყვარს,  
ვინ დაგსაჯა, მითხარ ერთი.

\* \* \*

ბელგიაში, ქალაქ ლოვენში ძალიან მომენტისა ერთი შავგვრემანი ლურჯთვალება ახალგაზრდა ქალი. კოლუმბიელი იყო და ანა ერქვა სახელად. თავისიანებს ემალებოდა. გამიჭირდა, მაგრამ ჩემინებისა და ირანელების დახმარებით მისი დაცვა მოვახერხე. ანამ მაინც ჩუმად დატოვა ბელგია და დაიბარა, აუცილებლად ჩამოვალ თქვენთვის მადლობის გადასახდელად.

ამის შემდეგ აღარ მინახავს.

ბევრი მინახავს ლამაზი,  
შენ სხვა ეშხი გაქვს, ქალაო,  
ოკეანგალმა ქვეყნიდან  
რა ქარმა მოგიყვანაო.

კოლუმბიელო ანაო,  
რად დაგაქს ჩანთით დანაო,  
შენი ლიმილის პატრონსა,  
უნდა ხელთ გეპყრას მარაო.

ალვის ხესავით შრიალებ,  
ნასხლავ ვენახთა კონაო,

ნეტავ მაგ ლამაზ მკლავებზე  
ტუჩებით დამაკონაო.


კალმით ნახატო ანაო,  
კვლავ ჩანთაში გაქვს დანაო,  
შენი ნაძერნი თითებით  
ვინმეს უნდ დაჲკრა განაო?

ლილილების ყანაო,  
ცისფერთვალება ანაო,  
ნეტავი გამაგებინა,  
ქარმა სად წაგიყვანაო.

## ჯერად შონია

# უტუ მიქას დაპრუნება

როგორც ყველა სხვა მოვლენას, რომელიც კი ასახულან საბჭოურ ისტორიოგრაფიაში, 1857 წლის სამეგრელოს გლეხთა აჯანყების შეფასებასაც შეეხო კომუნისტური იდეოლოგიის მსახვრალი ხელი. საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოებში ეს საკითხი მყარ სტერეოტიპულ ყალიბში იყო მომწყვდეული და მთელი თაობები უტუ მიქავასა და მის თანამებრძოლებს მხოლოდ იმ კუთხით იცნობდნენ, რომ ამ ადამიანებმა თითქოს იარაღი მხოლოდ სამეგრელო სამთავროს სისხლის მწოველი ფეოდალების წინააღმდეგ აიღეს და დადიანების



დრომიწმული მმართველობის გაუქმებასა და „მხსნელი“ რუსული მმართველობის შემოღებას მოითხოვდნენ. ამ მცდარ შეფასებას დაუკავშირდა მითი უტუ მიქავას, „რუსული თვითმპყობელობის მომხრეობის“ შესახებ. სამწუხაოდ, ეს ბევრს სჯეროდა, თანაც იმდენად ბრმად, რომ არც კითხულობდნენ, რომ „რუსის კაცი“ უტუ მიქავა მეფის რუსეთმა მთელი ათი წლით გადაასახლა შორეულ ჩრდილოებში.

უტუ მიქავა იმ გადასახლებიდან დაბრუნდა, მაგრამ მისი „მეორე გადასახლება“ მას სწორედ ზემოთ აღნიშნულმა საბჭოთა მეისტორიებმა მიუსაჯეს, თანაც ათი წლით კი არა, მრავალი ათეული წლით, როცა მას სახელს უტეხდნენ და აკინძებდნენ მის დამსახურებას მშობლიური ხალხის წინაშე.

ამას რომ ვამბობ, შეიძლება ვინმე შემომედავოს, უტუ მიქავას საბჭოთა ხელისუფლებამ წალენჯიხაში ძეგლი ხომ დაუდგაო, მაგრამ ამის პასუხი იქნება ძალიან უბრალო და გასაგები: ძეგლი დაუდგეს იმ უტუ მიქავას, რომელმაც სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ აღი-

მაღლა ხმა და არა იმ უტუ მიქავას, რომელმაც იარაღი სწორედ რუსი დამპყრობლების წინააღმდეგ მიმართა! ამას გვიმალავდნენ, ასეთ უტუ მიქავას ჩვენ არ ვიცნობდით და ასეთნაირის-თვის არც დაუდგამთ ის ძეგლი.

მაგრამ აი, მიმდინარე წელს ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში მოხდა ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტი, რომელმაც თავის სამშობლოს, თავის ხალხს დაუბრუნა ჭეშმარიტი უტუ მიქავა, სწორედ ისეთი კოლხი გლეხკაცი, როგორიც იყო სინამდვილებში; დაბრუნდა უტუ მიქავა იმდროინდელი სოციალური და პოლი-

ტიკური ვითარების მრავალმხრივი პანორამის ფართოდ და სრულყოფილად წარმოჩენით და ეს თავისი მხატვრული კალმით გააკეთა ცნობილმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ გიორგი სიჭინავამ, რომლის ისტორიული რომანი-ტრილოგია „უტუ მიქა“ უკვე ერთ წიგნად მიანოდა მკითხველს გამომცემლობა „უნივერსალმა“.

დიახ, ამ წიგნზე საუბარს სწორედ იმით დავიწყებთ, რომ ავტორმა „მეორე გადასახლებიდან“ დაგვიპრუნა უტუ მიქავა და თავისი რომანი მის სრულყოფილ ძეგლად აქცია. ავტორის სასახელმძღვანელო უნდა ითქვას, რომ მან საფუძვლიანად, თანაც ისტორიული დოკუმენტებით და არა მარტო ზეპირი გადმოცემით, შეისწავლა და გააანალიზა იმდროინდელ სამეგრელოსა და მის ირგვლივ განვითარებული მოვლენები, დინჯად, მიუკერძოებლად წარმოგვიდგინა მაშინდელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება და რეალურად ჩაგვახედა იმდროინდელი ცხოვრების სარკეში. მწერალმა ეს შეძლო მხატვრული სიტყვით, მწერლური ენით, მაგრამ დაინახავთ, რომ იგი თავისი შემოქმედებითი წარმოსახ-

ვების გვერდით არ მორიდებია ისტორიული რეალობის, მოვლენათა ქრონოლოგიური განვითარების სიზუსტეს, საჭირო დოკუმენტური მასალების ჩართვას რომანის ტექსტში.

აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ გ. სიჭინავამ ეს რომანი ადრე გამოსცა, ოლონდ დანაწევრებულად, ცალკე წიგნებად, თანაც არა ერთდროულად, რაც მყითხველს არ აძლევდა ნაწარმოების ერთიანობაში აღქმის საშუალებას, თხრობის დინამიკაში ჩართვის შესაძლებლობას; თანაც, ავტორმა შეასწორა და სრულყო ზოგიერთი ეპიზოდი, რაც ნაკარნახევი იყო პასუხისმგებლობით თავისი სათქმელისა და მყითხველის წინაშე; პირველ რიგში, მწერლის მიზანი იყო დაფარული სიმართლის გამომზეურება, რაც მოახერხა კიდეც და გააცამტვერა არაჯანსაღი და გამრუდებული წარმოდგენები უტუ მიქავასა და მისი დროის შესახებ.

როგორც აღვნიშნეთ, რომანი ტრილოგიას წარმოადგენს. ამ რვაასგვერდიან წიგნში უამრავ გმირს, ათასნაირ ამბავსა და სურათს შევდებით, მაგრამ სადა მწერლური ენა, ამბის თხრობის ძალდაუტანებელი, ბუნებრივი მანერა და სათქმელის გადმოცემის მიმზიდველი, დამაინტერესებელი ექსპრესიულობა არ იწვევს დაღლის შეგრძნებას და წიგნის ცოტა ხნით მაინც გვერდზე გადადების სურვილს. პირიქით, იგი საინტერესოდ იკითხება და ამაში გვეხმარება მხატვრული ფანტაზიით შეთხზულ თუ ნამდვილ ამბავთა მხატვრულად გადმოცემის ბუნებრიობა და უშუალობა, რაც პირველ რიგში სჭირდება ნებისმიერ ავტორს მყითხველის ნდობის მოპოვებისათვის.

რომანში მოქმედება სხვადასხვა პარალელური ხაზით ვითარდება, ისინი შემდეგ კულმინაციურ წერტილში იყრიან თავს და კვანძს კინჩხსა და ზანაში გამართული ბრძოლებით ხსნიან, როდესაც უტუს სახალხო ლაშქარი რუსის ჯარს შეება. ტრილოგიის პირველი ნაწილი ერთგვარი ქსოვილია, ფონია, რომელზედაც მეორე და მესამე ნაწილებში განვითარებული მოვლენები იქარგება. ეს ძირითადი ფაზულური მიმართულებები გვაცნობენ იმდროინდელი სამეგრელოს გლეხთა სოციალურ მდგომარეობას, თავადებისა და ყმების ურთიერთდამოკიდებულებას, დადიანების სასახლეში არსებულ ვითარებას, იმერეთში ფეხმოკიდებული რუსული მმართველობის ზრახვებს სამეგრელოს სამთავროს მიმართ.

რომანის პირველ ნაწილში ვეცნობით ყოვ-

ლად უუფლებო ყმა გლეხების აუტანელ ცხოვრებას. თითქოს ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ნოველებს წარმოადგენენ ჯოლორია ბაჩილას, ჩენგელია როგუნჯის, ბათაიას, ხუტუნიასა და მისი შეყვარებული ფოჩიოიას, მეჯოგე ბოჩიას, ყურმოჭრილი შანგიას და სხვათა თავგადასავლები, მაგრამ ეს ამბები მთლიანობაში ქმნიან ნაწარმოებში ასახული დროის საერთო სურათს, შენაკადებივით უერთდებიან ერთმანეთს და იქცევიან ერთიან ძალუმ მდინარებად შემდგომი მოვლენებისა, რომლებიც იწყება ერთი ადამიანის პროტესტით, როდესაც ბაჩილას ვაჟი კლავს შეუბრალებელ თავადს, და გრძელდება სამეგრელოს გლეხობის საყოველთაო ამბოხით, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, მეფის რუსეთის ჯართან შეტაკებით მთავრდება.

რომანის პირველსავე ნაწილში იკვეთება მოსალოდნელი სამხედრო-პოლიტიკური პერიეტიების კონტურები. საქართველოში უკვე მომრავლებული არიან რუსეთის ჯარში მომსახურე გენერლები და მათ შორისაა დავით V დადიანის სიძე ივანე მუხრანბატონი. იგი სტუმრად ჩამოდის სამეგრელოს მთავართან და, სხვათა შორის, ასე უუბნება ცოლისძმას: „ომი გარდაუვალია რუსეთსა და ოსმალეთს შორის. ძირითადად ეს ომი თქვენს სამთავროში გაჩაღდება და ყოველნაირად მზად უნდა იყოთ. თქვენი სამთავროს მომავალი ამ ომზე კიდია სწორედ. საუკეთესო შესაძლებლობა გექნებათ, დიდ იმპერატორს ერთგულება დაუმტკიცოთ და მისი გული მოიგოთ“.

რუსეთის იმპერატორის „გულის მოგებაში“ მუხრანბატონი სამეგრელოში დადიანების ტახტის შენარჩუნებას გულისხმობდა. რომანის მიხედვით, იმპერიის სამსახურში ჩამდგარი ბევრი სხვა ქართველი მოხელის მსგავსად, მუხრანბატონსაც გულწრფელად სჯეროდა, რომ ამგვარ „ერთგულების დამტკიცებას“ მეფე დააფასებდა, მაგრამ სამეგრელოს სამთავროს ბედი, სხვა უკვე გაუქმებული ქართული სამეფო-სამთავროების მსგავსად, ჩვენს მიწაზე პირველი რუსი ჯარისკაცის ფეხის შემოდგმისთანავე იყო გადაწყვეტილი.

სამეგრელოს შიგნით და მის გარეთ არსებულმა პოლიტიკურმა და სოციალურმა ვითარებებმა ერთობლივად განაპირობეს სამთავროში შექმნილი კრიზისული მდგომარეობა, რამაც მოთმინების ფიალა აუვსო გლეხობას და ხელში იარაღი ააღებინა.

რომანში ეს მოვლენები თანმიმდევრულად და დამაჯერებლად აქვს გადმოცემული ავტორს.

მას შემდეგ, რაც კონკრეტული ეპიზოდებით, თანაც მიმზიდველი მხატვრული ენით შექმნილია ზოგადი ფონი სამეგრელოს მოსახლეობის, განსაკუთრებით გლეხებისა და ბატონების იმდროინდელი მდგომარეობისა, რომანის სიუჟეტში უკვე შემოდის ნაკადი ნამდვილად მომხდარი ამბებისა, ისტორიული ფაქტებისა, რომელთა ნათელსაყოფად ავტორს დოკუმენტური მასალების ტექსტებიც თამამად აქვს ჩართული ნაწარმოებში. ეს ტექსტები ძირითადად მიმოწერებია, რომლებიც ხორციელდებოდა დედოფალ ეკატერინე დადიანსა და ოსმალთა სარდალ ომერ ფაშას, აგრეთვე რუსეთის იმპერიის მოხელეთა შორის.

სამეგრელოში ოსმალთა ლაშქრობამ მოსახლეობა უკიდურეს გასაჭირამდე მიიყვანა; ისინი ტოვებდნენ სახლ-კარს და ტყეში იხიზნებოდნენ. ენგურთან მეგრელთა და რუსთა მარცხის შემდეგ რუსეთის იმპერია ძირითადად მოთვალთვალის, თანაც ჩასაფრებული მგლის, პოზიციებიდან უცქერდა სამთავროში მიმდინარე მოვლენებს და ხელსაყრელ დროს ელოდებოდა. ეს პოლიტიკა ხომ მრავალგზის ჰქონდათ გამოყენებული სხვათა მიწების დაპყრობაში განაფულ რუსებს, მათ შორის საქართველოში. მაგალითად, ეს საკმაოდ იწვნია ქართლ-კახეთის მეფემ ერეკლე მეორემ, ყველაზე ტრაგიკული კი აღა-მაჰმად ხანის შემოსევა იყო, როდესაც, გეორგიევსკის ტრაქტატის მიხედვით, რუსეთის იმპერიას დახმარება უნდა გაეწია ქართველთათვის, მაგრამ ეს შეგნებულად არ გააკეთეს: დაუძლურებული, გაპარტახებული ქვეყნის დამოუკიდებლობას ხომ უფრო იოლად მოუღებდნენ ბოლოს!

თურქებს სამეგრელოს დატოვება მოუხდათ, მაგრამ ისედაც გაჭირვებულ ხალხს თავადებმა გადასახადების ულელი უფრო დაუმძიმეს და იმპერიის დედაქალაქიდან ჩამოსულ ეკატერინეს სამთავრო უკვე არეული დახვდა. ძალიან ლოგიკურად, დამაჯერებლად აქვს გადმოცემული ავტორს მოვლენათა ის განვითარება, რომლის გაგრძელება ჩასაფრებული მხეცის – რუსეთის ღონისძიებებია, მიმართული სამთავროს გასაუქმებლად.

სამეგრელოს აჯანყებული მოსახლეობა დილემის წინაშე დადგა: თავად-აზნაურების წინააღმდეგ, საკუთარი სოციალური მოთხოვ-

ნებისათვის უნდა ებრძოლა თუ სამთავროში შემოჭრილი რუსის ჯარის წინააღმდეგ, რომელსაც უცხოთა ბატონობა, მამაპაპური ურთიერთობების რღვევა აუცილებლად უნდა მოჰყოლოდა?

საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოებში სამეგრელოს 1857 წლის აჯანყება უტუმისავას ხელმძღვანელობით დახასიათებულია, როგორც გლეხთა სოციალური პროტესტი მჩაგ-



ვრელთა წინააღმდეგ და არაფერია თქმული მთავარზე, ძირითადზე: გლეხთა ეს გამოსვლა განსაკუთრებით მწვავე და მასშტაბური იყო სწორედ მაშინ, როდესაც ისინი შემოსულ რუსებს არ შეებუვნენ და შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს, თანაც ყველაზე წიშანდობლივი ისაა, რომ ამ ბრძოლაში უკვე ერთ მხარეს, ერთმანეთის მხარდამხარ იდგნენ გლეხებიც და სამეგრელოს მთავარიც, გუშინდელი მოქიშენი. მთავარი ბრძოლები სწორედ სამეგრელოს სამთავროს გაერთიანებულ ჯარსა და რუსებს

შორის მოხდა კინჩხსა და ზანაში. ეს უკვე არ იყო გლეხთა აჯანყება, ეს იყო მოსახლეობის შეიარაღებული გამოსვლა დამპყრობლების წინააღმდეგ.

ყველასათვის ცნობილია, თუ როგორ დამთავრდა ეს ბრძოლები. იმპერიამ გაიმარჯვა, სამთავრო გაუქმდა, დედოფალი რუსეთში გაასახლეს, მტერმა კი ვერაგულად გამოიყენა შექმნილი ვითარება და უტუ და მისი თანამებრძოლები ამჯერად დამნაშავებად გამოიყანეს, არა უბრალოდ რუსებთან მებრძოლ „დამნაშავებად“, არამედ ათასგვარი ჭორებით თვით მოსახლეობის საკმაო ნაწილმა ზურგი აქცია კეთილშობილური მიზნებისათვის თავგანწირულ მამულიშვილებს.

კეთილშობილურ მიზნებში ვგულისხმობთ უტუ მიქავასა და მისი თანამებრძოლების მიერ სოციალური, შემდეგ პოლიტიკური უსამართლოების აღმოფხვრის მცდელობას. ჯერ მარტო რად ღირს უტუ მიქავას მოთხოვნა – „კაცის კაცი არ უნდა იყოს, ყველა ღვთის თანასწორები ვართ!“ ეს და სხვა მოთხოვნები ქართული სამართლის ისტორიაში თუ ქართული სახელმძღვანელოების გვერდებში უნდა იწერებოდეს. სწორედ ასეთი თქმები უბიძებდნენ წინ საზოგადოებრივი აზრის განვითარებას.

საუბედუროდ, „კაცის კაცს“ დღესაც საკმაოდ ვხვდებით მიუხედავად იმისა, რომ ნებისმიერი სოციალური დიფერენციაცია კარგა ხანია წარსულს ჩაბარდა... ანუ უტუ მიქავას ფენომენი ჩვენს სინამდვილეშიც აქტუალურია.

რომანის ფინანი, კერძოდ უტუ მიქავას წუთისოფლის დასასრული, ავტორს საკუთარი ინტუიციით აქვს დახატული. ეს ინტუიცია დამაჯერებელი, ბუნებრივი და მისალებია იმდენად, რამდენადაც ასეთი ბოლო უნდა ჰქონოდა ხალხის კეთილდღეობისათვის ბრძოლაში ხელმოკარულ რაინდს, ხალხისგანვე მარტოდ შთენილსა და გარიყულს. საზოგადოება ხომ დღესაც კი (თუ სწორედ დღეს) გულგრილი და გულმავიწყია იმ გამორჩეულთა მიმართ, რომლებიც იბრძოდნენ ადამიანთა უკეთესი ცხოვრებისათვის, მაგრამ ყველაფერი ისე არ გამოუვიდათ, როგორც საჭირო იყო.

ერთი სიტყვით, გიორგი სიჭინავამ ქართველ მკითხველს მრავალმხრივ საყურადღებო და მეტად საჭირო ნაწარმოები აჩვენა. გავიმეორებ წერილის თავში თქმულს, რომ მწერალმა თანამემამულებს ნამდვილი უტუ მიქავა დაუბრუნა, თანაც ყველაზე არსებითი საშუალებით – იმდროინდელ სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენათა ძალიან სწორი და ზუსტი ანალიზით! ამ კუთხით შეიძლება, რომ გიორგი სიჭინავას ამ რომანს ისტორიის სახელმძღვანელოც ვუწოდოთ, რომელიც ნათელს პფენს მე-19 საუკუნის I ნახევრის ვითარებას სამეგრელოში და, საერთოდ, მთელ საქართველოში. „ისტორიულობა“ კი არ ჩემალავს ნაწარმოების მხატვრულ, წმინდა ლიტერატურულ ღირსებებს, არამედ, პირიქით, უფრო საინტერესოსა და საგულისხმოს ხდის მას.

ცალკე უნდა აღინიშნოს რომანის აზრობრივი განვითარების ფილოსოფიური ნაკადი, რაც ნამდვილად საჭირო იყო ამ სიდიდისა და მრავალპლანიან ნაწარმოებში. სწორედ ამ ფუნქციის მატარებლად არის შემოყვანილი მეტად კოლორიტული და საინტერესო პერსონაჟი – ვალურია ქარდა, ცხოვრების ავკარგიანობაზე ჩაფიქრებული და მუდამ ჭეშმარიტების მაძიებელი ადამიანი. იგი მეგრელი დიოგენია – განმარტოებული, გადაკარგული, ამქვეყნიურ ცხოვრებაზე გულაცრუებული, მაგრამ მუდამ ადამიანთა ბედზე მოფიქრალი... მკითხველი ამ პერსონაჟისადმი დადგებითად განეწყობა მაშინაც კი, როცა შეიძლება მის მსჯელობა-განმარტებებს არ ეთანხმებოდეს...

ალბათ დროა, დავამთავროთ ჩვენი წერილი და გიორგი სიჭინავას წიგნი გადავულოცოთ ჩვენს მკითხველს. დარწმუნებული ვარ, „უტუ მიქა“ მალე დაიმსახურებს საყოველთაო ალიარებას და ღირსეულ ადგილს დაიკავებს თანამედროვე ქართულ მხატვრულ პროზაში.

მე კი მინდა გამოვთქვა კმაყოფილება და მადლიერება ჩვენი ნიჭიერი მწერლის – გიორგი სიჭინავას მიმართ, რომელიც შეეჭიდა მეტად აქტუალურ თემას და წარმატებით გაართვა თავი იმ ამოცანის გადაჭრას, რომელიც თავისი შემოქმედების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზნად ჰქონდა დასახული.

## ლაშა გვასალია

### ცაგენაფრენილი ჩემი საათი...

„პოეტი უკეთ სწვდება ბუნებას, ვიდრე მეცნიერი...“  
ნოვალისი

ვკითხილობ ნანა კვაშილავას პოეტურ კრებულს „ღიმილი ჩემი ავტოგრაფია“ და გული სიყვარულით მევსება, იმ ამაღლებული გრძნობით, რომლის მონაგრება და მონებება მკითხველისთვის, გამორჩეულთ, ღვთაებრივი ნიჭით ძალმოსილთ ძალუძთ მხოლოდ.

ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ეს მშვენიერი კრებული პატრიოტული ლირიკის ნიმუშებით იწყება და პირველივე ლექსი განსაკუთრებული პატივისცემით განგანყობს მისი ავტორისადმი, რამეთუ ის სამშობლოს ეძღვნება, მის სიყვარულსა და გაღვთიურებას, ამ ბოლო დროს მრავალთაგან ასე მივიწყებულსა და აბუჩად აგდებულს!..

„ საქართველო ჩემი ტაძარი,  
ჩემი საწყისი და დასასრული!..“

ამ სტრიქონების დედააზრი გახლავთ შინამო ამ კარგი ლექსებისა, სადაც ავტორი ყოველგვარი ზედმეტი, გადაჭარბებული სამშვენისების გარეშე გვთავაზობს საკუთარ აზრსა და მიდრეკილებებს, განწყობასა და მიზანდასახულობას. გამოკვეთილი თავაზიანობისა და თვალში საცემი თავმდაბლობის კვალისად, პირმოთნე აღტაცებით არ აღიქვამს და არც შეჰყურებს არავისა და არაფერს, ის სიწრფელისა და შინაგანი პატიოსნებით მომზევებული სიტყვის მოპირთავებით ეზიდება პოეტი ქალის ჭაპანს. მისი არსიდან ამომზევებული სტრიქონები ქედმოუხრელი ღირსების განუყოფელი ნაწილია, არავითარი ზედმეტობა, არანაირი მოჩვენებითობა.

ნანა კვაშილავა საკუთარი თავიდან ამოდის და ბიოგრაფიის მიდევნებით აღმოცენებულ გრძნობათა მეგულისიტყვეა, მისი ლექსები მისი ბიოგრაფიული ეტიუდებია, შინაგანი სიანკარის გადმოდინებაა. ყოფისმიერი ტკივილებით შიგადაშიგ ამღვრეული, შავფერისად გალანქერებული. თუნდაც იმით, რომ ცხოვრების ავბედისობამ მშობლიურ ბუდეს მოსწყვიტა და ჩრდილოეთში გადახვენა და იმ უთბილებელში აძებნინა მონატრების თეთრი ბურუსები - პოეზიად ჩამოცრემლებული. ამ ტკივილის გა-

მოძახილია ლექსი „ჩემი სოხუმი“:

„არ უნდა ფიცი, ანდა მტკიცება,  
ცოდვას ცოდვით ვერ გავაუქმებდი,  
ჩემი სოხუმი არ დაცემულა,  
მე დავეცი და ვერ წამოვდექი!..“

პოეტის ქალური ესთეტიზმი- პოეზიის ვნებიანობას მხატვრული ოსტატობით წამოსწევს წინ და გამყოფებს ანასეული ლურჯი ფერების საუფლოში: „ლამის სახლში შემოიჭრას თუთა, ლამის წელზე შემომზევიოს ხელი...“

თავად ნანა კი ასე იტყვის:

ფესვი, რომლითაც

ხე ეჭიდება მიწას...“

იწვა ქალივით

თეთრ ღრუბლის ტახტზე

მზე ვნებიანი...“

ან: „რით მანუგეშებ, ციცინათელავ?  
სული მენთება, სული მიქრება,,  
ამ ბნელ ლამეში გზას როგორ იკვლევ,  
სულ ამირიეს თავგზა ფიქრებმა.“

კიდევ: „რა მსუბუქია ლამაზი ფიქრი,

სუნთქვით ეხება ბაბუანვერას“... - ამაზე დიდი ვნებიანობა რა გვინდა, ბაბუანვერას ნაზ ბუსუსთა სუნთქვით აბრიალება, მზერა შესისხლულ ამბორთა ავხორცული ამოშლეგების საპირნონედ!..

ქალი და ქალი... მდედრი და მდედრი...“

სხვანაირი წერა იციან ქალებმა, მოფარფატე და მსუბუქი, იის ფერიანი და ყოჩივარდას სურნელიანი... ისეთი, ხმამაღლობა რომ გერიდება, არიქა, მშვენიერება არ დავაფრთხო და არ გამიფრინდესო. ქალბატონებს წუხილის ესთეტიურად წარმოჩინების თავისებური მიდგომა აქვთ, დედის ღვთაებრივი ფენომენიდან აღმოცენებული, მიაყურადეთ ამ ლამაზი პოეტის შემოქმედებით ხმას და კიდევ უფრო ერწმუნებით ამ ჭეშმარიტებას. ამძახილს იმ კალმოსნისას, რომელსაც თითქოსდა თავად შეუქმნია რთული და გაჯაფებული გზა ცხოვრებისა, რათა საინტერესო შემოქმედებისთვის დაედო ასე ულამაზესი და ჭეშმარიტი საფანელი, სადაც ერთმანეთს ენაცვლებიან - ბავშვო-

ბის მოგონებათა სევდაგარული სიტყბოების განცდანი და ჭაბუკქალობის გულუბრყვილო იცნებებთან გამოთხოვების ცრემლი.

ბავშვობა, სიყმანვილე, ფერადი სიზმრები, მშობლიური სითბო, სიყვარული, ოჯახი, შვილები... აფხაზეთი, ომი, ტკივილი... მოსკოვი, მონატრება, დაბრუნება... საგზლად პოეზია... - ამ ურთულეს წრეში გრძნობ ავტორის შინაგან სისპეტაკეს, უშუალო და წრფელ დამოკიდებულებას ცალკეული მოვლენებისა თუ საერთოდ მთელი ცხოვრების მიმართ, რაც მას ახასიათებს, როგორც მეუღლეს, დედას, მეგობარსა და შემოქმედს...

უკრაინელი პოეტის ივან დრაჩის სიტყვების: „ბოთლი სავსეა ცით“, პერიფრაზირებით ნანა კვაშილავა სავსეა მზითა და სიყვარულით. ამაშია საიდუმლო მისი შემოქმედებითი და წარმოსახვითი ძალმოსილებისა.

ამჯერზე ვერ ვიტყვი, რომელი გენეტიკური და ნათესაობრივი სიახლოვე დაეხმარა პოეტს მოენახა თავისი ხმისთვის შესაფერისი ნოტები, ვერც თემატურ დიფერენციაციას მოვახდენ იმისთვის, რომ პარალელები მოვიძიო ჩვენს ლიტერატურაში, მაგრამ რაც მთავარია, ანა ახმატოვასი არ იყოს, მის ლექსებშია მხოლოდ აუცილებელი სიტყვები და შესაფერისი აღფრთოვანება.

პოეზია მშვენიერების უსასრულობათა სიღრმისეული მოხილვაა, რომელსაც ასე აღიქვამს ჩვენი პოეტი:

„მოფრენილ პეპლებს პოეზია მოჰქონდათ  
ფრთებით  
და კოცნასავით სათუთად და ნაზი  
შეხებით -  
ყვავილს, ბუჩქს, ფოთოლს, სიყვარული  
რასაც ეწადა,  
აუჩქარებლად, სულ ფარფატით  
ჩამოურიგეს...“

- ხომ ლამაზი და ქალურად განაზებული ხედვაა პოეზიის აღსაქმელად და შესამეცნებლად!

მოდით, მზერა მივადევნოთ ლექსა – „პოეტი“:

„დღეებმა სევდა ჯავშანივით შემომახვიეს, ყველაფრისაგან დაცულია ასე პოეტი!..“

და: „პოეტში ლექსი იმდენია, რამდენიც სევდა...“

წავინიოთ ერთი ნაბიჯით და მივაყურადოთ პოეტის ფიქრებს:

„როდესაც მზიან დღეს შესცეკრიან ჩემი ჩიტები, ისრებზე ზიან... სადღაც იქ უნდათ- დღის სინათლეზე, სხვა გარემოში, სხვა სიმაღლეზე... აქურობას გულს მეც ვერ ვუდებ, მორჩა დროსთანაც უკვე კამათი, და ჰგავს კედელზე ცარიელ ბუდეს, წამგაფრენილი ჩემი საათი!..“

ამ ბოლო სტრიქონმა იმდენად ჩამიღრმავა და ჩამითრია მისეულ სამყოფლოში, რომ დამკითხებოდა ავტორი, ამ დიდებული კრებულისთვის, „წამგაფრენილი ჩემი საათი-ს“ დარქმევას ვურჩევდი. ჩვენი ცხოვრება ხომ დროთა წამებად აღქმის ფილოსოფიაა და მეტი არაფერი... წამის წუთად, წუთის საათებად ჩამოქნაშია მწვერვალი ნიჭიერებისა.

ისევ ქალური სიცახცახე, დედობრივი ნებელობის გასათუთებით:

„ამ სივრცეში, ამ სითეთრეში ბეღურასხელა სითბოლა დავრჩი, ჩამისვამს ვინმე გულის უბეში, სულ ერთი ბენო დავრჩი ნუგეში...“

ამ ლექსს კი, „დაპირება ჰქვია, რომელიც ასე სრულდება:

„მალე გავალ შორეული მატარებლით, და ლიმილით მოვიგონებ, საყვარელო, ხელისგულზე გატარებო, რომ მითხარი, ხელისგულზე დაგატევო!..“

ხომ გაგიჩინეს ამ ლამაზმა სტრიქონებმა ასოციაცია სიმღერად ქცეული ნოდარ ჯალალინიას სტრიქონებისა: „ხელისგულზე დასატევო, სულ პატარა, კოხტა ქალო...“

მაგრამ ნანა კვაშილავას ყველგან და ყოველთვის საკუთარი ხმა და ხელწერა აქვს, მისეულად გამოწვლილვული და გამოთენებული.

სატრფიალო ლირიკას განსაკუთრებულად ელვარე ადგილი უჭირავს პოეტის შემოქმედებაში. ლიმილით გაბრიალებული სიყვარული თანმდევია მისი ცხოვრებისა და ეს შემოქმედებაშიც ასახულა, სადაც გაუხუნარი სიცხადითა და გაუნელებელი სიმძაფრით ცოცხლდებიან ლირიკული გმირის ფერადოვნებები – მრავალსახვანი ესთეტიკური მემკვიდრეობით გაჯერებული. ყოველივეს დასტური გახლავთ უმშვენიერესი ნიმუშები ლირიკული პოეზიისა: „როცა გეხები“, „პირობა“, „ნათელი“, „ცასთან ახლოს“, „ისევ აგაშენებ“, „მზერა“, „განშორება“, „სიყვარულზე“, „მოლოდინი“, „ნუ წახვალ“, „მე და შენ“, „მორფოლოგია“ და ა. შ.

”მაშინ დაგთმობდი უფრო იოლად,  
მე რომ არ ვიყო შენი ნაწილი,  
არსებობს ერთი განზომილება,  
სადაც სხვაობა არის ბათილი,  
სადაც თვალები ლაპარაკობენ,  
და სიტყვის ძებნას ნუ შეუდგები,  
ნახავ ვით სიტყვა, ახლა მარტივად,  
მხოლოდ ძირისგან, შენგან შევდგები!..“ –  
ამ სტრიქონებზე უკეთესად ვერანაირად ახსნი  
პოეტის გულის მთოლვარებას.

ალიარებულია, რომ შემოქმედი არ უნდა  
მოსწყდეს საზოგადოებას, მისი ბედი უნდა  
უკავშირდებოდეს ხალხის ბედს, ხსნიდეს სო-  
ციალურ კონფლიქტს- „ერის წყლული აჩნდეს  
წყლულად“... ამ მხრივაც საყურადღებოა ნანა  
კვაშილავას შემოქმედება. მისი საფიქრალი და  
სადარდისი სამშობლო და მშობლიური ხალხია.  
ის პოეტური სითამამით ააშკარავებს წუხილთა  
უკიდეგანობას და მზადაა თავგანწირვისა და  
თავდადებისთვის.

„მე არ მეყოფა ეს ტკივილი, ფიქრი  
ნარსულზე,  
და საქართველოს სიყვარულში უნდა  
დავსრულდე!..“

ბეთხოვენის მეცხრე სიმფონია მატერიალუ-  
რი, მიწიერი ბორკილების მსხვრევის გამოხა-  
ტულებაა, ხოლო 32-ე სონეტი – მატერიალური  
ხუნდებით კლდეს მიჯაჭვული პრომეთეს ბორ-  
გვა და ზანზარი!.. ნანა კვაშილავას პოეზია –  
მატერიალურ საჭიროებაზე ამაღლებით, მშობ-  
ლიური აფხაზეთის განშორებით ამოხეთქილი  
ტკივილის ქალური, დედობრივი ინსტინქტითა

და მამულიშვილური შეძახილებით დამარცხე-  
ბის დიდებული ნიმუშია.

მალარმე წერს: „სამყარო ისაა, რაც წიგნში  
უნდა შევიდეს!“ – სწორედაც, ამ დიდებული  
შემოქმედის სამყარო, თავისი ნაირფერებით,  
ინსტინქტებით, სიტყვათა ხავერდოვნებითა და  
ქალური მშვენიერებით ფრთებშესხმული, ამ  
კრებულშია თავმოყრილი. ეს მისი სამყაროა,  
მისი სულის ქარიზმატული უკიდეგანობა!..

სათუთად უნდა შევეხოთ თარგმანის თე-  
მას. ნანა კვაშილავა უკვე საკმაოდ ცნობილი  
და ხელგაწაფული მთარგმნელია, მისი ნიჭი –  
შევიდეს სხვათა არსში და აღიქვას მათი შემოქ-  
მედება, როგორც საკუთარი – ცალკე საუბრის  
თემაა. მიხეილ ლერმონტოვის, ანა ახმატოვას,  
ბელა ახმადულინას, იუნა მორიცის, იოსიფ  
ბროდსკის, რობერტ როჟდესტვენსკის, ბორის  
პასტერნაკის და სხვა ბრწყინვალე პოეტთა შე-  
მოქმედებით მაღლდება მისი, როგორც მთარ-  
გმნელის ანალიტიკურ განსჯათა გრაციოზული  
რეგისტრები. მან გადმოაენა ისეთი გიგანტები,  
რომლებმაც თავიანთი უნიკალური შემოქმე-  
დებით, თავიანთი ღვანება აქციეს საუკუნის  
კოლოსალური სულიერი ძვრების სათავედ,  
საზოგადოებრივი აზროვნების უპირობო ორი-  
ენტირად!..

ასე რომ ნანა კვაშილავას სახით საქმე  
გვაქვს მეტად საინტერესო კალმოსანთან, ვის-  
თვისაც ლირიკა - ბობოქარ ეპიკურ ფიქრთა  
სავანეცაა და ნავსაყუდელიც!..

ნავიკითხოთ, მოვუსმინოთ და დავტკბეთ  
მისი შემოქმედებით!..



## ჯავაშ შონია

# ლანატოვარი კეთილი კაცისა



გამომცემლობა „უნივერსალმა“ მიმდინარე წელს სერგო ბოკუჩავას საკმაოდ სქელტანიანი წიგნი გამოსცა. წიგნის გარეკანზე მხოლოდ ავტორის სახელი და გვარი აწერია, ანუ იგი წიგნის სახელწოდებასაც წარმოადგენს. ეს სიმბოლურადაც შეიძლება მივიღოთ, რადგან კრებულში მოცემული ლექსები, პოემები, მოთხოვობები, მინიატიურები და წერილები მთლიანობაში ქმნიან ამ დიდებული ადამიანის სულიერ პორტრეტს და წარმოგვიდგენენ მის მრნამსასა და ზნეობრივ იდეალებს.

სერგო ბოკუჩავა 1932 წელს დაიბადა გალის რაიონის სოფელ ლეკუხონაში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მასნავლებლად მუშაობდა მშობლიურ რაიონში, პარალელურად სწავლობდა მოსკოვის უცხო ენების ინსტიტუტში გერმანული ენის განხრით, დაამთავრა სოხუმის პედინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი.

როგორც ვხედავთ, სერგო ბოკუჩავა მრავალმხრივი ნიჭისა და განათლების ადამიანი იყო, შესანიშნავი პედაგოგი და შემოქმედი, ყოველივე ამას კი შარავანდად ადგა მისი უზადო პატიოსნება და ადამიანების მიმართ სიყვარული.

1976 წლიდან გარდაცვალებამდე, 2002 წლამდე, სერგო ბოკუჩავა გალის რაიონის სოფელ საბერიოს მე-2 საშუალო სკოლის დირექტორად და ისტორია-საზოგადმცოდნეობის მასნავლებლად მუშაობდა. განსაკუთრებით მძიმე იყო ქართულ-აფხაზური კონფლიქტის პერიოდი, მისი შემდგომი წლები, როდესაც დიდი ძალის ხმევის, ნერვების წენვის ხარჯზე ახერხებდა იგი თავის მოსნავლებში ეროვნული სულისკვეთების შენარჩუნებას.

სერგო ბოკუჩავა უაღრესად თავმდაბალი, ჩუმი, უპრეტენზიო ადამიანი იყო. იშვიათად ბეჭდავდა თავის ნაწერებს, საკუთარ შემოქმედებაზე ლაპარაკი არ უყვარდა, მაგრამ ყოველთვის მუდავნებოდა მასში დიდი ერუდიცია, ღრმა აზროვნება, გულითადობა და სიწრფელე.

სერგო ბოკუჩავა ჩემთვის უძვირფასესი ადამიანი იყო თავის და-ძმებთან ერთად და ასეთ დამოკიდებულებას ძალიან შინაარსიანი და თანაც რომანტიკული ტრადიცია ედო საფუძვლად. მოგეხსენებათ, კოლხეთში და, საერთოდ, მთელ საქართველოში არსებობდა აკვნის თხოვების წესი. ჯერ ერთი, საკუთარი აკვანი ყველა ოჯახს არ ჰყავდა, მეორეც, აკვანს ჩვილის ოჯახი აუცილებლად სოფელში დაფასებული, პატიოსანი, მშრომელი მეზობლისგან ან ნათესავისგან თხოულობდა. მე რომ დავპატებულვარ, ჩემს დიდ ბებიას, ანა ხეცურიანი-ჩაკაბერიას აკვანი მეზობლის, იასონ ბოკუჩავას ოჯახიდან მოუყვანია. იმ დროისთვის იასონის შვილები, მათ შორის სერგოც, უკვე აკვნის ასაკს გადაცილებულები იყვნენ. ამ აკვანში გაიზარდა ჩემი უმცროსი და-ძმაც. შემდეგში, როდესაც წამოვიზარდეთ, აკვანი, რა თქმა უნდა, ბოკუჩავებს დავუბრუნეთ. ამრიგად, სერგო ბოკუჩავა და მე ერთ აკვანში ვიწერით და ეს ახლო ნათესაობასავით მნიშვნელოვნად მიმაჩნია. აი, სწორედ ეს ფაქტი განაპირობებდა ჩვენი ოჯახის მოწინებასა და პატივისცემას ბოკუჩავების მიმართ. ასეთივე სითბოსა და სიყვარულს ვგრძნობდით მათი მხრიდანაც.

სერგო ბოკუჩავას ამ წიგნის გამოცემით მამას ღვანილი და ამაგი დაუფასეს შვილებმა: ნონა, ბადრი, კობა და ზაზა ბოკუჩავებმა, რომლებმაც

## სერგო პოკუჩავა

თავი მოუყარეს მის ნაწერებს, თვითონვე აკრიფეს ტექსტი, ურედაქტორეს და მკითხველს ეს მშვენიერი კრებული აჩუქეს, რომელიც მამის ნათელ ხსოვნას მიუძღვნეს.

ქვემოთ გთავაზობთ სერგო ბოკუჩავას რამდენიმე ლექსს ამ წიგნიდან.

## სერგო პოკუჩავა

### **თომის მონოლითი**

მე არ მიყვარს ხმაური  
და ტალღების რაშები.  
ჩემს ნაპირებს ჩავუვლი,  
ტყბილად ვეთამაშები.  
  
მშობლიური სათავე  
მიყვარს, თავზე ვევლები...  
გზაზე კლდე ვერ მაჟავებს,  
ბარად - ტურთა ველები.

პატარა ვარ, ძამიკო,  
ეს ბენებამ ინება;  
პატარა რომ არ იყოს,  
დიდი როგორ იქნება?

გაბრაზებაც არ მიჭირს,  
როცა დგება ავლარი.  
გულმოსულმა ჩემს ნაპირს  
ბევრჯერ კბილი გავკარი...

ოცნებებით დიდი ვარ,  
ნე მახსენებთ გინებით...  
უფრო მეტად მშვიდი ვარ,  
წყნარად მივეღინები.

გზაზე ვხვდები ალერსით  
ჩემზე უფრო პატარებს,  
გრძნობით უმხურვალესით  
ჩემთან ერთად ვატარებ.

მერე მეც სხვას ვაბარებ  
ჩემს პატარა სტიქიას.  
ვხარობ, სხვასაც ვახარებ,  
ვიბრძვი, რაც შემიძლია.

ჩემზე დიდებს შევხარი,  
პატარებით ვენთები,  
მეც ვამაყობ, რომ არის  
ზღვაში ჩემი წვეთებიც.

15.06.526.

### **მოგალეონ სოფელს**

როგორ უნდა დავრიგო  
ყვავილების კონა,  
რომ რაიმე გარგო,  
ჩემო ლეკუხონა!

სითბო ყინულს ალოობს,  
მზეს დიდი აქვს წონა...  
შენს დაბლობს და მაღლობს  
ვკოცნი, ლეკუხონა!

შენ ბეჭებს ვერ დახრი,  
მიზანი გაქვს წმინდა,  
შენი გამრჯე ხალხი  
დაგილოცო მინდა.

შენი სითბო, მაღლი  
და მგზნებარე გული  
სათნოებას ბარიდნის  
სავსე სიყვარულით.

წინსვლის დროშა მაღლა  
კიდევ რომ ასწიო,  
თავს გევლება ახლა  
განახლების სიო.

ამ ცხოვრებამ, ვიცი,  
უნდა აგამაღლოს,  
მომავლისთვის იბრძვი  
არზივებთან ახლოს.

25.05.536.

### რესთაველის

სიყვარულით დამწვარი  
შენატროდი განთიადს...  
შენი სიტყვის ლამპარი  
განუწყვეტლივ ანთია.

სიბრძნის დიდი კანცელი,  
დიდი ლვაწლის ნაყოფი...  
სალოცავი სანთელი,  
ყველა დროის საყოფი.

არ იქნება არასტრონის  
თეთრი გამოგერიონის,  
სივრცე ადგილს სთავაზობს,  
ფრონ მყურნალობს გენიოსს.

07.13.536.

მიყვარის შენი სითბოს ხვავი,  
ხმა ჩამწვდომი და კეთილი;  
შენი ტყბილი ნახელავი,  
თითქმის უხმოდ შეკვეთილი.

ალალია შენი ხსენი,  
შენი შრომა, შენი გარჯა.  
შენი უბე სწორედ ჩემი  
გაზრდისათვის დაიხარჯა.

ჩემი წინსვლა როგორ გშვენის!  
ხარობ, როცა ამას ხედავ!  
ფრთხები, ჩემი ასაფრენი,  
არ გაბერებს, ჩემო დედავ!

მძიმე ტვირთიც მემჩატება,  
მოსაწყენად არ მცალია.  
მზეს სინათლე ემატება,  
სანამ დედა ცოცხალია.

### ალგეთის ლექციებს

როგორ გმირულად მიცავს  
გაფრენილ ყამთა წლები,  
ჩემი ბებერი მიწა  
და წინაპართა ძვლები!

წყვდიადს შევემტვრევ წესებს,  
არც დამნდობი ვარ ბინდის!  
ვეტრთი ალგეთის ლექციებს,  
ცოტნეს ყამქამა სინდისს!

15.03.566.

სანდომიან, ჭკვიან თვალებს,  
გულს უმანქოს, სუთოა ხელებს,  
სასიცოცხლო ფელის ძალებს  
სულით, გულით ვადლეგრძელებ!

08.03.576.

### ქვე

იწყებს ეპოქას,  
ხვდება ეპოქებს,  
ვინ იტყვის, ხარობს  
თუ ბედებულია!

ათასი წელიც  
როდი ეყოფა...  
თითქმის უცვლელი  
რჩება სრულიად.

### ფედას

ჩემს მომავალს ნათელს ელი,  
ჩემი ყარვი გრამს და გჯერა.  
მალამოა შენი ხელი,  
მყურნალია შენი მზერა!

შენი გული, მუდამ თბილი,  
ჩემზე ზრუნვით იქარგება.  
შენი ყალთის გემო ტყბილი  
არასოდეს იქარგება!

დრომ მასზე კვალი  
ვერ დააჩნია,  
რომ სიძლიერე  
დაუდასტუროს,

განცდის უნარი  
არ გააჩნია,  
ამიტომ უძლებს  
დროს უსასრულოს.

7.04.606.

## როცა

როცა მწყდება გული,  
მემატება წყლული.  
როცა ვკარგავ რწმენას,  
დამებმება ენაც.

როცა ვრჩები მარტო,  
ჩემთვის ვზივარ, ვდარილობ,  
თუ ხარობენ სხვები,  
კამაყოფილი ვრჩები.

19.05.636.

## მერაბ აოსტავას

ბობოქრობლა შენი სული  
საქართველოს სიყვარულით.  
გაიარე რა გზა ძნელი,  
რა სიმძიმეს გაუძელი!

მაინც დარჩი სათნო, ქველი,  
შექმენ წინსვლის საფუძველი.  
გააღვიძე შენი ერი,  
ძალა მიეც სულიერი.

თავს დამტყდარი ბევრი რისხვით  
დალლილი არ გქონდა სისხლი.  
მოქმედების აზრის ძალამ  
სხვა ბურუსი გაგაცალა...

და აანთე ის სანთელი,  
ჩაქრობას რომ არ მოველით.  
შვილად დარჩი ცის და მიწის,  
მარალიულ ცეცხლით იწვი!

27.11.896.

## ახალ საქართველოს

როგორ მიზიდავს ეს განთიადი,  
ულლისგან ხელი დაგვიბანია.  
ეს დრო ახალი, უკვე დიადი,  
რომ გვენატრება, დიდი ხანია.

წმინდა ლანცები როგორ დგებიან,  
ხალხის წიაღში ლრმად დაფარული.  
მზეს სითბო როგორ მომატებია,  
კაცს - სიხალისე და სიყვარული.

ამიერილან უფრო ძლიერო,  
სხვამ არ უნდა თქვას შენი სათქმელი,  
ჩემო პატარა ივერიელო,  
შენ მოგემართა საოცრად ხელი.

ამ ნეტარ დლეებს დიდხანს ველოდით,  
დლეს ეს ოცნება დაგვიუცნია.  
იხარე შენი საქართველოთი,  
ეს გამარჯვება მოგვილოცნია!

## უკანასკნელი ხმა

მეძახიან ქვემოთ მიწის ქანები,  
აქ ყოფნა კი უფრო მეტად მინცება.  
ვიცი, მალე იქით გავექანები  
და ვერ ვნახავ, მზე რომ ამობრნყინცება.

ვინ იტყვის, ეს მარტო ჩემი ბეჭია,  
მაგრამ გონბი ხშირად აიტყორცნება.  
ცხოვრებაში ვისაც ჩაუხედია,  
დაუნახავს ფრთებშიშველი ოცნება.

წლების ტვირთი ძნელი დასაჭერია,  
ვერ ეტევა ვარსკვლავებქვეშ გონება,  
არვინ გყითხავს, თუკი შენი ჯერია,  
ვერ გიშველის ვერც სიბრძნე, ვერც ქონება.

აქ დარჩები მხოლოდ ძველის მიგნებით,  
აზმყო შენთვის თითქმის არაფერია.  
იყავი და არასოდეს იქნები,  
დაბრუნება ანი არ გიწერია.

20026.



## ზემალაშვილი პოეზია

(ამრიდონ ჩეგიანის „რჩეულის“ წინასიტყვაობა)

მხატვრული შემოქმედება ყოველთვის ინდივიდუალურია და ეს განსაკუთრებით პოეზიაზე ითქმის. ყოველ ლექსი, ყოველ სტრიქონს, თუკი მისი დამწერი ჭეშმარიტი შემოქმედია, ზედ აცორის ხელწერა კი არა, მისი სულის ანაბეჭდებიც ატყვია. ამ წიგნის ავტორი, აფხაზეთიდან დევნილი პოეტი ამრიდონ ჩეგიანი ამ მხრივ განსაკუთრებული არ არის, მაგრამ განსაკუთრებულია მისი მიღვიმა სათქმელისადმი, რომლითაც ყოველთვის, მთელი თავისი ხანგრძლივი შემოქმედების განმავლობაში იყო იგი გამორჩეული.

პირველ რიგში, მეც მინდა შევუერთდე ამრიდონ ჩეგიანის მრავალრიცხოვან მკითხველებს და ნათესავ-მეგობრებს და მივულოცო დაბადების 80 წლისთავი! ეს რვა ათეული წელი არ იყო ია-ვარდით მოფენილი, პირიქით, მან ეკლიანი და ქარცეცხლიანი გზა გამოიარა და უამრავი უბედურებაც თავს დაატყდა, მაგრამ ამ პიროვნებას არასოდეს დაუკარგავს სიმართლისა და სიკეთის ერთგულება, მაღალი ზნეობა და გულწრფელობა; იგი უძველესი სვანური კოშკივით უძლებდა ქარებსა და ქარაშოტებს, დელგმასა და მეხთატეხსა და კერის ცეცხლივით პირადი განსაცდელის ჟამსაც გულში სათუთად ინახავდა მამულისა და მოყვასის სიყვარულს.

ამრიდონ ჩეგიანი მშობლიური სვანეთის მთებსა ჰგავს ფიზიკურადაც და ხასიათითაც. მისი ლექსებიც, რა თქმა უნდა, სვანეთის მთებს ჰგვანან. მისი პოეზია კეთილი გზებით მიგატარებს, იმ წარაფებსაც მშვიდობით გაგიყვანს, რომელზედაც ჯიხვებსა და მათ გადევნებულ თავზეხელალებულ მონადირეთ გაუვლიათ მხოლოდ; ლექსიც თითქოსდა მთასავით მკაცრია, ბევრს არ მოგეფერება, მაგრამ თუ ადამიანობა შეგატყო, უცილებლად მწვერვალმდე გაგატარებს – უკვე ღრუბლებს ზემოთ, პოეზიის ლაუგარდოვან სივრცეში. ამასთან ერთად, პოეტიც და მისი ლექსიც მთასავით უკარებაა ყოველგვარი არაადამიანურობის მიმართ და საკადრისად ექცევა ნებისმიერ ბოროტებას: ღალატს, უმა-დურობას, შურს, უპატივცემულობას გვარისა



და ადათისა.

ამ წიგნში, როგორც მთელ მის შემოქმედებაში, არაერთხელ შეხვდებით ადგილებს, სადაც პოეტი თავის თავსაც და თავის შემოქმედებასაც მშობლიურ მთებთან აიგივებს: „მინდა, ეს ლექსი თეთრ უშბას ჰგავდეს, იყოს მაღალი, მტკიცე, უვალი“, – ამის თქმის უფლება სწორედ ამრიდონ ჩეგიანს აქვს, ადამიანს, რომელიც ამაყად აცხადებს: „ხალდეს მთაში გავიზარდე და ვისწავლე მთების ენა...“ მეტიც, პოეტი არა მარტო თავის თავს, არამედ მისთვის ყველაზე ძვირფას ადამიანს – დედას ადარებს სვანეთის დიდებულ სიმაღლეებს, კერძოდ თეთნულდს, და მისგან შორს მყოფიც კი ხედავს მას, ისმენს მის ლოცვას.

ამრიდონ ჩეგიანთან მთა, ცადალმართული მწვერვალები სიცოცხლის, მოქმედების, ბრძოლისა და სიყვარულის სიმბოლოა, სწორედ ამას გულისხმობს იგი სიტყვებში: „მე მწვერვალების სიმაღლე მიყვარს, რადგან სიცოცხლეს იმაში ვხედავ...“ მერე მოხდა ის, რომ სხვა თანასოფლელებთან ერთად სვანეთის დატოვება მოუხდა და აფხაზეთში, გუდაუთის რაიონის სოფელ ოთხარაში გააჩაღა ოჯახური კერა, ლიხნის, ბიჭვინთისა და ანაკოფის სავანეების გვერდით, სადაც ოდითგანვე ბრიალებდა ქართული სული და ისმოდა ქართული სიტყვა. აქ დაიბეჭდა პირველი ლექსები, პირველი წიგნებიც აქ გამოსცა და თითქოს უღრუბლო ცა უნდა დაჰპერდებოდა ოთხი ვაუკაცისა და ერთი ქალიშვილის მამას, მაგრამ მერე, როცა ამრიდონმა აფხაზეთის მთელ ქართველობასთან ერთად დევნილობის მწარე ხვედრი იწვნია, სახლ-კართან ერთად

ტრაგიკულად დაღუპული ვაჟის საფლავი დარჩა დარდად და ტკივილად. არც ეს ტრაგედია აკმარა ბედმა ამრიდონს: უკვე დევნილობაში მეორე ვაჟიშვილიც გამოეცალა ხელიდან! თავის ლექსებში ორგზის შვილმკვდარი მამა ხშირად მიმართავს იმქვეყნიურ სასუფეველში გადავანებულ ვაჟაცებს და აქაც თავშეკავებულია საკუთარი გრძნობების გამოხატვაში, უფრო საქვეყნო საქმეზე, სამშობლოს დღევანდელ მდგომარეობაზე ესაუბრება მათ. მკითხველი ამ ლექსებს აუდელვებლად ვერ წაიკითხავს.

... მაგრამ დრო თავისას ითხოვს და 80 წლის ბრძენი და წინადი სიტყვის მქონე ამრიდონი დანარჩენ შვილებს, მრავალრიცხოვან შვილიშვილებსა და შვილთაშვილებს ისევე სამაგალითოდ მახვშობს, როგორც სვან კაცს და დიდი ოჯახის წინამძღოლს ეკადრება. საამაყოცა და სათქმელიც ბევრი აქვს და ამიტომაც მიმართავს ასე თავის მომავალ თაობას: „შენს ლიმილში ფიცხი ჯიქის გულადობის ცეცხლსა ვხედავ, მთის წაქცევაც აღარ მიჭირს, აბა, ვინ რას გამიბედავს“.

რადგანაც ამ წიგნის გამოცემა ამრიდონ ჩეგიანის დაბადების საიუბილეო თარიღთან არის დაკავშირებული, ბიოგრაფიულ დეტალებს გვერდი ვერ ავუარეთ. მთავარი სათქმელი მაინც ამრიდონ ჩეგიანის პოეზიაა. ამ წიგნში პოეტის რამდენიმე ლექსს შეხვდებით, რომლებსაც ერთი და იგივე სათაური აქვს: „სიმართლე“. ნიშანდობლივია, რომ ამრიდონის პირველ წიგნსაც ეს სახელი ჰქვია. სწორედ სიმართლეა პოეტის შემოქმედების ძირითადი ლაიტმოტივი ისევე, როგორც მთელი მისი ცხოვრებისა. აქედან გამომდინარე, საკმაოდ თვალშისაცემია სოციალური მოტივი მის ლექსებში, რადგან ჩეგნს ქვეყანაში სამართლი და უსამართლობა სწორედ ადამიანთა არა მარტო ყოფითს, არამედ სულიერ მდგომარეობაზეც ახდენს გავლენას, ხოლო უარყოფითი სოციალური ფონი ყოველთვის არის ბოროტების წამქეზებელი. ასეთ დროს წამალივით მოქმედებს პოეტის მართალი სიტყვა, მისი ომახიანი შეძახილი, პირდაპირობა და მოყვრისთვის პირში თქმა. სწორედ ასეთია ამრიდონი, სწორედ „მაღალი, მტკიცე, უვალი“, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ.

ამრიდონ ჩეგიანი მებრძოლი ადამიანია. ჯერ კიდევ აფხაზეთში ომის დროს მისმა მონდომებამ იხსნა ალყაში მოქცეული თანასოფლელები გარდაუვალი სიკვდილისაგან, ახლა კი მისი იარაღი სიტყვაა, სიტყვა კაცისა, რომელიც ამ-

ბობს: „ღმერთმა დამიდო გრდემლზე ფოლადი და მძიმე ხმალი გამომიჭედა“. მისი წუხილი ისევ და ისევ საქართველოს დღევანდელობაა, აფხაზეთი, ოთხარა, შვილის საფლავი... ენგურს აქეთ კი – შემოსული დემონები, ორპირობა, შენჩემობა, გაუტანლობა... ამ დროს პოეტს არა მხოლოდ ადამიანთა გაყიდული გულების, არამედ გაყინული ცის გათბობაც სწადია და ჩვენ, ქართველებს, ასე მოგვმართავს: „ძმებო! დღეს მინდა, ერთად შეგყაროთ... რათა სუყველას ერთად აგტკივდეთ კავკასიონის გულის ჭრილობა“...

ეს „ჭრილობა კავკასიონისა“ კი მშობლიურ სვანეთს აშკარად დასტყობია, მის დაცარიელებულ სოფლებს, უკაცურ მაჩუბებს, დალვრემილ კოშკებს. „ჩემი სვანეთი ხელში მაკვდება“, – რამდენი ტრაგიზმია ამ სიტყვებში, რაოდენი გმინვაა, რადგანაც „დაკარგულია ცისკენ ბილიკი, აღარ ჭიხვინებს რაში ფრთიანი“... ამიტომაც შესთხოვს იგი ძმასა და თვისტომს: „ამოდი მთაში სულის საცხონად და აუბოლე სოფლებს ბუხრები“...

აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ წიგნის ავტორისთვის სულაც არ არის უცხო ფაქიზი და სათუთი დამოკიდებულება ყოველივე იმისადმი, რისგანაც სიყვარულის ანკარა გრძნობა მოედინება; ამრიდონ ჩეგიანი აქაც რაინდია, სვანურად დარბაისელი, თავშეკავებული და მოზომილი.

„მაცხოვარი სვიფში მიდგას, ჩემი თეთრი მაცხოვარი“, – ამბობს პოეტი, რომელსაც მთა – ხალდეს მაცხოვრისთვის, ხოლო ბარი ბედის მთავარანგელოზისთვის შეუვედრებია; მას სამშობლოს უკვდავი ჰანგები, წინაპართა უკვდავი სულიდან ნათელ ჩერერად ამოქუხებული ლილე იცავს და რიპო მფარველობს.

„სხვა ქონება რაღად მინდა, ვარ ქონებით უმდიდრესი, ცა და მზეა ჩემი ბინა და სამყარო უდიდესი“, – ამ წრფელ ნათქვამში ჩანს იმედიც და სიყვარულიც, მამულისადმი თაყვანისცემაც და მთელი სამყაროს სიდიდით ტკბობაც. 80 წლის პოეტი კვლავაც სიცოცხლის წყურვილითაა აღსავსე და დარჩენილი წუთისოფელი კვლავაც მშობლიურ ქვეყანასა და ხალხს უნდა უძღვნას: „გამარჯვობა, საქართველო! მინდა შენთან მარად ვიყო, ერთ ცხელ გულად გაგამთელო, შენჩემობა რომ არ იყოს!“

ამრიდონ ჩეგიანმა ძალიან კარგად იცის, რომ „კაცი ვალით იბადება“ და ისიც პირნათლად, ღვთისნიერად იხდის თავის ვალს. ჩემთვის სწორედ ამგვარი ცხოვრების წესით არის ამრიდონ

ჩეგიანი პატივსაცემი და უფროს მეგობრად მოვლენილი. ჩვენი ურთიერთობა სოხუმიდან, სტუდენტობის ლალი პერიოდიდან მოდის და ამ ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ოდნავი ბზარიც არ გასჩენია. გარდა ამისა, რომ ლექსა და პოეზიას ვემსახურებით, სამწუხა-როდ, უბედურებაშიც დავემსგავსეთ ერთმა-ნეთს და ჩვენი შვილების საფლავები ერთნაირად გვენატრება და ერთგვარად ვნაღვლობთ. ამრი-დონ ჩეგიანი ჩემთვის მხნეობის, ქედუხრელობის მაგალითია და, ვფიქრობ, ამ მაგალითით მის გარშემო უამრავი ადამიანი პოულობს იმედსა და შვებას.

ერთ-ერთ ლექსში ამრიდონ ჩეგიანი გვიყვება, რომ სიცოცხლე იმის მერე არის გამკაცრებული, „როცა სიკვდილი კაცის გაჩენას დაუძმა კაცდა“. სამაგიეროდ, ამრიდონ ჩეგიანს ამ ცხოვრებაში უამრავი რამ აქვს გასაკეთებელი, კიდევ ბევრი რამ აქვს სათქმელი, დასაწერი, გამოსაცემი. მით უმეტეს, ერთ-ერთ ლექსში იგი გვიმხელს: „და

სიკვდილიც, ჩემი ხვედრი, თეთრ სკივრში მაქვს შენახული“. ის „თეთრი სკივრი“, მჯერა, კიდევ დიდხანს არ გაიხსნება და ეს კეთილი, ძალიან თბილი და ტკბილი, ჯერაც ახალგაზრდული შემართებით სავსე, გულიანი და პურმარილიანი კაცი ჯანმრთელად და მხნედ გვეყოლება.

რაც შეეხება წინამდებარე წიგნს, მკითხველი კიდევ ერთხელ ეზიარება ამრიდონ ჩეგიანის მართალ და ზნემაღალ პოეზიას, გაჯერებულს წარსულისა და ანძყოს ტკივილითა და ხვალი-დელი დღის რწმენით, რაც, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „თავისუფლებისა და სიმღერის უფლებით“ გამარჯვებით სვლას ნიშნავს.

გამარჯვებით ევლოს ჩვენს ამრიდონს თავის სამშობლოსთან ერთად და კვლავაც ეჩუქებინოს ახალი წიგნები თავისი საყვარელი მკითხველი-სათვის!

## პერიოდის მაგალითი

### სამართლისა და თავდადების მაგალითი

(ამრიდონ ჩეგიანის დაბადებიდან 80 წლის იუბილეს აღსანიშნავ საღამოზე წარმოთქმული სიტყვა აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროში)

იმისდა მიხედვით, თუ როგორ აღვიქვამდი სვანებს, ვუსმენდი და ვგებულობდი მათ მეტ-ყველებას, ვეცნობოდი მათ ტრადიციულ ინტი-მურ ინტერესებს, მე თანდათან შევიგრძნობდი, რომ სვანეთში ყოფნისას დანარჩენი სამყარო-დან მაშორებდა არა მხოლოდ კავკასიონის მა-ლალი ქედები, ძნელად გადასალახი უღელტე-ხილები და ღრმა ხეობები, არამედ კულტურის ათასწლეულები. როგორც ათონზე ყოფნისას მეჩვენებოდა, რომ აღმოვჩნდი ბიზანტიურ-ქრისტიანული სულიერი ინტერესების ეპოქაში, ასევე სვანეთში თავს ვგრძნობდი „ურარტუელ-თა“ ეპოქის წარმართული კულტურის ატმოს-ფეროში, მეტიც – ვემაპების თაყვანისმცემელთა გარემოცვაში.

ასე ხედავს დიდი აკადემიკოსი ნიკო მარი სვანეთს და სვანურ კულტურას. 1911–1912 წლებში სვანეთში მოგზაურობის დროს, ერთ

პატარა ეკლესიაში მან წყლიდან ნახევრად ამოსული ვემაპის ფრესკა აღმოაჩინა, რომლის შექმნის დროის პარამეტრები დღესაც არ არის გარკვეული.

სვანეთს თავისი თავმოყვარების, სიმა-მაცის, გმირობის, თავგანწირვისა და თავისი სვანობის დამადასტურებელი უტყუარი დო-კუმენტი – ადგილის დედა – ხალდე გაჩინია. ხალდეს 12 ჩაქცეული ცადაღმართული კოშკის ნაფუძვრები, რომელიც რუსეთის ცარიზმა დაანგრია, საქართველოს მომავალი ძლიერების, დამოუკიდებლობის და სიამაყის ხორნაბუჯებია. ხალდეს დანგრეული კოშკები ეგვიპტის პირამი-დებს აღემატება, რადგან ხალდეს მყინვარებს და ქარაფებს დღესაც ატყვიათ ჩეგიანთა ნატერ-ფალები, როგორც სათაფლიას – დინოზავრის ნაკვალევი.

დღესაც შემორჩენილია სვანი ქვრივი ქალე-

ბის ძალაშემოჭრილი სამგლოვიარო ხალათები, რომელიც ხალდეს გმირი დამცველების მეუღლებს ეცვათ 40 წლის განმავლობაში და გლოვობდნენ მათი გმირი დამცველების სახელს და ხსოვნას, რომლებიც ციმბირის ტრამალებში ჩაიმარხნენ და ორმოცი გმირიდან მხოლოდ ერთმა ჩამოაღწია თავის სათაყვანებელ სვანეთში და ესეც მრავალ ჩეგიანთა შორის ერთ-ერთი ჩეგიანი იყო, ჩვენი დღევანდელი ბრწყინვალე პოეტი იუბილარის არცთუ შორეული წინაპარი.

ამრიდონ ჩეგიანი სწორედ ის პოეტია, რომელსაც თოფის ლულაზე უწყვია ერთად რითმა და ტყვია და შემოჭრილ დამპყრობთა მიმართ აქვს მიპყრობილი. ორი ცივილიზაციის განმავლობაში იბრძვის ამრიდონ ჩეგიანის წინაპარი თუ შთამომავალი საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, თავისი კუთხე-ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის. ტყვიას მიყოლებული რითმა „უფრორე ქლიერია“, ვიდრე ყველა იარაღი ერთად აღებული (გალაკტიონი).

ამრიდონი ერთ თავის ლექსში წერს:

„ასეთი ვართ ხმით და ჯიშით.

ალარ გვჯერა? ცოდვად გვქონდეს,

დღე მეორე იკლებს შანსი,

აფხაზეთო, მოვალ ქორთე!“

„დღე მეორე კლება“ სრულიად ახალი სიტყვა სიტყვაკაზმულ ქართულ ლიტერატურაში, ხოლო ბოლო სტრიქონი „აფხაზეთო, მოვალ ქორთე“ (ქორთე სვანურად „სახლში“-ს ნიშნავს) – ეს აფხაზურ-სვანური სულის ერთობა და ფუძე-კავშირია.

ამრიდონის ყოველი სტრიფი ან მაყრიონის შეძახილია, ან ჭირისუფლის მოთქმა-გოდება. მე ამრიდონივით შვილმკვდარი მამა ვარ, ამიტომ მის სიტყვას და აზრს ჩემთვის ბევრად უფრო დიდი ფასი და მნიშვნელობა აქვს. სვანეთში ასეთი გამოთქმაც არსებობს:

– „შვილგარდაცვლილ მამას სამძიმარი მხოლოდ შვილმკვდარმა მამამ უნდა უთხრასო“. თავისებურად ეს სიბრძნეც ამძიმებს იმ დიდ ტკივილს, რომელსაც შვილმკვდარი მამები ვატარებთ სიცოცხლის ბოლომდე.

ამრიდონ ჩეგიანის წიგნის სასიგნალო ეგზემპლარი 8 სექტემბერს გადმომცეს. იმავე დღის საღამოს, მაშინ როდესაც ხელს არავინ მიშლიდა, წიგნის კითხვას შევუდექი. ჯერ კიდევ გადაუფურცლავი წიგნი საშინალად გავიმეტე ხაზებისა და მინაწერების გასაკეთებლად. სიახლეს სიახლე ემატებოდა. ერთმანეთში ირეოდა

სვანურ-აფხაზურ-მეგრული სიტყვაკაზმულობა და სიბრძნე და აი, მივადექი ლექსს, მაქვს პატივი ლექსი მთლიანად წაგიკითხოთ, ისე, როგორც მისი ყოველი სტროფი, პწკარი თუ სასვენი ნიშანი გულზე ხვდება ყველა შვილმკვდარ მამას.

„ჩემი შვილის ერეკლე ჩეგიანის ხსოვნას როცა მე შენს ბინაზე ვარ,  
შუადღეა ჩემთვის ლამე,  
ერთხელ მაინც შემეკითხე, –  
მამა, ხომ არ დაიღალე?“

თვითონ ხვდები, პასუხს არ გთხოვ,  
წინაპარი ვგრძნობ, რომ იცი,  
რომ მამის გულს ლოდად აწევს,  
რაც შენ გფარავს ბედი მიწით.

ანგელოზმა გოგოებმა  
ვფიქრობ, ხომ არ გაგიტაცეს,  
უშენობით დედამიწის  
მთა და ბარი მხრებზე მაწევს.

ხდება რაღაც გასაკვირი,  
მეცხადება შენი ჩრდილი,  
ტანსრული და გოლიათი,  
ნამში, როგორც აკვნის ჩვილი.

როგორ მინდა ჩაგეხუტო  
და გისროლო თავზე მალლა,  
შენს თბილ კოცნას გავაყოლო  
სისხლდაცლილი გულის დალლა!“

კითხვა შევწყვიტე, ტუჩების ჩუმი მოძრაობა თვალებისა და წამნამების ფარულმა მოძრაობამ შეცვალა, ლოყაზე ცხელი ხაზის გავლა ვიგრძენი, წიგნის ფურცელზე ჯერ ყრუ ხმა გავიგონე, რომელიც შემდეგ მუქ ლაქად გადაიქცა, ერთად დავსტიროდი ერეკლეს და დათუნას. ლექსი რამდენჯერმე წავიკითხე, კითხვასთან ერთად ლოყებიც მეტად მითბებოდა, რა არის ეს? სენტიმენტალობა თუ ცხოვრების სინამდვილე? შვილის ყოფნა თუ მამის არყოფნა? „საკითხავიც მხოლოდ ეს არის“, – მახსენდება შექსპირი.

ამრიდონ ჩეგიანის პოეტური ძალა და ძლიერება მხოლოდ ნანახის ტრაგიკულ განცდაში არაა გადმოცემული, მას ბუნებისადმი სიყვარული, ბუნების მინდიასული ხედვა და ვაჟასული სამყაროს ტრფიალი ჯადოსნურ ფერებში აქვს გადმოცემული ლექსში „მე შაშვი მიყვარს“.

ამრიდონ ჩეგიანს გაცნობიერებული აქვს,

რომ მას გამოსდის ლექსის წერა და როგორც თევზი წყალში, თავს ისე გრძნობს. მე იმ პოეტებისაც მესმის, ვინც თავის ლექსებზე შეყვარებულია, მაგრამ ამრიდონ ჩეგიანი ამ შემთხვევაში ლექსის რაინდია და არა მეწყერი, ადამიანებს რომ ცოცხლად მარხავს. ის ყარაჩოხელია, ის დენდია, ის ხაიამია, ის მოცარტია:

„ლექსს გაუმარჯოს! – ფეთქებად ყვავილს,  
ორლესულს – ფხიანს, წარწერით შუბლზე:  
ბედისწერა ვარ გველის და ყვავის!  
სისხლი სისხლის წილ! მზე – თავისუფლებს.

გრიგალი – გრიგალს! წვიმები – წვიმებს!  
ვარდები – ბავშვებს! ვარდები – დედებს!  
ბულბულის ყელი – დაწყვეტილ სიმებს!  
ტფუ! – უზურპატორს! დიდება ღმერთებს!“  
ამრიდონ ჩეგიანი მწყრალად არც ფილო-სოფიასთან არის, მისი ზოგიერთი მიგნება და გამოთქმა შეიძლება ზოგადსაკაცობრიოც კი გახდეს. ლექსი „ოჰ, სიცოცხლევ“ მრავლის მთქმელი და მეტყველია. ის სიცოცხლესთან ახ-დენს მწარე დაპირისპირებას, სადაც პირუთვნე-ლად დგას საკითხი სიცოცხლის გადაცდომებზე, რომლის გამოც პოეტი სიმართლის გასარკვევად ღმერთამდე ასვლას აპირებს.

სიკვდილ-სიცოცხლის დაპირისპირება არა-ერთი მოაზროვნის ცხარე განსჯის საგანი გამ-ხდარა, მაგრამ ამრიდონ ჩეგიანის პაექრობა სიცოცხლესთან სიცოცხლის ადამიანთან გათა-ნასწორების პირველი მცდელობა, პოეტი დაუ-რიდებლად ეუბნება სიცოცხლეს: „არ ვარგიხარ შეე უჩემოდ“.

მაშ, არ არის სიცოცხლე, თუ სიცოცხლის მატარებელი არ იქნება დედამინაზე, ეს ხომ ის უსიცოცხლო პლანეტა იქნება გალაქტიკაში, სადაც სიცოცხლე არ იარსებებს, ესე იგი, სი-ცოცხლეს ისე სჭირდება ადამიანი, როგორც ადამიანს – სიცოცხლე. სწორედ ამაზე ამბობს პოეტი:

„ეჰ, სიცოცხლევ, რაღა გიყო!  
არც გიყიდი, ვერც გაგყიდი,  
ზოგჯერ მწარედ გულს გამიყოფ,  
ბანრით თავქვე დასაკიდი.

მაგრამ მინც მეტკბილები  
და ვუნდები შენზე ზრუნვას,  
ვიდრე ხრავენ ეს კბილები  
ოფლით მორწყულ ალალ ლუკმას.

ნუ მამადლი შენს თავს, თორემ ღმერთან გაგცემ, რომ გამნირე და ჩამიქრე გულის თონე – ჩემი შვილის სიყმანვილე.

რა ვქნა, ვიტან შენგან ტანჯვას,  
არ მყავს შენზე უკეთესი,  
თორემ ძუნნს და ხელებდამწვარს  
შიგ გაგრევდი კიტრის თესლში.

ამინდივით ელფერს იცვლი,  
ხან მამლერებ, ხან მატირებ,  
ვამჯობინებ სირცხვილს – სიკვდილს,  
სიყვარულზე მონადირე.

ვერაგს უფრო მეტად სწყალობ,  
ვიდრე წმინდან მოშიშარს,  
დღეს ბულბული ძეძვში გალობს,  
ყვავი ციდან ჩხავის „შიშა“-ს“.

პოეტს სჯერა, რომ მისი გვარის და ჯილაგის სიცოცხლე გრძელდება მარად, ისე, როგორც გრძელდებოდა დღემდე და გადავა მარადისობა-ში, სწორედ ამ ოპტიმიზმს ავლენს პოეტი თავის დაუსათაურებულ ლექსში:

„მუხლზე რომ გიზის,  
ის ჭერია მარადისობის,  
ამიტომ, ზიზი,  
როცა ვკვდებით, აღარ ვისპობით.

მუხლებზე გიზის  
მარადისობა ჩემი გვარისა.  
შვილიშვილს, ზიზი,  
ჭრელს ჩავაცმევ სოვდაგარისა?

რა დღესაც გაჩნდა,  
ვიხმე სოფელი დარბაზს მე პურად  
და მუზარადი  
დაგახურე თავზე მეფურად“.

მე მჯერა, ბატონო ამრიდონ, რომ შენ მა-რადისობაში ხარ უკვე გადასული, შენი სახელი შენს მშობლიურ სოფელ ხალდესთან ერთად საუკუნეებს გასწვდება და მუდამ იქნება დაუ-მორჩილებლობის, სიმართლისა და თავდადების ნიმუში. მე კი, ჩემო ძმაო ამრიდონ, გპირდებით, გითამადოთ 100 წლის იუბილეზე.

## გრიშა რინანი

## შალვა მაჩაცარია

# თანამედროვე მეგრულში სიტყვა „სამშობლოს“ შესატყვისი ტერმინის აღდგენისათვის

თანამედროვე მეგრულში, რომლის ლექსიკაც მილიონ-ნახევარ სიტყვაზე მეტს შეიცავს, სამწუხაროდ, დავიწყებული ჩანს უმთავრესი დედოსიტყვის – „სამშობლოს“ შესატყვისი ტერმინი.

ნაშრომის მიზანია ამ ტერმინის აღდგენა და ცხოვრებაში დამკვიდრება.

ათიოდე წლის წინ მეგრულენოვანი მწერლის მიერ ხელოვნურად შემოტანილი ტერმინი „ოდაბადე“, როგორც ქვემოთ ნახავთ, არ შეესაბამება რეალობას.

ავტორმა ოდაბადეს შესაქმნელად აიღო სიტყვა დაბადება და სიტყვების: ო-ჩხომ-ე, ო-ქოთომ-ე, ო-ლეჯ-ე მსგავსად, ო პრეფიქსისა და ე სუფიქსის მიმატებით სიტყვისაგან „დაბადება“ შექმნა ო-დაბად-ე, რომელიც თავისი ხელოვნურობის გამო ვერ დამკვიდრდა მეგრული ენის ლექსიკაში. მეგრულ ენაში ო პრეფიქსი და ე სუფიქსი ვიწროდ მატოპონიმირებელი სუფიქსი და პრეფიქსია. როგორც ზემო მაგალითიდან ჩანს, ის, კერძოდ, ცალკეულ ობიექტს ან მცირე არეს წარმოაჩენს.

ამის სანინაალმდეგოდ მეგრულში კრებითი სახელების ფართო გაგებით მანარმოებელი სუფიქსია ონ, რომელსაც ხშირად ანაცვლებს სუფიქსი ან. ამის უპირველესი მაგალითებია: მამულონი, მამულონა, მამლონი (მამული), ქიანა, ქანა (ქვეყანა), სოფლების სახელები: უჩაშონა, ჩეშონა, კიკიშონა, შამგონა, ლეკუხონა, ქვალონი, თაგილონი, თამაკონი, ხუდონი, ჯაპანა, კამანი, სარაქონი, ბარაკონი, ფახულანი და სხვა. ამ სუფიქსებით ფიქსირდება სხვა დიდი არეც: ტყე, მიწლორი, მთა და ა.შ.

ჩვენი მცირეოდენი მეცადინეობის შედეგად ლიტერატურიდან მოვაგროვეთ 250-ზე მეტი ნიმუში. მაგალითად: ლანჯონა – ტყე კოპიტნარში, ოქუმში, ლეკუხონაში, მინდორი საბუთბაიოში; ლამჯონი – ტყე გინძე ენერში. ხშირად ერთსა და იმავე ადგილს სხვადასხვა დაბოლოებებით ასახელებენ: ლაგვანჯ-ონა, ლაგვანჯ-ონი, ლაგვანჯ-ანა – ტლაპო სოფელ რეჩხში; მამულ-ონა, მამულ-ონი, მამლ-ონა – მამულები ბედიაში, საესებუოში, საბუთბაიოში.

ყოველი ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, სიტყვა „სამშობლოს“ შესატყვისი ტერმინი

მეგრულ ენაში უნდა ყოფილიყო სიტყვა დაბადონა, თუმცა შეგვიძლია მივმართოთ ლაზური ენის ლექსიკას, რომელიც წარმოადგენს იმავე ისტორიულ მეგრულს, მის მასაზრდოებელსა და შემნახველს, სადაც სიტყვა „სამშობლოს“ შესატყვისი თანამედროვე ლაზურ ენაში არის სიტყვა „დობადონა“.

ეს ტერმინი ისტორიულად და რეალურად არსებობს და აუცილებლად უნდა შემოვილოთ მეგრულ ლექსიკაში, აღვადგინოთ დაკარგული და დავუძრუნოთ შთამომავლობას, ან გავათანებელროვოთ დღევანდელი მეგრულის შესაბამისად და შემოვილოთ სიტყვა დაბადონა.

არც ერთისა და არც მეორის შემოღებით არ დაშავდება რამე, თუმცა ჯობია, ისევ რეალურად არსებული დობადონა დავამკვიდროთ. როგორც ჩანს, ძველ მეგრულში არსებული დობადება თანდათანობით დაბადებაში გადავიდა, როგორც ქოთომი – ქათამში, კოჩი – კაცში, ოჩი – ვაცში და სხვ. მათ მსგავსად.

სამაგალითოდ მოვიყვანოთ ორი ლაზური ანდაზა:

დობადონა გონდინი-ნა, თითი გონდინერი გიღუნ! (სამშობლო თუ დაკარგე, თავიც დაკარგული გაქვს).

გოლა მალალი რენ, თუთათი მალალი რენ, ლორმოთითი მალალი რენ, მარა დობადონა ირი ხოლო რენ! (მთა მალალია, მთვარეც მალალია, ლმერთიც მალალია, მაგრამ სამშობლო ყველაფერია).

(ლიტერატურა: ხალხური სიბრძნე, პირველი ტომი. მეგრულ-ლაზური ანდაზები. რ. შეროზია; თ. მემეშიშვილი).

სიტყვა დობადონას კვალი თანამედროვე მეგრულში აშკარად ჩანს სიტყვებში: ქუდობა-დებე-დაბადებულა, ქუდობადებუ-დაუბადია, ვადობადებე-არ დაბადებულა და სხვ.

მთელი ჩვენი მცადინეობა თუნდაც ამ ორი უდიდებულესი ანდაზების შესაცნობად ღირდა. ამ ანდაზებში ყველაფერი ლაკონიურად არის ნათქვამი, სამშობლოს სიყვარული აყვანილია უმაღლეს ხარისხში. ის წინაპართა ანდერძია თანამედროვე ქართველებისათვის.

დავიმახსოვროთ და გულის სილრმეში შევინახოთ ეს სიტყვა დობადონა და ეს ანდაზები!

## შურიშ კარი

მიქ ენწყე დო ეიანწყინე  
თე ქიანაშ შარა-კარი?..  
ირთაფ ქიანა უშულადი,  
წყარ მისოფუ, უმბარს ქარი...  
მის უჩქ რინაშ დუდ დო ბოლო,  
ეკოხონ დო დიკოხონი...  
ბრელს ძიუთი მეუღ შური,  
ბრელს ხოლო გედ კისერს ქონი...  
ქიანაქი წართუა დო  
ირჩქილუაფ ვაი-ვიში....  
ქიანა თეში მუჭო წურსი,  
გინარჩეინა ღორონთიში?!  
კოჩის, რჩქილათ ეშმაკიში,  
გოჭყოლადირ აფუ ჯიში....  
კიბირეფსგ გოძირანს დო  
ცოროფა უღღ ვარჩხილიში...  
სოფელიში ხაფანგეფს,  
ნაპოტიკას ეშმაკიში,  
მართალი კოჩი მერიებუ,  
ჭყოლოფუათ ღორონთიში...  
სოფელს ბრელი ცოდა ხვილუ,  
ნაშაყარა წანეფიში,  
მარა ირფელს გინმოწონუნს  
მარდა, წაკეთებ მართალიში...  
თეშენ ირო საჭირო რე  
სიკეთეში მათასალი...  
რულქი თოლი ვაგთოილას,  
კურცხას ორე მაზაკვალი....

ვოცადგქე, მარდი ფთასე,  
მემიღ ჩქიმი მონკა ჯვარი....  
ვამთქუალუ დღასგ ვარი,  
ცუმინულს ქოფჩე წყარი...  
ღორონთ, სი რექ გინმაჯინე,  
თე ქიანას ირფელიში...  
თეშ გილაფრთი, თეშ იბცხოვრი,  
ირო მიღუდ სქანი შიში...  
ორქო, ვარჩხიღ ვამშაყარუ,  
მარდ ენობუდ პირჯვარიში...  
ირფელ ცუჩა ვამომდალუ,  
მუთ გუაკეთ, მუთი ქიფში...  
შურობუმუ თეში რენო,  
თისით გილაბ მუში კარი...  
ქარქ მოღუდა, ვაგაიჩენდ,  
თის იღანს ვიშო ქარი...  
ოხვამერსგთ თის იფხვამა,  
უხვამ ჩქიმი წინაპარსგ...  
ღვინსგ ფშუნდი მარდიანსგ,  
მინომბუნდეს ხშირას ძმარსგ...  
რეკენს, რეკენს, რეკენს ზარი,  
მალას მოურს მაცხოვარი...  
ენოპუნა ქრისტეშ ჯვარი...  
თიქ განჯ ჩქინი შურიშ კარი...  
ღორონთ, მისი ეიანწონე  
სქანი ძალა, ნასაქვარი...  
მიმსახურ დო ვამკილუა  
ჭიჭე ხანსგ შურიშ კარი...

ქ. ქართი  
05.10.2017 წანა.


## მუთუნ გურსუ ვამკმორე

მემდინ ოდაბადექინი,  
გილული დო გილაბთვალუ,  
ორთუმელშა უკუღ დუდი  
გემუანო ვეგემდვალუ....  
  
ართო ორქის ქიმშუოხედა,  
მუთუნ გურსუ ვამკმორე,

საქმე ხვალე თინა ვარე,  
ოჭკომალი კოჩიქ ნთქორე...  
  
ცას ღორონთს ელმუოჯინექ,  
იმენდ მიღუ თიში ხვალე,  
რინა ხოლო ვამოჰამუ,  
ჯვარ მემიღუ ჩქიმ ოლალე...

ქ. ქართი  
28.07.2018 წანა

## სამოქალას ლოცვაში გაღეული სიცოცხლე



ნოდარ ჯალალონია გარდაიცვალა... 20 სექტემბერს უკანასკნელ გზაზე გავაცილეთ ჭეშმარიტი შემოქმედი, განსაკუთრებული ხელნერისა და ხედვის პოეტი, რომელმაც თავის სამშობლოზე ფიქრსა და ლოცვაში გაატარა 84-წლიანი წესისოფელი...

ბატონი ნოდარი ეკუთვნოდა იმ შემოქმედთა რიცხვს, რომელიც საუცხოო პოეტური ნიჭის გარდა სამაგალითო მოქალაქეობრივი პოზიციითაც გამოირჩეოდნენ, ნოდარ ჯალალონია-სათვის ყოველგვარ რეგალიერსა და „ზემოდან“ ნაბოძებ პატივზე ბევრად მნიშვნელოვანი თავის მკითხველთან, საკუთარ ხალხთან და სამშობლოსთან დგომა და მოქმედება იყო; განსაკუთრებით თავდადებული და შეუპოვარი ხდებოდა იგი იმ დროს, როცა ქვეყანას ძალიან უჭირდა და მამაც შვილთა თანადგომა ესაჭიროებოდა. ასე მოხდა 1989 წლის 9 აპრილის სისხლიან ღამესაც, როდესაც პოეტმა კალამი დაივიწყა და შეშველი ხელებით წინ აღუდგა დემონსტრან-

ტების გასასრესად გამოქანებულ ტანკებს; ასე იყო მას შემდეგაც, როცა რუსეთის იმპერიამ და გამყიდველმა ქართველებმა პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია და მთელი ეროვნული ხელისუფლება ქვეყნიდან გააძევეს; ნოდარ ჯალალონიამ ამჯერად ლექსებთან ერთად პუბლიცისტური კალამიც მიმართა სამშობლოს მტრების წინააღმდეგ. ბინაც კი გაყიდა, რომ ამ გზით გაზეთი გამოეცა და მართლაც, მისმა „ლაშარის გორმა“ მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ქართულ ეროვნულ უურნალისტიკაში.

... და მაინც, ნოდარ ჯალალონია პოეტი იყო, ნაღდი პოეტი, მგოსანი სულით ხორცამდე. მისი ლექსების ძირითად თემას კი სამშობლო – საქართველო წარმოადგენდა და ამით გამოირჩეოდა სხვა პოეტებისგან. სწორედ ამას უსვამდა ხაზს გამომცემლობა „ზანში“ გამოცემული ერთ-ერთი წიგნის „თუ მამულს არ ვუპატრონეთ“ რედაქტორი ჯემალ შონია, როდესაც ამ წიგნის წინასიტყვაობაში წერდა:

„დედამიწის ზურგზე არ დაბადებულა პოეტი, რომელსაც თავისი სამშობლოსთვის არ ემღეროს. ქართველი მგოსნებისთვისაც საქართველო ყოველთვის იყო ხატიცა და სახატეც, მაგრამ შემიძლია თამამად ვთქვა, რომ დღეს ჩვენს ქვეყანაში არ მეგულება ისეთი პოეტი, რომელსაც თავის მამულზე იმდენი ლექსი დაეწეროს, რამდენიც ნოდარ ჯალალონიას. უმთავრესი კი ის არის, რომ ბატონი ნოდარის ნაყოფიერი შემოქმედება, რომელიც უკვე ექვს ათეულ წელიწადს ითვლის, მაღალ მხატვრულ ხარისხშია აყვანილი; ამიტომაც არის იგი ცნობილი ქართველი შემოქმედი, რომელიც თავისი მრავალრიცხოვანი მკითხველის დიდი სიყვარულით სარგებლობს“.

აქვე არ შეიძლება არ მოვიყვანოთ ადგილი ასევე „ზანში“ გამოცემული სხვა წიგნის („უნდა ჰგავდეს სიცოცხლეს – სამშობლოსთვის სიკვდილი“) წინასიტყვაობიდან, რომელიც ეკუთვნის ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ მანანა ტაბიძეს: „ნოდარ ჯალალონიას რანგის პოეტები არ ბერდებიან; იგი მუდამ

დროს მიჰყება, ყველაზე აქტუალურს, მწვავესა და მნიშვნელოვანს ამჩნევს და თუ მუდმივი თემების ერთგულია... იმიტომ რომ მისი სმენისა და ჭვრეტის საგანი მამულია, ერთა, ხალხია...

დღეს საქართველოში ნამდვილი პოეტები ბერ-მონაზვნებს და ემსგავსნენ (მაპატიეთ ეს თამამი შედარება): გარიყულთ და შენირულთ, მლოცველთ იმათვის, ვინც ხშირ შემთხვევაში ვერც კი სწვდება ლვთიური მადლის მნიშვნელობას...

ბატონი ნოდარი ამ-გვარი მლოცველია...

მე ვფიქრობ, ჩვენ ყველანი ვგრძნობთ, როგორ უხდება მის პოეტურ სიტყვას ჭარმაგი ადამიანის თმის სითერე და ჭაბუკურად მკვირცხლი მზერა..."

ზემოთ ბატონი ნოდარის ორი წიგნი დავასახელეთ და ორივე-ჯერ გამომცემლობა „ზანი“ ვახსენეთ. ამ გამომცემლობაში ნოდარ ჯალალონიას სხვა წიგნებიც გამოიცა, მაგრამ მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია მისი


„რჩეული“, საკმაოდ სქელტანიანი კრებული, რომელიც ბატონი მურმან ზაქარაიას თაოსნობით დაიბეჭდა. ო, როგორ უხაროდა ეს უძვირფასესი საჩუქარი ბატონ ნოდარს!

ნოდარ ჯალალონიას ყველა წიგნი თანამედროვე ქართული პოეზიის განსაკუთრებული შენაძენია; როგორც აღვნიშნეთ, განსაკუთრებულია მის მიერ ლექსად ჩამოქნილი სათქმელი, განსაკუთრებული იყო თვით ნოდარის პიროვნება: ალალ-მართალი, შინაგანად ნათელი, უბრალოებით გაბრნებული, უაღრესად პატიოსანი, ამასთან ძალიან პრინციპული, პირდაპირი და შეუვალი.

ნოდარ ჯალალონიას გარდაცვალებას ვუსამინებთ არა მარტო მის მეუღლეს – ქალბატონ

მანანას, მის ნათესავებს, არამედ აგრეთვე მთელ ქართულ ეროვნულ მწერლობას, მთელ ქართველ ერს, რომელსაც ეს დიდებული პიროვნება გვერდში ედგა ყოველთვის: ლხინსა და ჭირში, გამარჯვებებისა და დამარცხებების დროს. ამ ღირსეული მამულიშვილის უპირველესი საფიქრალი ხომ სამშობლო და მისი ბედ-იღბალი იყო!..

და რაოდენ დასანანია, რომ ეს მართლაც დიდი შემოქმედი, დიდებული, კლასიკად ქცეული ლექსების ავტორი ხელისუფლების მხრიდან



სრულიად უსამართლო უყურადღებობით, სრული გულგრილობით მიაბარეს ოჯახმა, ნათესავებმა და თანამოაზრე მწერლებმა მუხათგვერდის საოჯახო სასაფლაოს...

სამაგიეროდ, ნოდარ ჯალალონია თავისი მრავალრიცხოვანი მკითხველის გულში იცოცხლებს და ჩვენც ჩვენს ნოდარს მისივე სიტყვებით გავიხსენებთ: „თუმცა კრწანისზე არ მიბრძოლია და არც ყიფჩალთან მქონდა შეხვედრა, მაგრამ არც ისე არ მიცხოვრია, შემრცხვეს ვინმექსთვის თვალში შეხედვა“.

ნათელში იყოს ამ წუთისოფლიდან სახელიანად წასული ნოდარ ჯალალონია!..

**ჟურნალ „მიჯინის“ რედაქცია**

**ტექნიკური რედაქტორი: ლუარა გამყრელიძე**

**კომპიუტერული მომსახურება: თეანა ზაქარაია**

**დამკაბადონებელი: ნანა ყანდაშვილი**

**დიზაინი: ირაკლი უშვერიძე**

**ავტორებს ვთხოვთ, მოგვაწოდონ მასალების ელექტრონული ვერსია**

---

**აინტერესული და დაკაბადონდა შპს „გამომცემლობა „მიჯნაში“**

**მ. ტაშკენტის ქ. №25, ბ.1, ტელ. 2-38-03-11**

**დაიბეჭდა გამომცემლობა „უნივერსალის“ სტამბაში**

**მ. ა. პოლიტკოვსკაიას. №4, ტელ. 5-99-33-52-02**

თუ თქვენ დაგაინტერესათ ჩვენმა უურნალმა,  
მაშინ შეგიძლიათ მისი ელექტრონული ვერსია  
გონიოთ:


საქართველოს პარლამენტის  
ეროვნული ბიბლიოთეკა



ციფრული ბიბლიოთეკა

[dspace.nplg.gov.ge](http://dspace.nplg.gov.ge)





საქართველოს ეროვნული საბჭოს ნიკოლაი, თბილისი, 26 მაისი, 1918 წ.

